

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### რუსისტიკის ინსტიტუტი

#### თამარ მერაბიშვილი

მეტაფორა და პერიფრაზული ერთეულები როგორც თანამედროვე პოლიტიკური  
დისკურსის ეფექტურობის ენობრივი საშუალებები  
(თანამედროვე რუსული და ამერიკული საპრეზიდენტო დისკურსის მასალაზე)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

### დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ქანეტა გარძელაშვილი.  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი დავით გოცირიძე.



2013

## შინაარსი

### შესავალი

3

#### თავი პირველი. ენა და მეტყველება თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიათა ჭრილში

|   |    |
|---|----|
| I. 1. ენა როგორც ნიშანთა სისტემა და მეტყველება როგორც ქმედება (საკითხის ისტორია და თანამედროვე მიდგომები) | 13 |
| I. 2. სამეტყველო აქტების თეორია თანამედროვე ლინგვისტიკის კონტექსტში                                       | 25 |
| I. 3. კომუნიკაცია როგორც სოციალური ფენომენი და ლინგვისტური კვლევის საგანი                                 | 36 |
| I. 4. ცნება „დისკურსი“ თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში   | 50 |

#### თავი მეორე. პოლიტიკური დისკურსის თავისებურებანი

|   |     |
|---|-----|
| II.1. პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურაწარმომქმნელი პარამეტრები  | 65  |
| II.2. ცნებების „პოლიტიკური კულტურის“ და „პოპნიტიკური ბაზის“ კავშირი პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობასთან | 85  |
| II.3. პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობის ენობრივი საშუალებები   | 102 |

#### თავი მესამე. მეტაფორისა და პერიფრაზული ერთეულების ფუნქციონირების კონტრასტული ანალიზი თანამედროვე რუსულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში

|   |     |
|---|-----|
| III.1. თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის მეტაფორიკა  | 112 |
| III.2 პერიფრაზული ერთეულების ფუნქციონალური დატვირთვა თანამედროვე რუსულ და ამერიკულ საპრეზიდენტო დისკურსში დასკვნა | 156 |
| გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა   | 222 |

## შესავალი

«*Не то чтобы мир стал гораздо хуже,  
но освещение событий стало гораздо лучше»*  
*გილბერტ ჯოზ ჩესტერტონი*  
“*Not that the world has become much worse,  
but the coverage has become much better”*

*Gilbert Keith Chesterton*

დისკურსი არის ონტოლოგიურად რთული მოვლენა, რომელსაც საფუძვლად უდევს აზრებისა და ინფორმაციის გაცვლის პროცესი. ლინგვისტიკის ურთიერთქმედებამ ფილოსოფიასთან, ფსიქოლოგიასთან, სემიოტიკასთან, ლიტერატურათმცოდნეობასთან და სხვა ჰუმანიტარულ დისციპლინებთან დისკურსი ჩართო მის საგნობრივ სფეროში. მკვლევართა სამეცნიერო ავტორიტეტმა და ფენომენის მიმართ მზარდმა ინტერესმა XX საუკუნის ბოლოს განაპირობა ლინგვისტიკის ახალი მიმართულების – დისკურსის ანალიზის ან დისკურს-ანალიზის (discourse analysis, discourse studies) ჩამოყალიბება. ამ პრობლემის შესახებ შრომების სიმრავლის მიუხედავად, ტერმინი „დისკურსი“ პვლავ რჩება ერთ-ერთ რთულად განსასაზღვრ ტერმინად ლინგვისტიკის ცნებით აპარატში. ეს დაკავშირებულია დისკურსის მრავალმხრივობასთან, რომელშიც ენა როგორც არსი გამოვლინებას პოვებს მეტყველებაში როგორც ქმედებაში. ობიექტისადმი ასეთი მიდგომის ტრადიცია მომდინარეობს ტ. ვან დეიკის იდეებიდან, რომელიც დისკურსის განსაზღვრისას ამოდიოდა იქიდან, რომ დისკურსი არის ენობრივი ფორმის, მნიშვნელობის და ქმედების რთული ერთობა (Дейк 1989). დისკურსი თავის თავში ახამებს თავად ტექსტს – მეტყველების იზოლირებულ შედეგს, რომელშიც აზრის მანიფესტაცია ხდება ენის ერთეულებში, და მთელ რიგ კომუნიკაციურ-პრაგმატულ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს სოციალური და კულტურული კონტექსტის ჩათვლით, რომელშიც ის იქმნება და ფუნქციონირებს. დისკურსის ნაირსახეობებს შორის განსხვავებები აღიწერება ჟანრის გაგების საშუალებით და უკავშირდება მისი ინსტიტუციური სტატუსის, პრაგმატული და სიტუაციური შემადგენლის და სოციალურ-კულტუროლოგიური პარამეტრების სპექტრის განსაზღვრას.

პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ურთიერთობის სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში ენის აქტიურ გამოყენებას, მრავალმხრივ და მრავალური მოვლენას, რომლის შიგნით განასხვავებენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო დისკურსებს, ოპოზიციის დისკურსს და მმართველი პარტიის დისკურსს. პოლიტიკური დისკურსის ინტენციური საფუძველი, რომელიც ვრცელდება მის ყველა უანრზე და წინასწარ განსაზღვრავს მის ფუნქციებს, არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის. გაბატონებული პოლიტიკური და იდეოლოგიური კონცეფციებისგან დამოუკიდებლად, ძალაუფლებისათვის ბრძოლა და ძალაუფლების რეალიზაცია განუყოფელია საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ენობრივი ზემოქმედებისა და მანიპულირების პრობლემისაგან. პოლიტიკური დისკურსის შესახებ კადევებში მიუთითებენ, რომ ეს ინსტიტუციური დისკურსი ორიენტირებულია ამომრჩეველთა და პოლიტიკურ ოპონენტებთან მიმართებაში ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიზნების, დირებულებების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრატეგიის ფორმულირებაზე. პოლიტიკურ დისკურსს გააჩნია მკვეთრად გამოხატული „ფუნქციურობა და ორიენტირებულია მოსალოდნელი შინაარსობრივ-ცნებითი სტრუქტურების პრაგმატულად დასაბუთებულ პრეზენტაციაზე“ (Юдина 2004, გვ. 173).

საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის დემოკრატიული პრინციპების გავრცელებამ, ქვეყნების გლობალურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ურთიერთკავშირმა და უკანასკნელ ათწლეულებში მომხდარმა რევოლუციურმა ცვლილებებმა საინფორმაციო გარემოში განაპირობა საჯარო პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელობა, რომელიც მიმართულია ფართო მასებზე და არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით. პოლიტიკური დისკურსის ადრესატები ხდებიან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებიც, რომლებიც ერთმანეთისგან როგორც გეოგრაფიულად, ისე ეკონომიკურად არიან დაშორებული. ხალხებს შორის მასობრივი ცნობიერების განსხვავებულობა განპირობებულია ღრმა ენობრივი და კულტურული განსხვავებით, ნაციონალური სტერეოტიპებით მათ შორის იდეოლოგის სფეროში და ცალკეულ ნაციონალურ ცნობიერებაში ფორმირებული სამყაროს პოლიტიკური სურათებით. ეს განსხვავებები გავლენას ახდენენ გლობალურ კომუნიკაციურ სიგრცეში პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობაზე.

პრობლემის ლინგვისტიკური ასპექტი მდგომარეობს პოლიტიკური დისკურსის არა მხოლოდ სამეტყველო ქმედებისა და სამეტყველო აქტების თეორიის (საბაზო ინტენციისა და აუცილებელი პერლოკუციური შედეგის მიღწევა) კუთხით ანალიზი, არამედ ცნების „მნიშვნელობა“ შეფარდებაში. თანამედროვე ლინგვისტიკაში ენობრივ ნიშანში დამაგრებული მნიშვნელობა გაიგება როგორც კოგნიციისა და ენობრივი პიროვნების ცნობიერებაში შენახული და/ან ჩამოყალიბებული სამყაროს რეალიების ენობრივი კატეგორიზაციის შედეგი. ის შეიძლება იყოს ენობრივი (სტაბილური) და მეტყველებითი (დინამიური და კონტექსტურ დამოკიდებული). პოლიტიკურ დისკურსში მნიშვნელობის პრობლემა განუყოფელია შესაბამისი კონცეპტუალურ-პოლიტიკური სისტემების კონტექსტისაგან და სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციისაგან: ზეპირი და წერითი დისკურსი, რადიო და სატელევიზიო მიმართვა, ინტერვიუ, პოლიტიკური დებატები, საინაუგურაციო სიტყვა, პრეს-კონფერენცია და სხვა. ლექსიკური მნიშვნელობის ფართე გაგება გულისხმობს შემოყვანას კრიტერიუმისა „კონტაცია“, რომელიც არის „გამოხატულის არაარსებითი, მაგრამ მდგრადი ნიშნები ... ცნებები, რომლებიც ახორციელებენ შესაბამისი სინამდვილის საგნისა თუ ფაქტის შესახებ მოცემულ ენობრივ კოლექტივში მიღებულ შეფასებას“ (Апресян 1995, გვ. 159).

ცალკეული ენობრივი პიროვნების სამეტყველო გამოცდილება მოწმობს: ზემოქმედების ეფექტი ბევრად არის დამოკიდებული ენობრივ საშუალებებზე, რომელთაც იყენებს ადრესანტი. პოლიტიკურ დისკურსში სიტყვები გამოიყენება როგორც „სამყაროს აღქმის აზროვნებითი მოდელები“, რომლებიც მოწოდებულია ემსახუროს სინამდვილის სოციალურ-პოლიტიკურ კონცეპტუალიზაციას (Володина 2000). მეორეული ნომინაციის საშუალებების აქტიური მოხმობა პოლიტიკური დისკურსის ენობრივი საშუალებების არსენალში მოწმობს მათ არა მხოლოდ მომეტებულ ინფორმატიულობას, არამედ, ასევე უნარს გამოკვეთოს აუცილებელი აზრები, შენიდბოს პრობლემები, შეცვალოს ცნებები, შეარბილოს რეალობის მოვლენები, რაც დაკავშირებულია პოლიტიკურად კორექტული ლექსიკის გამოყენების თანამედროვე ტენდენციასთან. შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობის საკითხი დაკავშირებულია იმ ენობრივი საშუალებების არჩევანსა და კომბინაციაზე, რომელიც პოლიტიკოსს ეხმარება გადაჭრას მის წინაშე არსებული ამოცანა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ძალაუფლება.

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება მეტაფორისა და პერიფრაზული ერთეულების, როგორც პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობის ენობრივი საშუალებების კვლევას (თანამედროვე რუსული და ამერიკული საპრეზიდენტო დისკურსის მასალაზე) და მთელი რიგი საკითხების დაზუსტებას, რომელიც ეხება დისკურსის განსაზღვრას, პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურაწარმომქმნელი პარამეტრების დაზუსტებას და მეორეული ნომინაციის ჩამოთვლილი საშუალებების ფუნქციონირებას, რომლებიც განხილულია როგორც ენობრივი მოვლენა, რომელშიც სემანტიკური ტრანსპოზიციები დაკავშირებულია კოგნიტიურ პროცესებთან და საპრეზიდენტო დისკურსის პრაგმატულ თავისებურებებს.

თემის შერჩევა და კვლევის აქტუალობა. თანამედროვე ენათმეცნიერებაში შემეცნებითი განწყობები დაფუძნებულია იმაზე, რომ ენობრივი მოვლენები არ შეიძლება ადგვატურად გაიგებოდეს და აიწერებოდეს მათი გამოყენებისა და დისკურსული ასპექტების გათვალისწინების გარეშე, რომლებსაც რეალურ დისკურსულ პრაქტიკაში შეუძლიათ შესაძლებლობათა მრავალფეროვანი კომბინაციების მოცემა და დისკურსის ეფექტურობაზე ზემოქმედება. ამიტომ, დისკურსის ანალიზი ხდება ერთ-ერთი ინტენსიურად განვითარებადი მიმართულება თანამედროვე ლინგვისტიკაში. დისკურსის ანალიზი როგორც მეცნიერული დისციპლინა უპირატესად კონცენტრირებულია შემდეგი პრობლემების შესწავლაზე: დისკურსის ჟანრული ნაირსახეობების ტიპოლოგია (ტაქსონომია, კლასიფიკაცია); დისკურსის კომპონენტური სტრუქტურა; დისკურსის ფორმალურობა (ადრესანტსა და ადრესატს შორის სოციალური ურთიერთობების ხასიათი); დისკურსული და ენობრივი მოვლენების კავშირი. ამასთან ერთად, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება დისკურსის წარმოებასა და გამოყენებას, მის კომუნიკაციურ უზრუნველყოფას, დისკურსულ ფორმაციებსა და სხვ. (Ревзина 2005).

სადისერტაციო ნაშრომი „მეტაფორა და პერიფრაზული ერთეულები როგორც თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობის ენობრივი საშუალებები (თანამედროვე რუსული და ამერიკული საპრეზიდენტო დისკურსის მასალაზე)“ შესრულებულია ენის ანალიზისადმი თანამედროვე მიდგომების კვალდაკვალ. დისერტაციაში გამოიკვლევა პოლიტიკური დისკურსის სპეციფიკა და საპრეზიდენტო დისკურსი როგორც მისი ინსტიტუციური ნაირსახეობა, ზუსტდება პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურაწარმომქმნელი პარამეტრები,

რაც შეესაბამება დისკურსის თანამედროვე ლინგვისტიკური ანალიზის პრობლემატიკას. საპრეზიდენტო დისკურსი გამოიკვლევა მისი ჟანრობრივი თავისებურებებისა და ოლეოლოგიური განწყობების კუთხით. სადისერტაციო ნაშრომი შესაძლებლობების ფარგლებში არკვევს რიგ კონკრეტულ საკითხებს, მათ შორის, სამეცნიერო მიმართულების ცნებით აპარატთან დაკავშირებულ პრობლემებს. სადისერტაციო ნაშრომის შეპირისპირებითი ხასიათი შეესაბამება დისკურსის ანალიზის სფეროს გაფართოებას თანამედროვე ლინგვისტიკურ კვლევებში, რომლებიც ეყრდნობა კონტრასტული გრამატიკისა და შედარებითი სტილისტიკის, პერმენევტიკის, ფსიქოლინგვისტიკისა და კოგნიტოლოგის ტრადიციებს. ეს კვლევები ჯგუფდება სხვადასხვა ენაში განსხვავებული დისკურსული სფეროების ირგვლივ, მათ შორის სოციალური დისკურსული პრაქტიკების (პოლიტიკური, სამეცნიერო, პედაგოგიური და სხვ. დისკურსი) ანალიზში და მისთ.

ნაშრომში დისკურსული და ენობრივი მოვლენების კავშირი გაანალიზდება მეორეული ნომინაციის საშუალებების მასალაზე, რომელთა კვლევას მდიდარი ისტორია აქვს ენათმეცნიერებაში. არჩეული რაკურსის აქტუალობა კვლევის ამ ნაწილში მდგომარეობს ლინგვისტიკური სემანტიკისათვის ანალიზის ახალი მიდგომების წარმოდგენაში. კერძოდ, მეორეული ნომინაციის გაგება როგორც მოვლენის, რომელ შიც სემანტიკური გარდაქმნები თანხვდება პრაგმატული, სტილისტიკური და კოგნიტიური ხასიათის მოტივებს. ნაშრომის აქტუალობა დაკავშირებულია მეორეული ნომინაციის საშუალებების კვლევის პერსპექტივასთან საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ენობრივი ზემოქმედების მეთოდების, საშუალებებისა და ხერხების შესახებ მონაცემების სისტემატიზაციისათვის.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, საშუალებას იძლევა, აღიწეროს დისკურსის ეფექტურობა მის ურთიერთდაკავშირებაში მთელ რიგ ექსტრა და ინტრალინგვისტურ ფაქტორებთან. ანალიზის მეთოდები და ჩატარებული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას პრეზიდენტის როგორც ენობრივი პიროვნების, რომელიც ოსტატურად ფლობს ენასა და სამეტყველო სტრატეგიებს, დისკურსული თავისებურებების გამოსავლენად და აღსაწერად.

ამგვარად, დისერტაცია აქტუალურია თემატიკის, დისკურსის ანალიზის შერჩეული მიდგომის მხრივ, რომელ შიც სინთეზირებულია ლინგვოკოგნიტიური და ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის ელემენტები (მეტაფორები და

პერიფრაზული ერთეულები გაიგება როგორც კონცეპტუალური ცნებითი სტრუქტურები, რომელთა ინტერპრეტაციაც დაკავშირებულია ნაციონალური მენტალიტეტის სპეციფიკასთან). ასევე, დისერტაციის აქტუალობას განაპირობებს კვლევის მასალების წარმოდგენისა და აღწერის შეპირისპირებითი ხასიათი.

**კვლევის მიზნები:** პოლიტიკური დისკურსის უანრობრივი თავისებურებებისა და თელეოლოგიური განწყობების ჭრილში დადგინდეს მისი სტრუქტურაწარმომქმნელი პარამეტრები და გამოვლინდეს მეტაფორისა და პერიფრაზული ერთეულების როგორც მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ენობრივი საშუალებების ფუნქციონირების პრაგმატული, სტილისტიკური და კოგნიტიური ხასიათი; შეპირისპირებულ თანამედროვე რესულ და ამერიკულ საპრეზიდენტო დისკურსში გაანალიზდეს მეტაფორები და პერიფრაზული ერთეულები როგორც მისი ეფექტურობის ენობრივი საშუალებები. ნაშრომის მიზნები გულისხმობს შემდეგი კონკრეტული ამოცანების გადაჭრას:

1) თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიათა ჭრილში კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის განსაზღვრა:

ა) პრობლემის „ენა როგორც ნიშანთა სისტემა და მეტყველება როგორც ქმედება” ისტორია და ფენომენებისადმი თანამედროვე მიდგომები;

ბ) კომუნიკაციის როგორც სოციალური მოვლენისა და ლინგვისტური კვლევის საგნის გამიჯვნა; პოლიტიკური კომუნიკაციის მახასიათებლების აღწერა და ძირითადი ფუნქციების კლასიფიცირება;

გ) ტერმინის „დისკურსი” გაგებისადმი და მისი ანალიზისადმი ძირითადი მიღვმების მიმოხილვა;

დ) დისკურსის ტიპოლოგია და მისი კომუნიკაციურ-პრაგმატული ფაქტორების კლასიფიკაცია;

2) პოლიტიკური დისკურსის განმარტება, მისი უანრობრივი დიაპაზონის აღწერა და მისი სტრუქტურაწარმომქმნელი პარამეტრების დადგენა;

3) პოლიტიკური დისკურსის ინტენციები, თელეოლოგიური განწყობები და მისი ეფექტურობის ექსტრა და ინტრალინგვისტური პარამეტრების განსაზღვრა;

4) საპრეზიდენტო დისკურსის როგორც პოლიტიკური დისკურსის ნაირსახეობის დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრა;

5) თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობის ენობრივი საშუალებების – მეტაფორისა და პერიფრაზული ერთეულების გამოყოფილი სახეების, რომლებშიც სემანტიკური გარდაქმნები თანხვდება პრაგმატული, სტილისტიკური და კოგნიტიური ხასიათის მოტივებს, ფუნქციონირების გამოკვლევა და აღწერა;

6) თანამედროვე რუსულ და ამერიკულ საპრეზიდენტო დისკურსში მეტაფორისა და პერიფრაზული ერთეულების ფუნქციონირების კონტექსტების კარტოგეპის შედგენა, მათი ფუნქციონირების გაანალიზება და აღწერა შეპირისპირებით ასპექტში;

7) მიღებული მონაცემებისა და დასკვნების განზოგადება.

**კვლევის საგანი და ობიექტია:** პოლიტიკური დისკურსის ნაირსახეობა – თანამედროვე რუსული და ამერიკული საპრეზიდენტო დისკურსი; თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობის ენობრივი საშუალებების – მეტაფორული და პერიფრაზული ერთეულების ფუნქციონირების სპეციფიკა, რომლებიც ასრულებენ კოგნიტიურ, სტილისტიკურ და პრაგმატულ ამოცანებს მისი ინტენციებისა და თელეოლოგიური განწყობების შესაბამისად.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა** არის ქართველი და უცხოელი მეცნიერების იმ შრომების გააზრება და ანალიზი, რომლებიც ეძღვნება ენისა და მეტყველების ანალიზის საკითხებს, ლინგვისტიკურ დისკურსის ანალიზს, ლინგვიტიკური სემანტიკისა და მეორეული ნომინაციის, ლინგვისტიკური პრაგმატიკის, კოგნიტიური ლინგვისტიკის და ლინგვოკულტუროლოგიის პრობლემებს (ფ. დე. სოსიური, ა. სეშე, ლ. ელმსლევი, ლ. ს. გიგოტსეი, ლ. გ. შჩერბა, დ. ნ. უზნაძე, მ. ჰაიდეგერი, ე. კასირერი, პ. რიკიორი, ა. ვიტგენშტაინი, მ. კ. მამარდაშვილი, ა. რ. ლურია, დ. ა. ლეონტიევი, რ. გ. ნათაძე, კ. ბიულერი, ტ. გან დეიკი, ჩ. მორისი, უ. ლ. ჩეიფი, ჯ. ლაკოფი, ნ. დ. არუტიუნოვა, გ. ვ. კოლშანსკი, ვ. ნ. თელია, ო. გ. რევზინა, ა. ნ. ბარანოვი, ა. კ. ჩუდინოვი, ნ. ა. ბასილაძი, ქ. ა. გარძელაშვილი, ნ. ს. ჭოხონელიძე, ა. ა. უფიმცევა, ე. ი. შეიგალი და სხვები).

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია დასმული პრობლემის მიმართ მიღვიმის მრავალასპექტური ხასიათით. ეს მეთოდებია: კოგნიტიურ-დისკურსული ანალიზი, მოდელირება, ჟანრობრივი ანალიზი, სალექსიკონო დისტრიბუციების ანალიზი, ფუნქციონალური ანალიზი, კონტექსტუალური

ანალიზი, შეპირისპირებითი ანალიზი ნაციონალური მენტალიტეტისა და კულტურების თავისებურებების გათვალისწინებით.

**კვლევის მასალა** შეირჩა რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების გამოსვლების ბეჭდური და ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის წყაროებიდან ამოკრებილი 680 ავთენტური ტექსტიდან, რომლებიც ეხება საპრეზიდენტო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს. ასევე გამოყენებული იქნა პრეზიდენტების გამოსვლების ვიდეო და აუდიოჩანაწერები, რომლებიც გამოქვეყნებულია მათ ოფიციალურ საიტებზე. საერთო ჯამში საკვლევ მასალად შეირჩა მეორეული ნომინაციის 432 ერთეული როგორც მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ენობრივი საშუალებების დისკურსული ფუნქციონირებისა და დისკურსის ეფექტურობის კონტექსტში (275 მეტაფორა, მეტონიმიური ტრანსპოზიციების ჩათვლით, და 157 პერიფრაზული ერთეული, კერძოდ, პერიფრაზები, ევფემიზმები, დისფემიზმები და აბერატივები). ობიექტურობის მისაღწევად კონტრასტული ანალიზისას განხილულ იქნა შედარებით თანაბარი რაოდენობის რუსული და ამერიკული ტექსტობრივი მასალა.

|                 |                   |                |                       |                 |
|-----------------|-------------------|----------------|-----------------------|-----------------|
| <b>ნაშრომის</b> | <b>მეცნიერული</b> | <b>სიახლე</b>  | <b>მდგომარეობს</b>    | <b>ნაშრომში</b> |
| შემოთავაზებული  | პოლიტიკური        | დისკურსის      | სტრუქტურაწარმომქმნელი |                 |
| პარამეტრების    | დასაბუთებაში,     | შეპირისპირებით | აღწერაში              | მეტაფორული      |
| პერიფრაზული     | ერთეულების        | გამოყოფილი     | ნაირსახეობების,       | როგორც          |
| თანამედროვე     | პოლიტიკური        | დისკურსის      | ეფექტურობის           | საშუალებებისა,  |
| რომლებიც        | დისკურსის         | ეფექტურობის    | ენობრივი              | საშუალებების    |
| შესაბამის       | კოგნიტიურ,        | სტილისტიკურ    | და პრაგმატულ          | ამოცანებს.      |

**კვლევის ჰიპოთეზა:** პოლიტიკური დისკურსი მრავალურობრივი მოვლენაა, რომლის საბაზისო ინტენციას წარმოადგენს ძალაუფლებისათვის ბრძოლა და მისი შენარჩუნება; საპრეზიდენტო დისკურსი არის პოლიტიკური დისკურსის ცალკე ნაირსახეობა და ის გამოირჩევა სახელმწიფოს მეთაურის სამეტყველო ქმედების სტატუსურ-როლური ბუნებით, რაც გამოვლინდება ადრესანტსა და ადრესატს შორის სოციალური ურთიერთობების ხასიათში და გავლენას ახდენს ენობრივი საშუალებების შერჩევაზე; მეტაფორული და პერიფრაზული ერთეულები ფუნქციონირებს თანამედროვე პოლიტიკურ (საპრეზიდენტო) დისკურსში, როგორც ეფექტურობის მიღწევის ენობრივი საშუალებები.

**პვლევის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს პოლიტიკური დისკურსის უანრული დიაპაზონის აღწერაში და მისი სტრუქტურაწარმომქმნელი პარამეტრების დადგენაში, ენობრივი საშუალებების შერჩევაზე საპრეზიდენტო დისკურსის საბაზისო ინტენციების გავლენის აღწერაში, მეტაფორისა და პერიფრაზული ერთეულების ნაირსახეობების, როგორც მისი თელეოლოგიური განწყობების რეალიზაციის ეფექტურობაზე ზემოქმედი ენობრივი საშუალებების ფუნქციონირების შეპირისპირებით-შედარებით ანალიზში.**

**პვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:** დისერტაციის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსული და ინგლისური ენების სწავლების პრაქტიკაში, ასევე დისკურსის ანალიზის, თარგმანის თეორიის, პოლიტოლოგიისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სალექციო კურსებში.

**პვლევის შედეგების აპრობაცია:** დისერტაციის ძირითადი დებულებები მოხსენებების სახით გატანილ იქნა და განიხილებოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგი და ენობრივი კონტაქტები”, ქუთაისი, 2010; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, თბილისი, 2012; ასევე განიხილებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსისტიკის ინსტიტუტის სხდომებზე. სადისერტაციო კვლევის შედეგების მიხედვით გამოქვეყნებულია შვიდი სტატია რეცენზირებად სამეცნიერო გამოცემებში და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალების კრებულებში.

**სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა** განპირობებულია კვლევის ლოგიკით, მიზნებით და დასმული ამოცანების გადაჭრის თანამიმდევრულობით. დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურის სიისაგან (203 დასახელება). ნაშრომის ტექსტი მოიცავს 5 ცხრილსა და 3 სქემას, რომელიც წარმოადგენს დაცვაზე გამოტანილი მასალის სისტემატიზაციასა და ილუსტრაციას. დისერტაციის ტექსტი (ბიბლიოგრაფიული სიის გარეშე) შეადგენს 221 გვერდს.

## თავი I

### ენა და მეტყველება თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიათა ჭრილში

#### I.1. ენა როგორც ნიშანთა სისტემა და მეტყველება როგორც ქმედება (საკითხის ისტორია და უახლესი ლინგვისტური თეორიები)

ენაომეცნიერების თეორიაში ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს ენის როგორც ადამიანის შესაძლებლობის გაგების ერთობლიობის ძიება, რომელშიც „ინდივიდი და საზოგადოება ურთიერთობანაპირობებენ ერთმანეთს“ (Бенвенист 2002, გვ. 27). დღეისათვის, სამეცნიერო სკოლების განსხვავების მიუხედავად, ჩამოყალიბდა ენის (ნიშანთა სისტემა) და მეტყველების (ენის კოდის აქტიური მოხმარება მოსაუბრის აზრის შესაბამისად) როგორც ლინგვისტური რეალობის შეპირისპირების ასპექტების საზოგადოდ მიღებული ტრადიცია.

ენაომცოდნეობის თეორიაში პირველი მეცნიერული მიდგომები ცნებების „ენის სისტემისა“ და „მეტყველების“ გააზრებაში დაკავშირებულია გამოჩენილი მეცნიერის ვ. ფ. პუმბოლტის სახელთან, რომელიც, კერძოდ, თვლიდა: „ყოველი ინდივიდი ენას იყენებს სწორედ თავისი განუმეორებელი თვითმყოფადობის გამოსახატად“; ენა „არის სუბიექტურის ობიექტურში გარდასახვის საშუალება“, ამიტომ ენა „უნდა განიხილებოდეს არა როგორც მკვდარი პროდუქტი, არამედ როგორც შემოქმედებითი პროცესი“ (1989, გვ. 90). მაგრამ პირველად უფრო მკაფიოდ ცნებები „ენა“ და „მეტყველება“ გამიჯნა ფერდინანდ დე სოსიურმა („ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“), როდესაც გაჟო „ცნება „ენა“ (langue) და „მეტყველება“ (parole), როგორც ერთობლიობაში არსებული მრავალსახოვანი და

ურთიერთსაპირისპირო „სამეტყველო მოვლენების“ ორი პოლარული ფორმა (Кацнельсон 2002, გვ. 95). სოსიურის გაგებით, ენა არის „აღნიშნულის“ და „აღმნიშვნელის“ ერთობლიობა, რომლის რეალიზაცია სამეტყველო ჯაჭვში წარმოადგენს მეტყველების არსეს, ხოლო მეტყველება არის ენის მეშვეობით აზრის გამოხატვის საშუალება, ენობრივი პოტენციის რეალიზება. მეტყველებისთვის დამახასიათებელია კომბინაციის თავისუფლება.

ენისა და მეტყველების თანაფარდობის პრობლემა შემდგომში ვითარდებოდა გამოჩენილი ენათმეცნიერების ნაშრომებში (ა.სეშე, ლ. ელმსლევი, გ. გიორგი, ა. ი. სმირნიცკი, ლ. ვ. შჩერბა და სხვ.). ასე, ლ. ვ. შჩერბამ თავის ნაშრომში „ენობრივი მოვლენების სამმაგი ასპექტისა და ენათმცოდნეობაში ექსპერიმენტის შესახებ“ («О троеком аспекте языковых явлений и об эксперименте в языкоznании» 1947), გამოყო ენის შემდეგი სამი ასპექტი: ურთიერთობაში მყოფი ინდივიდების სამეტყველო ქმედება (ლაპარაკისა და გაგების პროცესები; მინიშნება იმაზე, რომ გაგების პროცესები და ნიშანთა ინტერპრეტაციები არანაკლებ აქტიურია, ვიდრე ბგერათა წარმოთქმა, ლაპარაკი); მეორე ასპექტი – ენობრივი სისტემა (ლექსიკონი და გრამატიკა); მესამე ასპექტი არის „ნათქვამისა და გაგებულის ერთობლიობა გარკვეულ სიტუაციაში მოცემული საზოგადოებრივი ჯგუფის ცხოვრების ამა თუ იმ ეპოქაში“ (Щерბა 1974, გვ. 214).

საკითხი აზრობრივი, „ცნებითი“ კატეგორიების შესახებ, რომლებიც ენის სისტემის და მისი მეტყველებაში გარდატეხის საფუძველია, განიხილებოდა მრავალი მკვლევარის მიერ (ესპერსონი, ბრიუნო, ზვეგინცევი, კაცნელსონი, მეშანინოვი და სხვ.). მაგალითად, ტ. პ. ლომტევი ვარაუდობდა, რომ „ყველა ლინგვისტური ერთეული არის ენისა და მეტყველების ერთეული: ერთი მხრივ ისინი მიმართულია ენისკენ, მეორე მხრივ – მეტყველებისკენ“; მეტყველების ერთეულები არის ენის ერთეულების რეალიზაციის არსი (1976). ხოლო ცნობილმა ამერიკელმა ლინგვისტმა ნ. ხომსკიმ წამოჭრა ენობრივი კომპეტენციისა და ენობრივი შესრულების (competence and performance) შეპირისპირების საკითხი, რომელიც წარმოადგენს ენისა და მეტყველების ოპოზიციის ანალოგს.

მაგრამ თითქმის XX საუკუნის 60-იან წლებამდე ენათმეცნიერება უპირატესად მიმართული იყო ენობრივი სისტემის შესწავლისკენ. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული კვლევის ცენტრმა გადახრა დაიწყო სამეტყველო

ქმედების მხარეს, ლაპარაკისა და გაგების პროცესის ანალიზისკენ, გამონათქვამების აგების, ტექსტებისა და დისკურსისკენ. ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზეც აქტუალურია ბუნებრივი ადამიანური ენის ადეკვატური დახასიათებისა და მისი ანალიზის მეთოდების, ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპის შემუშავება, რომელიც შეძლებს გააერთიანოს ენობრივი სისტემა და სამეტყველო ფუნქციონირება. უახლეს ლინგვისტიკაში არსებობს რამდენიმე ათეული მსხვილი გლობალური თეორია და პიპოთება, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ან თანამშრომლობენ, მაგრამ მათ აერთიანებთ მეცნიერული ძიება ამ გლობალური პრობლემის გადასაწყვეტად.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ინტერდისციალინარულობა ენობრივი პროცესების გააზრებისას: „ენა მეტისმეტად რთული ორგანიზმია... მისი აღწერა ვერ თავსდება მარტივ ლოგიკურ სქემებში“ (Налимов 1989, გვ. 64). ამიტომ შიდა ლინგვისტური ამოცანების გადასაწყვეტად უფრო და უფრო ხშირად მოხმობილია მთელი პუმანიტარული ციკლის მეცნიერების მონაცემები. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ფილოსოფიისა და ფიქტოლოგიის დარგის სამეცნიერო შრომებში ენა აღიარებულია ადამიანური არსის ერთ-ერთ ძირითად გამოვლინებად, რაც მას ორგანზომილებიანი ბუნების სამეცნიერო ობიექტად აქცევს. რჩება რა დაკვირვებისთვის ხელმისაწვდომი, ის შეიძლება აგრეთვე გაგებული იყოს როგორც „იდეალური“ ბუნების ობიექტი. მეტყველება არის არამარტო ლინგვისტების (ფსიქოლინგვისტების, სოციოლინგვისტების, ნეიროლინგვისტების, კოგნიტივისტების, ფონეტიკოსების, სტილისტიკის სპეციალისტების) შესწავლის ობიექტი. მას ასევე შეისწავლიან ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, ლოგოპედები, კომუნიკაციის და ინფორმაციკის თეორიის სპეციალისტები უმაღლეს ნერგულ ქმედებაში, აკუსტიკაში. მუტყველების პრობლემები მოქცეულია ფილოსოფოსების, ლოგიკოსების, სოციოლოგების, ლიტერატურათმცოდნების უურადღების ფოკუსში. ლინგვისტიკის უახლეს ნაშრომებში ენა სულ უფრო ხშირად განხილულია როგორც ყოველგვარი კულტურის ფორმა, როგორც სოციალურისა და მენტალურის გამაერთიანებელი სივრცე, როგორც ფენომენი, რომელშიც „უკვე ჩვენამდე აღბეჭდილია სამყაროს მრავალათასწლოვანი შეცნობა; სამყარო ასახულია ენაში; გარკვეული აზრით სამყარო და მისი ასახვა ენაში რაღაც ერთიანია“ (Степанов 1997, გვ. 266). „ენა გაიგება როგორც მსოფლიო უნივერსალია, რომელიც უერთდება რა სხვა

უნივერსალიას – აზროვნებას, აყალიბებს ხალხებს შორის ურთიერთობის და გაგების უნიკალურ და სრულყოფილ ხერხს–მსოფლმხედველობას. ზუსტად ამიტომ მიჩნეულია, რომ ენა კულტურისადმი იმანენტურია; ის სოციალურია, რაც ხდის მას შედარებით დამოუკიდებელს ცალკეული ინდივიდის სამეტყველო აქტივობისგან – ენა ეძღვევა ინდივიდს საზოგადოების მიერ. ენის როგორც ნიშანთა სისტემის, სიტყვიერი კოდის, შინაარსის მატერიალური გარსის განსაზღვრება ჭარბობს მის შინაარსობრივ გახსნას და მხოლოდ მეტყველებაში, პაიდეგერის ხატოვანი განსაზღვრებით, „ენა ხდება აზრის არტიკულირებული გახმოვანება“ (Варდзелашвили 2005).

ენისა და მეტყველების ერთობა რეალიზდება სამეტყველო ქმედებაში ინდივიდის ენობრივი და სამეტყველო აქტივობით. განსაზღვრებათა უმეტესობაში (ვ. ჰუმბოლტი, ფ. დე სოსიური, ა. ა. პოტენცია, მ. მ. ბახტინი, ლ. ს. ვიგორსკი, მ. პაიდეგერი, გ. კასირერი, პ. რიკიორი, ა. ვიტგენშტეინი, ა. რ. ლურია, დ. ა. ლეონტიევი, რ. ბარტი, იუ. კრიტსტევა და სხვ.) მეტყველება გაიგება როგორც ინდივიდუალური ცხოვრების ფენომენი, ხოლო მისი ძირითადი სუბიექტი კონკრეტული ადამიანია. ასე მაგალითად, ა. ა. პოტენციას აზრით, სამეტყველო აქტი არის მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიკური მოვლენა. მაგრამ ენას, სიტყვას ამ აქტში შეაქვს კულტურული, სოციალური საწყისი: „ენა აობიექტურებს აზრს... აზრი სიტყვის საშუალებით იდეალიზდება და თავისუფლდება უშუალო გრძნობითი აღქმის გავლენისგან... ენა იმიტომაც არის ხალხის პროგრესის პირობა, რომ იგი ცალკეული პირის აზრის ორგანოა“ (1958, გვ. 237). მეტყველება რეალიზდება არა მხოლოდ როგორც სიგნიფიკაციის აქტი, არამედ როგორც ცხოვრებისული მოვლენების თანმიმდევრობა. მეტყველებაში, მე-20 საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსის მ. მამარდაშვილის აფორისტული შენიშვნით, ხდება „შინაგანის ამობრუნება და გარეგანის ჩაბრუნება“, ეს არის „ადამიანის საკუთარ თავთან მიმართებაში შეზრდილი სფერო“ (Мамардашвили 1997, გვ. 93). სამეტყველო ქმედება არის ერთიმეორის მონაცვლე ლაპარაკის, მოსმენის, გაგების, განზოგადების, გახსენების პროცესები, რომელშიც ენის სისტემიდან სამეტყველო ტექსტებზე ხდება გადასვლა. მეტყველების როგორც ფენომენის კვლევისას განისაზღვრება ისეთი ცნებები, როგორიცაა „სამეტყველო ქცევა“, „სამეტყველო ქმედება“, „სამეტყველო ექსპრესია“. თუმცა ფსიქიკური შინაარსი ინდივიდუალურ მეტყველებაში აღიარებულია იმდენად არსებითად და იმდენად შერწყმულად მის

ექსპლიციტურ გეგმასთან, „რომ ფსიქოლოგიურად უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ მეტყველებაზე როგორც ცხოვრებაზე, ხოლო მისი მოდელირებისას გამოვიყენოთ მეტყველებისა და ენის განსხვავებისა და სასიცოცხლო ერთობის აღდგენის ხერხი“ (Старовойтенко 2001, გვ. 522).

ენა ერთვება მეტყველებაში არა როგორც მთლიანი სტრუქტურა, არამედ ფრაგმენტულად, „ცალკეული მწყობრი ელემენტებით, რომლებიც ირჩევა შეტყობინების საჭიროების შესაბამისად და იდებს მეტყველებაში თავის განსაკუთრებულ, მოცემული ტექსტისთვის სპეციფიკურ წყობას (Кацнельсон 2002, გვ. 98). სიტყვა (ენის ერთეული) გამოიყენება ინდივიდის მიერ, რათა სამეტყველო გზით გამოავლინოს თავისი ცოდნა და სუბიექტური დამოკიდებულება ადსანიშნავ რეალიის მიმართ, საკუთარი კავშირი სინამდვილის მოცემულ ფრაგმენტთან.

მეტყველება ინდივიდუალურია და ყოველ ჯერზე ის არის ენის, როგორც ცალკეული ინდივიდების ურთიერთობის საშუალების ახლებური გამოყენება. „...მეტყველება წყაროა ყველა იმ სუბიექტურისა, რაც ენის ობიექტურ სისტემაში აღწევს. ის არხია, რის საშუალებითაც ადამიანის პრაქტიკული გამოცდილება შედის ენაში“ (Кацнельсон 2002, გვ. 98).

ენისა და მეტყველების იდეების განვითარების შედეგად ლინგვისტიკაში ჩამოყალიბდა ამ ცნებების ოპოზიციებში წარმოდგენის ტრადიცია (მაგ. სქემა და უზუსი, კოდი და შეტყობინება, კომპეტენცია და გამოყენება და ა. შ.). მეცნიერთა მიერ მოყვანილი დიქტომიური ფორმულები დაფუძნებულია ქნაომცოდნეობის განვითარების შესაბამისი ეტაპის ზოგადმეცნიერულ პრინციპებზე, ხოლო ტერმინების ცნებითი შევსება გარირებს ცალკეული სამეცნიერო სკოლის მიერ მათი გაგების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ამ შეფარდებით ცნებებში გამოიყოფა მათი გამაერთიანებელი მახასიათებლებიც, მაგალითად, სტატიკური და დინამიკური ასპექტები (დაწვრილებით ამის შესახებ: Бондарева 2009). ასე, მაგალითად, თანამედროვე ენაომცოდნეობაში აღიარებულად ითვლება, რომ მეტყველების დინამიკური მხარე შეესაბამება შემოქმედებითს, მისი მახასიათებლების მთელი სისრულით (ფიზიკურის, ფსიქიკურისა და სოციალურის); მეტყველების სტატიკური მხარე შეესაბამება სამეტყველო ქმედებიდან გამოყოფილ და ამა თუ იმ ხერხით დაფიქსირებულ ტექსტს, დისკურსს. ქვემოთ მოყვანილია ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილი, სადაც სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია

ოპოზიციაში ენისა და მეტყველების ძირითადი მახასიათებლები. ბუნებრივია, რომ ცხრილში შეუვანილ ოპოზიციებს აქვს შედარებითი ხასიათი. მთავარი კი არის შემდეგი: „ენისა და მეტყველების გამიჯვნა განისაზღვრება სხვადასხვანაირად, მაგრამ როგორც არ უნდა განისაზღვრებოდეს, არც ერთს და არც მეორე „ნივთს“ არ შეუძლია არც არსებობა და არც ფუნქციონირება...“ (Звегинцев 2001)

### ცხრილი № 1

| <b>ენა როგორც ურთიერთობის<br/>საშუალება</b>  | <b>მეტყველება როგორც ქმედება</b>   |
|--|--|
| იდეალური და მატერიალური ბუნების ობიექტი  | მატერიალურია(მეტყველების იდეალურ მხარეზე როცა საუბრობენ, გულისხმობენ შინაგან მეტყველებას)  |
| სოციალურ-კულტურული საკუთრება. (იგი არის ნიშანთა სისტემა, რეგულირდება ნორმებით)   | ფუნქციური სისტემა. (ენობრივი სისტემის რეალიზაცია); უშვებს სამეტყველო მოქმედებისას შემთხვევითობის ელემენტებს, ანდა ნორმების განზრახ დარღვევას |
| სისტემის ნიშნები არის შემეცნების საშუალება („ყოველგვარი აზრი არის ნიშანი“: “Collected Papers of Charles S. Peirce”, I, § 538). | ნიშნები არის ურთიერთობის საშუალება («инструментальная функция знака»: Л. С. Выготский, 1960, с. 160)   |
| არამიზანმიმართული, მაგრამ ფუნქციონალური (კომუნიკაციური, კოგნიტიური, რეგულაციური და ენის სხვა ფუნქციები)                        | ინტენციონალური   |
| აქვს დონებრივი ორგანიზაცია   | სწორხაზოვანი; არსებობს ზეპირი და წერილობითი ფორმით   |
| არსებობის ცალკე აღებული პერიოდი სტაბილურია   | დინამიკური (შესაძლებელია იყოს სტატიკური, თუ სამეტყველო   |

|  |  |  |
|--|--|--|
|  |  | ნაკადიდან გამოყოფილი და<br>დაფიქსირებულა მისი ფრაგმენტი) <sup>1</sup> .          |
| ობიექტური<br>სოციალურია                                      | მოცემულობა,  | სუბიექტური, ინდივიდუალური  |
| აფიქსირებს<br>ლინგვოკულტურაში<br>სამყაროს ენობრივ სურათს     | მოცემულ<br>ფორმირებულ                                      | ასახოვს ენობრივი ცნობიერების<br>ცალკეული მატარებლის<br>ინდივიდუალურ გამოცდილებას |
| არ<br>ჟეიძლება<br>ჟეფასდეს<br>ჭეშმარიტება/ტყუილის პოზიციიდან | ჟესაძლებელია<br>ჟეფასდეს<br>ჭეშმარიტება/ტყუილის პოზიციიდან | ჟესაძლებელია<br>ჟეფასდეს<br>ჭეშმარიტება/ტყუილის პოზიციიდან                       |

პ. ბიულერმა ააწყო რა ენის ფუნქციონალური მოდელი, მიუთითა მის სამ ფუნქციაზე – ასახოს სამყარო, გამოხატოს მოსაუბრის შინაგანი სამყარო და მსმენელისკენ აპელირება (Бюлер 1960). მაშასადამე, ბიულერის მიხედვით ენის წამყვანი ფუნქციაა კომუნიკაციური ფუნქცია. ის რეალიზდება სამეტყველო აქტში, რომელიც თავის თავში აერთიანებს კომუნიკაციის პირობებს, კომუნიკაციის ამოცანებს, რომლებიც ყოველგვარი სამეტყველო აქტის დეტერმინანტია (Вежбицкая 1985; Серль 1986).

სამეტყველო აქტის პროცესში ხორციელდება ინტენციის რეალიზაცია, „ნებისმიერი კომუნიკაციური გამონათქვამი ინტენციონალურია“ (ენა და მეტყველების გაჩენა, ადამიანური ფაქტორი ენაში 2009). სამეტყველო აქტი არის მოსაუბრის მიერ მეტყველების მეშვეობით ინტენციის განხორციელება, რამეთუ ყოველგვარი გამოთქმა თავის თავში ატარებს წარმოდგენას არა მხოლოდ იმაზე, რაზეც ლაპარაკია, არამედ იმაზეც, თუ რატომ ითქმის იგი. ყოველგვარ გამოთქმას აქვს მიზნობრივი ასპექტი და მთლიანად ან ნაწილობრივ, აშკარად ან ფარულად ემსახურება მოსაუბრის ინტენციის განხორციელებას (Никитин 1997, გვ. 725).

ა. ვ. ბონდარენკოს თვალსაზრისით, ინტენციონალობა მოიცავს ორ ასპექტს:

- 1) მოცემული მნიშვნელობის აქტუალური კავშირის ასპექტი მოსაუბრის განზრახვასთან მეტყველების აქტში;

<sup>1</sup> ამის საფუძველზე, როგორც მითითებულია ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში, მეტყველების ლინგვისტიკა იყოფა ორ ურთიერთშემავსებ დარგად: სამეტყველო ქმედების თეორია და სამეტყველო აქტები, რომელიც აანალიზებს მეტყველების დინამიკას და ტექსტის ლინგვისტიკას, მიმართულს მეტყველების სტატიკურ ასპექტიან (ЛЭС, გვ. 415).

2) აზრობრივი ინფორმაციულობის ასპექტი.

მოსაუბრის განზრახვა საფუძველია მეტყველების პროცესში გამოთქმული შინაარსისა, რომელსაც აქვს საინფორმაციო მნიშვნელობა. მეორე მხრივ, მოცემული მნიშვნელობის აზრობრივი ინფორმაციულობა არის მეტყველებაში გამოყენების აუცილებელი პირობა მოსაუბრის განზრახვის რეალიზაციისთვის (Бондарко 1995, გვ. 69).

მოლაპარაკის ინტენცია არის მეტყველების პროცესის და იმ შინაარსის საფუძველი, რომელსაც აქვს ინფორმაციული მნიშვნელობა – კომუნიკაცია ვარაუდობს, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციის გადაცემასა და მის აღქმას. ნებისმიერი გამოთქმა შეიცავს ინფორმაციას და გამოხატავს მოლაპარაკის პოზიციას მის შინაარსთან დაკავშირებით, შესაბამისად, მეტყველების პროცესში ენა ახდენს ინფორმირების, მოდელურ-შეფასებითი ფუნქციის რეალიზებას, ასევე იმ ფუნქციებისა, რომლებიც გამოიყოფა იმის საფუძველზე, რომ კომუნიკაციის აქტში შესაძლებელია გადმოცემული იყოს თხოვნა, გაიცეს ბრძანება, იძლეოდეს რჩევა, ხდებოდეს ზეგავლენა და ა. შ. ეს იდეები არის იმ დებულებების განვითარება, რომლებიც ფორმულირებულია ჯ. ოსტინის სამეტყველო აქტების ფართოდ ცნობილ თეორიაში, რომელიც დაწვრილებით გაანალიზდება ნაშრომის შემდეგ პარაგრაფში. ენის ლოგიკური ანალიზის პრობლემებთან დაკავშირებით რიგ მკვლევართა ნაშრომებში წარმოდგენილია ქმედებების თანმიმდევრობითი კატეგორიზაცია, იმ მიზნით, რომ შემდგომში გამოყენებული იქნას ამ ქმედებათა მოდელები მენტალური აქტებისა და ადამიანის სამეტყველო ქმედების შესწავლისას (Действие: Логические и лингвистические модели. Тезисы докладов конференции. 1991; Логический анализ языка: Язык речевых действий. 1994).

თუმცა თვით სამეტყველო ქმედების კონცეფცია, გაგებული როგორც ადამიანური ქმედების ერთ-ერთი სახეობა, შემუშავებული იქნა ლ. ს. ვიგორსკის მიერ. იგი თვლიდა, რომ მეტყველების გაჩენის პროცესი არის მატერიალიზაცია და ობიექტივაცია აზრისა სიტყვაში (Выготский 2001, გვ. 1). თანამედროვე ფსიქოლოგიასა და ფსიქოლინგვისტიკაში სამეტყველო ქმედება განისაზღვრება როგორც ადამიანური მოდგაწეობის სპეციფიკური შესარქებულება-აზროვნული ქმედებებისა და ოპერაციების თანმიმდევრული ჯაჭვისგან, რომლებიც მიმართულია ზოგიერთი არასამეტყველო მიზნის

მისაღწევად (ლ.В. შერბა, А.А. Леонтьев, С.Д. Кацнельсон, Е.С. Кубрякова, А. Вежбицкая, А.Н. Леонтьев, В.А. Звегинцев და სხვ.).

მეცნიერთა უმეტესობა მეტყველებას იხილავს როგორც ადამიანური შემოქმედების სპეციფიკურ სახეს, რომელიც არ შეიძლება შეედაროს ქმედების სხვა სახეობას, მაგალითად, შრომას ან თამაშს. სამეტყველო ქმედება „ცალკეული სამეტყველო ქმედების ფორმით ემსახურება ქმედების ყველა სახეს და შედის შრომის, სათამაშო, შემეცნებითი ქმედების აქტების შემადგენლობაში. სამეტყველო ქმედებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მეტყველება თვითფასეულია, როცა მის საფუძველში ჩადებული გამომწვევი მოტივი შეუძლებელია დაკმაყოფილდეს სხვა ხერხებით, გარდა მეტყველებისა“ (Леонтьев 2003, გვ. 33). არსებითია, რომ „სამეტყველო ქმედება შესაძლებელია შედიოდეს სხვა, უფრო ფართო ქმედებაში. მაგალითად, საზოგადოებრივ-სამრეწველოში (შრომითში), შემეცნებითში. თუმცა ის შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ქმედებაც; ...სამეტყველო ქმედების ყველა სახეს აქვს თავისი „პროფესიონალური გარდასახვა“, მაგალითად, ლაპარაკი როგორც სამეტყველო ქმედება განსაზღვრავს ლექტორის პროფესიულ ქმედებას, წერა – მწერლისას...“ (Зимняя 1984, გვ. 28–29). მოცემული დახასიათება პრინციპულად მნიშვნელოვანია ამ კვლევისთვის, რომელიც მიძღვნილია პოლიტიკური დისკურსის რიგი ასპექტის ანალიზისადმი, ანუ კვლევა ეძღვნება პოლიტიკოსების პროფესიული სამეტყველო ქმედების გარდასახვის სპეციფიკის ანალიზს.

უახლეს ლინგვისტიკაში ენა და მეტყველება განიხილება, როგორც ადამიანური ენის ერთიანი ფენომენი: „ენა მხოლოდ მაშინ არის ენა, როდესაც მას შეუძლია გამოვიდეს მეტყველებაში, რომელიც ითხოვს აზრის აუცილებელ მონაწილეობას“ (Звегинцев 1996, გვ. 64). ენა მხოლოდ მეტყველებით ახდენს თავისი კომუნიკაციური დანიშნულების რეალიზაციას. სწორედ ენა აძლევს ადამიანს საშუალებას დაამყაროს კონტაქტი სხვა ადამიანთან, იმოქმედოს მასზე, გადასცეს ემოციები, აღწეროს და შეასრულოს სხვა ურთულები ფუნქციები. იმისათვის, რომ სამეტყველო მოვლენა შედგეს, სუბიექტისთვის აუცილებელია სხვისი/სხვების პირდაპირ თუ ირიბად ყოფნა, რაც გამოდის მტკიცებულებიდან: „მეტყველება დიალოგურია სუბიექტის მიერ სხვის მოხმობის თვალსაზრისით“ (Старовийтенко 2001, გვ. 447).

ენა, კომუნიკაციური ფუნქციონალიზმის თეორიის თვალსაზრისით, შესწავლილი უნდა იქნას ადამიანურ კომუნიკაციაში თავისი როლის კუთხიდან

და განიხილებოდეს ოოგორც კომუნიკაციის სისტემა, იმიტომ, რომ „...ენა არის ადამიანებს შორის სამეტყველო ურთიერთქმედების, მათი ფუნქციის შესრულების ინსტრუმენტი“ (Демьянков 1995, გვ. 272). ენობრივი სისტემის ერთეულების მიმართ ფუნქციონალურ-კოგნიტიური მიდგომა იძლევა საშუალებას ჩავრთოთ ისინი სამეტყველო კომუნიკაციაში და დავაკავშიროთ საგნობრივ სამყაროსა და ადამიანის კოგნიტიურ მოღვაწეობასთან, ასევე სამეტყველო ურთიერთობის პირობებთან კონკრეტულ ენობრივ გარემოში. თანამედროვე ლინგვისტები ენას განიხილავენ ოოგორც სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს გამონათქვამების გაჩენასა და მათ გაგებას.

თანამედროვე პრაგმატიკაში<sup>2</sup> კვლევები მიმდინარეობს კატეგორია „სუბიექტის“ გამოყენებით, რომელიც ასე განიმარტება: 1) „შემმეცნებელი და მოქმედი ადამიანი გარე სამყაროს როგორც შეცნობისა და გარდასახვის ობიექტის საპირისპიროდ მდგარი; 2) ქვემდებარე – წინადადების სუბიექტი“. ფართო გაგებით, ლინგვისტური ანალიზი არის გამონათქვამის აგების სუბიექტურ-პრედიკატული ანალიზი. მაგრამ გამოთქმის, ნებისმიერი დისკურსის ავტორი თვითონ არის შემოქმედების სუბიექტი. ეს უკანასკნელი არის უმეტესად ლიტერატურის სემიოტიკის კვლევის ობიექტი; ენის სემიოტიკაში გამოიკვლევა გამოთქმის ბუნების ხასიათი: „თანამედროვე ლინგვისტები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ გამონათქვამის პრაგმატული ინტერპრეტაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ფენებად დაყოფა „მე“ მოლაპარაკედ: „მე“ წინადადების ქვემდებარედ, „მე“ როგორც მეტყველების სუბიექტად, ბოლოს „მე“ როგორც შინაგანი „ეგო“, რომელიც აკონტროლებს თვით სუბიექტს, იცის მოლაპარაკის მიზნები და მისი განზრახვა, მოიტყუოს თუ ილაპარაკოს სიმართლე და ა. შ.“ (Степанов 2001, გვ. 29-30). ამიტომ, როგორც წარმოგვიდგენია, ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემის ერთ-ერთი აქცენტის სახით შეიძლება გავაანალიზოთ კონკრეტულ ენობრივ ნიშანსა და მოლაპარაკეს შორის პრაგმატული კავშირის სპეციფიკაც.

მეტყველება გასაგები უნდა იყოს ადრესატისათვის, ამასთან მეტყველების აღქმის გასაღები არის მოსაუბრეთათვის საერთო „ზეინდივიდუალური“ ენა. ასევე ცოდნის საერთო ფონი და ირიბი აზრების

<sup>2</sup> (от греч. „род. падеж - дело, действие), раздел семиотики, посвящённый изучению отношения интерпретатора-пользователя к -л. знаковой системы (т. е. субъектов, воспринимающих и использующих её) к самой знаковой системе. Осн. идеи П. восходят к Ч. Пирсу и Ч. Моррису (который ввёл самый термин «П.»). (nob.: Философский энциклопедический словарь 1983).

გაგების წესების ფლობა. გარკვეულ წილად, „გაგებისა და ლაპარაკის ინტერესები საპირისპიროა“ (Л. В. Щерба). ამიტომ სამეტყველო კომუნიკაციისას „ენა გამოდის ორგორც თავისუფლების აუცილებელი ზღვარი“ (E. Coseriu, 1952).

სამეტყველო ქმედება ახდენს გარკვეული ფუნქციების რეალიზებას, რომლებიც ენის ფუნქციებით არის ნაკარნახევი. ენის ფუნქციას წარმოადგენს მისი არსის, დანიშნულების და საზოგადოებაში ქმედების, მისი ბუნების გამოვლენა. ამრიგად, ენის ფუნქციაზე საუბრისას ჩვენ მის მახასიათებლებზე ვლაპარაკობთ. მკვლევარები გამოყოფენ ენის კომუნიკაციურ, კოგნიტიურ, კრეატიულ, ინფორმაციულ, ნომინაციურ, მმართველობით, ექსპრესიულ, ესთეტიკურ, აკუმულაციურ, ინტერპრეტაციულ ფუნქციებს (Аврорин 1975; Арутюнова 1973; Солко 2002 და სხვ.).

სამეტყველო ქმედების სფეროში წამყვანი ადგილი უკავია ენის კომუნიკაციურ ფუნქციას (ენა არის ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის საშუალება), რომელიც თავის მხრივ მჭიდროდ უკავშირდება მის კოგნიტიურ ფუნქციას (ენა შემეცნების საშუალებაა), რომელიც ასახავს ენის ურთიერთქმედების, აზროვნებისა და ობიექტური სინამდვილის პროცესებს იმდენად, რამდენადაც კომუნიკაცია, უპირველეს ყოვლისა, არის აზრობრივი შინაარსის გადაცემა და აღქმა.

სამეტყველო ქმედება არის საზოგადოებრივი პროცესი: მას ადგილი აქვს საზოგადოებაში და ახდენს სოციალურად მნიშვნელოვანი მიზნის რეალიზებას, ხალხთა სოციალური ურთიერთქმედების ორგანიზებას. ამიტომ კომუნიკაციურ ფუნქციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის სოციალურ-რეგულაციური და მმართველობითი ფუნქცია. კომუნიკაციის პირობებში ერთი პარტნიორი შეტყობინებას გადასცემს მეორეს, ამასთან შეტყობინების მიზანი ან იმპლიციტურია, ან ექსპლიციტური – ეს არის გავლენის მოხდენა მეტყველების პარტნიორზე. ა. ა. ლეონტიევი სამეტყველო ქმედებაში გამოყოფს ორგორც კოლექტიურ-რეგულირებად, ასევე თვითრეგულირებად ფუნქციას (Леонтьев 1975). შესაბამისად, ეს პროცესი ურთიერთშექცევადია.

მეტყველების გაჩენის თეორიის თვალსაზრისით, ძირითად ფუნქციებთან ერთად განიხილება ინფორმაციის გადაცემის ფუნქციაც. გონიერივი თეზაურუსის ინფორმაციული მეხსიერების ამოქმედება არის ინფორმაციის ვერბალიზაციის პროცესი, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალურ მეხსიერებაში; ის არის ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის და მთელი სხვა

დისციპლინების შესწავლის საგანი. მაგრამ, რადგანაც ენა არის კოგნიტიური სტრუქტურების ანარეკლი, სწორედ სამეტყველო კომუნიკაციის აქტებში მატერიალიზდება მენტალური სივრციდან გამოწვეული ადამიანური ცოდნა სამყაროს შესახებ. „...მეხსიერებიდან კლავწარმოება, სისწრაფე, სიზუსტე, რაოდენობა დამოკიდებულია ვერბალურ უნარებზე, და ინდივიდის ცოდნის მარაგი გავლენას ახდენს კლავწარმოებების რაოდენობასა და სიზუსტეზე, ასევე მისი მეტამეხსიერების სიზუსტეზე, რომელითაც მეტაუნას ოპერირებს. (Выготский 2001, გვ. 453). მაშასადამე, ენა ასრულებს ინდივიდის სემანტიკურ მეხსიერებაში რეპრეზნტატორის ფუნქციას (Цуккиридзе 2005, АКД).

სემანტიკური მეხსიერება არის მეხსიერება სიტყვების, ენობრივი კოდების, ცნებების, წესებისა და აბსტრაქტული იდეების; ის აუცილებელია, რათა ენა ვიხმაროთ. „ეს არის გონებრივი თეზაურუსი, რომელიც ორგანიზებას უწევს ადამიანის ცოდნას სიტყვებისა და სხვა ვერბალური სიმბოლოების, მათ მნიშვნელობისა და რეფერენციების შესახებ; მათ შორის კავშირისა და წესების ფორმულების შესახებ; ამ სიტყვებით მანიპულირების ალგორითმების, ურთიერთობის ცნებების შესახებ. სემანტიკური მეხსიერება არეგისტრირებს შემავალი სიგნალების არა აღქმად თვისებებს, არამედ მათ კოგნიტიურ რეფერენტებს“ (Тульвинг 1972, გვ. 155).

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ რეალიზაციის პროცესში ენის ფუნქციები მიისწრაფის დიფუზურობისკენ, ანუ ფუნქციების შეთავსებისკენ (მაგალითად, კომუნიკაციურის და კოგნიტიურის). კონკრეტულ სამეტყველო აქტში აღნიშნულთან ერთად შეიძლება აქტუალური გახდეს სხვა ფუნქციებიც. ასე მაგალითად, ლექსიკური ერთეულის „გაანალიზება“ თავის თავში შეიძლება გააერთიანოს შემდეგი ფუნქციები: а) კომუნიკაციური – ლაპარაკის აქტისას განსჯის საგნად აირჩეს ობიექტი, რომელიც იყო (იქნება) დაქვემდებარებული ანალიზს; ბ) კოგნიტიური – რადაცის ცალკეული თვისებებისა და მხარეების განხილვის შედეგად მისვლა რადაც შედეგამდე (შემუცნების აქტი, კოგნიცია); გ) ინფორმაციული – ინფორმაციის გადაცემა ანალიზის შედეგების შესახებ; დ) ინტერპრეტირებადი – სამეტყველო აქტში დაექვემდებაროს ანალიზს, მოხდეს ინტერპრეტირება; ე) მემორიალური – მონაცემთა საფუძველზე მეხსიერებიდან ამოტივიზებული, მოხდეს ენის აქ წარმოდგენილი ნებისმიერი ფუნქციის რეალიზება; ვ) რეგულაციური – მიღებული ანალიზის საფუძველზე ურთიერთობის დარეგულირება ვინმესთან ან რამესთან, ვინმეს ან რაიმეს

მიმართ. თეორიულად შესაძლებელია ავაგოთ სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციის მოდელი, როდესაც ერთეული „გაანალიზება“ ატარებს თავის თავში ემიტიურ ფუნქციასაც: „სისულელის წამოროშვა“ . რაღაცა გაანალიზდა და ადრესატს ეჩვენება სისულელედ, ამიტომ ადრესატს ნათქვამი „სისულელის წამოროშვად“ მიაჩნია (Цუკირიძე 2005, АКД).

ენის ფუნქცია, როგორც სამეცნიერო ცნება არის ენის არსის პრაქტიკული გამოვლენა, მისი დანიშნულების რეალიზაცია საზოგადოებრივ მოვლენათა სისტემაში. სამეტყველო ქმედების დინამიკაში ენის ფუნქციის შესწავლა ენის არსის შეცნობის შესაძლებლობას აფართოებს. ენის მატარებელი კი ადამიანია, რომელიც ანტიკური დროიდან მოყოლებული ადიარებულია „ყველა ნივთის საზომად“.

ვაჯამებთ რა ზემოხსენებულს, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ლინგვისტიკა შეისწავლის ორ სხვადასხვა მოვლენას – ენასა და მეტყველებას, მაგრამ ეს მოვლენები ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთდამოკიდებულია. ენისა და მეტყველების ერთობაში რეალიზდება ენის, როგორც ადამიანური ფენომენის ორმაგი ბუნება, რომელიც ადამიანურ საზოგადოებაში განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებს და ამისთვის ფლობს შესაბამის საშუალებებს. თანამედროვე ლინგვისტიკას, დიქოტომიაში „ენა-მეტყველება“ შეაქვს მესამე ელემენტი – აზრი, რის მონაწილეობის გარეშეც შეუძლებელია მეტყველება, როგორც ენის მატერიალიზება. ანთროპოლოგიური მიდგომით, რომელიც თანამედროვე ლინგვისტური კვლევებისთვისაა დამახასიათებელი, ენა და მეტყველება გაგებულია როგორც ერთიანი ადამიანური ფენომენი, რეალური ნიშნობრივი სისტემა სტრუქტურის სახით, რომელიც არსებობს „სოციუმის კოლექტიურ ცნობიერებაში, საზოგადოების ყოველი წევრის ენობრივ კომპეტენციაში“ (Золотова, Онищенко, Сидорова 1998, გვ. 8).

## I. 2. სამეტყველო აქტების თეორია თანამედროვე ლინგვისტიკის კონტექსტში

სიტყვათშეთანხმება „სამეტყველო აქტების თეორია” არის თანამედროვე ლინგვისტიკის ტერმინი, რომელიც, როგორც სამეცნიერო პუბლიკაციები მოწმობს, შესაძლებელია ორი მნიშვნელობით იხმარებოდეს. პირველი, ფართო გაგებით, იგი არის სამეცნიერო იდეების კომპლექსი, რომელიც სამეტყველო ქმედების ასახსნელად არის მიმართული. ამ რაგურსით „სამეტყველო აქტების თეორია” სინონიმურია ტერმინისა „სამეტყველო ქმედების თეორია”. თავის მხრივ, სამეტყველო ქმედების თეორია განზოგადებულად შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც ცოდნის სისტემა მეტყველების გაჩენისა და აღქმის მექანიზმების, ადამიანის სამეტყველო ქმედების განსხვავებული ასპექტების შესახებ, ენის გამოყენების სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტების ჩათვლით, სამეტყველო კომუნიკაციის პროცესებსა და ინდივიდუალურ მეტყველება-აზროვნებით ქმედებაში.

მოცემული თეორიის ძირითად პოსტულატებს მივყავართ იქმითკენ, რომ, ისევე, როგორც ქმედების ნებისმიერი სახე, სამეტყველო ქმედებაც მოიცავს:

- მოთხოვნილებას, მოტივს, მიზანს, ჩანაფიქრს, მიზანდასახულობას, ცოდნას, განწყობას (კულტუროლოგიურს, საკუთრივ ენობრივს, მათთან აპელაციას);
- სიტუაციის მრავალმხრივ ანალიზს, რა დროსაც ხდება, ან უნდა მოხდეს ქმედება;
- გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, განხორციელდეს თუ არა ქმედება; მოცემული სიტუაციისათვის ქმედების განხორციელების ოპტიმალური ხერხის შერჩევა (მეტყველების ფორმები, მათი ვარიანტები და საკუთრივ ენობრივი ხერხები: ფონეტიკური, სინტაქსური, ლექსიკური და სხვა).
- ქმედების დაგეგმვა (სხვადასხვა დონეზე დაგეგმვის შედეგების გაცნობიერება) და მისი შესაძლო შედეგის წინასწარმეტყველება (ან განჭვრება);
- გარკვეული ქმედებისა და ოპერაციების წარმოება (შესრულება);
- შესასრულებულ ქმედებაზე მიმდინარე კონტროლი და მისი კორექცია (თუ ეს აუცილებელია);

- ქმედების შედეგის საბოლოო შერწყმა და შედარება მიზანთან (ჩანაფიქრთან) (A. A. ლეონტევ, 1997, 2003 და სხვ.).

სამეტყველო ქმედების თეორიაში ანალიზის ერთულებია ელემენტარული სამეტყველო ქმედება და სამეტყველო ოპერაცია (სამეტყველო ქმედების მთლიანი აქტი). ეს ერთულები თავის თავში მოიცავს სამეტყველო ქმედების ძირითად ნიშნებს, რომლებსაც მიეკუთვნება:

- 1) ქმედების საგნობრიობა (მიმართულება ამა თუ იმ საგანზე);
- 2) მიზანმიმართულობა (მიზნის პროგნოზირება ხდება სუბიექტის მიერ);
- 3) მოტივირებულობა (როგორც ა. ა. ლეონტიევი თვლის, ადამიანის ქმედების აქტი, როგორც წესი, იწყება ერთ მთლიანობაში შერწყმული რამდენიმე მოტივით);
- 4) ქმედების იერარქიული ორგანიზება;
- 5) ქმედების ფაზური ორგანიზება.

სამეტყველო ქმედება რეალიზდება ისეთ სახეობებში, როგორიცაა ლაპარაკი, მოსმენა, წერა და კითხვა (ი. ა. ზიმნიაია). სამეტყველო ქმედების ეს სახეობები ადამიანთა ურთიერთქმედების ვერბალური ურთიერთობის პროცესის ძირითადი სახეებია. სამეტყველო ქმედების ყველა ამ სახეს აქვს ბევრი საერთო და ამავე დროს რიგი პარამეტრების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, ადამიანის მიერ განხორციელებული სამეტყველო ქმედება მიმართულების მიხედვით შეტყობინების მიღებაზე ან გაცემაზე, სამეტყველო ქმედების სახეები განისაზღვრება როგორც რეცეფციული (ანუ, დამყარებული აღქმის პროცესებზე, „რეცეფციაზე“) და პროდუქტიული.

სამეტყველო ქმედების პროდუქტიული სახეების საშუალებით (ლაპარაკი, წერა) ადამიანი ახორციელებს სამეტყველო შეტყობინების შექმნასა და გადაცემას, ხოლო სამეტყველო ქმედების რეცეფციული სახეების მიხედვით (მოსმენა, კითხვა) ხორციელდება სამეტყველო შეტყობინების მიღება და შემდგომი გადამუშავება. სამეტყველო ქმედების ეს ორი წყვილი განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი ფსიქოფიზიკური ორგანიზების ხერხების მიხედვით.

ამასთან მთლიანად სამეტყველო ქმედებას აქვს მთელი რიგი საერთო მახასიათებლები. ი. ა. ზიმნიაიას კონცეფციის თანახმად ესენია: სტრუქტურული ორგანიზება, რომელიც მოიცავს ფაზობრივ ან დონეებრივ წყობას და ოპერაციულ სტრუქტურას; საგნობრივი (ფსიქოლოგიური) შინაარსი; შინაგანი და გარეგანი მხარის ერთიანობა; შინაარსისა და მისი რეალიზაციის ფორმის

ერთიანობა; ადამიანის სამეტყველო ქმედების განპირობებულობა აღქმის, ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, წარმოსახვის ფსიქიკური პროცესების ფუნქციონირებით, რომლებიც სამეტყველო ქმედების პირველადი ფსიქოლოგიური მექანიზმების სახით წარმოგვიდგება.

სამეტყველო ქმედების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მისი შინაგანი და გარეგანი შინაარსის ერთიანობა – გარეგანი შესრულება, რომელიც ახდენს შინაგანის, გარედან შეუმჩნევლის რეალიზებას.


სამეტყველო ქმედების შინაგანი მხარე, რომელიც ახორციელებს ქმედების ორგანიზებას, დაგეგმარებას, პროგრამირებას, არის ის ფსიქიკური ფუნქციები, რომლითაც იგი რეალიზდება. ჩამოვთვალოთ: მოთხოვნილება და ემოციები, აზროვნება და მეხსიერება, აღქმა და ყურადღება. მათი რთული ერთობა განიხილება იმ რთული ფსიქოლოგიური მექანიზმის სახით, რომლის საშუალებითაც რეალიზდება საერთოდ ქმედება და კერძოდ სამეტყველო ქმედებაც (A.A. Леонтьев, 1974; И.А. Зимняя, 1978 და სხვ). სამეტყველო ქმედების შინაგანი მხარეა „აზრობრივი გადაწყვეტილება”; სამეტყველო ქმედების პროდუქტიული სახის შინაგანი მხარეა აზრის გამოხატვის, ფორმირებისა და ფორმულირების პროცესი.

მეტყველების როგორც ქმედების სპეციფიკა მდგომარეობს შემდეგში: ეს ქმედების ის სახეობაა, რომელსაც ყოველთვის ჰყავს ორი სუბიექტი (მისი განმახორციელებელი ორი პირი). მათგან პირველია მოლაპარაკე ან დამწერი, ხოლო მეორე - მსმენელი ან მკითხველი. მეტყველება ადრესატის გარეშე არ არსებობს, ხოლო სამეტყველო ქმედების ვარიანტი-ლაპარაკი სხვა ადამიანის არარსებობის შემთხვევაში განისაზღვრება როგორც საკუთარ თავთან ურთიერთობა. ამ შემთხვევაში ადამიანი გაიაზრება როგორც სამეტყველო ქმედების ორივე სუბიექტი (მოლაპარაკე და მსმენელი ან დამწერი და მკითხველი).

სამეტყველო ქმედების თავისებურება, რომელიც მას გამოარჩევს ადამიანის ქმედების სხვა სახეებისაგან, არის ის, რომ მას აქვს არა ერთი, არამედ რეალიზაციის ორი ძირითადი გარიანტი. მათ შორის პირველი და ძირითადი არის სამეტყველო ქმედების განხორციელება სამეტყველო კომუნიკაციის, სამეტყველო ურთიერთობის სახით; მეორე – ინდივიდუალური „შინაგანი” სამეტყველო ქმედება, რომლის რეალიზაციის ფორმაც არის შინაგანი მეტყველება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარიანტები განისაზღვრება

როგორც „პირველი” და „მეორე”, მაგრამ გავრცელებულობის და არა მნიშვნელობის მიხედვით. შინაგანი მეტყველების პროცესი მჭიდროდ უკავშირდება აზროვნების ფსიქიკურ პროცესებს და ზოგადად, მთელ ინტელექტუალურ ქმედებას (Глухов, Ковшиков 2007).

სამეტყველო ქმედების თეორიაში ენა მიჩნეულია სამეტყველო ქმედების განსახურულების ძირითად საშუალებად. სქემატურად ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:



ენობრივი უნარი განისაზღვრება როგორც ენის საშუალებათა ადეკვატური გამოყენების უნარი სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად, მისი ყველა სახეობის და რეალიზაციის ფორმების გამოყენებით. ენობრივი უნარის აუცილებელი კომპონენტია ენის ერთეულებისა და ელემენტების და მათი ფუნქციონირების ცოდნა (ქმედება ენის ნიშანებთან ერთად). ენობრივი პროცესი – ეს არის ენობრივი უნარის რეალიზაცია, რომელიც გამოიხატება ურთიერთმოქმედი ენობრივი ოპერაციების (სემანტიკურის, სინტაქსურის, ლექსიკურის, მორფოლოგიურის და სხვ.) კომპლექსის განსახორციელებაში. ენობრივი ნაწარმოები წარმოადგენს ენობრივი პროცესის შედეგს, რომელიც მიღებულია განისაზღვროს ტერმინებით: „ტექსტი”, „სამეტყველო მასალა”, „დისკურსი”.

ამრიგად, სამეტყველო ქმედების თეორიაში ენა და მეტყველება იკვლევა როგორც რთული დიალექტიკური ერთიანობა. ენა ხდება ურთიერთობის საშუალება, სამეტყველო კომუნიკაციის საშუალება და ამავდროულად არის აზროვნების ინსტრუმენტი მხოლოდ სამეტყველო ქმედების განხორციელების პროცესში; „ენა იქმნება მეტყველებაში და მუდმივად მასში კვლავიწარმოება“ (Жинкин 1982, გვ. 32).

ყოველივე ზემოაღნიშნული, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამეტყველო ქმედების თეორია მიისწრაფის ენისა და მეტყველების გამოკვლევისაკენ ენისა და მეტყველების ფსიქოლოგიის პრიზმიდან. ინტერესის საგანს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, მეტყველების ადგილი ადამიანის უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების სისტემაში (აზროვნებასთან, ცნობიერებასთან, მეხსიერებასთან, ემოციებთან და ა. შ. ურთიერთკავშირში). განსაკუთრებით მნიშვნელოვნად აღიარებულია მეტყველების ის თავისებურებანი, რომლებიც ასახავს პიროვნების სტრუქტურას და მის სამეტყველო ქმედებას, მაგალითად, ინდივიდის მიერ გამოყენებულ ენობრივ საშუალებებს მიზნის მისაღწევად.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ტერმინს „სამეტყველო აქტების თეორია“ აქვს მეორე მნიშვნელობა. მეორე მნიშვნელობაში იგულისხმევა კონკრეტული თეორიის დასახელება (ინგ. ტერმინი Speech Act Theory, Theory of Speech Acts), რომელიც, როგორც პუბლიკაციები მოწმობს, ფართოდ გავრცელდა არა მარტო თეორიულ, არამედ გამოყენებით ასპექტში. ამ თეორიის ბირთვს წარმოადგენს იდეები, რომლებიც გადმოსცა ინგლისელმა ლოგიკოსმა ჯ. ოსტინმა ლექციების კურსში, რომელიც წაიკითხა მან ჰარვარდის უნივერსიტეტში 1955 წელს და გამოაქვეყნა 1962 წელს სათაურით “How to do things with words” (1962), რომლის სიტყვასიტყვითი თარგმანია – რანაირად უნდა ვიმოქმედოთ სიტყვების მეშვეობით<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ ქმედებაში ოსტინი მანიპულირებას გულისხმობს.

მეცნიერმა შეამჩნია, რომ ენაში ისეთი ზმნები არსებობს, რომელიც გარკვეულ პოზიციაში (1 პირი, მხოლობითი რიცხვი) მთლიანი წინადადების ჭეშმარიტებას ანულირებს. ანუ: წინადადება ხდება არც ჭეშმარიტი და არც არაჭეშმარიტი. ამ პოზიციაში ასეთი ზმნა თვითონ აწარმოებს ქმედებას. ილუსტრირებისთვის მოყვანილია წინადადებები: „მოგესალმებით, ბატონო

<sup>3</sup> პირველ რუსულ თარგმანში წიგნის სათაურია «Слово как действие» // Новое в зарубежной лингвистике. Вып. 17. Теория речевых актов. М., 1986.

პროფესორი” (თუ შემხვდა ქუჩაში ხანდაზმული პროფესორი); „სიტყვას გაძლიერ, რომ ეს აღარ განმეორდება” (დამნაშავე მოსწავლე ეუბნება მასწავლებელს) და ა.შ. ამ წინადადებებში არ არის რეალობის აღწერა, მაგრამ არის თვით რეალობა, რადგან, როგორც ოსტინი აღნიშნავს, მისალმების სიტყვების წარმოთქმის ფაქტით უკვე ვესალმები პროფესორს.

ოსტინის თეორიაში ასეთი ტიპის ზმნებს მიეცა სახელწოდება „პერფორმატივები“ (ინგლ. *Performance* – ქმედება, საქციული, შესრულება). აღმოჩნდა, რომ ბუნებრივ ენაში საკმაოდ ბევრი პერფორმატივია: მწამს, გევედრები, ვგულისხმობ, ვაპირებ, მჯერა, ვგარაუდობ, უარვყოფ, ვაფასებ და ა.შ. (Austin 1956).

იმისათვის, რომ ის წინადადებები, სადაც რეალობა აღიწერება (ბიჭი სკოლაში წავიდა) გაემიჯნა წინადადებისგან, სადაც პერფორმატივი თვითონ ქმნის რეალობას, ოსტინმა შემოიღო ტერმინი „სამეტყველო აქტი“. სამეტყველო აქტში იგულისხმება წინადადება (გამონათქვამი), რომელშიც არის ზმნა-პერფორმატივი. აღსანიშნავია, რომ XX ს. 60-ან წ.წ. გამოითქვა აზრი, რომ თითქმის ყველა ზმნა პოტენციურად პერფორმატიულია, რადგან ნებისმიერ წინადადებას აქვს ე.წ. პრესუპოზიცია (ის, რასაც ვგულისხმობთ, მაგრამ არ ვამბობთ). და თუ ეს ასეა, მაშინ ყველა წინადადება – პოტენციური სამეტყველო აქტია.

სამეტყველო აქტების თეორიაში ცნებები „ჭეშმარიტი–არაჭეშმარიტი“ იცვლება ცნებებით „წარმატებული–წარუმატებული“. დაგუბრუნდეთ ოსტინის მაგალითს: „თუ პროფესორმა მიპასუხა, როდესაც მას მივესალმე“, – წერს ოსტინი, – „და მოსწავლემ დროებით მაინც შეწყვიტა ცელქობა, მაშასადამე, სამეტყველო აქტი წარმატებულია. თუ კი პროფესორი არ მესალმება, გამირბის, მოსწავლე კი აგრძელებს თავისას, სამეტყველო აქტი წარუმატებულია“ (Austin 1956).

შემდგომ ეს იდეები განავითარა ამერიკელმა ლოგიკოსმა ჯ. სერლმა მონოგრაფიაში „სამეტყველო აქტები“ (“Speech acts: an essay in the philosophy of language”) და რიგ სტატიებში. ოსტინის იდეების განხილვაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ცნობილმა ინგლისელმა ლოგიკოსმა პ. ფ. სტროსონმაც. სამეტყველო აქტის წარმატების წინაპირობა წინადადების (გამონათქვამების) მოდუსი, მისი პერფორმატიული ნაწილია (Brekke 1972, p. 128). სამეტყველო აქტების

თეორიის ერთ-ერთი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანთა კომუნიკაციის მინიმალური ერთეული არა წინადადება ან გამოთქმაა, არამედ „გარკვეული ტიპის აქტების განხორციელება: კითხვა, კონსტატაცია, ბრძანება, განმარტება, პატიება, მილოცვა და ა.შ.“ (Серль 1986).

მიჩნეულია, რომ სამეტყველო აქტი შეიძლება იყოს წინადადებაზე/გამოთქმაზე მსხვილი, ან პირიქით. მაგრამ, როგორც მკვლევარებს მიაჩნიათ, შეუძლებელია საუბარი წინადადების შინაარსზე, თუ არ განისაზღვრა სამეტყველო აქტის მიზანი (Демьянков 1986). ის არავერბალურსა და ვერბალურს აერთიანებს, და ამ საფუძველზე ვ. ა. ზვეგინცევი თვლის, რომ სამეტყველო აქტი ტექსტსა და ქავეტექსტს განსაზღვრავს (Звегинцев 1976, გვ. 298). ხოლო მისი ძირითადი ამოცანა ადრესატის აზრებზე ზეგავლენაა და ამავდროულად რამოდენიმე სუბიექტის გონივრული და შეგნებული ურთიერთქმედებაა (Dijk 1981, p. 298).

სამეტყველო აქტის თეორია ანალიზის სხვადასხვა დონეს გამოყოფს. სამეტყველო აქტი შეიძლება განიხილოს როგორც „რადაცაზე ლაპარაკის“ აქტი. ამ შემთხვევაში განსახილველი სამეტყველო აქტი იკვლევა როგორც „ლოკურიული აქტი“ (ლათინური სიტყვიდან locution-ლაპარაკი).

ლოკურიული აქტი, თავის მხრივ, წარმოადგენს რთულ სტრუქტურას, რადგან თავისთავში მოიცავს:

- ბგერების წარმოთქმას (ფონაციის აქტი);
- ამა თუ იმ ობიექტების აღნიშვნას სიტყვების დახმარებით
- (რეფერენციის აქტი);
- სიტყვების გამოყენებას;
- ამ სიტყვების გრამატიკის წესებით დაკავშირებას;
- ამ ობიექტებზე ამა თუ იმ თვისებებისა და დამოკიდებულებების

მიწერას (პრედიკაციის აქტი).

სამეტყველო აქტების თეორია დიდი ხნის განმავლობაში იყო კონცენტრირებული სამეტყველო აქტის ზუსტად ლოკურიული ასპექტის შესწავლაზე. სამეცნიერო შემცნების განვითარებამ და კვლევის ლოგიკამ მოითხოვა ობიექტში ახალი რაცურსის გამოყოფა: ლაპარაკის მეშვეობით ადამიანი აღწევს გარკვეულ შედეგებს, მის გარემომცველ სინამდვილეში ამა თუ იმ ცვლილებების მოხდენით. მაგრამ საუბრის ადრესატმა, რომელიც მოსაუბრეს

ლოგიკით უნდა დაეთანხმოს, სინამდვილეში შეიძლება არ/ვერ მიიღოს ლოკუციაში გაქდერებული იდეა. ამიტომ სამეტყველო აქტის თეორიაში შემოვიდა ახალი კატეგორია – „პერლოკუციური აქტი“ (პერლოკუციური ეფექტი), სამეტყველო აქტი განხილული მისი რეალური შედეგების ასპექტში.

შემდგომში სამეტყველო აქტების თეორიაში შემოდის კატეგორია „ილოკუციური აქტი“. ლოკუციური აქტისგან იგი განსხვავდება ინტენციონალური ნიშნით<sup>4</sup>, ანუ შექრული, განსაზღრული მიზნით, განზრახვით. ხოლო პერლოკუციურ აქტს იგი წინ აღუდგება კონვენციალობის ნიშნით, ანუ, გარკვეული წესების არსებობით, რომლებთანაც შესაბამისობაში მოქმედება ავტომატურად უზრუნველყოფს მოსაუბრეს მოცემულ ილოკუციურ აქტის წარმატებულად განხორციელებაში.

მიჩნეულია, რომ არსებობს, ე.წ., „პერფორმაციული გამონათქამები“ (“Performative Utterances”), რომელთა ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს ილოკუციური ზმნა. ილოკუციური ზმნა სტრუქტურირებს სალაპარაკო ზმნების ქვეალასს. ილოკუციური ზმნის ლექსიკურ-სემანტიკურ ველში მნიშვნელობის ისეთი კომპონენტებია წარმოდგენილი, რომელიც ამავდროულად საუბრის მიზანზე მიმანიშნებლად მსახურობს.

პრინციპულად მნიშნელოვანია, რომ ილოკუციური ზმნის არსებობა არ წარმოადგენს საკმარის პირობას წინადადების პერფორმატიურობისთვის. ამისათვის აუცილებელია აგრეთვე, რომ ილოკუციური ზმნა იყოს გამოყენებული არა ზოგიერთი სიტუაციის აღწერისათვის, არამედ იმისთვის, რომ გააშუქოს, თუ რომელ სამეტყველო აქტს ახორციელებს მოსაუბრე ამ წინადადების გამოყენებით.

ამგვარად, ილოკუციური აქტის ძირითად ნიშნად ითვლება მისი ინტენცია. ამასთანავე, მხედველობაში მიიღება არა ყველანაირი მიზანი, რომლის მისადწევადაც ჩვენ ვასრულებთ სამეტყველო აქტს, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ჩვენი ჩანაფიქრის შესაბამისად უნდა იქნეს გამოცნობილი ადრესატის მიერ. ხოლო ასეთი გამოცნობისათვის გახსნილი მიზანი იწოდება ილოკუციურად.

ილოკუციური აქტების ყველაზე ცნობილი უნივერსალური კლასიფიკაცია შემუშავებულია ამერიკელი ფილოსოფოსის ჯ. სერლის მიერ (Серль 1986). ამ

<sup>4</sup> ინტენცია – intention (ლათინური; სწრაფვა, მიზანი, მიმართულება).

კლასიფიკაციის ბაზას წარმოადგენს ნიშნების ჯგუფი, რომლებსაც თვით ავტორი უწოდებს „ილოკუციურ აქტებს შორის განსხვავების მიმართულებებს“. სერლის კლასიფიკაციის მირითადი კრიტერიუმი ილოკუციური და პროპოზიციური შინაარსის განსხვავებაა. სერლის თანახმად, სამეტყველო აქტები არ არსებობს დამოუკიდებლად: ცნობიერებასთან კავშირის მეშვეობით სამეტყველო აქტს შეუძლია სამყაროში არსებული რეალიების რეპრეზენტაცია. სერლს შემოაქვს ცნება „ინტენციონალურობა“, ანუ საგნებზე (რეალიებზე) მიმართული გონება. როგორც ვ. ზ. დემიანკოვი აღნიშნავს, სამეტყველო აქტების თეორიის განვითარებამ მიაღწია ისეთ საფეხურს, როდესაც მისი ეგიდით შეიძლება გამოიყოს ორი დამოუკიდებელი დისციპლინა:

- 1) საკუთრივ სამეტყველო აქტების თეორია – სამეტყველო აქტების ანალიზი და კლასიფიკაცია სამეტყველო ხერხების დამოუკიდებლად;
- 2) სამეტყველო აქტების ანალიზი, ანუ, მეტყველების ლინგვისტური ანალიზი – სამეტყველო აქტებისა და მეტყველების ერთეულთა კავშირების დადგენა (Демьянков 1986, გვ. 224-225).

სამეტყველო თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური დებულება, რომელიც ლინგვისტური პრაგმატიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, არის იმის აღიარება, რომ ადამიანური კომუნიკაციის მინიმალური ერთეული არის არა წინადადება ან გამოთქმა, არამედ „აქტების გარკვეული სახის განხორციელება, ისეთის, როგორებიცაა კონსტატაცია, შეკითხვა, ბრძანება, აღწერა, ახსნა, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, მილოცვა და ა. შ.“ მკვლევართა აზრით, მოცემული დებულება ეთანხმება თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებულ შეხედულებას, რომელიც ხასიათდება მისწრაფებით გამოვიდეს წინადადების საზღვრებიდან, გაწიოს ლინგვისტური ანალიზის ჩარჩოები.

სამეტყველო აქტის ცნებაში მკვლევარები ხაზს უსგამენ ლინგვისტიკისთვის არსებით სხვადასხვა მომენტებს. ასე მაგალითად, მ. ა. კ. ჰელიდეი (Michael Alexander Kirkwood Halliday 1973; 1980; 2004), ლონდონის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენელი, არსებული კონცეფციების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოყოფს სამეტყველო ქმედების შემდეგ მირითად მახასიათებლებს:

- სამეტყველო ქმედების წარმატების პირობები ჩადებულია იმაში, რაც წინადადების ჩარჩოებში მიეკუთვნება მოდუსს, მისი პერფორმაციული ნაწილი;

- სამეტყველო აქტი – ეს არის მეტყველების ელემენტარული ერთეული, ენობრივ გამოხატულებათა თანმიმდევრობა, რომელსაც წარმოოქმნას მოლაპარაკე და რომელიც გასაგებია მისთვის/ მათთვის, ვისკენაც ის არის მიმართული (ანუ ენის მატარებლისკენ);
- სამეტყველო აქტი არის დასკვნითი აქტი სხვა მოქმედების სერიაში; ერთმანეთს უპირისპირდება უნივერსალური და სოციალურად განპირობებული სამეტყველო აქტები;
- სამეტყველო აქტის უნივერსალური თვისებები უპირისპირდება კონკრეტული ენისათვის სპეციფიკურს; პერლოგუციები ყოველთვის უნივერსალურია, ხოლო ილოპუციები შეიძლება იყოს უნივერსალურიც და სპეციფიკურიც;
- სამეტყველო აქტი შეიძლება იყოს როგორც წინადაღებაზე მეტი, ასევე ნაკლებიც;
- სამეტყველო აქტში ერთმანეთს უკავშირდება როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური ქცევა;
- სამეტყველო აქტი – ეს მეტყველების უშუალო რეალობაა მისი ტექსტობრივი კავშირებით და ენობრივი ერთეულების ხმარების წესებით, ნაკარნახევი გრამატიკის ჩარჩოებით;
- სამეტყველო აქტი იძლევა საშუალებას გავმიჯნოთ ტექსტი და ქვეტექსტი;
- სამეტყველო აქტი დაკავშირებულია ცნებებთან „ფრეიმი“ ან „ჩარჩო“ სამეტყველო ქმედების მოდელირების ზოგიერთ კონცეფციაში<sup>5</sup>; იგულისხმევა ის სამეტყველო აქტები, რომლებიც თავისი ინტერპრეტაციისათვის უხმობს მეტაპირობებს – ცოდნას სამყაროს შესახებ, რომელიც ეხმარება კომუნიკანტს გაიგოს, რომელი ფრეიმის კონტექსტში უნდა ეძებოს ისინი;
- სამეტყველო აქტის ამოცანაა ადრესატის აზრებზე ზემოქმედება, რა დროსაც ხდება მოლაპარაკის გამოთქმათა ინტერპრეტირება. მაგრამ სამეტყველო აქტების საერთო თვისებაა ცნობიერის კოოპერირება და რამდენიმე სუბიექტის გონივრული ურთიერთქმედება;

<sup>5</sup> დავაზუსტოთ, რომ ამ კონცეფციებს მიეკუთვნება ისინი, რომლებიც ფორმირებულია კოგნიტივიზმისა და კოგნიტიური ლინგვისტიკის ჩარჩოებში.

- სამეტყველო აქტი რთავს გრამატიკულ აღწერაში პრაგმატულ ცნებებს, როგორიცაა კონტექსტი და მოლაპარაკის და ადრესატის როლები;
- წინადადების გაგება, რომელშიც სამეტყველო აქტი რეალიზდება, დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო აზროვნებაში დედუქციური დასკვნის პროცესთან;
- არ შეიძლება ვილაპარაკოთ წინადადების გაგებაზე მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით (მისი ილოუაუციური ძალის გამოვლენის გარეშე);
- სამეტყველო აქტი აერთებს წინადადებას გამონათქვამთან (Halliday, M.A.K. "Explorations in the Functions of Language" 1973).

პელიდეი განიხილავს სამეტყველო აქტს როგორც ერთმანეთთან გადაჯაჭვულ მრავალროცხოვან ალტერნატივებიდან ერთ-ერთის არჩევას. ეს ალტერნატივები კი აყალიბებს ენის „სემანტიკურ პოტენციალს“. მეცნიერი განმარტავს, რომ ლაპარაკის პროცესში ჩვენ ვირჩევთ ერთ-ერთ ფორმას: მტკიცებას, კითხვას, განზოგადებას ან დაზუსტებას, გამეორებას ან ახლის დამატებას.

სხვა სიტყვებით, ენის როგორც წესების ნაკრების, ან ფორმალური მითოთებების შეხედულების საპირისპიროდ აქ შემოთავაზებულია ენის როგორც არჩევანის ერთობლიობის კონცეფცია, რომელიც ინდივიდების მიერ შეიძლება შეფასებული იყოს სხვადასხვანაირად. ამიტომ სამეტყველო აქტი დაკავშირებულია „მეტყველების დაგეგმვასთან“. ის არის რთული არსი, რომელშიც კოგნიტიური და მისი მსგავსი ფუნქციები ეთანხმება პიროვნებათშორისს, ამა თუ იმ ფუნქციის სიჭარბე (პელიდეის ტერმინოლოგიით – ხვედრითი წილი) დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე.

ნათქვამის ფილოსოფიური ასპექტი გვხდება გერმანელი და ამერიკელი ფილოსოფოსის ოიგენ მორიც როზენშტოკ-ჰუესის (Rosenstock-Huessy) სიტყვებში, რომელიც თვლიდა, რომ ყოველი გამონათქვამი არის პოლიტიკური აქტი: „მეტყველება ამაგრებს დროით და სივრცით დერძებს, რომლებზეც დამყარებულია საზოგადოება. ეს იდეები ეხმიანება ლ. ნ. ტოლსტოის ცნობილ აფორიზმს: „სიტყვა არის ქმედება“.

ისევე როგორც ყოველი ფართოდ გავრცელებული სამეცნიერო თეორია, სამეტყველო აქტების თეორია არის არა მხოლოდ დისკუსიის, არამედ კრიტიკის საგანიც. ასე, მაგალითად, ი. მ. კობოზევა აღნიშნავს, რომ სამეტყველო აქტების თეორია ვერ ხსნის, თუ როგორ მიმართებაშია ილოკუციური მიზანი

პრაქტიკულთან, რომ ის ვერ ამჟღავნებს კაგშირს სამეტყველო ურთიერთქმედების სტრატეგიულ მიზანსა და მისი შემადგენელი სამეტყველო აქტების ტაქტიკურ მიზნებთან; ვერ აჩვენებს ადამიანის მიკუთვნებას გარკვეულ კოლექტივთან და გარკვეულ კულტურასთან და ამიტომ ვერ ხსნის, როგორ ახდენს გავლენას მისი სამეტყველო ქცევის მახასიათებლებზე” (1986, გვ. 7-22). ამასთან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, სამეტყველო აქტების თეორიის კრიტიკა შეიძლება აიხსნას იმით, რომ იგი ჯერჯერობით დაუსრულებელია. გრძელდება ძიება მთელ რიგ ურთულებს კითხვებზე პასუხის გასაცემად, რომლებიც ეხება მეტყველების ბუნების სამეცნიერო კონცეფციის სრულყოფას.

ამ სამეცნიერო პრობლემაზე მუშაობის ინტენსიურობა მტკიცდება იმით, რომ თანამედროვე ეტაპზე სამეტყველო აქტების თეორია ფართოვდება ტექსტ-ლინგვისტიკის თეორიამდე, დვივდება ინტერტექსტისა და დისკურსის ანალიზის და ვერბალური კომუნიკაციების თეორიებში. მისი მონაცემები წარმოადგენს კომუნიკატივისტიკის<sup>6</sup> – მეტყველების თეორიისა და პრაქტიკის შესახებ აქტიურად განვითარებად სამეცნიერო მიმართულების – კარკასს (ინგლისურად: Communication Science).

ეს ყოველივე კი ილუსტრირებს თანამედროვე ლინგვისტიკის ინტერდისციპლინარულ ხასიათს, როგორც შიდა ლინგვისტურ, აგრეთვე მთლიან ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა წრეშიც.

### I.3. კომუნიკაცია როგორც სოციალური ფენომენი და ლინგვისტური კვლევის საგანი

კომუნიკაციას, როგორც მეცნიერული ცოდნის სფეროს აქვს ხანგრძლივი ისტორია, რასაც მოწმობს მოცემული დისციპლინათშორისი ტერმინის განმარტებების რაოდენობა. ასე, მაგალითად, ამერიკულმა ფსიქოლოგმა იუ. რიუშმა (Jurgen Ruesch) ამ ცნებისთვის ცოდნის სხვადასხვა დარგში (ანთროპოლოგიაში, სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ენათმცოდნეობასა და ა. შ) გამოყო თრმოცი მიდგომა. აღნიშნული ფაქტი

<sup>6</sup> ზოგიერთ წყაროში „კომუნიკაციისტიკის“ სინონიმად გვხვდება „კომუნიკატოლოგია“.

ადასტურებს იმას, რომ კომუნიკაციის პრობლემებს აწყდებიან ადამიანური ქმედების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ამიტომ კომუნიკაციური პრობლემების კვლევის პროცესები შედის კაცობრიობისათვის მეტად აქტუალურ პრობლემათა რიგში. სწორედ „კომუნიკაციის ცენტრალური მდგომარეობა კაცობრიობის ისტორიაში, – წერს მასობრივი კომუნიკაციის შესწავლის სფეროს წამყვანი თეორეტიკოსი ერიკ ბარნოუ, – დარწმუნებით ხსნის, რომ შემეცნების ასეთი როლი დარგები, როგორიც არის ანთროპოლოგია, ხელოვნება, განათლება, ეთნოლოგია, ისტორია, ჟურნალისტიკა, სამართალი, ლინგვისტიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და სოციოლოგია, – ყველა მიისწრაფის კომუნიკაციური პროცესების შესწავლისკენ...“

ფართო გაგებით კომუნიკაცია ეს არის შეტყობინების გადაცემა, აზრების, ინფორმაციის გაცვლა, რაც ისეთ ურთიერთობას გულისხმობს, რა დროსაც ხდება რაიმე შინაარსის გადაცემა, გრძნობითის, ემოციურის ჩათვლით, „ერთი ცნობიერებიდან (კოლექტიურიდან ან ინდივიდუალურიდან) მეორეზე ნიშნების საშუალებით, რომლებიც დაფიქსირებულია მატერიალურ მატარებელზე. კომუნიკაცია წარმოადგენს სოციალურ პროცესს, რომელიც ასახავს საზოგადოებრივ სტრუქტურას და ასრულებს მასში შემაკავშირებელ ფუნქციას” (Философский энциклопедический словарь 1983).

კომუნიკაცია ხორციელდება არა მარტო ადამიანურ სოციალურ სისტემებში: გარკვეული სახის კომუნიკაცია დამახასიათებელია ცხოველებისთვისაც (ჩიტების გალობა, ფუტკრების ენა და ა. შ.), ადამიანის მიერ შექმნილი ტექნიკური საშუალებების, მექანიზმების ერთობლიობისათვის (ტრანსპორტი, ტელეგრაფისა და ტელეფონის სიგნალები, კომპიუტერული სისტემები და ა. შ.), ამასთან, როგორც აღინიშნება, „აქ არ უნდა ჩავრთოთ ადამიანური კომუნიკაცია მექანიზმების დახმარებით” (Кашкин 2003). ადამიანური კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური საშუალებებით, მაგალითად, ვიზუალურით: კინო, ფერწერა და ა. შ. გამოჩენილ კულტუროლოგს და მწერალს უმბერტო ეკოს კომუნიკაცია ძალიან ფართოდ ესმის: „კულტურა არის უპირატესად კომუნიკაცია”. თუმცა უფრო გავრცელებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ყველაფერი, რაც ადამიანის გარშემოა (და შესაბამისად, კულტურაც), – არის კომუნიკაციური გარემო, საგნების და მოვლენების ჩათვლით, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას კომუნიკაციური მიზნებისთვის. მაგრამ სწორედ

ვერბალური (ზეპირი და წერილობითი სახესხვაობა) არის ადამიანისთვის ძირითადი, ურთიერთობის უნივერსალური ფორმა, კოდირებისა და ინფორმაციის გადასაცემად.

ჯერ კიდევ 1928 წელს ინგლისელმა ლიტერატურის კრიტიკოსმა ი. ა. რიჩარდსმა (I. A. Richards) ადამიანური კომუნიკაცია განსაზღვრა შემდეგი სახით: "Communication takes place when one mind so acts upon its environment that another mind is influenced, and in that other mind an experience occurs which is like the experience in the first mind, and is caused in part by that experience". სიტყვასიტყით: „კომუნიკაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთი ადამიანური შემეცნება ისე მოქმედებს მის გარშემო არსებულ გარემოზე, რომ ამ გავლენას განიცდიან სხვა ადამიანური შემეცნებები, და ამ სხვა შემეცნებაში წარმოიქმნება გამოცდილება, რომელიც მსგავსია პირველ შემეცნებაში არსებული გამოცდილებისა და რადაც დოზით გამოწვეულია ამ პირველი გამოცდილებით".

კომუნიკაციის კლასიკურ ფორმულად, რომელიც გვხვდება კომუნიკაციის თეორიის დამხმარე სახელმძღვანელოებში, მიღებულია ჩაითვალოს ამერიკელი მკვლევარის ჰოროლდ დ. ლასველის (H. D. Lasswell) განსაზღვრება: "Who says what to whom in which channel with what effect?". მისი პირდაპირი თარგმანი ასეთია: „ვინ, ვის რას ელაპარაკება, რომელი არხით, როგორი ეფექტით?". შეტყობინების ფუნქციური დახასიათება განისაზღვრება კომუნიკაციური აქტის – კომუნიკაციის ერთეულის ამოცანით. თუმცა კომუნიკაციის პროცესის დანაწევრება ცალკეულ აქტებად ატარებს პირობით ხასიათს, რადგანაც კომუნიკაცია წარმოადგენს კონტინუუმს, ურთიერთობის პროცესში უწყვეტ ურთიერთქმედებას. მოვიყვანოთ შეტყობინების ფუნქციები და კომუნიკაციური აქტები, რომლებიც პრაგმატული თვალსაზრისით გამოყოფილია რ. დიმლბის და გ. ბერტონის მიერ:


- გაფრთხილება;
- რჩევა;
- ინფორმაცია;
- დარწმუნება;
- აზრის გამოთქმა;
- გართობა.

(Dimbleby R., Burton G. More Than Words. An Introduction to Communication 1998). კომუნიკაციური აქტების კომპლექსს, გაერთიანებულს საერთო ამოცანითა და

სიტუაციური პირობებით, ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს „კომუნიკაციურ მოვლენას“. ბიზნესის სფეროში ეს შეიძლება იყოს პრეზენტაცია, პოლიტიკის სფეროში – პოლიტიკური მოღვაწის ვიზიტი, განათლების სფეროში – ლექცია და ა.შ.

კომუნიკაციის პროცესს საკმაოდ ხშირად წარმოადგენენ სხვადასხვა მოდელის სახით, რომელშიც სქემატურად კვლავიწარმოება მისი შემადგენელი ელემენტები და ფუნქციური მახასიათებლები. ლასველის უკვე წარმოდგენილი ფორმულის გვერდით სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში ფართოდ გავრცელდა პ. შენონის მეთოდი (ლინგვისტიკისთვის საინტერესოა ცნება „ენის სიჭარბე“) და მარშალ მაკლიუენის მოდელი (კომუნიკაციაში მთავარია – გადაცემის არხი, რითაც ის ხორციელდება).

ენათმეცნიერებისთვის ამ იდეების ინტერპრეტირება მოახდინა რომან იაკობსონმა. ასე რომ, იაკობსონის მიხედვით, სამეტყველო მოვლენაში მონაწილეობენ ადრესანტი და ადრესატი, სადაც ადრესანტიდან ადრესატისკენ მიემართება შეტყობინება, რომელიც ქოდის საშუალებით გადაიცემა.



იაკობსონის მოდელში ცნება „კონტექსტი“ დაკავშირებულია შეტყობინების შინაარსთან და სიტუაციასთან, რომელშიც ხორციელდება გამოთქმა, ცნება „არხი“ ვარაუდობს არა მხოლოდ ზეპირი, არამედ წერითი კომუნიკაციის შესაძლებლობებს, ხოლო ცნება „ქოდი“ გულისხმობს ენას, რომელზეც ხდება გამოთქმა. როგორც პ. ბ. კაშკინი აღნიშნავს, „იაკობსონის მოდელი განსხვავებული ვარიანტებით გამოიყენება ლინგვისტიკაში როგორც მთლიანად ენის ფუნქციის, ასევე მისი ცალკეული ერთეულების ფუნქციონირების ანალიზისთვის, მეტყველების და ტექსტის წარმოებისათვის. პრაღის

ლინგვისტური სკოლის მიხედვით, ეს მოდელი თელუროვიურია (ბერძნული სიტყვიდან, რომელიც „მიზანს” აღნიშნავს), ანუ უჩვენებს დანიშნულებას, ენის ფუნქციას. თანამედროვე სოციოლინგვისტიკა, კომუნიკაციის თეორია და კომუნიკაციის სოციოლოგია ასევე სესხულობენ იაკობსონის მოდელს კომუნიკაციური პროცესების აღსაწერად. ამ მოდელმა შეიძლება გაითვალისწინოს არა მარტო თვით ენა, არამედ ენის მომხმარებელიც, ჩართული დამკვირვებელი” [159]. თუმცა თავადვე აღნიშნავს რომ, „იაკობსონის მოდელი არ შეიცავს კომპონენტს „მიზანი”, თუმცა სამეტყველო კომუნიკაციის მიზნობრივი...ასპექტი პრაღის სკოლის მიერ მუდმივად აღინიშნება როგორც ერთ-ერთი ძირითადი მათი პარადიგმის ჩარჩოებში”. და შემდეგ: „ამავდროულად მიზანი გატოლებული იყო ენობრივ საშუალებათა ფუნქციასთან, კერძოდ კი პრაგმატული ასპექტი დიდი ხნის განმავლობაში” რჩებოდა საკვლევი ველის გარეთ. „გრაისის, სტროსონის და სერლის ნაშრომებმა კი აღმოაჩინა ახალი მიმართულება, რომელსაც ხანდახან უწოდებენ ინტენციონალიზმს, რადგანაც ის ითვალისწინებს მოლაპარაკის საწყის ინტენციას (განზრახვა, სუბიექტური მნიშვნელობა) და მსმენელის ინტერპრეტაციას (უფრო ნაკლებად), ზემოქმედებას მასზე”<sup>7</sup>.

კომუნიკაციის პროცესის არსის გაგებაზე დიდი გავლენა მოახდინა მ. მ. ბახტინის იდეებმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი გამოთქმის აუცილებელი ნიშანია მისი ადრესიულობა: მსმენელის გარეშე არ არსებობს მოლაპარაკე, ადრესატის გარეშე არ არსებობს ადრესანტი. და მეორე: ყოველგვარი გამოთქმა აზრს იძენს მხოლოდ კონტექსტში, კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას. ბახტინის იდეები განვითარდა რ. ბარტის, იუ. კრისტევას კონცეფციებში, მსოფლიო ლინგვისტიკაში, ფილოსოფიაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, კომუნიკაციის თეორიაში. როლან ბარტმა წამოაყენა პიპოთეზა, რომ სიტყვა თავისთავად წარმოადგენს მხოლოდ მნიშვნელობის შესაძლებლობას – ის იდებს მნიშვნელობას მხოლოდ კონკრეტულ ტექსტში, და ეს წარმოდგენა ცნობილი აზრით არღვევს კომუნიკაციის არსებულ მკაფიო მოდელებს, დაფუძნებულს იდეაზე „გადაცემა → აღქმა” (მაგალითად, შანონის-უივერის მოდელი). ხოლო იულია კრისტევამ წამოჭრა და განავითარა პიპოთეზა ყოველგვარი ტექსტის ციტატური მოზაიკურობის შესახებ (ინტერტექსტუალურობა), საიდანაც გამომდინარეობს,

<sup>7</sup> იქვე

რომ შეტყობინების მიმღები ხდება მისი ირიბი თანაავტორი. აღმქმედი სუბიექტის ინტერტექსტუალური ალუზიები ახდენს გავლენას გადმოცემული ინფორმაციის აღქმაზე, შეტყობინების ინტერპრეტაციაზე, სასურველი ეფექტის მიღებაზე, ანუ სამეტყველო მოვლენის მიზანზე.

კომუნიკაციის ყოველი კონკრეტული აქტი შეიცავს პრაგმატულ მიმართებას, რომელიც მიმართულია ამ აქტში მონაწილე პარტნიორზე. იგი გათვლილია რეალური, კონკრეტული ადრესატის ან პოტენციალულ ადრესატთა კრებითი მოდელის ენობრივ გამოცდილებასა და იმ სათანადო ცოდნის მარაგზე, რომლის ფონზე რეალიზებადი უნდა იყოს მიღებული შეტყობინების გაცნობიერება. ამდენად, წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებისთვის ენობრივი კომპეტენციის გარდა, არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც ადრესატის მენტალურ თეზაურუსთან არის დაკავშირებული და ინფორმაციის დეკოდირებას უზრუნველყოფს. ენობრივი კომპეტენცია აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია წარმატებული კომუნიკაციისათვის.

საუბრობენ რა კომუნიკაციის ფუნქციებზე, მკვლევარები ხახს უსვამენ, რომ ეს ფუნქციები შეიძლება გამოიყოს მხოლოდ გამოკვლევის მიზნებისთვის, რადგანაც რეალურ პროცესში კომუნიკაცია ვარაუდობს ფუნქციების „გადაკვეთას“ და ადრესანტის და ადრესატის როლების შეცვლას. უპირატესად (რ. იაკობსონის კომუნიკაციის მოდელების საფუძველზე) გამოყოფენ შემდეგ ფუნქციებს: ემოტიურს, კონატიურს, რეფერენტულს, პოეტურს, ფატიკურს, მეტაენობრივს. კომუნიკაციის ცალკეულ აქტებში რეალიზდება მმართველობითი, ინფორმაციული, ემოტიური და ფატიკური (კონტაქტის დამყარებასთან დაკავშირებული) ფუნქციები, რომელთა შორის პირველი არის გენეტიკურად და სტრუქტურულად საწყისი (Назаретян 2006). ა. ა. ლეონტიური გამოყოფს ასევე მაგიურს (შელოცვა) და ეთნიკურ ფუნქციებს. გავიმეორებთ, რომ ფუნქციების რაოდენობა ატარებს პირობით ხასიათს. კომუნიკაციის ყოველი სახეობა, როგორც აუცილებელი კომპონენტი, შეიცავს მიზანს, იმ რეზულტატს, რაზეც მიმართულია კომუნიკაცია.

განასხვავებენ კომუნიკაციის პროცესს და მის შემადგენელ აქტებს. „კომუნიკაციური პროცესის ძირითადი ფუნქციები მდგომარეობს სოციალური ერთობის მიღწევაში, მისი ყოველი ელემენტის ინდივიდუალურობის დაცვით. როგორც აღნიშნავს ა. პ. ნაზარეთიანი ამ ფუნქციების შეფარდებისას

პირობითად გამოიყოფა შემდეგი შეტყობინებები: წამქეზებელი (დარწმუნების, ჩაგონების, ბრძანების, თხოვნის); ინფორმაციული (რეალური ან გამოგონილი ცნობების გადაცემა); ექსპრესიული (ემოციური განცდის აღმვრა), ფატიკური (კონტაქტის დამყარება და ურთიერთობის დაჭერა).

ამ მომენტისთვის კომუნიკაციის ოცნიის კვლევებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ არა მარტო კომუნიკაციურ ქმედებაზე, არამედ კომუნიკაციურ რაციონალურობაზე და კომუნიკაციურ თანამეგობრობაზე, რაც დაკავშირებულია ამ ფენომენის სულ უფრო მეტად მზარდ სოციალურ როლთან. კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებების განვითარებამ მიგვიყვანა მასობრივი კომუნიკაციის მოვლენის გაჩენამდე, ხოლო მაგალითისთვის, დაინტერესებამ კაცობრიობის სამრეწველო საქმიანობისადმი დასვა კომუნიკაციის კითხვები მენეჯმენტის სფეროში.

„თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ინდუსტრიული საზოგადოების გლობალურ ტრანსფორმაციას ინფორმაციულ-კომუნიკაციურ საზოგადოებაში თან სდევს არა მარტო კომუნიკაციის შედწევა საზოგადოების მოდვაწეობის ყველა სფეროში, კომუნიკაციური სტრუქტურებისა და პროცესების ხარისხობრივად ახალი ტიპის წარმოშობა და განვითარება, არამედ სოციალური რეალობის..., კომუნიკაციური ბუნების დრმა სოციალურ-კომუნიკაციურ სფეროში თანამედროვე ცვლილებების, საზოგადოების განვითარებაში კომუნიკაციის ადგილისა და როლის გადააზრება,” (Василик 2004, გვ. 4). თუ კომუნიკაცია – ეს არის შეტყობინების, ინფორმაციის გადაცემის პროცესი, მაშინ სულ უფრო აქტუალური ხდება ცნობილი აფორიზმი: „ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს ხელისუფლებას”.

სამეცნიერო ნაშრომებში ადამიანური კომუნიკაციის პრობლემებზე მითითებულია, რომ მისი სახეობები შეიძლება გამოიყოს და მოხდეს მათი კლასიფიცირება სხვადასხვანაირი ნიშნის საფუძველზე.

საფუძველი ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილისა, რომელიც შედგენილია მოცემულ საკითხზე ფართო ლიტერატურული მასალის ანალიზის შედეგად, არის კომუნიკაციის მონაწილეობა პიროვნებათშორისი ურთიერთობის ტიპი.

## ცხრილი № 2

| საბაზო<br>(უპირატესად ემთხვევა სხვადასხვა) | დამატებითი<br>(გარირებს სხვადასხვა აგტორთან) |
|--|--|
|--|--|

| ავტორთან   |   |
|--|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერპერსონალური (შინაგანი დიალოგი, ამოდის ლ. ს. ვიგოტსკის შინაგანი მეტყველების თეორიიდან);</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>• კულტურათშორისი (კომუნიკაცია სხვადასხვა კულტურის მატარებელთან; შეიძლება იყოს როგორც პიროვნებათშორისი, ასევე ჯგუფური, მისი ყველა სახესხვაობის ჩათვლით);</li> </ul>   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• პიროვნებათშორისი (ორი ან მეტი კომუნიკანტი; ათანხმებს ვერბალურ და არავერბალურ ფორმებს, მაგალითად, პარალინგვისტურ საშუალებებით);</li> </ul>   | <p style="text-align: center;"><b>საერთაშორისო</b> (საერთაშორისო კონტაქტების დონეზე დიპლომატის ჩათვლით) და <b>გლობალური</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>კროს-კულტურული</b> (განმარტების მიხედვით შეიძლება გაგებული იყოს როგორც კულტურათშორისი, როგორც საერთაშორისო, ან როგორც მათი სინთეზი-გლობალური);</li> </ul> |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ჯგუფური</b> (ცალკეული ჯგუფის შიგნით ან ჯგუფებს შორის და ასევე სქემის მიხედვით „კომუნიკანტი და ჯგუფი”, მაგალითად, პოლიტიკური მოღვაწის ინტერვიუ);</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ორგანიზაციული</b> (კომუნიკაცია საქმიან ან სამრეწველო სფეროში) და <b>ბიზნესკომუნიკაცია;</b></li> </ul>   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>მასობრივი</b> (გამგზავნი შეიძლება იყოს ერთი კომუნიკანტი, ხოლო მიმღები – მასა, როგორც წესი იგულისხმევა საშუალო მიმღები ან ელექტორატი საერთოდ (წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას), სპეციფიკა ნაკარნახევია კომუნიკაციის არხის მიერ –სპეციფიკა ნაკარნახევია</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>პოლიტიკური</b> (სტრუქტურირებს პოლიტიკურ მოღვაწეობას; ხორციელდება როგორც ინდივიდებს შორის, ასევე მმართველებსა და მართულებს შორის);</li> </ul>  |

|   |   |
|---|---|
| <p>კომუნიკაციის არხის მიერ – პრესა, რადიო, ტელევიზია);</p> <p style="text-align: center;">↓</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>საჯარო</b> (პიროვნებათშორისი, მაგალითად, ლექტორი, საზოგადო მოღვაწე – აუდიტორია);</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>შინაგანი</b> (შეიძლება იყოს პიროვნებათშორისი, ჯგუფური; შეიძლება ჰქონდეს მასობრივი ხასიათი; სპეციფიკა ნაბარნახევია კომუნიკაციის არხებით, რომელიც დაფუძნებულია კომპიუტერულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე)</li> </ul> |
|---|---|

კომუნიკაციური აქტი ვარაუდობს კომუნიკაციური სტრატეგიის, კომუნიკაციური ტაქტიკის და კომუნიკაციური განზრახვის არჩევას, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის კომუნიკაციურ საქციელს. შესაბამისად, კომუნიკაციის პრობლემის კვლევის ცენტრად იქცა ინდივიდი, ენობრივი პიროვნება.

ტერმინი „ენობრივი პიროვნება“, რომელიც მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანა ი. ნ. კარაულოვმა (1987), თანამედროვე ლინგვისტიკის უურადღების ცენტრშია მოქცეული. ენობრივი პიროვნება როგორც ლინგვისტური შესწავლის საგანი წარმოადგენს „კულტურულ-ენობრივი და კომუნიკაციურ-მოღვაწეობითი ფასეულობების, ცოდნის, მიზანდასახულობის, ქცევითი რეაქციების მატარებლის განზოგადებულ სახეს“ (Karacik 1996, გვ. 3).

ვეურდნობით რა ნათქვამს, ვვარაუდობთ, რომ კვლევის ობიექტის გამყარების მიზნით შესაძლებელია ვისაუბროთ „დისკურსული პიროვნების“ როგორც ენობრივი პიროვნების სახესხვაობის ანალიზზეც, რომელიც ახდენს კონკრეტული დისკურსის პარამეტრებით განსაზღვრული კომუნიკაციური სტრატეგიების რეალიზაციას. „დისკურსული პიროვნების“ დახასიათება დაფუძნებული იქნება კომუნიკაციური სტრატეგიებისა და ტაქტიკის შესაბამისობაზე იმ ამოცანებთან, რომლებსაც უყენებს კონკრეტული დისკურსი

მის მონაწილეებს. ნაშრომში, როგორც უკვე აღინიშნა, ანალიზის ობიექტია პოლიტიკური დისკურსი.

ენობრივი პიროვნების სტრუქტურაში გამოიყოფა სამი პირობითი დონე:

1) ვერბალურ-სემანტიკური, რომელიც ვარაუდობს, რომ მატარებელი ნორმალურად ფლობს ბუნებრივ ენას;

2) კოგნიტიური, რომლის ერთეულებია ცნებები, იდეები, კონცეპტები, რომლებითაც ეწყობა ყოველი ენობრივი ინდივიდის მიერ მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული, ფასეულობების იერარქიის ამსახველი სამყაროს სურათი;

3) პრაგმატიული, რომელიც შეიცავს მიზნებს, მოტივებს, ინტერესებსა და ინტენციონალურობას (Караулов 1987, გვ. 264).

ლინგვისტურ გამოკვლევებში კომუნიკაციის პრობლემების სხვადასხვა ასპექტებით გავრცელებულია აგრეთვე ტერმინი „კომუნიკაციური პიროვნება”, რომელიც გაიგება როგორც ინდივიდუალური კომუნიკაციური სტრატეგიებისა და ტაქტიკის, კოგნიტიური, სემანტიკური, მოტივაციური უპირატესობების ერთობლიობა, რომელიც ჩამოყალიბებულია კომუნიკაციის პროცესებში, როგორც ინდივიდის კომუნიკაციური კომპეტენცია (იხ.: Кашкин 2007); როგორც ინდივიდის „კომუნიკაციური პასპორტი” (იხ.: Стернин 1997; 2002); როგორც მისი „სავიზიტო ბარათი” (იხ.: Горелов 2001).

პიროვნული იდენტობა ყალიბდება კომუნიკაციური ურთიერთქმედების პროცესში. კომუნიკაციური პიროვნება – კომუნიკაციური აქტების შინაარსი, ცენტრი და ერთობაა, რომელებიც მიმართულია სხვა კომუნიკაციური პიროვნებისკენ, ეს არის „კომუნიკაციური მოღვაწე”. კომუნიკაციური პიროვნება ფლობს საკუთარ კომუნიკაციურ გამოცდილებასა და კომუნიკაციურ უნარებს.

ამ აბსტრაქციის სამეცნიერო ანალიზში ჩართვა დაკავშირებულია ენათმცოდნეობის განვითარების ლოგიკასთან, „შესწავლის საგანი, რომელიც ფორმალური ენობრივი სტრუქტურების გამოკვლევიდან თანდათანობით მიიწვეს მათი შინაარსის ანალიზისკენ, შემდეგ – შინაარსობრივი ენობრივი ერთეულების ფუნქციონირების გააზრებისკენ მეტყველებაში, შემდეგ – ადამიანის ცნობიერებასა და კულტურულ გარემოში მათი ადგილის, სპეციფიკისა და დინამიკის განსაზღვრისკენ” (Карасик 2007, გვ. 78).

მოცემულ ნაშრომში ანალიზის საგანია მეორეული ნომინაციის მეტაფორისა და პერიფრაზული ერთეულების გამოყენება ენობრივი პიროვნების

მიერ, კომუნიკაციური ქმედებისას პოლიტიკური კომუნიკაციის სფეროში, რომელსაც აქვს მთელი რიგი არსებითი სპეციფიკური თავისებურებები. პოლიტიკური კომუნიკაციის მირითადი ფუნქციები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- იდეურ-პოლიტიკური დირექტულებების, პოლიტიკის შესახებ ცოდნის გავრცელება, პოლიტიკური ინფორმირება;
- პოლიტიკური ურთიერთობების ინტეგრაცია და რეგულირება;
- საზოგადოებრივი (პოლიტიკური) აზრის ჩამოყალიბება;
- პოლიტიკური კულტურის გავრცელება, მისი განვითარება ინდივიდუალური;
- პოლიტიკურ-კულტურული გაცვლა;
- საზოგადოების მომზადება პოლიტიკაში მონაწილეობისათვის.

„პოლიტიკური კომუნიკაცია არის პოლიტიკური ურთიერთობის სპეციფიკური სახე, რომლის საშუალებითაც პოლიტიკაში დომინირებული სუბიექტები არეგულირებენ თავისი დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების წარმოებასა და გავრცელებას“ (Ирхин, Зотов, Зотова 2002).

პოლიტიკური კომუნიკაცია წარმოადგენს პოლიტიკური ინფორმაციის შემუშავების, გადაცემისა და გაცვლის პროცესებს, რაც სტრუქტურირებს პოლიტიკურ მოღვაწეობას. პოლიტიკური კომუნიკაცია – ეს სუბიექტების ურთიერთქმედების აზრობრივი ასპექტია ინფორმაციის გაცვლის გზით ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის პროცესში, ან მის განხორციელებაში. ის დაკავშირებულია მიზანმიმართულ გადაცემასთან და ინფორმაციის არჩევით მიღებასთან, რომლის გარეშეც შეუძლებელია პოლიტიკური პროცესის წინსვლა.

კომუნიკაციის საშუალებით გადაიცემა პოლიტიკური შეტყობინების სამი მირითადი ტიპი: წამქეზებელი (ბრძანება, დარწმუნება); საკუთრივ ინფორმაციული (რეალური ან გამოგონილი ცნობები); ფაქტობრივი (ცნობები, დაკავშირებული პოლიტიკის სუბიექტებს შორის კონტაქტის დამყარებასა და შენარჩუნებასთან).

წამქეზებელი პოლიტიკური ინფორმაცია გამოიხატება ბრძანებაში, რჩევაში, თხოვნაში. ის გათვლილია იმაზე, რომ მოახდინოს საპასუხო ქმედების სტიმულირება და თავის მხრივ იყოფა: ა) აქტივაციად – ქმედების წაქეზება

მითითებული მიმართულებით; ბ) დესტაბილიზაციად – შეუთანხმებლობა ან ქცევისა და ქმედების ზოგიერთი ავტონომიური ფორმის დარღვევა.

ვაქტობრივი (მაკონსტატირებული) პოლიტიკური ინფორმაცია გადაიცემა ნეიტრალური შეტყობინების ფორმით და წარმოდგენილია ფართოდ სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემებში. არ ვარაუდობს ქცევის უშუალო ცვლილებას. ობიექტურობის საზომი შეიძლება ვარირებდეს შინაარსის „უმნიშვნელო“ ტონიდან ტექსტში დარწმუნების აშკარა ელემენტების ჩართვით. მიღებულია ორი ძირითადი ხერხის გამოყოფა, რომელთა საშუალებითაც შეტყობინების გამგზავნი მიისწრაფის არა მარტო გადასცეს ინფორმაცია, არამედ აიძულოს რეციპიენტი შეცვალოს თავისი ცნობიერების სტრუქტურა შეტყობინების შესაბამისად. ეს არის ლოგიკური დარწმუნება და ემოციური დარწმუნება, რომლებიც ზემოქმედებენ პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციის სისტემაზე. შეტყობინებათა უმეტესობა პოლიტიკურ ბეჭდვითი და მასობრივი პროპაგანდის სხვა საშუალებებში ორიენტირებულია იმოქმედოს ადამიანური ნატურის ემოციურ მხარეზე, რათა აიძულოს ხალხი იმოქმედოს პოლიტიკური ღირებულებების გარკვეული სისტემის შესაბამისად.

პოლიტიკური ინფორმაცია, რომელიც რეციპიენტისკენ მიდის, შეიძლება მის მიერ იქნას შეჩერებული, დაექვემდებაროს „ცენზურას“ და აღქმული იქნას მხოლოდ ნაწილობრივ. ამასთან, გარკვეულ პირობებში, ის აღიქმება ადრესატის მიერ კრიტიკული გადამუშავების გარეშეც. შეტყობინებაში მოცემული ინფორმაციის აღქმაზე არსებით გავლენას ახდენს ის სოციოკულტურული ჯგუფი, რომელსაც ეცენზურირები. შეხედულების შეცვლის ალბათობა სასურველი მიმართულებით მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტ ნდობას იწვევს კომუნიკატორი. ნდობა დაფუძნებულია პრობლემის ზუსტად ფორმულირების უნარზე, შთაბეჭდილებაზე, რომ გადაცემული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება და გამყარებულია მასალის თავისუფლად ფლობით, ინფორმატორისადმი ნდობით.

პოლიტიკური კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ასპექტია სუბიექტებს შორის ურთიერთქმედების მიზნობრივი ასპექტი ინფორმაციის გაცვლის გზით ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში ან მისი განხორციელება. ასე მაგალითად, წინასაარჩევნო კამპანიისას შეტყობინების გამგზავნი არის კანდიდატი (და მისი PR-გუნდი); მიმღები – ელექტორატი. ცალკეულ კომუნიკაციურ აქტებსა და მოვლენებს შეუძლია გამოიწვიოს მიმღების მხრიდან

თანხმობის რეაქცია ან სხვადასხვა ხარისხის მიუღებლობა. წინასაარჩევნო დიალოგის მონაწილეთა მეტყველქმედება ჩაძირულია ინტერტექსტუალურ გარემოში და თვითონ იღებს მონაწილეობას მის ფორმირებაში.

პოლიტიკური კომუნიკაცია არ შეიძლება იყოს ანონიმური, ის ყოველთვის ორიენტირებულია ხალხის კონკრეტულ ჯგუფებზე, ორგანიზაციებზე, ხოლო იდეალში – კონკრეტულ ინდივიდზე. პოლიტოლოგები და ფსიქოლოგები ყურადღებას აქცევენ პოლიტიკური ინფორმაციის მნიშვნელობას, რომელიც გათვლილია გარკვეულ ინდივიდზე, ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფზე. არასაკმარისია მასობრივი აუდიტორიის მქონე ინფორმაციის საშუალებებში განცხადებით გამოსვლა; გამოსვლის მიზანი მიღწეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება – შინაარსზე ან მის მიერ გამოწვეულ ემოციურ რეაქციაზე აქცენტით – აღქმული იქნება და გავრცელდება მცირე ჯგუფებს შორის ყოველდღიურ საუბრებში, საზოგადოებრივი აზრის ლიდერების მიერ.

თუ რ. იაკობსონის სქემას დავუბრუნდებით, შეიძლება მივიღოთ შემდეგი ვარიანტი: მოლაპარაკე – პოლიტიკოსი, მსმენელი – სავარაუდო ელექტორატი; კონტექსტი – ნებისმიერი პოლიტიკური დისკურსი (არაფორმალური კონტაქტების ჩათვლით); არხი – უპირატესად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ინტერნეტი, კოდი – ეროვნული ენა, ელექტორატის ენა, უცხოური ენა.

| კონტექსტი<br>შეტყობინება                             | პოლიტიკური დისკურსი<br>პოლიტიკოსი → ელექტორატი   |
|--|--|
| <b>მოლაპარაკე</b> → მსმენელი<br><br>არხი<br><br>კოდი | <b>მასობრივი ინფორმაციის<br/>საშუალებები, ინტერნეტი</b><br><br><b>ეროვნული ენა, ელექტორატის ენა,<br/>უცხოური ენა</b> |

ფუნქციონალიზმის ქუთხით, პოლიტიკური დისკურსი მიმართულია ძალა-უფლების მოპოვების, შენარჩუნების და ხელახალი გადანაწილებისათვის ბრძოლისკენ. ამასთანავე, ეს საბაზისო ფუნქცია ყოველთვის არ არის ღიად გამოხატული. ამიტომაც ის არცოუ იშვიათად რეალიზდება სხვა ფუნქციებით, მაგალითად, ინტეგრაციული, ინსპირაციული, დეკლარაციული, ა. შ. თითოეული

მათგანი ხორციელდება დისკურსის საკუთარი სტრატეგიებითა და საშუალებებით (Campbell K.K., Jamieson K.H., 1986). კომუნიკაციის რ. ო. იაკობსონის ფუნქციონალურ მოდელსა და პოლიტიკური კომუნიკაციის პოპოლურ მოდელს შორის შეიძლება კორელაციის დადგენა: ინტეგრაციული ფუნქცია კორელირებს ფაქტიურთან (კონტაქტის შენარჩუნებისათვის კომუნიკაციური სისტემის გამოყენების პრინციპის საფუძველზე), ინსპირაციული – კონატიურთან (ყურადღება მიპყრობილია ადრესატზე); შესაძლებელია შესაბამისობის მოძებნა დეკლარაციულსა და პოეტურ ფუნქციებს შორის, რამდენადაც ორივე ფუნქცია გულისხმობს ფოკუსირებას თავად შეტყობინებაზე.

პოლიტიკური კომუნიკაციის ლირებულებითი ხარისხი იზომება არა მხოლოდ მოცემული კულტურის ფასეულობათა პრიორიტეტულობით, მორალური ნორმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, არამედ კოგნიტიურით, პოლიტიკოსის ენობრივი პიროვნების ვერბალურ-სემანტიკური და პრაგმატული სტრატეგიებით, რის რეალიზაციასაც ახდენს იგი თავის კომუნიკაციურ ქცევაში აყალიბებს რა პოლიტიკურ დისკურსს.

როგორც მითითებულია ვ. ი. კარასიკის სტატიაში „დისკურსული პერსონოლოგია“ («Дискурсивная персонология» 2007), თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებული მიდგომები ენობრივი პიროვნების შესასწავლად, შესაძლებელია დაყვანილი იქნას შემდეგ ტიპებად:

1) ენობრივი პიროვნების ფსიქოლოგიური ანალიზი (ფსიქოლოგიაში შემუშავებულია ხასიათების უამრავი კლასიფიკაცია – ტემპერამენტის ანტიკური მოდელიდან აქცენტუირებული პიროვნებების თეორიამდე; ამასთან აღვნიშნოთ, რომ ხასიათების ყოველი ტიპი ასე თუ ისე მჟღავნდება კომუნიკაციაში, ანუ შესაძლებელია მისი გამოკვლევა ლინგვისტური პოზიციებიდან);

2) ენობრივი პიროვნების სოციოლოგიური ანალიზი (იგულისხმება სოციოლოგიასა და სოციოლინგვისტიკაში) გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფების ენობრივი ინდიკატორების გამოყოფა და აღწერა – მცირე ჯგუფებში (ოჯახი, სასკოლო კლასი, სამრეწველო კოლექტივი) სოციალური იდენტურობის ინდიკატორებიდან დიდი ჯგუფების (ახალგაზრდობის ენა, მეტყველების გენდერული მახასიათებლები, დაბალი საგანმანათლებლო ცენტრის მქონე ადამიანების ენობრივი ინდიკატორები) კომუნიკაციური ქცევის ინდიკატორებამდე;

3) ენობრივი პიროვნების კულტუროლოგიური ანალიზი (ლინგვოკულტურული ტიპაჟების მოდელირება – საზოგადოების გარკვეული ჯგუფის განზოგადებული ცნობადი წარმომადგენლები, რომელთა ქცევა ასახავს ლინგვოკულტურის ნორმებს საერთოდ და გავლენას ახდენს საზოგადოების ყველა წევრის ქცევაზე, მაგალითად, „რუსი ინტელიგენტი”, „ამერიკელი ადვოკატი”, გერმანელი ოფიცერი”, „ინგლისელი ჯენტლემანი”);

4) ენობრივი პიროვნების ლინგვისტური ანალიზი (ელიტარული ან მასობრივი ენობრივი კულტურის მატარებელთა კომუნიკაციური ქცევის აღწერა, ადამიანთა დახასიათება მათი კომუნიკაციური კომპეტენციის პოზიციიდან, კრეატიული და სტანდარტული ენობრივი ცნობიერების ანალიზი).

გამოყოფილ მიდგომებთან და ენობრივი პიროვნებების ტიპებთან ერთად დამატებით ავტორი გვთავაზობს ადამიანის ანალიზს ენაში ამა თუ იმ დისკურსის პოზიციიდან, რომელშიც ადამიანი მონაწილეობს. „ასეთი მიდგომა თავისი არსით პარალინგვისტურია, რადგან მის საფუძველში დევს კომუნიკაციური ტონალობის ტიპების გამოყოფა, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ დისკურსისათვის. კომუნიკაციურ ტონალობაში ჩვენ გვესმის ურთიერთობის ემოციურ-სტილური ფორმატი, რომელიც წარმოიქმნება კომუნიკანტების ურთიერთოგავლენის პროცესში და განსაზღვრავს მათ ცვალებად წესებს და ურთიერთობის ყველა საშუალების არჩევას” (Карасик 2007, გვ. 78).

თანამედროვე კვლევებში დისკურსი განიმარტება როგორც მეტყველების სისტემების სოციალურად განპირობებული ორგანიზაცია. იგი მოიცავს პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც კლასიფიცირდება და წარმოგვიდგება რეალობა მეტყველებაში საზოგადოებისა და ენის განვითარების კონკრეტული ეტაპის შესაბამისად.

დისკურსის როგორც ტერმინის გაგებას თანამედროვე ლინგვისტიკაში (ტერმინ „ტექსტისგან” მისი გამიჯვნის ჩათვლით) ეძღვნება ამ კვლევის შემდეგი ნაწილი.

#### 1.4. ცნება „დისკურსი” თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში

უკანასკნელ ათწლეულებში პოლიტოლოგიაში, სოციოლოგიაში, ლინგვისტიკასა და კომუნიკაციის თეორიაში ფართოდ გავრცელდა ტერმინი

*დისკურსი.* თანამედროვე პუმანიზარულ მეცნიერებაში ტერმინი „დისკურსი“ გაიგება არაერთგვაროვნად, რასაც მოწმობს არსებული მიდგომების განხილვა (იხ., მაგალითად: Менджерицкая 1997). ასე მაგალითად, ფილოსოფიაში დისკურსი არის „ცნობიერების შინაარსის ობიექტივის ვერბალურად არტიკულირებული ფორმა, რომელსაც არეგულირებს ამა თუ იმ სოციოპულტურულ ტრადიციაში რაციონალობის დომინანტი ტიპი“ (История философии 2008). ის, „ფართე გაგებით წარმოადგენს ენობრივი პრაქტიკისა და ექსტრალინგვისტური ფაქტორების რთულ ერთიანობას (გრძნობითი აღქმისათვის მისაწვდომი ფორმებით მანიფესტირებული მნიშვნელობის მქონე ქმედება), რომელიც აუცილებელია ტექსტის გასაგებად, ანუ ქმნის წარმოდგენას კომუნიკაციის მონაწილეების, მათი განწყობებისა და მიზნების, შეტყობინების წარმოქმნისა და აღქმის პირობების შესახებ“ (Новейший философский словарь 2009). უახლეს ლინგვისტურ კვლევებში აღიარებულია, რომ ენობრივი ცნობიერება თავს ავლენს და რეალიზდება დისკურსში.

ეს ტერმინი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიღო ე. ბენგენისტმა მეტყველების, რომელიც „მიბმულია“ მოლაპარაკესთან (*discour*) და მეტყველების, რომელიც არ არის „მიბმული“ მოლაპარაკესთან (*récit*) გასამიჯნად. სტატიაში „ტექსტი და დისკურსი როგორც ტერმინები და როგორც საყოფაცხოვრებო სიტყვები“ ვ. ხ. დემიანკოვი აანალიზებს სიტყვა „დისკურსის“ ეტინომს, რომელიც, ავტორის აზრით, გამომდინარეობს ლათინური *discurso*-დან „გაქცევა სხვადასხვა მხარეს, გადღაბნა, დაშლა, გავრცელება“, და მხოლოდ გადატანით მნიშვნელობით „თხოობა, გადმოცემა“ (2007, გვ. 86). მაგრამ უკვე გვიანდელ ლათინურში, როგორც ავტორი აღნიშნავს, ნაშრომებში გვხვდება „... *discursus* როგორც ფილოსოფიური ცნება – მაქოსებრი პროცედურა ცნობილიდან შეუცნობლისკენ და პირიქით“ (იქვე). ხოლო უკვე XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ეთნოგრაფების თხზულებებში იწყება დისკურსულობის გაგება როგორც მეტყველების გაშლა დროში, ანუ მეტყველება დროის გარკვეულ მომენტში. დროთა განმავლობაში კრცხლდება ცნება „დისკურსულიც“ – წარმოქმნილი ზედსართავი, რომელსაც აქვს იგივე აზრობრივი დატვირთვა.

მაგალითად, ლოგიკაში დისკურსი გაიგება, როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა, კლასიკურ ფილოსოფიაში კი დისკურსული აზროვნება,

რომელიც ცნებათა ან მსჯელობათა თანამიმდევრობით იშლება, უპირისპირდება ინტუიციურ აზროვნებას, რომელიც, ყოველგვარი თანამიმდევრული გაშლის გარეშე, ერთბაშად მოიხელთებს მთელს (ომიაძე, გვ. 19)

XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დისკურსის გაგება დაიწყო როგორც წინადაღებების ან სამეტყველო აქტების დაკავშირებული თანმიმდევრობა. ითვლება, რომ ამ მოვლენის არსის დამუშავებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფრანგი ისტორიკოსის, სოციოლოგისა და ენათმეცნიერის მ. ფუკს და მისი მიმდევრების (ჟ. მაასის, ზ. ეგერის, იუ. ინკის, რ. ვოდაკის) დისკურსის კონცეფციას. ამასთან, გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ტერმინები „დისკურსი“ და „ტექსტი“ ეკროპულ ლინგვისტიკაში პარალელურად იხმარებოდა. პრინციპული განსხვავებების დანახვა, დისკურსისა და ტექსტის ცნებების გამიჯვნა დაკავშირებულია ტ. ა. ვან დეიკის დისკურსული ანალიზის სკოლასთან. წამოაყენეს წინადაღება, რომ დისკურსი ტექსტის პრაგმატიზებული ფორმაა, მისი კომუნიკაციური მარკირებაა, რისი შესწავლაც შეუძლებელია კომუნიკაციის სუბიექტისა და მისი ადრესატის ფაქტორებისგან განყენებულად, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამ განაპირობა კომუნიკაციის აქტი, როგორი კომუნიკაციური ინტენცია მართავს ამ აქტს და ვინაა მისი ადრესატი. პრაგმატიზებული ტექსტის პირობათა გამოვლენა კი, თავის მხრივ, მოითხოვს ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებას, რადგანაც მათში თავს იყრის როგორც საკუთრივ ენობრივი, ასევე გარეენობრივი ასპექტები (Дейк, 1989). ამ პერიოდიდან დისკურსი განიხილება როგორც საზოგადოებრივი პრაქტიკის ენობრივი გამოხატვა, მოწესრიგებული და სისტემატიზირებული ენის მოხმარების განსაკუთრებული სახით, რომლის უკან დგას განსაკუთრებული, იდეოლოგიურად და ეროვნულ-ისტორიულად განპირობებული მენტალობა. დისკურსში, როგორც ერთიან ორგანიზმში, ერთდროულად ხორციელდება არა მარტო ენის, არამედ ენობრივი აზროვნების მრავალგვარი ასპექტები. და უკვე XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დისკურსი განიმარტება როგორც რთული კომუნიკაციური მოვლენა, როგორც ცოდნის იერარქიის სისტემა, რომელიც მოიცავს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, რომელთა გარეშეც ტექსტი ვერ გაიგება ადეკვატურად (იქვე).

დისკურსის არსებითი თვისებების გაგების ეს მიდგომა ფართოდ გავრცელდა. თუმცა, ტრადიციის გავლენა გააიგივოს ცნება „ტექსტი“ და „დისკურსი“ ფილოლოგიურ დისციპლინებში, შეიმჩნევა დღემდე. ამის შესახებ,

კერძოდ, მოწმობს მითითება ფილოლოგიური მსჯელობისას აღნიშნული ტერმინების გამიჯვნის პრინციპულ მნიშვნელობაზე, რომელიც გვხვდება ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომთა უმეტესობაში. მითითებულია აგრეთვე ის, რომ ზოგიერთი გამიჯვნა ვერ ასახავს ურთიერთდაპირისპირებული მოვლენების სისრულეს. მაგალითად: ცნება „დისკურსსა“ და „ტექსტს“ ხანდახან გაუმართლებლად მიჯნავენ ენობრივი ქმედების ორი ფორმის საფუძველზე – წერის გამოყენებისას და არ გამოყენებისას. თუმცა ასეთი მიღგომა საკმაოდ არააღეპვატურია იმის გამო, რომ კომუნიკაციური მოვლენა შეიძლება იყოს წერილობითიც და ზეპირიც, იმიტომ, რომ დისკურსი არის „ტექსტი + სიტუაცია [160].

გადმოცემის ლოგიკის კვალდაკვალ, დავაზუსტოთ ცნება „ტექსტის“ შინაარსი, რომელიც სხვადასხვაგვარად განიმარტება მკვლევარების მიერ. აზრთა პოლიფონიურობა ტექსტის არსთან დაკავშირებით მოწმობს მისი ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციის სიძნელეზე, რაც განპირობებულია ობიექტის ბუნებით, მისი მრავალგანზომილებით და მრავალწახნაგოვნებით,

ი. რ. გალპერინის აზრით, ენა როგორც ადამიანური ცნობიერების პროდუქტი, რომელიც კომუნიკაციის მიზნებისთვისაა განკუთვნილი, სისტემურად ორგანიზებულია. ამასთან დაკავშირებით ტექსტი აუცილებელია განვიხილოთ როგორც კომუნიკაციის მოწესრიგებული ფორმა, რომელიც მოკლებულია სპონტანურობას. ი. რ. გალპერინის მიხედვით, ტექსტი – ეს არის ნაწარმოები, რომელიც შედგება სახელისგან (სათაურისგან) და მთელი რიგი განსაკუთრებული ერთეულებისგან, ზეფრაზული ერთობისგან, რომლებიც გაერთიანებულია ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური სტილისტიკის კავშირით და აქვს გარკვეული მიმართულება და პრაგმატული განწყობა” (1981, 18). ამ განსაზღვრებიდან გამოდინარე ტექსტის ქვეშ აუცილებელია გავიგოთ არა ფურცელზე დაფიქსირებული ზეპირი მეტყველება, ყოველთვის სპონტანური, არაორგანიზებული, არათანმიმდევრული, არამედ მეტყველშემოქმედების განსაკუთრებული სახესხვაობა, რომელსაც აქვს თავისი პარამეტრები, განსხვავებული ზეპირი მეტყველების პარამეტრებისაგან. ზეპირი მეტყველება – ეს მოძრაობაა, დინამიკური პროცესია, რაც მას აძლევს არასტაბილურობის ნიშან-თვისებას. მოცემული კონცეფციის თანახმად, ზეპირი მეტყველების ყველა მახასიათებელი შეპირისპირებულია ტექსტის მახასიათებლებთან. ტექსტი – ეს არის სპონტანური მეტყველება ის მხოლოდ იმპლიციტურად გათვლილია

სმენით აღქმაზე; ტექსტი არა მხოლოდ ხაზოვანია, არა მხოლოდ მოძრაობაა, პროცესია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ის – სტაბილურია. მასთან არსებითია ის, რომ ტექსტს აქვს ორმაგი ბუნება – უძრაობის და მოძრაობის მდგომარეობა. დისკრეტული ერთეულების წარმოდგენილ თანმიმდევრობაში ტექსტი უძრაობის მდგომარეობაშია, და მოძრაობის ნიშნები მასში იმპლიციტურია. როდესაც ტექსტი კვლავიწარმოება, ის გადადის მოძრაობის მდგომარეობაში, რასაც გადაჰყავს უძრაობის ნიშნები იმპლიციტურ სიბრტყეში.

მაგრამ, მაგალითად, ტ. მ. ნიკოლაევა აღიარებს ტექსტს, როგორც მოვლენას, რომელსაც აქვს არსებობის ორი სახე – ზეპირი და წერილობითი (Большой Энциклопедический Словарь. Языкоznание 1998, გვ. 507).

იუ. მ. ლოტმანის თვალსაზრისით, „ტექსტის ცნება მიეკუთვნება თანამედროვე ლინგვისტიკის და სემიოტიკის ფუნდამენტურ ცნებებს. სოსიურიანული ტრადიციის თანახმად, ტექსტი განიხილება როგორც ენის მანიფესტაცია. ამ მნიშვნელობით ტექსტი უპირისპირდება ენას როგორც გამოხატული, მატერიალიზებული – იდეალურს და სივრცობრივად გამიჯნული – არასივრცობრივს. ამასთან, რადგანაც ენა ის მოწყობილობაა, რომელიც კოდირებს ტექსტს, მაშინ თავისთვად ცხადად ივარაუდება, რომ „ტექსტი ყოველთვის მოცემულია ტექსტამდე ...“ (Лотман 2002, გვ. 188-189). ხოლო ტექსტი, ლოტმანის მიხედვით, თითქმის არასდროს არ არის მხოლოდ ერთი ენის რეალიზაციის პროდუქტი: ტექსტების უმეტესობა პოლილინგვისტურია, როგორც პოლილინგვისტურია ნებისმიერი კულტურა, თუ მას ტექსტად განვიხილავთ (იქვე, გვ. 15-18).

ხოლო, მაგალითად, „კომუნიკაციური გრამატიკის“ ავტორების (Золотова, Онипенко, Сидорова 1998) მოსაზრება გამომდინარეობს შემდეგი მიზანდასახულობიდან: „ენა რეალიზდება ტექსტების სიმრავლეში, ზეპირში და წერილობითში, ან სპონტანურად, წუთიერად წარმოიშობა საყოფაცხოვრებო და საქმიანი საჭიროებისათვის, ან იქმნება ხანგრძლივი სიცოცხლისთვის მწერლების, მეცნიერების, მოზროვნეების მიერ“ (1998, გვ. 9).

ბ. მ. გასპაროვი ნაშრომში „ენა, ხსოვნა, ხატი. ენობრივი არსებობის ლინგვისტიკა“ (1996) ტექსტუალურობის თვისებას მიაწერს „ნებისმიერ ენობრივ გამონათქვამს“, რომელსაც მეცნიერი აკლასიფიცირებს როგორც „ტექსტუალურობის პრეზუმაციას“.

ტექსტის ერთ-ერთი გაკრცელებული განმარტება დასავლელი ენათმცოდნების ნაშრომებში ეკუთვნის პ. ბრინკერს: ტექსტი არის წინადაღებების კოპერენტული თანამიმდევრობა. თვითონ ტექსტი კი განიმარტება როგორც წინადაღებათა თანამიმდევრობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სინტაგმატური სუბსტიტუციით” (Brinker 1992; 1996).

ტექსტის უახლეს განმარტებებში დასავლელ ავტორებთან შეიმჩნევა მისი გარეგანი და შინაგანი ნიშნების ერთიანად გააზრების ტენდენცია; ტერმინით „ტექსტი“ „აღინიშნება კოგნიტიურად, გრამატიკულად, ილოკუციურად და საჭიროების შემთხვევაში პროსოდიულად სტრუქტურირებული შედეგი რომელიდაც (ზეპირი ან წერილობითი) პროდუცენტის ქმედებისა, რომელშიც წარმოდგენილია კონტექსტური და ადრესანტული შეფარდება და რომელიც წარმოადგენს საფუძველს რეციპიენტის კოგნიტიურად და ინტენციონალურად სტრუქტურირებული ქმედებისა“. (Филиппов 2003, 65).

წარმოდგენილი შეხედულებებიდან გამომდინარე, ტექსტის არსის გაგება რიგ ფუძემდებლურ დებულებებში არსებითად განსხვავდება. ცნება „ტექსტის“ გაგების სიმრავლე და მრავალფეროვნება დაკავშირებულია ტექსტის როგორც რთული წარმონაქმნის გაგებასთან, იმის აღიარებასთან, რომ ტექსტის, როგორც აულტურის ფენომენის კავშირი კულტურის სხვა მოვლენებთან, და უპირველეს ყოვლისა სხვა ტექსტებთან მრავალგანზომილებიანია (Ю. М. Лотман, М. М. Бахтин, Р. Барт, Ю. Кристева), მიღებობითან, რომლებიც განსაზღვრავს ლინგვისტური ანალიზის ამ ობიექტის შესწავლის სპეციფიკას.

შესაბამისად, ტექსტი არის ქმედება, რომელიც გულისხმობს ჩაღრმავებას არა მხოლოდ ენაში, არამედ კულტურაშიც.

ამრიგად, მკვლევართა უმეტესობა ტექსტის ძირითად თვისებად აღიარებს მთლიანობას და დაკავშირებულობას, რომლებიც, ერთი მხრივ, ერთმანეთისგან შედარებით დამოუკიდებელია, და, მეორე მხრივ – ვარაუდობს ერთმანეთს. ტექსტს ყოველთვის აქვს ერთი ან რამდენიმე თემა, რომლებიც დაკავშირებულია იერარქიულად. ტექსტს აქვს სტრუქტურა; ტექსტის დასრულებულობა უკავშირდება მის მთლიანობასა და თემას: ყოველი ცალკეული წინადაღების მნიშვნელობა შედგება, მათ შორის, წინა ტექსტის მნიშვნელობისგან. ტექსტი შესაძლებელია გაგებული იყოს მხოლოდ იმ პირობით, რომ მის ადრესატს შეუძლია დაიმასხოვოს და გამოიყენოს ინფორმაცია და ლოგიკური დასკვნები,

რომლებიც მიიღო წინა ტექსტის წაკითხვისას. შესაბამისად, ტექსტი არის ქმედება, რომელიც ვარაუდობს ჩაღრმავებას არა მხოლოდ ენაში, არამედ კულტურაშიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დისკურსის რაობისა და მისი გამოყენების ყველა შემთხვევის მომცველი ზუსტი და საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. ეს ცნება მოდიფიკაციას ახდენს და სახეს უცვლის ტრადიციულ წარმოდგენას სიტყვაზე, ტექსტზე, სტილზე და ენაზეც კი. (იხ., მაგ.: И. А. Стернин. О понятии коммуникативного поведения // Kommunikativ-funktionale Sprachbetrachtung. Halle, 1989, S. 279-282.). თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებული გაგებით, ტერმინი „დისკურსი“ აზრობრივად უახლოვდება ცნებას „ტექსტი“, მაგრამ ამ ტერმინით ხაზს უსვამენ ენობრივი ურთიერთობის დინამიკურ, დროში განვითარებულ ხასიათს; ამის საპირისპიროდ, ტექსტი მოიაზრება უპირატესად როგორც სტატიკური ობიექტი, ენობრივი ქმედების შედეგი. ზოგჯერ „დისკურსში“ მოიაზრება ერთდროულად ორი კომპონენტი: სოციალურ კონტექსტში ჩაწერილი ენობრივი ქმედების დინამიკური პროცესი და მისი შედეგი (ანუ ტექსტი); სწორედ ასეთი გაგება ითვლება უპირატესად [161].

ყველაზე მკაფიოდ გამოიყოვა ტერმინ „დისკურსის“ გამოყენების სამი ძირითადი კლასი, გაჯერებული სხვადასხვა ნაციონალური ტრადიციებითა და კონკრეტული ავტორების წვლილით.

პირველ კლასს განეკუთვნება ამ ტერმინის საკუთრივ ლინგვისტური მოხმარება, რომელიც ამერიკელი ლინგვისტის ზ. ჰარისის დისკურს-ანალიზის სტატიის სახელწოდებაში მოხდა. ტერმინ „დისკურსის“ ლინგვისტური გამოყენება ძალზე სხვადასხვაგარია, მაგრამ მთლიანობაში შეიმჩნევა მეტყველების ტრადიციული გაგების, ტექსტისა და დიალოგის დაზუსტებისა და განვითარების მცდელობა. ერთის მხრივ, დისკურსი მოიაზრება, როგორც სიტყვა, შერწყმული კომუნიკაციურ სიტუაციასთან და ამის შემძლეობით, როგორც კატეგორია, უფრო ნათლად გამოხატული სოციალური შინაარსით ინდივიდის სამეტყველო მოღვაწეობასთან შედარებით, დისკურსი ცხოვრებაში ჩაძირული ფენომენია.

მეორეს მხრივ, ანალიზის რეალური პრაქტიკა შერწყმულია კომუნიკაციური სიტუაციების ჩარჩოებში ინფორმაციის მოძრაობის კანონზომიერებების გამოკვლევებთან, განხორციელებულს რეპლიკების ცვლით, რითაც ხდება დიალოგური ურთიერთქმედების ზოგიერთი სტრუქტურის

რეალური აღწერა, რაც აგრძელებს სრულ სტრუქტურულ ხაზს, ამასთანავე ხაზგასმით აღინიშნება დისკურსის დინამიკური ხასიათი, რაც კეთდება დისკურსის მცნებასა და ტექსტზე, როგორც სტატიკურ სტრუქტურაზე ტრადიციული წარმოდგენის განსასხვავებლად. ტერმინ „დისკურსის“ გაგების პირველი კლასი უმთავრესად წარმოდგენილია ინგლისურენოვან მეცნიერულ ტრადიციებში.

ტერმინ „დისკურსის“ გამოყენების მეორე კლასი, უკანასკნელ წლებში გამოსულია მეცნიერების ჩარჩოებიდან და გვხვდება პოპულარულ პუბლიცისტიკაში, რომელიც ფრანგი სტრუქტურალისტებისა და პოსტსტრუქტურალისტებიდან მოდის. უპირველეს ყოვლისა კი მიშელ ფუკოდან. ამ გამოყენების უკან შეიმჩნევა სწრაფვა სტილის ტრადიციული გაგების („სტილი – ეს ადამიანია“) და ინდივიდუალური ენის დაზუსტებისაკენ.

ამგვარად, „დისკურსი“ აღწერს საუბრის ხერხს და გააჩნია განსაზღვრება – როგორი ან ვისი დისკურსი. ვინაიდან მკვლევარებს აინტერესებთ არა დისკურსი მთლიანობაში, არამედ მისი კონკრეტული სახესხვაობები, მოცემული პარამეტრების ფართო კრებულით: სუფთა ენობრივი განმასხვავებელი ნიშნებით (იმ საზღვრებში, რომლებშიც ისინი შეიძლება იყოს მკაფიოდ იდენტიფიცირებულები), სტილისტური სპეციფიკით (რასაც ბევრად განსაზღვრავს რაოდენობრივი ტენდენციები ენობრივი საშუალებების გამოყენებისას), აგრეთვე თემატიკის სპეციფიკით, დარწმუნების სისტემებით, განსჯის მეთოდებით და ა.შ. (ის, რაზეც საუბრობს დისკურსის ავტორი და ისიც, როგორ საუბრობს იგი ამაზე). ამ გაგებით დისკურსი არის სტილისტური სპეციფიკა, რომელსაც ემატება მის უკან მდგარი იდეოლოგია. უფრო მეტიც, მიაჩნიათ, რომ საუბრის ხერხი (საშუალება) ბევრად განსაზღვრავს და ქმნის თვით საგნობრივ სფეროს დისკურსისათვის, აგრეთვე მის შესატყვის სოციალურ ინსტიტუციებს. ამგვარი გაგება ასევე წარმოადგენს სოციოლოგიურს უმაღლეს ხარისხში. არსებითად, განსაზღვრება, როგორი ან ვისი დისკურსი შეიძლება განიხილებოდეს როგორც მითოთება სოციალური ქმედების სუბიექტის კომუნიკაციურ თავისებურებაზე, ამასთანავე ეს სუბიექტი შეიძლება იყოს კონკრეტული, ჯგუფური, აბსტრაქტულიც კი.

ტერმინ „დიგურსის“ მესამე კლასი დაკავშირებულია გერმანელი ფილოსოფოსის და სოციოლოგის ი. ხაბერმასის სახელთან. მესამე გაგებაში დისკურსად იწოდება კომუნიკაციის განსაკუთრებული იდეალური სახეობა,

განხორციელებული შესაძლებლობების მაქსიმალური დაშორებით სოციალური რეალობიდან, ტრადიციებიდან, კომუნიკაციური რუტინიდან და ა. შ. გააჩნია კომუნიკაციის მონაწილეთა შეხედულებებისა და ქმედების კრიტიკული განხილვისა და დასაბუთების მიზანი. ამგვარად, ჩამოთვლილი სამი მაკროგაგება და მათი სხვადასხვა სახეობები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან.

ტექსტი შეისწავლება ლინგვისტური ცოდნის სპეციალურ დარგში – ტექსტის ლინგვისტიკაში, ან ტექსტ-ლინგვისტიკაში. ტერმინ „დისკურსის“ შემოღება დაკავშირებულია კვლევის საგნის გაფართოებასთან და გამომდინარეობს შემცნების ლოგიკიდან ცნებების „მეტყველების“ და „ტექსტის“ გააზრებისას ანთროპოცენტრიზმის პოზიციიდან, სადაც თეორიული მსჯელობის ცენტრი არის ადამიანი – ენობრივი ცნობიერების მატარებელი. როგორც წერს ამასთან დაკავშირებით ვ. ზ. დემიანკოვი, „ლინგვისტიკურ ლიტერატურაში დისკურსს ყველაზე ხშირად უწოდებენ მეტყველებას (კერძოდ, ტექსტს) მის ჩამოყალიბებას ინტერპრეტატორის აზრობრივი თვალთახედვის წინ. ინტერპრეტატორი ათავსებს დისკურსის მორიგი ინტერპრეტირებადი ნაწილის შინაარსს უკვე მიღებული შუალედური ან წინასწარი ინტერპრეტაციის ჩარჩოებში. შედეგად უქმდება, აუცილებლობის შემთხვევაში, რეფერენტული არაერთმნიშვნელოვნება, განისაზღვრება ყოველი წინადაღების კომუნიკაციური მიზანი და ნაბიჯ-ნაბიჯ მუდავნდება მთელი დისკურსის დრამატურგია [162]. ასეთი ინტერპრეტაციის მიმდინარეობისას იქმნება – „რეკონსტრუირდება“ – აზრობრივი სამყარო (universe of discourse), რომელშიც ინტერპრეტატორის პრეზუმეციით, ავტორმა ააწყო დისკურსი და რომელშიც აღიწერება რეალური და სასურველი (თუნდაც არა ყოველთვის მიღწევადი), არარეალური და ა. შ. საქმის ვითარება. ამ სამყაროში ჩვენ ვხვდებით მოქმედი პირების, ობიექტების, დროის, მოვლენათა გარემოებების დახასიათებებს (კერძოდ, მოქმედი პირების ქცევას) და ა. შ. ეს აზრობრივი სამყარო მოიცავს აგრეთვე ინტერპრეტატორის მიერ გააზრებულ დამატებით დეტალებსა და შეფასებებს (მისი განუმეორებელი ცხოვრებისეული გამოცდილებით გამდიდრებულს).

ტექსტი უბრალო მატერიალური ობიექტი კი არ არის, არამედ ის არის ინტერპრეტირებადი ვერბალური ობიექტი, რომლის მიღმა შეიძლება დავინახოთ დისკურსის მიმდინარეობა. ავტორის აზრით, ეს გამიჯვნა აისახება მითითებული სიტყვების ხმარებაზე საყოფაცხოვრებო მეტყველებაში. მაგალითად, ორატორს შეიძლება სახლში დააგიწყდეს ტექსტი, მაგრამ არა

კონფერენციაზე მისი გამოსვლის დისკურსი, ხოლო მსახიობს – ტექსტი, და არა პიესის დისკურსი – ანუ, დაავიწყდეს ხელნაწერი. ამავე დროს, მსახიობს, რომელსაც დაავიწყდა ტექსტი და არა თავისი როლის დისკურსი და ავტორს, რომელმაც დათმო უფლება რომანის ტექსტზე (და არა დისკურსზე) მხედველობაში აქვთ ვერბალური კომპონენტი, ფორმულირებები ტექსტში – წინადადება წინადადებაზე, სტრუქტურა სტრუქტურაზე, მსჯელობის შედეგის შეჯამებისას, დემიანკოვი ასკვნის: „პროტოტიპური ტექსტი – საგანია, ხოლო პროტოტიპული დისკურსი – პროცესია, რასაც მოითხოვს კიდევაც მათი ეტიმოლოგია. ამიტომ ტექსტი დარჩა საყოფაცხოვრებო ენის სიტყვად, ხოლო დისკურსი გახდა და ამჟამადაც არის მეცნიერული ტერმინი ადამიანური სულიერების შესახებ. (Демьянков 2007). აღნიშნულთან ერთად ლოგიკურად გვეჩვენება საკითხი: რომელი კრიტერიუმების საფუძველზე არის შესაძლებელი გაიმიჯნოს ტექსტი, როგორც ენასა და კულტურაში დაფლული ენობრივი პიროვნების ქმედება, და ცნება „დისკურსი“?

იმის მიხედვით ტექსტი გაიგება დახურულ თუ დია სტრუქტურად, განსხვავდება წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაშია ამ სტრუქტურასთან დისკურსი. ტექსტი შესაძლებელია გაგებული იყოს როგორც დისკურსის «დაფარვის ზონა», ანუ ტექსტი – ეს არის გაჩერებული დისკურსი, დისკურსის შუალედური სტადია ან როგორც დისკურსის შედეგი.

ნაშრომში დისკურსის განმარტებისას ჩვენ ვეყრდნობით ტ. ვან დეიკის განსაზღვრებას: „დისკურსი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, არის ენობრივი ფორმის, მნიშვნელობისა და ქმედების რთული ერთობა, რომელიც შეიძლებოდა დახსიათებულიყო უკეთესად კომუნიკაციური მოვლენის ან კომუნიკაციური აქტის ცნებების დახმარებით. დისკურსი არ შემოიფარგლება ტექსტის ან თვითონ დიალოგის ჩარჩოებით. საუბრის ანალიზი განსაკუთრებით აშკარად ამტკიცებს ამას: მოლაპარაკე და მსმენელი, მათი პირადული და სოციალური დახსიათებები, სოციალური სიტუაციის სხვა ასპექტები, ეჭვებარეშე მიეკუთვნება მოცემულ მოვლენას“ (Дейк 1989, გვ. 121–122).

ამრიგად, საზღვარი ცნებებს „ტექსტსა“ და „დისკურსს“ შორის არ შეიძლება მკვეთრი იყოს. ამ ცნებების გასამიჯნი კრიტერიუმების შერჩევა დამოკიდებულია ტექსტისა და დისკურსის არსის გაგებაზე ცალკეული სამეცნიერო სკოლის შიგნით და ობიექტის შესახებ კვლევით თვალსაზრისზე, რომელიც განისაზღვრება ანალიზის ამოცანებით.

დისერტაციაში განვითარებული მიდგომის მიხედვით, დისკურსის ცნების მახლობელ ცნებად შეიძლება ჩაითვალოს „დიალოგი”, თუ „მსგავსების” წერტილად მივიჩნევთ ნებისმიერი კომუნიკაციური აქტისათვის აუცილებელი ორი ფუნდამენტური როლის – ადრესანტისა (ავტორი) და ადრესატის არსებობა. დისკურსი შეიძლება იყოს მონოლოგური. თუმცა, ეს მონოლოგურობა პრობლემის ფორმალური ასპექტია, რადგანაც მეტყველება თავისი არსით, დიალოგურია: «речь диалогична в смысле удержания ее субъектом другого-передсобои» (Старовойтенко, გვ. 447). ქ. ა. ვარძელაშვილის აზრით, „იმისათვის, რომ შედგეს სამეტყველო მოვლენა, სუბიექტს ესაჭიროება სხვის/სხვების – პირდაპირი თუ ირიბი თანდასწრება, მეგობრის, მტრის, ნებისმიერი ოპონენტის ხატი, alter ego, ცა, ღმერთი...“ (2008). ასეთ რაკურსში შესაძლებელია ვისაუბროთ გონებრივ დისკურსზე, რომელიც შეეფარდება ცნებას „შინაგანი მეტყველება“ («внутренняя речь» ლ. ს. ვიგოტსკის მიხედვით). ადამიანს შეუძლია ენის გამოყენება ენობრივი ქმედების ყოველგვარი აკუსტიკური თუ გრაფიკული ნიშნების წარმოქმნის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ენა კომუნიკაციურად გამოიყენება, ოღონდ ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად გვევლინება მოლაპარაკედ და ადრესატად.

დისკურსის ასეთი ფართო გაგება შეიძლება დავიყვანოთ შეკუმშულ ფორმულამდე: **დისკურსი = მეტყველება + ქმედება**, სადაც შესაკრებებია ენობრივი პიროვნების მეტყველქმედება. წარმოდგენილი ფორმულა შეიძლება გაიშიფროს როგორც ორი არსის შერწყმა ან ერთობა: „ენობრივი კომუნიკაციის პროცესისა და მის შედეგად მიღებული თბიექტისა ანუ ტექსტის“ (Кибрიკ 2009) [163].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ დისკურსი – ეს ლინგვისტიკის ახალი თბიექტი კი არა, ეს არის ახალი შეხედულება ადამიანის მეტყველშემოქმედებასა და ტექსტობრივ ქმედებაზე ანთროპოცენტრულ კვლევით პარადიგმაში.

ენის შესახებ თანამედროვე მეცნიერებებში შემეცნებითი განწყობები ემყარება იმ ფაქტს, რომ ენობრივი მოვლენები არ შეიძლება ადექვატურად გაიგებოდეს და აღიწერებოდეს მათი გამოყენების გარეშე, მათი დისკურსული ასპექტების გაუთვალისწინებლად. ამიტომ, დისკურსის ანალიზი ლინგვისტიკის ერთ-ერთი ცენტრალური განყოფილება ხდება. ის იხმარება როგორც გვარეობითი ტერმინი, რომელშიც ერთიანდება ენის გამოყენების ყველა სახე-

ამიტომ, ამ ნაშრომში ჩვენ აგრეთვე გამოვდივართ თვალსაზრისიდან, რომ დისკურსი – ეს არის ქმედება და მისი შედეგი (Бенвенист 1974, Арутюнова 1990, Боротько 1989, Дейк 1998 და სხვ.), ეს არის ინფორმაციული ნაკადის მოძრაობა კომუნიკაციის მონაწილეებს შორის, რომელიც წარმოადგენს ენობრივი პრაქტიკისა და ექსტრალინგვისტური ფაქტორების როლს ერთობას (Уханова 1998). დისკურსის შემსწავლელ დისციპლინათაშორის მიმართულებას, ასევე ლინგვისტიკის შესაბამის განყოფილებას ეწოდება დისკურსის ანალიზი (discourse analysis) ან დისკურსული კვლევები (discourse studies).

დისკურსის ანალიზი როგორც სამეცნიერო დისციპლინა შედგება შემდეგი ძირითადი განყოფილებებისგან (ბუნებრივია, რომ წარმოდგენილი კლასიფიკაცია მოცემულია პუნქტირით):

- დისკურსის სახესხვაობების ტიპოლოგია (ტაქსონომია, კლასიფიკაცია);
- დისკურსის კომპონენტური სტრუქტურა;
- დისკურსული და ენობრივი მოვლენების კავშირი.

თუ მივიჩნევთ, რომ დისკურსი არის ტექსტი, „აღმოჩენილი“ სუბიექტის მიერ კომუნიკაციის პროცესში, მაშინ დისკურსის ანალიზის საგანი ხდება აღმოჩენის პროცესიც, როგორც მოლაპარაკისთვის/დამწერისთვის, ასევე მსმენელისთვის/მკითხველისთვის, ან მთარგმნელისთვის, ინტერპრეტატორისთვის. ტექსტი გარდაუგლად ისრუტავს მთელ რიგ მნიშვნელობებს ან ყოველგვარ ასპექტებს, სახეობებს, შინაარსის ტიპებს. მასში არის მნიშვნელობა, რომელსაც დებენ კომუნიკაციის სუბიექტები და მნიშვნელობა, რომელიც ჩნდება მეტყველების გაჩენისა და აღქმის კომუნიკაციური და სიტუაციური პლანის შერწყმით. ეს არის აგრეთვე მნიშვნელობა, გაჩენილი მეტყველების მახასიათებლებითა და ქცევით, ასევე კომუნიკანტების მრავალგვარი გამოცდილებით: ინტელექტუალურით, ეროვნულ-კულტურულით, ისტორიულით, ენობრივით, მეტყველებით, სოციალურით, ესთეტიკურით და ა. შ. (Уханова-Шмыгова 2002, გვ. 10).

რადგანაც ინდივიდების ქმედება და ურთიერთქმედება ხდება გარკვეულ კომუნიკაციურ გარემოში, კომუნიკაციის გარკვეულ საზოგადოებრივ სფეროში, საუბრობენ ინსტიტუციონალურ დისკურსზე (პოლიტიკური დისკურსი, რელიგიური დისკურსი, პედაგოგიური დისკურსი, საქმიანი დისკურსი,

სამრეწველო დისკურსი და ა. შ.). დისკურსი ორიენტირებულია მრავალ კომუნიკატიურ-პრაგმატულ ფაქტორზე. ამიტომ დისკურსის ტიპების კლასიფიკაცია, რომელსაც ნაშრომში ვემხრობით, ეყრდნობა მისი აზრის პრაგმატულ საფუძველს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტიპოლოგიის საფუძველში შეიძლება იყოს სხვა კრიტერიუმებიც, მაგალითად, ინფორმაციის გადაცემის არხი, ანუ **დისკურსის მოდუსი**: აკუსტიკური (ზეპირი დისკურსი) და ვიზუალური (წერითი), ზოგიერთი მეცნიერი ასევე საუბრობს უსტების მოდუსის გამოყოფაზეც. ასევე გამოყოფენ სუბმოდუსებს (ინფორმაციის მატარებლის ტიპის მიხედვით), მაგალითად ჩვენი დროის რეალობა – ელექტრონული მოდუსი, რომელიც იყენებს ინფორმაციის დაფიქსირების გრაფიკულ საშუალებას, მაგრამ ზეპირი დისკურსის მსგავსად გამოირჩევა წარმავალობით და არაფორმალური ხასიათით; Talk (ან Chat) რეჟიმში ურთიერთობა, რომლის დროსაც ორი მოსაუბრე კომპიუტრული ქსელით „საუბრობს“: ეკრანის ერთ მხარეს დიალოგის მონაწილე წერს თავის ტექსტს, ხოლო მეორე მხარეს შეუძლია დაინახოს თანამოსაუბრის ასო-ასო გამოსახული ტექსტი. ელექტრონული კომუნიკაციის თავისებურებების კვლევა თანამედროვე დისკურსის ანალიზის აქტიურად განვითარებადი სფეროა.

დისკურსის მრავალსახეობათა შორის უფრო ხშირი განსხვავებები აღიწერება ჟანრის გაგების საშუალებით. ა. ა. კიბრიკი მას უწოდებს „მოდუსთან მიმართებაში ორთოგონალურს [164]. ლიტერატურათმცოდნეობიდან ნასესხები ეს ტერმინი საკმაოდ ხშირად გამოიყენება დისკურსის ანალიზში. ცნობილია, რომ არ არსებობს ჟანრების ამომწურავი კლასიფიკაცია, მაგრამ შესაძლებელია გამოიყოს: ყოფითი დიალოგი (საუბარი), მოთხოვნა (ნარატივი), ინსტრუქცია ხელსაწყოს გამოყენების შესახებ, ინტერვიუ, რეპორტაჟი, მოხსენება, პოლიტიკური გამოსვლა, ქადაგება, ლექსი, რომანი. ამასთან ერთად, აღიარებულად ითვლება, რომ ჟანრებს გააჩნიათ ერთგვარი მეტ-ნაკლებად მდგრადი მახასიათებლები. ასე მაგალითად, მოთხოვნას უნდა ჰქონდეს სტანდარტული კომპოზიცია (კვანძის შეკვრა, პულმინაცია, კვანძის გახსნა). ასევე უნდა გააჩნდეს ზოგიერთი ისეთი ენობრივი თავისებურება, რომორიცაა კარკასი, შემდგარი დროში მოწესრიგებული მოვლენებისგან, რომლებიც აღწერილია ერთი ტიპის გრამატიკული ფორმებით (მაგ., წარსული დროის ზმნებით) და რომელთა შორისაც არსებობს მაკავშირებელი ელემენტები (მაგ., კავშირი *nomos, then*). ამერიკელი ლინგვისტის ჯ. ბაიბერის (1989) კვლევაში

ნაჩვენებია, რომ ბევრი ქანრისათვის ერთობ ძნელია მდგრადი ფორმალური მახასიათებლების გამოყოფა (ამის შესახებ იხ.: A. A. Кибрек 2009: Модус, жанр и другие параметры классификации дискурсов). ბაიბერმა შემოგვთავაზა, ქანრები განვიხილოთ როგორც პულტურის კონცეპტები, რომელთაც არ გააჩნიათ მდგრადი ენობრივი მახასიათებლები და დამატებით გამოვყოთ დისკურსის ტიპები ემპირიულად შესასწავლ და რიცხვობრივად გასაზომი ისეთი პარამეტრების საფუძველზე, როგორიცაა წარსული დროის ფორმების, ზმნისწინების, პირის ნაცვალსახელების და სხვ. გამოყენება.

პოლიტიკური დისკურსი მრავალმხრივი და მრავალუანრობრივი მოვლენაა, რომლის შიგნითაც განასხვავებენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო დისკურსებს, ოპოზიციისა და მმართველი პარტიის დისკურსებს. ასე მაგალითად, საპარლამენტო დისკურსისათვის დამახასიათებელია შემდეგი ქანრები: მოხსენება, გამოსვლა, რეპლიკა, ოფიციალური სადეპუტატო მოთხოვნა, კითხვა, ინფორმაცია, სადისკუსიო გამოსვლა. საპრეზიდენტო დისკურსი გამოირჩევა, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს მეთაურის სამეტყველო ქვეყნის სტატუსურ-როლური ბუნებით, რომელშიც სჭარბობს ურთიერთობის სერიოზული მოდუსი. მისთვის დამახასიათებელია ფორმალური (ოფიციალური) კომუნიკაციის სტილისტური მოთხოვნების დაცვის სოციალური ვალდებულება და ზეპირი და წერითი მეტყველების ფორმების ურთიერთგავლენა და ურთიერთდამოკიდებულება. ამასთან ერთად, პრეზიდენტის მეტყველება გაიგება როგორც პოლიტიკური ქმედება, საპრეზიდენტო დისკურსი ასრულებს საზოგადოებრივი აზრისა და ქვეყნის მოქალაქეების ღირებულებებისადმი განწყობების კონსტრუირების ფუნქციას.

პოლიტიკური დისკურსის ფართე დიაპაზონს განაპირობებს ინტენციის ხასიათი. ამიტომ მასში შეიძლება გამოიყოს:

- რიტუალური ქანრები (პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვა, საიუბილეო სიტყვა, პრეზიდენტის მიმართვა, ტრადიციული რადიო ან სატელევიზიო განცხადება);
- მიზნობრივი საორიენტაციო ქანრები (საინფორმაციო-მიწერილობითი ხასიათის ტექსტები: პარტიის პროგრამა, მანიფესტი, კონსტიტუცია, საანგარიშო მოხსენება, განკარგულება, ინტერვიუ, პრეს-კონფერენცია და მისთ.);

- აგონალური უანრები<sup>14</sup> (ლოზუნგი, სლოგანები, დევიზები, სარეკლამო სიტყვა, წინასაარჩევნო და საპარლამენტო დებატები, სატელევიზიო დებატები).

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ერთი უანრის დისკურსებს აქვთ მეტნაკლებად საერთო საკომუნიკაციო მიზნები, რომელიც აღიარებულია ლინგვისტიკურ/დისკურსული საზოგადოებების მიერ. ამიტომ, გარკვეული უანრის დისკურსის შექმნის ცოდნა ნიშნავს შეუერთდე შესაბამის დისკურსულ საზოგადოებას. ამასთან ერთად, თითოეული უანრის დისკურსი არაერთგვაროვანია ისეთი პარამეტრის კუთხით, როგორიცაა **გადმოცემის ტიპები** ანუ **პასაჟების ტიპები**. ჩვეულებრივ გამოარჩევენ პასაჟების შემდეგ ტიპებს:

- თხრობითი (ნარატიული);
- აღწერითი (დესკრიფიული);
- განმარტებითი (ექსპოზიტორული);
- ინსტრუქციული;
- დარწმუნებითი (არგუმენტაციული).

ითვლება, რომ უანრებისაგან განსხვავებით, პასაჟების ტიპები ხასიათდება პომოგენურობით და შეიძლება პქონდეთ ტიპიური ენობრივი ნიშან-თვისებები. მაგალითად, აღწერაში ჭარბობს სტატიკური პრედიკაციები, განმარტებით პასაჟში – დიდი რაოდენობით განზოგადების მარკერები, ა. შ.

დისკურსის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ფუნქციონალური სტილი, რომელსაც განსაზღვრავს ადამიანის საქმიანობის სფერო. ნიშანდობლივია, რომ ფუნქციონალური სტილი არ შეიძლება უანრს გავთანაბროთ, რადგან უანრი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ფუნქციონალურ სტილს და ასევე, ერთი და იგივე ფუნქციონალური სტილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა უანრში.

დისკურსის ანალიზისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია „ფორმალურობის” მაჩვენებელი, რომელიც ემყარება დისკურსის ადრესატსა და ადრესანტს შორის სოციალური მიმართების ხასიათს. ამ მაჩვენებელს ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს „შინაური/უცხოს” («свой/чужой», Кодзасов 2002) ან „თავაზიანობის კატეგორიას”, „თავაზიანობის პრინციპს” (Scollon and Scollon 2001; Brown and Levinson 1987).

მოცემული მაჩვენებლის მახასიათებლები ზეპირ დისკურსში გულისხმობს ფონეტიკური რედუქციისა და სხვადასხვა რიტუალური გამოთქმების გათვალისწინებას. რიტუალური გამოთქმები ვრცელდება წერით მოდუსზეც, მაგალითად, მისალმებისა და დამშვიდობების ფორმები. უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალური მაჩვენებელი ვერ იქნება გათანაბრებული ფუნქციონალურ სტილთან იმდენად, რამდენადაც დასაშვებია წარმოვიდგინოთ ფორმალური ურთიერთობა ყოფით ფუნქციონალურ სტილში და არაოფიციალური ურთიერთობა, მაგალითად, სამეცნიერო სემინარის მსვლელობისას.

ამრიგად, ჩამოთვლილი კრიტერიუმები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მდგრადი და ცვლადი ნიშან-თვისებების არსებობით, რომლებსაც რეალურ დისკურსში შესაძლებლობათა მრავალგვარი კომბინაციის შექმნა შეუძლიათ.

პოლიტიკური დისკურსის პარამეტრების დაზუსტებასა და თავისებურებების ანალიზს, იმ ფაქტორების აღწერას, რომელიც გავლენას ახდენს მის ეფექტურობაზე, ასევე მეორეული ნომინაციის ენობრივი საშუალებების, როგორც სამეტყველო ზემოქმედების საშუალებების კვლევას თანამედროვე რუსულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში ეძღვნება შემდგომი კვლევა.

## თავი II

### პოლიტიკური დისკურსის თავისებურებანი

#### 2.1. პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურაწარმომქმნელი პარამეტრები

ერბალურ, ლინგვისტიკურ ლიტერატურაში პოლიტიკური დისკურსი წარმოდგენილია როგორც მრავალასპექტიანი და მრავალპლანიანი მოვლენა. ის გაიგება როგორც იმ ელემენტთა კომპლექსი, რომელიც ერთ მთლიანობას ქმნის.

ა. ნ. ბარანოვისა და ე. გ. კაზაკევიჩის მიერ შემოთავაზებული განმარტებით, პოლიტიკური დისკურსი არის ერთობლიობა „პოლიტიკურ დისკუსიებში გამოყენებული ყველა სამეტყველო აქტისა და აგრეთვე საჯარო პოლიტიკის წესებისა, რომელიც გამყარებულია ტრადიციით და შემოწმებულია

გამოცდილებით” (Баранов, Казакевич, 1991, გვ. 6). ვ. ა. მასლოვას მასში შეაქვს „ტექსტების წარმოქმნისა და აღქმის პროცესი და შედეგი პლიუს ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ წარმოქმნასა და აღქმაზე” (2008, გვ. 43). ე. ი. შეიგალი კვლევაში «Семиотика политического дискурса» (2000) ამტკიცებს, რომ პოლიტიკურ დისკურსს ორი განზომილება აქვს: რეალური (სამეტყველო ქმედება, რომელიც მიმდინარეობს გარკვეულ სოციალურ სივრცეში, ასევე ამის შედეგად წარმოქმნილი სამეტყველო ნაწარმოებები – ტექსტები) და ვირტუალური (პოლიტიკის სამყაროს ვერბალური და არავერბალური სემიოტიკური სივრცე, რომელიც შეიცავს გამონათქვამთა თეზაურულს, მოცემულ სფეროში ურთიერთობისათვის სპეციფიკური სამეტყველო ქმედებების მოდელთა და ჟანრების კრებულს). ეს აზრი ეხმიანება მ. ვ. ილინის გამონათქვამს: „პოლიტიკის ენობრივი ასპექტების მნიშვნელოვნების მიუხედავად, ის მხოლოდ სამეტყველო აქტებით არ შემოიფარგლება. პოლიტიკაში ძალიან ბევრი სხვადასხვა სახის ქმედებაა, რომელიც გაჯერებულია სიმბოლიკით, აზრით. ეს არის მანიფესტაციებიც და პოლიტიკური დებატებიც, ყველანაირი პროცედურებიც და ცერემონიებიც. ყველა მათგანი გარკვეულ ნიშნებზეა აგებული. ეს ნიშნები გამოიყენება შეგნებულად და სისტემატურად. ამიტომ არ შეიძლება არ ვალიაროთ, რომ დისკურსი მოიცავს პოლიტიკოსთა და მოქალაქეთა მთელ სიმბოლურ საქმიანობას. სწორედ ეს შეადგენს დისკურსის თანამედროვე გაგების არსს [165].

იმისათვის, რომ სინამდვილის რაიმე ფრაგმენტი დისკურსად მივიჩნიოთ, საჭიროა, რომ ის შედგებოდეს ელემენტი-ნიშნებისაგან (სიტყვარი), რომლებიც ლოგიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს კოდით და ქმნიან შეტყობინებას ვინმესგან ვინმესათვის. სიტყვარი, კოდი და შეტყობინება შეესაბამება სამ სემიოტიკურ დონეს – სემანტიკას, სინტაქსის და პრაგმატიკას. პოლიტიკასთან მიმართებაში, ეს დაყოფა ჩამოაყალიბებს ჩარლზ მერიამმა (Ch. Merriam) და ჰერალდ ლასუელმა (H. Lasswell). კერძოდ ჩარლზ მერიამი გამოყოფს ორ არსებით მომენტს. პირველი არის ძალაუფლების სიმბოლოები და ნიშნები, რომელსაც ის უწოდებს მირანდას (miranda), ანუ „აღტაცების ღირსი რამ“ (ზოგჯერ ის ასევე იყენებს ანტინომიურ ცნებას ჰორენდა (horrenda), ანუ „ძრწოლის მომგვრელი რამ“. მეორე მომენტია კრცელი კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ Miranda-ს და horrenda-ს, ასევე მათ გამაერთიანებელ პოლიტიკურ ფუნქციებს. ამ კომპლექსებს მეცნიერი უწოდებს კრედენდას (credenda), ანუ „ის, რასაც უნდა

ვენდოთ”. (ამის შესახებ იხ.: М. В. Ильин. Перспективы политического дискурс-анализа в России: <http://discourse-pm.ur.ru/discours6/ilin2.php>). კოლექტიურ შრომაში “Politically speaking: a worldwide examination of language used in the public sphere” მკვლევარები აყალიბებენ დებულებას, რომლის თანახმადაც, პოლიტიკური დისკურსი არის ენის აქტუალური გამოყენება ურთიერთობის სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში და უფრო ფართედ, ურთიერთობის საჯარო სფეროში. ეს დებულება ეყრდნობა იდეას იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ფუნქცია ახასიათებს პრაქტიკულად ყველა საჯარო გამონათქვამს. „პოლიტიკური ენის” როგორც საჯარო სფეროში გამოყენებული ენის ასეთი ფართე გაგება ითვალისწინებს მასმედიას ძალაუფლებას, ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას, გლობალიზაციის პროცესების გაფაროებასა და პოლიტიკური კომუნიკაციის კომერციალიზაციას. ტექსტის პოლიტიკური კუთვნილება განისაზღვრება თემატიკით და მისი ადგილით პოლიტიკური კომუნიკაციის სისტემაში (Politically speaking 1998, 36).

ტერმინის „პოლიტიკური დისკურსი” განსაზღვრის საკითხის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დღეისათვის არ არსებობს მისი საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება. კვლევებში ის მოიაზრება ვიწრო და ფართე გაგებით. ვიწრო გაგებით, პოლიტიკური დისკურსი დისკურსის სახესხვაობაა, რომლის მიზანიცაა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და განხორციელება. ფართე გაგებით, პოლიტიკურ დისკურსად მიიჩნევა ურთიერთობის ისეთი ფორმები, რომლებშიც პოლიტიკის სფეროს მიეკუთვნება თუნდაც ერთი ამ შემადგენელთაგანი: სუბიექტი, ადრესატი ან შეტყობინების შინაარსი.

დისკურსის ანალიზისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, გაირკვეს პასუხი კითხვაზე: რა პარამეტრები უნდა გამოიყოს დისკურსული სივრცის მასტრუქტურირებელი ნიშან-თვისებების სახით, რომლებიც განუწყვეტლივ მოძრაობაში არიან, და, შესაბამისად, არა აქვთ მკაფიო კონტურები? ჯერ კიდევ მ. ფუკომ, დისკურსის არსობრივი მახასიათებლების შემუშავებისას, გამოყო „გარეგანის წესი: სგლა არა დისკურსისგან მისი შინაგანი დაფარული ენისკენ, არამედ დისკურსის ათვლის წერტილად ჩაითვალოს მისი გაჩენა და რეგულარობა, ვიმოძრაოთ მისი შესაძლებლობის გარეგანი პირობებისკენ, იმისკენ, რაც მიუჩენს ადგილს ამ მოვლენათა შემთხვევით სერიას, რაც აფიქსირებს მათ საზღვრებს” (1996, გვ. 51-52). გარეგან

პროცედურებს მ. ფუკო აკუთვნებდა, ე. წ., „გამორიცხვის წესებს” („ტაბუ ობიექტზე, გარემოებათა რიტუალი, მოლაპარაკე სუბიექტის პრივილიგირებული ან განსაკუთრებული უფლება”) და „დაყოფისა და უკუგდების” პროცედურებს, რაც შეესაბამება აზროვნების ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა „ჭეშმარიტი/მცდარი”. შინაგან პროცედურებს ის მიაკუთვნებდა დავიწყების პრინციპს („დისკურსები, რომლებიც ქრება იმ აქტებთან ერთად, რომელშიც ისინი გამოითქვა”), კომენტარის პრინციპი, დისციპლინის პრინციპი, რომელიც განისაზღვრება ჭეშმარიტებად მიღებული წესებით და დებულებებით, „მოლაპარაკე სუბიექტების გამეჩერების” პრინციპი: დისკურსის წესრიგში არასოდეს არ ჩაერთვება ის, ვინც ვერ აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს ან თავიდანვე არა აქვს ამის უფლება”, „დოქტრინის პრინციპი” („დოქტრინა იყენებს გამოთქმების ზოგიერთ ტიპს, რათა დააკავშიროს ინდივიდები ერთმანეთთან და ამით განასხვაოს ისინი სხვა დანარჩენებისგან”, „ავტორის პრინციპი” (ავტორის სახელი და ავტორიტეტი ზოგიერთ კულტურაში).

მ. ფუკოს კონცეფციაში, როგორც აღნიშნავს ო. გ. რევზინა, ადვილად შესამჩნევია კავშირი აქტსა და კომუნიკაციის არხს შორის, გამგზავნთან, ადრესატთან, შეტყობინების აგების ხერხთან და „არაენობრივ სამყაროსთან<sup>8</sup> (2005, გვ. 67). უფრო მეტიც, ფუკოს მიერ ჩამოთვლილი რიგი პრინციპების ქმედება დისკურსის ტიპების შესაბამისია, რომელთა გამოყოფა მიღებულია ფუნქციონალურ ლინგვისტიკაში: მაგალითად, დავიწყების პრინციპი ვრცელდება, უპირველეს ყოვლისა, ზეპირ დისკურსზე – სალაპარაკო მუტყველებაზე, ავტორის პრინციპი – მხატვრულ მეტყველებაზე, დისციპლინის პრინციპი – ოფიციალურ-საქმიანზე.

გვარაუდობთ, რომ პოლიტიკური დისკურსისთვის გამოსაყენებლად, გარეგანი პროცედურების კატეგორიებიდან, რომლებიც გამოყო მ. ფუკომ, ამ რაკურსით შესაძლებელია გაგებული იქნას „გამორიცხვის წესებიც”. მაგალითად, „გარემოებათა რიტუალი”, პრივილეგირებული ან მოლაპარაკე სუბიექტის „განსაკუთრებული უფლების” პროცედურების რეალიზაცია ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელი პოლიტიკოსის დისკურსულ მოღვაწეობაში. არგუმენტის სახით ვისარგებლოთ პოლიტიკის ძირითადი კომპონენტების ენციკლოპედიური ნუსხით: „1) ხელისუფალთა

<sup>8</sup> ლინგვისტური პოზიციებიდან ყველა ეს ასპექტი გაშუქებულია მოცემული ნაშრომის წინა თავში.

არსებობა, მათი, ვინც ძალაუფლებას ახორციელებს; 2) ხელისუფლებას დაქვემდებურებულთა არსებობა, მათი, ვისზეც ხორციელდება ძალაუფლება; 3) ძალაუფლების ნორმები, ანუ ძირითადი კანონები, პროცედურები, წესები; 4) სანქციები ნორმების დარღვევისთვის და ჯილდო მათი შესრულებისთვის. ამ ოთხი ელემენტის მიღმა დგას შესაბამისი ინსტიტუტები და ქვევის მიღებული ნიმუშები. ისტორიული განვითარებისას ისინი იცვლება” (Социология. Энциклопедия 2003).

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვარაუდობს რევზინა, მ. ფუკო არ სვამს კითხვას, რატომ განსხვავდება დისკურსული ფორმაციები ენის მიხედვით, დისკურსის მისი განსაზღვრება აგებულია ვერბალურ ასპექტზე; ხოლო მთავარი კითხვა თუ საერთოდ რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან დისკურსული ფორმაციები, მან ფსიქოანალიზის სიბრტყეში გადაიტანა.

ენათმცოდნეობის განვითარების ობიექტურმა ლოგიკამ, რომელშიც შესწავლის საგანი თანმიმდევრობით მიიწევდა ფორმალური ენობრივი სტრუქტურების კვლევიდან მათი შინაარსის ანალიზისკენ, მეტყველებაში ენობრივი ერთეულების ფუნქციონირებისკენ, კულტურით და სოციალური გარემოთი მოტივირებული სამეტყველო აზროვნებითი ქმედებისკენ, განაპირობა ლინგვისტური პრობლემების წრეში იმ საკითხების ჩართვაც, რომლებიც ეხება ონტოლოგიასა და დისკურსის თვისობრივ მახასიათებლებს. ეს საკითხები წყდება ინტეგრაციულ ჭრილში, კოგნიტივისტიკის, პრაგმატიკის, სამეტყველო აქტების თეორიის, ინტერაქტუალურობის, სოციოლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის მონაცემების ჩართვით.

გამოყოფილი კრიტერიუმების საფუძველზე ობიექტი სხვადასხვა რაკურსიდან გამოიკვლევა, რაც საგანზე სამეცნიერო ცოდნას აღრმავებს. დისკურსი სულ უფრო ხშირად განიმარტება როგორც „უფლებამოსილი რესურსი, რომელიც თავისთავად წარმოადგენს აღნიშვნის, ინტერპრეტაციის, შეფასების, საზოგადოებრივი სუბიექტების პოზიციონირების და იდენტიფიკაციის ხერხების სისტემას, რეალობის ობიექტების ურთიერთობებს, რომლებიც მაგრდება და ლეგიტიმირდება სოციალური ინსტიტუტებით” (Русакова, Русаков 2008) [167].

სპეციფიკის პოზიციიდან დისკურსის შესწავლის შედეგად, მკაფევართა ყურადღება მიიპყრო ცალკეულმა სპეციალიზირებულმა დისკურსულმა ფორმებმა, რომლებიც დაკავშირებულია ინსტიტუციური კომუნიკიციის სხვადასხვა სახეობებთან: სამართლის დარგი, ბიზნესის,

პოლიტიკის, სხვდასხვა საკონსულტაციო და ბიუროკრატიული სამსახურები. ინსტიტუციური დისკურსი განიმარტება როგორც სტატუსურ-როლებრივი ურთიერთობის სისტემა, რომელიც ეწყობა გარკვეული სოციალური ინსტიტუტის ფუნქციონირების კომუნიკაციურ სივრცეში. ამ სისტემის ჩარჩოებში „ხორციელდება სიმბოლური იძულების ძალაუფლებრივი ფუნქციები, ნორმატიული მიწერილობის და სამყაროს ხედვის განსაზღვრული ხერხების ლეგიტიმაციის, სამყაროს შეგრძნების, ღირებულებითი ორიენტაციების ვაქტორებისა და ქცევის მოდელების ფორმით [167]. ცალკეული ინსტიტუციური დისკურსი გენერირებს სოციალურ პრაქტიკას, აწესებს და არეგულირებს შეფასებით ადქმას, გარკვეულ კოგნიტიურ ბაზას და ახდენს ობიექტების სტრუქტურირებას ოპოზიციაში „ნორმა—არა ნორმა“.

ინსტიტუციური დისკურსის სტრუქტურული კომპონენტების საკითხზე გადასვლისას აუცილებელია ადინიშნოს, რომ ნებისმიერ ინსტიტუციურ დისკურსში გამოიყოფა შემდეგი კომპონენტები:

- წარმოდგენა მოცემული ინსტიტუტის სოციალურ მისიაზე;
- განსაკუთრებული ენა, პროფესიულის ჩათვლით, რომლის გამოყენება მიღებულია კონკრეტულ ინსტიტუციურ კომუნიკაციაში ჩართვისას;
- კომუნიკაციის ტიპურ-მოვლენითი სტატუსურ-როლებრივი ნორმატიული მოდელი, რომლის რეალიზაციას აიძულებს კონკრეტული ინსტიტუციური დისკურსი;
- საბაზო ღირებულებათა სისტემა, ტრანსლირებული და შთაგონებული ინსტიტუციური კომუნიკაციების საშუალებით;
- ინსტიტუციური დისკურსის ძირითადი სტრატეგიები;
- ინსტიტუციური დისკურსის ჯანრები;
- პრეცედენტული ტექსტები;
- ტიპური დისკურსული ფორმულები (ფრაზეოლოგიზმები, ანეკდოტები, ჟასტები, დრეს-კოდი და ა. შ.) (იხ., მაგ.: Русакова О.Ф., Русаков В. М. «PR-Дискурс: Теоретико-методологический анализ», 2008).

ვისახავთ რა ამოცანად გამოვყოთ და აღვწეროთ პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურაზარმომქმნელი პარამეტრები, ჩვენ ვეყრდნობით დისკურსის თეორიის ავტორიტეტულ მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომების ანალიზს, გამოთქმული დებულებებისა და თვალსაზრისის შემდგომ ინტერპრეტაციას. ამან მოგვცა

საფუძველი მოვარგოთ ის დისკურსის კონკრეტულ ინსტიტუციურ სახესხვაობას. ლიტერატურაში უკვე აღწერილი აუცილებელი პარამეტრების რაოდენობაში, რომლებიც ახდენენ დისკურსის, როგორც მთლიანის სტრუქტურირებას, შემოგვაქვს დამატებითი პარამეტრები, რომლებიც, ჩვენი თვალსაზრისით, ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ სტრუქტურაწარმომქმნელ პარამეტრებს და ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული ანალიზისას.

ასე მაგალითად, ო. გ. რევზინას შემოაქვს ცნებები „დისკურსის წარმოება და მოხმარება”, „კომუნიკაციური უზრუნველყოფა”, „დისკურსული ფუნქციები”, „ინტერაქტუალური ურთიერთქმედება”. მოვიყვანოთ ამ პარამეტრების აღწერილობა და პოლიტიკური დისკურსის ანალიზისთვის მათი მიერთების საფუძველი.

პარამეტრი „დისკურსის წარმოება და მოხმარება” ვარაუდობს ენობრივი პიროვნების თავისებურებათა გათვალისწინებას, რომელიც ამავდროულად აჩენს და შეიცნობს დისკურსს. ეს ასპექტი დაკავშირებულია ინდივიდის კოგნიტიურ მოდვაწეობასთან, რომელიც ხორციელდება ენაში. დისკურსში მონაწილეობისათვის ინდივიდი უნდა ფლობდეს ცოდნისა და უნარების ერთგვარ ერთობლიობას (სამეტყველი ტაქტიკისა და სტრატეგიის ცოდნა, სამეტყველო პრაქტიკაში მონაცვლე როლების ცოდნა და ა. შ.). ყველა ეს მახასიათებელი ენობრივი პიროვნების ტიპის მიერ არის ნაკარნახევი. აქ ჩვენ არ შევჩერდებით ცნება „ენობრივ პიროვნებასთან” დაკავშირებული საკითხების გაშუქებაზე, რადგანაც მოცემული კვლევისათვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე მისი გაგების ძირითადი მიდგომები, დისტინქტური ცნების „დისკურსული პიროვნების” („კომუნიკაციური პიროვნების” სახესხვაობა) ჩათვლით, გადმოცემულია ნაშრომის 1.3. პარაგრაფში. მაგრამ, ხაზს ვუსვამთ, რომ პოლიტიკური დისკურსისთვის ეს პარამეტრი შეიძლება გახდეს საკანძო. ასე მაგალითად, ა. ბერგშტრესერი განმარტავს რა პოლიტიკას, ამბობს: „პოლიტიკაში ჩვენ ვგულისხმობთ ხელოვნებას მოვაწესრიგოთ და განვახორციელოთ ხალხზე ხელმძღვანელობა” (ციტ.: Социология. Энциклопедия 2003).

შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსი (მოდუსის მიუხედავად) იქმნება ენობრივი პიროვნების ისეთი ტიპის მიერ, რომელსაც შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია/ამბიცია განსაკუთრებულ გავლენაზე, აქვს ნებისყოფა და ძალა, რომ შეეძლოს მუდმივად საბრძოლო მდგომარეობაში ყოფნა, შეუძლია მდგომარეობის

და იერარქიის შენარჩუნება ან წინსვლისას შეუძლია თავისი დამოკიდებულების დემონსტრირება იმ იდეების მიმართ, რომლებსაც ცხოვრებაში ატარებს. ამ პიროვნებას უნდა ჰქონდეს სწრაფი რეაქცია, „კომუნიკაციური ენერგეტიკა”, ანუ, უნდა შეეძლოს ლაპარაკი და დარწმუნება, ამასთან, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი ელემენტი (თუ ა. ბერგშტრესერის აზრს გამოვიყენებთ), ასეთი პიროვნებისთვის უცხო არ არის თეატრალურობის ელემენტებიც. პოლიტიკური ლიდერები გარკვეული იმიჯის მატარებლები ხდებიან, რაც მათ ხდის ცნობადს. ამ სახეში შედის ზოგიერთი რიტუალი, წესები, ნიშნები, რომლებიც დასამახსოვრებელია და მათ ცნობადობას უწყობს ხელს. მაგალითად, ჩერჩილის სიგარა, სტალინის ჩიბუხი. ამავე რიგს მიაკუთვნებენ მკვლევარები ნოვატორულ ცხოვრებისეულ სტილს. ყველა იმ ფაქტორს, რომელიც ემსახურება აუდიტორიაზუ/ელექტორატზე ზეგავლენას, საქმაოდ ხშირად უწოდებენ პოლიტიკური მოდგაწის ქარიზმას. „თუ შევაჯამებთ ყველა ძირითად ქარიზმატულ თვისებებს, მათთვის საერთო აღმოჩნდება ყოველდღიური კომუნიკაციის საზღვრებიდან მუდმივი გამოსვლა, ტრანსგრაფია, რომელიც რუტინული კონტაქტის საზღვრებს არღვევს. წარმოსახვით სივრცეში კონტაქტის საზღვარზე იქმნება განსაკუთრებული ენერგეტიკული ველი, ძალიან მიმზიდველი მათთვის, ვინც იქ აღმოჩნდება” (Сосланд) [168].

ამრიგად, საქმე ეხება ექსტრა და საკუთრივ ლინგვისტური ფაქტორების შეთანხმებას, რომლებიც მონაწილეობენ დისკურსის სტრუქტურის ფორმირებაში ან ახდენენ მასზე გავლენას.

**პარამეტრი „კომუნიკაციური უზრუნველყოფა“ დაფუძნებულია კომუნიკაციის არხის განხორციელების იდეაზე, რომელიც დამუშავებულია სამეტყველო აქტების თეორიასა და კომუნიკატივისტიკაში. კომუნიკაციის არხის დადგენა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დისკურსი, იძლევა საფუძველს დისკურსის ტიპების გასამიჯნად (ზეპირი, წერილობითი, ინტერნეტ-დისკურსი) და მისი შემდგომი ანალიზისთვის. ეს პარამეტრი მოიცავს აგრეთვე ცნება „კოდს“, ანუ ენას, რომელიც მატერიალურს ხდის დისკურსს.**

ანალიზში, ცნება „კოდის“ შემოღება იძლევა საშუალებას მოხდეს კოგნიტიური ლინგვისტიკის და ლინგვოკულტუროლოგიის სფეროდან კატეგორიებით ოპერირება: ენობრივი კონცეპტუალიზაცია, სამყაროს ენობრივი სურათი, ლინგვოკულტურა და ა. შ. შესაბამისად, ობიექტი შეიძლება განხილული იქნას ეროვნული მარკირებული თვისებების თვალსაზრისით:

რუსული დისკურსი, ბრიტანული დისკურსი, ამერიკული დისკურსი და ა.შ. პოლიტიკური დისკურსის თავისებურებები წინასწარ განსაზღვრულია, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკის ენის პარამეტრებით.

ვ. ზ. დემიანკოვი მიუთითებს შემდეგზე: „პოლიტიკური ენა განსხვავდება ჩვეულებრივისაგან იმით, რომ მასში „პოლიტიკური ლექსიკა“ ტერმინოლოგიურია, ხოლო ჩვეულებრივი, არა წმინდა „პოლიტიკური“ ენობრივი ნიშნები არ იხმარება ყოველთვის ისე, როგორც ჩვეულებრივ ენაში. დისკურსის სპეციფიკური სტრუქტურა არის შედეგი ხანდახან თავისებური სამეტყველო ილეთებისა; სპეციფიკურია დისკურსის რეალიზაციაც მისი ხმოვანი თუ წერილობითი გაფორმება” (2002, გვ. 33).

აღვნიშნოთ, რომ არსებითი განსხვავება დაკავშირებულია ვიზუალური აღქმის პროცესებთანაც: ადამიანი, რომელიც უშუალოდ იმყოფება დარბაზში/აუდიტორიაში და უსმენს ორატორს, შეიმეცნებს მას თავისი პრიზმიდან და სუბიექტური აღქმიდან, თავისი თვალსაზრისიდან, იმ დროს, როცა, მაგალითად, ტელევიზიით საჯარო გამოსვლა უკვე ნიშნავს მონტაჟს და რეალური მოვლენის ინტერპრეტაციას, დამატებითი აქცენტების დასმას, რომელიც გამომდინარეობს არამედიური და მედიისშიდა პოლიტიკური კომუნიკაციის მიღებული გამიჯვნიდან. პოლიტიკური კომუნიკაციის მედიისშიდა ფორმის მაგალითია, ეგრეთ წოდებული, Talk-Show, რომელიც უშუალოდ განკუთვნილია ტელევიზიისათვის, მისი მრავალმილიონიანი აუდიტორიისათვის და სადაც დიდ როლს ასრულებს მოდერატორი. არამედიურ ფორმას შეიძლება მივაკუთვნოთ პოლიტიკოსის საჯარო გამოსვლები საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას. მაგრამ უნდა დავთქვათ, რომ ეს გამოსვლა შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ ჩაერთოს სატელევიზიო პროგრამაში. შესაბამისად, ამ ფორმაშიც მნიშვნელოვანია უკვე დასახელებული მოდერატორის როლი.

ხაზი გავუსვათ იმას, რომ პარამეტრი „კომუნიკაციური უზრუნველყოფა“ მოიცავს დისკურსის შენახვის ხერხებსაც, რომელიც „იხლიჩება“ ორ ხარისხობრივად განსხვავებულ ვექტორად: პირველი – ეს არის ხსოვნის კონიტიური ფუნქცია და მისი რეალიზაცია ენასა და მეტყველებაში, მეორე – მატერიალური საშუალებები, რომლებზეც ის ინახება როგორც ობიექტი: პაპირუსი, ქაღალდი და ა. შ. და თუ მეორე არ არის ლინგვისტიკის ობიექტი, კოგნიტიური ფუნქცია „ხსოვნა“ მჭიდროდ არის დაკავშირებული ენობრივ

ფუნქციებთან, მაგალითად, მემორიალურთან (სემანტიკური ხსოვნა) და რეპრეზენტატურთან.

პარამეტრი „დისკურსული ფუნქციები“ გაიგება როგორც დისკურსის კომუნიკაციური და კოგნიტიური შემადგენლების ქმედების შედეგი. განვმარტოთ: „დისკურსული ფუნქციები“ – ეს არის სახესხვაობა, ინსტიტუციური დისკურსის ტიპები. ინდივიდების ურთიერთქმედება ყოველთვის გარკვეულ კომუნიკაციურ გარემოში, კომუნიკაციის გარკვეულ საზოგადოებრივ სფეროში ხდება. ამის საფუძველზე, როგორც აღინიშნებოდა, გამოიყოფა ინსტიტუციური დისკურსის სხვადასხვა ტიპი. თუმცა დისკურსის რეალური მიმდინარეობისას ეს ფორმაციები იხლართება და ნაწილობრივ ემთხვევა, ამიტომ არ შეიძლება მკვეთრად გაიმიჯნოს. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ ე. კოსერიუს მტკიცება, რომელიც თვლიდა, რომ მეტყველება ყოველთვის „დატვირთულია პოლიტიკურად“, რადგანაც ის არის სოლიდარობის ნიშანი საზოგადოების სხვა წევრების მიმართ, რომლებიც იყენებენ იმავე ენას (Coseriu 1987, გვ. 24). მაგრამ ეს აზრი, ჩვენი შეხედულებით, ასახავს საკითხზე ძალიან ფართო ხედვას და უშვებს ლოგიკურად გამომდინარე შედეგს: ნებისმიერი მეტყველება – ეს არის, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსიც.

ამასთან ბუნებრივად გვესახება საკითხი დისკურსის იდეოლოგიური შემადგენლის შესახებ. და არის თუ არა იდეოლოგიური დისკურსი პოლიტიკური დისკურსის სახესხვაობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ჩვენ ვეყრდნობით იუ. ა. საროკინის თვალსაზრისს, რომელიც მოცემულია სტატიაში „პოლიტიკური დისკურსი: ცნების განმარტების მცდელობა“ (Политический дискурс: попытка истолкования понятия. 1997), რომელიც პოლიტიკური დისკურსის განსაზღვრებისას ამოდის გვარობრიგ-სახეობრივი შეფარდებებიდან: „პოლიტიკური დისკურსი არის სახესხვაობა – სახეობრივი – იდეოლოგიური დისკურსისა. განსხვავება ის არის, რომ პოლიტიკური დისკურსი ექსპლიციტურად პრაგმატულია, ხოლო იდეოლოგიური – იმპლიციტურად პრაგმატული. პირველი სახეობა – სუბდისკურსია, დისკურსის მეორე სახეობა – მეტადისკურსი“ (1997, გვ. 57)

თუ პოლიტიკის დისკურსს შევადარებთ სხვა ინსტიტუციურ სახესხვაობებს, მაგალითად, იურიდიულს, ადმინისტრაციულ-მმართველობის, მაშინ აღმოჩნდება, რომ ის უფრო მოქნილია, სპონტანურია, ემოციურია, მიისწრაფის აფორისტულობისა და სიახლისაკვნ, შესაბამისად, მას გააჩნია

შესაძლებლობების მრავალგვარი კომბინაცია. ნათქვამი განსაკუთრებით დამახასიათებელია ცოცხალი ორატორული მეტყველებისათვის.

როგორც უკვე ითქვა, პარამეტრი „დისკურსული ფუნქციები” ისრუტავს კოგნიტიურ და კომუნიკაციურ შემადგენლებს. ასე მაგალითად, როლები დისკურსში, რომელთა რეალიზაციას ახდენს ენობრივი პიროვნება, მიეკუთვნება კომუნიკაციურ შემადგენელს, ხოლო ცოდნა და მისი ინტერპრეტაცია, რაზეც დამყარებულია კომუნიკაცია – კოგნიტიურს. პოლიტიკური დისკურსი – ეს არის აზრების, ღირებულებითი ორიენტაციების, ხატების რეპრეზენტაცია; ის ყოველთვის დაბმულია განსაზღვრული კომუნიკაციური ამოცანით (ინტენციით); როგორც ყველა დისკურსს, მასაც აქვს შინაარსის ორი პლანი: ზედაპირული და კონტექსტუალური, რომელიც ვარაუდობს გააზრების და ინტერპრეტაციის პროცედურებს, რის შედეგადაც ფართოვდება მისი აზრობრივი ველი კონტექსტუალური (ფარული) აზრების გამოვლენის, დეკოდირებისა და ინტერპრეტაციის პროცესი მიმდინარეობს ამ კოგნიტიურ ოპერაციებთან მიმართვის ადრესატის გარკვეული ცოდნისა და გამოცდილების ჩართვის საშუალებით. საინფორმაციო-პოლიტიკური გამოცემების (კოლაჟი, ფოტო, კარიკატურები და ა. შ., რომლებიც ტექსტის შინაარსის ილუსტრირებას ახდენენ) კონტექსტუალური პლანი შეიძლება განიმარტოს როგორც „არაარტიკულირებული” მესიჯი, მაგრამ, რომელიც ასევე გათვლილია იმაზე, რაც წაკითხება ადრესატის მიერ და მის გონებაში გამოიწვევს გარკვეულ კულტურულ-ისტორიულ ასოციაციებს და ლინგვისტურ კონოტაციებს. პოლიტიკური დისკურსი ჩართულია საერთო დისკურსულ სივრცეში და ინახავს კულტურულ-ისტორიული კომუნიკაციის გამოცდილებას, მათ შორის თაობათა დიალოგს. მოცემული პარამეტრი მჭიდროდ უკავშირდება შემდგომს.

პარამეტრი „ინტერტექსტუალური ურთიერთქმედება” დისკურსის ანალიზში შემოგვაჭვს პრეზუმაციის საფუძველზე: ცალკეულ დისკურსს გააჩნია უნარი მრავალგანზომილებიანი კავშირი იქონიოს სხვა დისკურსებთან-ტექსტებთან შინაარსის ხაზით, სტრუქტურით, ფორმალურ-ნიშნობრივი გამოხატვით და ა. შ. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ რ. ბარტის გამოთქმა, რომელიც გამოსაყენებელია, ჩვენი აზრით, დისკურსთანაც: „ტექსტი ყალიბდება ანონიმური, მოუხელთებელი, და ამასთან უკვე წაკითხული ციტატებით – ციტატებით ბრჭყალების გარეშე” (Барт 1994, გვ. 417). დისკურსი როგორც აზრის მატარებელი ახდენს საკუთარი თავის რეალიზაციას არა მხოლოდ სიტყვების

ურთიერთქმედებით, რომლებიც ახდენენ ავტორის განზრახვის მატერიალიზებას, არამედ ინტერტექსტუალურ კავშირებშიც. ეს კავშირები ინდივიდის მენტალობაში ამ სიტყვების ურთიერთქმედებით და მათი განლაგებით ხორციელდება, რის საფუძველზეც ენობრივი პიროვნების თეზაურუსში ამოქმედდება მთელი კოგნიტიური ფენა. „ყველაფერი, რაც უკვე ითქვა, დაიწერა წარმოადგენს ბაზას, საფუძველს, აუცილებელ წინაპირობასა და არსებობის პირობას ხელმეორედ შესაქმნელი ვერბალური ტექსტებისთვის, მაშასადამე, ის არის სისტემაწარმომქმნელი ფაქტორი მეტყველშემოქმედებითი ნაწარმოების შექმნისას.” (Михайлова 1999, გვ. 5). ასეთი მიდგომა დაფუძნებულია წარმოდგენაზე კულტურის შესახებ როგორც მნიშვნელობათა რეზერვუარზე, რომლის ხატები და ელემენტები გადაადგილდება ტექსტიდან ტექსტში, რაც შეადგენს კიდევაც კულტურის „სიცოცხლეს”. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ იუ. ვ. სტეპანოვის აზრი, რომელიც განსაზღვრავს კულტურას როგორც სივრცეს, „სადაც – რაც არ უნდა ვთქვათ, რა იდეაც არ უნდა გამოვხატოთ, რა ხატიც არ უნდა შევქმნათ – ყველაფერს მოჰყვება გამოხმაურება იდეებში, ხატებში, აზრებში, რომლებიც ადრე უკვე წარმოგვექმნა და ჩვენში იწვევს წყნარ, მაგრამ პარმონიულ თანხმოვანებას”; ეს არის გარემო, სადაც აღწევს ადამიანი, ამასთან, „თვით ადამიანი შეღწევადია კულტურისთვის, უფრო მეტიც, ის განმსჭვალულია კულტურით”, ეს „განმსჭვალვა” ხორციელდება მენტალური წარმონაქმნების სახით”(Степанов 2004, გვ. 41-42). შესაბამისად, დისკურსი თავად არის კულტურის ელემენტი, რომელიც სხვა ელემენტებთან ურთიერთქმედებს.

ობიექტის ასეთი გაგებით, დისკურსი, ინარჩუნებს რა საკუთარ რეფერენციას (ახდენს რომელიდაც ობიექტურად არსებული ან წარმოსახვითი რეალობის რეპრეზენტაციას), იმენს პოლირეფერენტულობის თვისებას: სინამდვილესთან და სხვა დისკურსთან/დისკურსებთან. ცალკეულ დისკურსს შეუძლია როგორც შეისრუტოს სხვა დისკურსების აზრობრივი ვალი, ასევე გამოვიდეს „დონორად”. შესაბამისად, აუცილებლობის შემთხვევაში, ის შეიძლება შეფასდეს ამ თვისებების გამოვლინების პოზიციიდან. ამრიგად, ინტელექტუალურობა დისკურსის ანალიზის პრიზმიდან – ეს არის დისკურსის სიდრმე, რომლის აღმოჩენა ხდება მისი სუბიექტთან ურთიერთქმედების პროცესში.

ვვარაუდობთ, რომ დისკურსის ანალიზში შესაძლებელია ჩაერთოს „ავტორობის”, „ადრესატულობის” პარამეტრებიც, ადრესული აუდიტორის მოდელირებული ხატის, თემისა და დისკურსის ტოპიკის, „ინფორმაციულობის”, „პოლიტიკური ველის” ჩათვლით.

დისკურსის კვლევაში შემოტანილი ავტორობისა და ადრესატულობის კატეგორია ახდენს მონაცემებისა და გამოცდილების აკუმულირებას, რომლებიც დაგროვილია ფილოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ კვლევებში ენობრივი ცნობიერების პრობლემებზე, ადამიანის როგორც სამეტყველო ქმედების სუბიექტის, პირის შესახებ, რომელიც აღიქვამს და იაზრებს გარე სამყაროს. ისინი ენის შესახებ ანთროპოცენტრული შეხედულების ანარეკლია და გამომდინარეობს ვ. ფონ ჰუმბოლტის, ჟ. ბალის, ე. ბენვენისტის, ო. იესპერსენის, ვ. ვ. ვინოგრადოვის, მ. მ. ბახტინის და სხვათა იდეებიდან, ვისმა სამეცნიერო ინტერესმაც განაპირობა თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების მიმართულება, ერთი მხრივ, ენობრივი საშუალებების გამოსავლენად, რომლებიც ახდენენ მეტყველებასა და ტექსტში მოლაპარაკის როლის მატერიალიზებას, ხოლო, მეორე მხრივ – ენობრივ საშუალებათა ფუნქციის შესასწავლად, რომლებიც ახდენს ადამიანის კომუნიკაციურ-აზრობრივი მოთხოვნების, მისი კოგნიტიური მოღვაწეობის გამოცდილების რეალიზებას.

პარამეტრი „ავტორობა” აუცილებელია ავტორის მიზანდასახულობის დასადგენად, რომელიც უბიძებს მას მოახდინოს ტექსტის პროდუცირება. ამ თვალსაზრისით დისკურსი არის საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ცხოვრების ხერხი, მისი დირექტულებითი შეფარდება. ავტორი არის კულტურის სუბიექტი, ხოლო ავტორთა კონცეპტუალური რიგი – კულტურის სუბიექტის ინდივიდუალური თვითგამოხატვის ხერხი, გადატანილი ტექსტის გაჩენის სოციოკულტურულ და პიროვნულ მოდელებში (მ. ბახტინი, იუ. კრისტენა, ჟ. დერიდა, რ. ბარტი). გვესმის რა დისკურსი როგორც „ურთიერთობა ტექსტის საშუალებით” (Карасик 2007, გვ. 79), ვვარაუდობთ, რომ დისკურსში ავტორის ინტენციის ანალიზისას შესაძლებელია დავეყრდნოთ ტექსტის ლინგვისტიკის სფეროში შემუშავებულ დებულებებს. ასე მაგალითად, ტექსტთან კომუნიკაციური მიდგომისას ავტორის ინტენციას წარმოიდგენენ შემდეგი სახით: 1) ფატიკური (კონტაქტისდამაყარებელი) ინტენცია; 2) გოლიუნტაციური, ან

ზემოქმედების ინტენცია (ესთეტიკური ზემოქმედების ჩათვლით)<sup>9</sup>; 3) რეპრეზენტაციული, ან შეტყობინების ინტენცია; 4) რეპროდუქციის ინტენცია, ან კვლავწარმოება.

ეს მახასიათებლები რელევანტურია პოლიტიკური დისკურსისთვისაც. მივყვეთ კვალდაკვალ: ფატიკური ინტენცია – აუდიტორიასთან, ელექტორატოან კონტაქტის დამყარების აუცილებლობა; ვოლიუნტაციური – რეალიზდება კონტაქტის დამყარების კვალდაკვალ, ახორციელებს ინსტიტუციური დისკურსის ამ ტიპში ზემოქმედების (უმნიშვნელოვანეს) ფუნქციას, რომელიც არ გამორიცხავს პ. პაინემენის და დ. ფივეგერის მიერ გამოყოფილ შესაძლებლობას შექმნას „ყალბი სამყარო” (საკმარისია გავიხსენოთ არც ისე შორეული წარსულიდან კომუნისტური პარტიის მოწოდებები და ანგარიშები); რეპრეზენტატული – თავის თავში ატარებს აუდიტორიისადმი მიმართულ შეტყობინებას; რეპროდუცირების ინტენცია – გათვლილია კვლავწარმოებაზე.

პოლიტიკური დისკურსის ინტენციონალური პლანი ვარაუდობს მთელი რიგი რესურსების მობილიზაციას კომუნიკაციის პროექტის სამართვად: ჩანაფიქრიდან, თემის დადგენიდან (დისკურსის ტოპიკი), სტრატეგიის და ტაქტიკის არჩევიდან, ინფორმაციული და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფიდან კომუნიკაციაში ბარიერების მოდელირებამდე, შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციებამდე და მათი გადაჭრის ხერხებამდე. თუ საუბარია ზეპირ დისკურსზე, მაშინ მოცემული პარამეტრი უფრო მჭიდროდ უკავშირდება ენობრივი პირვნების ფსიქოლოგიურ მახასიათებელს.

ავტორი („მეტყველების სუბიექტი“) ახდენს ტექსტ-დისკურსის მოდელირებას, წყდება რა საწყის წერტილს – მოტივს, სტიმულს, რომელიც მიზეზობრივად განაპირობებს მეტყველების გაჩენის პროცესს და დასახელებულ პროცესს რთავს ადამიანური ქმედების საერთო სურათში. ბ. იუ. ნორმანის აზრით, მეტყველაზროვნებითი მოღვაწეობის პროცესში წარმოიქმნება ჩანაფიქრი, რომელიც ხორციელდება შინაგან პროგრამაში, გამოთქმის გეგმა; შემდეგი ეტაპი – პროგრამის რეალიზაცია, ჩანაფიქრის განხორციელება (Норман 1994, გვ. 9).

ყოველივე ნათქვამი რელევანტურად წარმოგიდგება პოლიტიკური დისკურსის დასახასიათებლად. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ გამოჩენილი გერმანელი სოციალური თეორეტიკოსის მ. ვებერის სიტყვები, რომელიც პოლიტიკას

<sup>9</sup> პ. პაინემანი და დ. ფივეგერი (1991) ვარაუდობენ, რომ ესთეტიკური ზემოქმედების გზით ავტორი ქმნის „ყალბ სამყაროს“, ან „მოჩვენებით რეალობას“.

განმარტავდა, მათ შორის, როგორც „უნარს მიაღწიოს სმენადობას სხვა ადამიანებში, თემის მიუხედავად, რაზეც დაფუძნებულია ეს სმენადობა” (ციტ.: Социология. Энциклопедия 2003).

**პარამეტრი „ადრესატულობა”** იხსნება შეტყობინების მიმართულებაში ადრესატისკენ, დიალოგის სავარაუდო (მოდელირებული) მონაწილისკენ, ტექსტური ინფორმაციის მიმღებისკენ, რომელიც ერთვება კომუნიკაციურ კავშირში. ადრესატი, რომელიც არის ცნობიერის და შეუცნობლის მატარებელი, ერთვება ავტორთან დიალოგურ ურთიერთობაში, ასევე სხვა ორი სამყაროს – ცნობიერისა და შეუცნობლის მატარებელთან. ავტორის ტექსტი, რომელიც დისკურსში იშლება, უნდა იყოს საერთო „ორი დამხვედრი შემეცნებისათვის და ორი შეუცნობელი სამყაროსათვის”, რაც შესაძლებელი ხდება დიალოგური ურთიერთობის განვითარების შემთხვევაში, რაც „დიალოგის მონაწილეებს აძლევს საშუალებას შექმნან საერთო ტექსტი, რომლის ძირითადი სუბიექტი იქნება ავტორისა და სხვის ერთობა” (Старовойтенко 2001, გვ. 525). ეს პარამეტრი ასახავს კომუნიკაციური კონტაქტის პროცესის რეალიზაციას ავტორსა და რეციპიენტს შორის. მისი მიმდინარეობისას აქტიურდება ტექსტის აღსაქმელად ენობრივ პიროვნებაში ჩადებული მექანიზმები.

ფსიქოლოგიაში აღქმა განიმარტება როგორც მთლიანი ასახვა საგნების, სიტუაციის, მოვლენების, რომლებიც წარმოიქმნება ფიზიკური გამაღიზიანებლების უშუალო ზემოქმედებით გრძნობის ორგანოს რეცეპტორებზე. შედეგად ფორმულირდება პერცეპციული ხატი, რომელიც ინდივიდის პრაქტიკული (ან სამეცნიერო) მოღვაწეობისას განიცდის შემდგომ კორექციას და შეუძლია ერთჯერადად განსხვავდებოდეს თავდაპირველისაგან. დისკურსთან მიმართებაში მეტყველების აღქმის პრობლემა დაკავშირდებულია აღქმის სტრატეგიის საკითხებთანაც. კ. ბ. კასევიჩის მიხედვით, რომელიც ტექსტს აღიარებს დროში გაშლილ დინამიურ წარმონაქმნად, ტექსტის აღქმა უნდა განიხილებოდეს „მიმდინარედ”: ტექსტის აღმქმელს „ყოველ მოცემულ მომენტში საქმე აქვს რაღაც ფრაგმენტთან, რომელიც ობიექტად (ტექსტად) გახდომის პროცესშია, იმ დროს, როცა შეცნობას ექვემდებარება ობიექტი მთლიანად” (Касевич 1988, გვ. 248).

რეციპიენტს ენიჭება აქტიური როლი ტექსტის აზრობრივი სტრუქტურის დადგენაში, რომელიც იწყება აღქმის ადრეული ეტაპებიდან: შეტყობინების თემის, როგორც ტექსტური ინფორმაციის დეკოდირების ათვლის წერტილის

მოძებნა. თემა „შესაძლებელია მარკირებული იქოს პოზიციურად, გრამატიკულად, ლექსიკურად და ფონეტიკურად, და ეს მარკერები არის ადრესატის მიერ ტექსტის აღქმისას საყრდენი (იქვე, გვ. 257). როგორც მ. ლ. მაკაროვი მიუთითებს, „...არსებობს სემანტიკური მაკროსტრუქტურები და მათი გამოყოფის პროცედურები, რადგან ჩვენ შეგვიძლია მონათხოვობის შინაარსი დავიყვანოთ ერთ წინადადებამდე. დისკურსის თემაც უნდა გავიგოთ როგორც მოცემული დისკურსის სემანტიკური მაკროსტრუქტურის გამოხატვა” (2003, გვ. 140). თუმცა სემანტიკურ მაკროსტრუქტურათა გამოყოფა, ისევე, როგორც თემის განსაზღვრა, არის რთული საკვლევი ამოცანა. ამ სირთულეს ხსნიან იმით, რომ „თემა – ეს ნომინაციის სახეობაა, ხოლო თვითონ დასახელების ობიექტი აღემატება ცალკეული ენობრივი ნიშნის საინფორმაციო მოცემულობას და მოითხოვს მოლაპარაკებას მეტაენასთან დაკავშირებით. დისკურსული ფორმაციები, მატერიალიზებული პირველად და მეორეულ სამეტყველო ჟანრებში, საკუთარი თემის განმარტებას არ შეიცავს, ხოლო მომხმარებლებს არ სჭირდებათ ეს. ისინი რაღაც სხვას იღებენ: შეტყობინებაში გამდნარ თემას – ცოდნის სპეციფიკორებულ ენობრივ სახეს, რომლის მთლიანობა დამტკიცებულია სტილისტურად და რომელიც ამგვარად მიმართულია თავისი ადრესატისაკენ” (Ревзина 2005, გვ. 72).

თუ დისკურსის კომპონენტად ავიღებთ წინადადებას, მაშინ მისი ცალკეული წინადადების ლოგიკური შინაარსი არის პროპოზიცია. დისკურსის ყველა პროპოზიცია ერთმანეთის მიმართ არის კონიუნქციის, დიზიუნქციის და ა. შ. ურთიერთობაში. ადრესატი „კრებს“ დისკურსის საერთო მნიშვნელობას ელემენტარული პროპოზიციებიდან და ეტაპობრივად აანალიზებს და ახდენს წინადადებათა ნაბიჯ-ნაბიჯ ინტერპეტირებას, (ადგენს სხვადასხვა კავშირს ტექსტის შიგნით – ანაფორიულს, სემანტიკურს და ა. შ.) გამოჰყავს დისკურსის საერთო მნიშვნელობა. ამ პროცედურების შედეგად ადრესატი „ადადგენს“ თავის აზრობრივ სამყაროში ავტორის ინტენციას, იაზრებს დეტალებს, სვამს აქცენტებს და აფასებს თავისი, როგორც ენობრივი პიროვნების, გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე ამასთან დისკურსული ფორმაციები ახორციელებენ ცოდნის განსხვავებული სახეობის სპეციფიკაციას, სხვადასხვა კერძალური გარდასახვით. ცოდნის სპეციფიკურობა – ეს არის სპეციფიკაცია პრაგმატული გამოყენებისათვის: სოციუმისათვის მნიშვნელოვანი კომუნიკაციური სიტუაციები, ენობრივი ნიშნების ფლობა არა მხოლოდ

დენოტატიურ, არამედ კონტატიურ დონეზე, ინტერტექსტუალური ცოდნა და ა.შ. ამრიგად, ამ დონეზე ეჯაჭვება სუბიექტური და ობიექტური საწყისი, რომელიც მონაწილეობას იღებს ადრესატის მიერ ავტორისეული ინტენციის გააზრებაში.

მოცემული პარამეტრი მჭიდროდ უკავშირდება ცნება ილოკუციას, რომელიც შემუშავებულია სამეტყველო აქტების თეორიაში (დაწვრილებით განხილულია ამ ნაშრომის 1.2. პარაგრაფში). ცნობილია, რომ სამეტყველო აქტის მნიშვნელობა არ დაიყვანება მასში პროპოზიციური შინაარსის მნიშვნელობამდე, ხოლო ენა გამოდის როგორც არჩევანის ერთობლიობა, რომელიც ინდივიდების მიერ შეიძლება შეფასდეს სხვადასხვანაირად. ენის მატარებელი არის ერთდროულად ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები, შესაბამისად, ის სრულად ფლობს მისი კოდირებისა და დეკოდირების მექანიზმებს. ორივე ეს მექანიზმი ხორციელდება ენის საშუალებით, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ შეიძლება ისინი ერთმანეთთან გავაიგივოთ, რადგან ისინი სამეტყველო კომუნიკაციის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენს. პარამეტრი „ადრესატულობა“ რეალიზდება დისკურსის მიმართულებით რეციპიენტის სემანტიკური და პრაგმატული პრესუპოზიციის გარკვეული მოდელის შემეცნებაზე.

პოლიტიკური დისკურსი გათვლილია ადრესატისთვის „პოლიტიკურად სწორი“ ქმედებების ან შეფასებების შთაგონებაზე. ამიტომ ასეთი დისკურსი უპირატესად ორიენტირებულია არა რეფერენციაზე, არამედ დარწმუნებაზე. შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსი პარმონიული უნდა იყოს უნივერსუმის პოტენციური ადრესატების სამყაროთა სიმრავლესთან. ამასთან, არგუმენტაცია შეიძლება შეიცვალოს ემოციური ზემოქმედებით, მოვალეობის გრძნობაზე თამაშით, მორალური ფასეულობებით, – ყველაფერით, რაც დარწმუნების ხელოვნებაში შედის. რიტორიკის თეორიაში ამ ხელოვნების კომპონენტებში შედის შემდეგი სტრატეგიები: კომუნიკაციურ-ჩართვითი, მაინფორმირებელი, ემოციურ-აღმძვრებელი, აღმაფრთოვანებელი, გამრთობი, მენტალურ-გარდასახვითი, მამობილიზირებელი. დარწმუნების წარმატება დამოკიდებულია რეფერენტულ ობიექტთან დამოკიდებულებაზეც და ასევე იმაზე, რა შეტყობინებაც არის მეტყველებაში, ამორჩეულ სიტყვებში.

ამავე მიზნებს ემსახურება იმ ადგილის კონტექსტიც, სადაც დისკურსი მიმდინარეობს. ასე მაგალითად, თუ დისკურსის ადგილია ოვალური კაბინეტი,

კრემლის ყრილობათა სასახლე, მაშინ ეს „ლაპარაკობს” მაღალ სოციალურ მიზიდულობაზე, რომლებსაც აქვთ დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვა, ან მიუთითებენ დისკურსის ავტორის სტატუსზე სოციუმში. თუკი მოქმედების ადგილად არჩეულია ქუჩა ან მოედანი, მაშინ ავტორის განზრახვა რეალიზდება ტოტალური პოლიტიკური დასწრებით და შეიძლება მხარდაჭერილი იყოს შესაბამისი სიმბოლიკით (ლენტები, სიმბოლოები და ა. შ.)

პარამეტრი „ინფორმაციულობა” ასახავს დისკურსის თვისებას ჰქონდეს თემა (დისკურსის ტოპიკი) და გადმოსცეს ადრესატის ადქმაზე გათვლილი ცნობები. ინფორმაციულობა დაკავშირებულია სიახლის ხარისხთან ან მოულოდნელობასთან რეციპიენტისთვის. ის შეიძლება ვარირებდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დამოკიდებული იყოს პოტენციური ადრესატის ენობრივი პიროვნების დონეზე.

დისკურსის ინფორმაციულობის დადგენისას უნდა იქნას გათვალისწინებული გამოთქმის შეფარდება მასში ასახულ სიტუაციასთან. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ზედაპირული სტრუქტურა, გამოხატული ტექსტის დონეზე, გამოთქმის ენობრივი ნიშნების რაოდენობაში არ ემთხვევა მის სიღრმისეულ სტრუქტურას, რაც ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულობასთან არის დაკავშირებული: ტექსტში ენობრივი ერთეულები ნაკლებია, ვიდრე მის მიერ გადმოცემული აზრები. ეს შეუსაბამობა აღსანიშნეა და აღნიშნულს შორის შესაძლებელია გამომედავნდეს მეტ-ნაკლებად. მეტყველ შემოქმედების პროცესში უფრო ბუნებრივად ითვლება მისწრაფება შემოკლდეს აზრობრივი კომპონენტების სიტყვიერი თანმიმდევრობა, ამიტომ ინფორმაციის შეკუმშვა მისი მოცულობის შენარჩუნებით – „კანონზომიერი მოვლენაა”.

ამ შემთხვევაში, აღსანიშნის დონეზე ლოგიკური იქნება გაშლილი სტრუქტურა, ხოლო აღნიშნულის დონეზე – დაკუცილი. ასე იქმნება ნიადაგი ინფორმაციის გადაცემის ხერხებში „იმპლიციტურობისა და ექსპლიციტურობისათვის” (Валгина 2003, გვ. 234). პირველ შემთხვევაში აზრის ზოგიერთი ელემენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს იმპლიციტურად, მეორე შემთხვევაში – სიღრმისეული სტრუქტურის ერთი და იგივე ელემენტი წარმოდგენილია რამდენიმე ელემენტით. ორივე ეს მოვლენა (ეკონომიკური ან ინფორმაციის წარდგენის სიჭარბე) შეიძლება განიხილებოდეს კონკრეტულ შემთხვევაში როგორც ნაკლი ან დირსება (მაგალითად, სტილისტურად მნიშვნელოვანი გამეორება), ნებისმიერ შემთხვევაში მოცემული პრობლემა

დაკაგშირებულია ავტორის განზრახვასთან და ადრესატის ადქმასთან, რაც გვაძლევს საშუალებას ჩავთვალოთ, რომ ავტორობის, ადრესატულობისა და ინფორმაციულობის კატეგორია მჭიდროდ არის დაკაგშირებული.

ნათქვამიდან გამომდინარეობს ისიც, რომ ინფორმაციულობის კატეგორია შესაძლებელია განიხილებოდეს არა მხოლოდ ინფორმაციის დისკურსული შეტყობინების სიმკვეთრით და კონკრეტული რეციპიენტისთვის ამ ინფორმაციის სიახლის განსაზღვრით, არამედ მოცემული დისკურსის მასტრუქტურირებელი ენობრივი ერთეულების თვალსაზრისით, რომელთა ანალიზი, კერძოდ, გვაძლევს საშუალებას დავახასიათოთ იგი როგორც დაძაბული და არადაძაბული.

ცნობილია, რომ არადაძაბული ტექსტი წარმოადგენს ლოგიკურად გაშლილ სტრუქტურას, იქ არ შეიმჩნევა აზრობრივი რგოლების გამოტოვება, თემა-რემატიული თანმიმდევრობა არ აჩენს აზრობრივ დრმულებს. დაძაბული ტექსტი ეწყობა თემაში ახალი ინფორმაციის ჩართვით, მისი შინაარსის ლოგიკური თანმიმდევრობის რომელიდაცა საფეხურის გვერდის ავლით. შინაარსის გამოტოვებული რგოლი/რგოლები ასეთ ტექსტში წარმოდგენილია იმპლიციტურად; მათი შევსება დამოკიდებულია ავტორის განზრახვის ადეკვატურობაზე და ადრესატის მომზადებაზე. ნათქვამი ვრცელდება დისკურსულ პროცესებზეც. ასეთი მიდგომისას დისკურსის ინფორმაციულობა გაიგება როგორც რეალიზებადი, მათ შორის, აზრობრივ სამყაროში (universe of discourse), ანუ, როგორც რეკონსტრუირებადი.

პარამეტრი „ინფორმაციულობა”, როგორც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი, ურთიერთშეღწევადია დისკურსის ყველა გამოყოფილ პარამეტრთან. პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურაწარმომქმნელ პარამეტრად შეიძლება განვიხილოთ პ. ბურდიქს მიერ დასახელებული კომპონენტი, „პოლიტიკური გელი”. ეს არის – პოლიტიკური სუბიექტების (პარლამენტარების, პოლიტიკური პარტიის წევრების, სახელმწიფო მოღვაწეების, ჩინოვნიკების და ა. შ.) დინამიკური ურთიერთქმედება. მათი ქმედება ნაკარნახვია, ერთი მხრივ საზოგადოებრივი ჯგუფების მოთხოვნებით და ინტერესებით, ხოლო მეორე მხრივ – მათი სტატუსური მდგომარეობით სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების შიგნით. ამასთან, სტატუსური პოზიციების დამოკიდებულება თამაშის თავის წესებს კარნახობს. იმისათვის, რომ გავიგოთ არა მარტო ექსპლიციტური, არამედ პოლიტიკური დისკურსის კონტექსტუალური გეგმაც, აუცილებელია „პოლიტიკურ გელში” სტატუსური პოზიციების და საზოგადოების

სამყაროს სურათის ფორმირებაზე გავლენის მოხდენის მისი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაში ორიენტირება. „პოლიტიკა არის ბრძოლა ხედვისა და დაყოფის ლეგიტიმური პრინციპების თავსმოხვევისთვის“ (Бурдье 1999, გვ. 125-126). ბურდიეს თანახმად, „პოლიტიკური ველის ერთ-ერთი ზოგადი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ველის შინაგანი ბრძოლა დომინირებული ხედვის თავსმოხვევისათვის, ყოველთვის ეყრდნობა ფაქტს, რომ თვით ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგებებიც კი თანხმდებინ გარკვეულ წინაპირობებზე, რომელიც განაპირობებს თვით ველის არსებობას“ (იქვე, გვ. 120-121).

ნათქვამის საფუძველზე, ჩამოთვლილი პარამეტრები შესაძლებელია გაგებული იქნას როგორც აუცილებელი და საკმარისი პირობა პოლიტიკური დისკურსის წარმოშობისა და არსებობისათვის. ისინი უზრუნველყოფენ მთელის (დისკურსის) ფუნქციონირების ერთობას, მის ლექსიკურ, გრამატიკულ, კომუნიკაციურ, ინტენციონალურ და კოგნიტიურ კოჰერენტულობას.

პოლიტიკური დისკურსი როგორც ინსტიტუციური ურთიერთობის სახეობა ფლობს კონსტიტუციური ნიშნების სისტემას და მას ენიჭება რიგი ფუნქციებისა. მისი მიზანია პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და განხორციელება: პოლიტიკური დისკურსის დანიშნულებაა „აღწეროს განზრახვა და უბიძოს მოქმედებისაკენ“ (Демьянков) [169]. ამიტომ, პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა უპრიანია განისაზღვროს ამ მიზანთან მიმართებაში.

ყველაფერი ზემოჩამოთვლილის საფუძველზე, პოლიტიკური დისკურსი ნაშრომში გაიგება როგორც რთული დინამიკური მთლიანობა, კომუნიკაციური სისტემა, რომელიც ახდენს როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური ერთობის ფუნქციონირებას, რომელშიც რეალიზდება ლექსიკური, გრამატიკული, კულტუროლოგიური კავშირების სხვადასხვა ტიპი, განკუთვნილი კოდირებული ინფორმაციის გადასატანად და რომელიც წარმოადგენს საფუძველს ადრესანტის და ადრესატის კონტიური და ინტენციონალურად სტრუქტურირებული ქმედებისა. პოლიტიკური დისკურსი არის დისკურსის ერთ-ერთი სახესხვაობა, რომელშიც ენა – რგოლი აზრსა და ქმედებას შორის – არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციისათვის.

## 2.2. ცნებების „პოლიტიკური გულტურის“ და „პოგნიტური ბაზის“ კავშირი პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობასთან

1949 წელს გამოცემულ ფანტასტიკურ რომანში “Nineteen eighty-four” ჯორჯ ორუელი იკვლევდა რა ინდივიდისა და საზოგადოების, მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებას, წერდა, რომ პოლიტიკური ენის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანთა თავებში არა მარტო საჭირო აზრების ჩანერგვა, არამედ იმის მიღწევაც, რომ ფაქტობრივად შეუძლებელი გახდეს იდეოლოგიურად მაგნე აზრების გამოხატვა. ბუნებრივია, ორუელის რომანი უტოპიური ფანტაზია, მაგრამ თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსს მივყავართ გარკვეულ ანალოგიებთან: მაგალითად, „სიყვარულის სამინისტრო“ და მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებები. რა თქმა უნდა, რომანში აღწერილ მეთოდებს აქვს გროტესკული ხასიათი, მაგრამ ლაპარაკია არსზე – სამიზნის მიკვრაზე პოტენციური მტრის შუბლზე, საკუთარი სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედების წახალისებაზე, ორუელის მიერ აღწერილი აგრესიული მწყობრი მარშის ნაცვლად, – პოლიტიკნოლოგიების ვირტუოზულ ხელოვნებაზე.

ცნება „პოლიტიკნოლოგია“ მოიცავს მეთოდებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება გარკვეული თანმიმდევრობით დასახული პოლიტიკური ამოცანის მისაღწევად. პოლიტიკურ ლექსიკონში იგი განიმარტება როგორც მიზანმიმართული, თანმიმდევრული და ეფექტური ქმედებების სისტემა, რომლებიც, ჩვეულებრივად გათვლილია გარკვეული პოლიტიკური შედეგის მიღწევაზე (1995, გვ. 151). ეს განმარტება თავისი შინაარსით ახლოს არის ტ. ე. გრინბერგის განმარტებასთან, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური ტექნოლოგიები გაიგება როგორც „თანმიმდევრული, მიზანმიმართული ქმედებების სისტემა, რომელიც ორიენტირებულია დასახული პოლიტიკური შედეგის მიღწევაზე“ (2005, გვ. 42).

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულ პოლიტოლოგიაში არსებობს აზრი, რომ პოლიტიკური ტექნოლოგიები არსებობს მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში: “Political technology” – a term largely unfamiliar in the West – is the euphemism commonly used in the former Soviet states for what is by now a highly developed industry of political manipulation” (Wilson 2011) [170]. რომ არ შეგვიძგეთ ტერმინოლოგიურ

დისკუსიას, მხოლოდ აღნიშნავთ, რომ პოლიტიკურობიებში ჩვენ ვგულისხმობთ პოლიტიკოსის ინტენციას მიაღწიოს დასახული ამოცანის გადაწყვეტას, რაც ვარაუდობს დამუშავებული მეთოდიკის არსებობას მის მისაღწევად. ამ თვალსაზრისით რთულია დაეთანხმო ავტორის მოსაზრებას. მაგრამ ამაზევე მიუთითებს შემდეგი ფაქტი: პოლიტიკური კონსულტანტების ამერიკული ასოციაციის მონაცემებით, 1969 წლიდან დარგში სპეციალისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, იყო რამდენიმე და გახდა ათას ხუთასზე მეტი.

ფართოვდება და იხვეწება მეთოდიკა, რომელსაც პოლიტიკური კონსულტანტები სთავაზობენ კლიენტებს. 1980-იანი წლებიდან გავრცელდა, ე.წ., ფოკუს-ჯგუფები და ასევე dial-ჯგუფები, სადაც მონაწილეები აღნიშნავენ თავიანთ რეაქციას კანდიდატებზე ელექტრონული შკალის მეშვეობით. 2004 წლებიდან შემოვიდა პოლიტიკური მარკეტინგის ცნება, რომელიც აგებულია შემდეგზე: კონკრეტულ ბინაში ან სახლში მიაქვთ დეტალიზებული „გზავნილი”, შემუშავებული მოცემული ადამიანის ან ოჯახის სამომხმარებლო უპირატესობების საფუძველზე (რომელ უურნალს იწერენ, რომელ ავტომობილს ყიდულობენ და ა.შ.). პოლიტიკური მარკეტინგი, დ. რემერის სიტყვებით, კომერციულის ანალოგიურია: “Political marketing is a fairly pure analog to commercial marketing. I'm looking at a package of shampoo the same way I'm looking at my next leader [171].” შესაბამისად, როცა ლაპარაკია პოლიტიკურობებსა თუ პოლიტიკონსულტანტებზე, საჭმე ეხება მიზნების არსობრივ თანხმების უფრო ფართო კონტექსტით ამ დარგის სპეციალისტებს განსაზღვრავს უნგრელი მეცნიერი ა. სილადი – კოგნიტიური არიან ისინი, ვინც ტაქნიკურად აყალიბებენ და ახორციელებენ კომუნიკაციას მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის (1995).

უკანასკნელ წლებში ტვინის სკანირების დარგში მიღებულმა წარმატებებმა მკაფიოებებს მისცა საშუალება გამოეგლინათ ტვინის ის სფეროები, რომელიც პასუხს აგებს პოლიტიკურ შეხედულებებზე, და გაეკეთებინათ დასკვნა, რომ რიგ შემთხვევებში პოლიტიკური შეხედულებები და შესაბამისი ქცევა ჩადებულია ღრმად ქვეცნობიერში [172].

სტატიაში “Reading the Mind Of the Body Politic [173], რომელიც გამოქვეყნდა The Wall Street Journal, ა. ალტერი ყვება იმის შესახებ, რომ აშშ-ში ნეიროფიზიოლოგები უკვე დიდი ხანია სწავლობენ „ქვეყნის პოლიტიკურ

ორგანიზმს”, ანუ მოქალაქეთა ტვინის რეაქციას პრეზიდენტობის კანდიდატზე. სტატიაში მოყვანილი ინფორმაციის თანახმად, დაკვირვება ტვინზე, თვალის გუგის მდგომარეობაზე, ამომრჩეველთა პულსზე უფრო ეფექტურია, ვიდრე მათი სიტყვების მოსმენა, ამიტომ ფირმები, რომლებიც მუშაობენ ნეირომარკეტინგის სფეროში სთავაზობენ თავიანთ მომსახურებას პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო შტაბებს. პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან მით რომნიმ დებატებში განაცხადა, რომ მოწინააღმდეგებისაგან განსხვავებით მხოლოდ ის აღარ ლაპარაკობს საყოველთაო ჯანდაცვაზე და „ ნამდვილად შეასრულა ამოცანა”. ამ დროს ხუთი მოხალისე სან-ფრანცისკოში უყურებდა დებატებს ტელევიზორით, თავზე ეხურათ სპეციალური „შლემი” მრავალი ელექტროდით, რომლებიც უთვალთვალებენ ტვინში ელექტრონულ იმპულსებს. როდესაც რომნიმ წარმოთქვა სიტყვა „შეასრულა ამოცანა”, საცდელთა ტვინის აქტივობა ფრონტალურისწინა ნაწილებში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ბრედ ფელდმენი, EmSense Corp-ის ანალიტიკოსი, რომელიც ექსპერიმენტს ატარებდა, თვლის, რომ მათ მოეწონათ ის, რაც მოისმინეს. (Mitt Romney declared he was the only candidate who had stopped talking about universal health care and “actually got the job done.” Across the country, in San Francisco, five volunteers watched the debate while wearing electrode-studded headsets that track electrical activity in the brain.).

ფსიქიატრმა დრიუ უესტონმა ემორის უნივერსიტეტიდან, რომელიც იყენებდა ტვინის სკანირების მეთოდს ამომრჩეველთა შესასწავლად, დაარსა კონსალტინგური ფირმა Western Strategies, რომელიც კლიენტებს ჰპირდება დახმარებას იმ „ნეიროლოგიურ ქსელებში” შეღწევაში, რომლებიც მართავენ ადამიანთა ქცევას პოლიტიკასთან დაკავშირებულ სიტუაციებში. 2011 წელს უესტენი მიიწვიეს ჯონ ედვარდსის საარჩევნო შტაბში ამ კანდიდატზე დასაკურვებლად ამომრჩევლებთან შეხვედრებზე და მისი ქცევის გასაანალიზებლად. ამავე წელს კონსალტინგურმა ფირმამ TargetPoint-მა, რომელიც სპეციალიზირდება საარჩევნო კამპანიების სტრატეგიებზე (მისი კლიენტია რომნი), დაიწყო ინტერნეტ-გამოკითხვა ამომრჩეველთა ქვეცნობიერი უპირატესობების გამოსავლენად. ფირმა ფიქრობს ჩაატაროს კვლევა სპეციალური ხელსაწყოთი, ტვინის სკანირების გზით.

პოლიტოლოგი სტენფორდის უნივერსიტეტიდან ჯ. კროსნიკი, რომელიც თანამშრომლობს American National Election Studies-ის სამეცნიერო პროგრამასთან და სწავლობს ამომრჩეველთა შეხვედრულებებსა და ქცევას, ამბობს, რომ

კანდიდატები, შესაძლებელია, უფრო მეტად არიან დაინტერესებული ამომრჩეველთა ქვეცნობიერი მიკერძოების ფიქსაციაში, რაღაცაც პრეტენდენტებს შორის არიან მორმონი, ქალი და აფროამერიკელი. „ჩვენ ადამიანებს უნდა ჩაგხედოთ სულში და გავარკვიოთ, ვის მისცემენ ხმას. პირდაპირი კითხვა აქ არ გამოდგება”.

ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ მაგალითად ფირმა EmSense-ის (კალიფორნია) ექსპერიმენტი. ხუთ მოხალისე რესპუბლიკელს დაახურეს ელასტიური რეზინის ელექტროდებით აღჭურვილი „შლემი”, რომელიც საცდელთა კანის ტემპერატურის მონაცემებს, პულსის სიხშირეს და თვალის დახამხამებას, ასევე ტვინის ქმედებას აფიქსირებდა და ყველაფერ ამას გადასცემდა უკაბელო კავშირით კომპიუტერს. მონაცემები მუშავდებოდა EmSense-ს საკუთარი მეთოდიკით, რათა დადგენილიყო კანდიდატზე დადებითი თუ უარყოფითი რეაქცია. EmSense-ის წარმომადგენლების ნათქვამის მიხედვით, როდესაც ჯონ მაკეინი ასახელებდა პოლიტიკოსებს ესპანურენოვანი საზოგადოებიდან, რომლებიც მას უჭერდნენ მხარს, საცდელთა ტვინში რხევათა სიხშირე რჩებოდა ერთ დონეზე, რაც გულგრილობაზე მიუთითებდა. ხოლო, მაგალითად, როდესაც მაიკ ხაკაბიმ განაცხადა, რომ ერაყიდან ჯარის გამოყვანა ხელისუფლების ვაკუუმს გამოიწვევს, რაც ხელსაყრელი იქნება ტერორისტებისთვის, საცდელთა სისხლში ადრენალინის დონემ უცებ აიწია. ფრედ ტომპსონის იდეებმა ჯანდაცვის სისტემის შესახებ გამოიწვია ტვინის გააქტიურება, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ტელემაყურებლები დაფიქრდნენ მის კონცეფციაზე, მაგრამ შეაფასეს ნეგატიურად. EmSense-ში ამბობენ, რომ ისინი გეგმავენ შესთავაზონ თავიანთი მომსახურება საარჩევნო შტაბებს: ფირმას შეუძლია კანდიდატებს დაეხმაროს სააგიტაციო რგოლების ვიზირებაში ან დახვეწოს საჯარო გამოსვლები სწორი სიტყვებისა და ტონის შერჩევით [174].

ამრიგად, პოლიტიკური მარკეტინგი – ეს არის პოლიტიკური კონსულტაციის (პოლიტიკური ტექნოლოგიის, პოლიტიკური კოგნიტოლოგიის) შემადგენელი ნაწილი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე საზოგადოებაში ძალაუფლებისათვის ბრძოლა. პოლიტიკუროლოგიები დაკავშირებულია საარჩევნო პროგრამების ორგანიზებასთან, არჩევნებთან, ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ ინფორმაციის წარდგენასთან, სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასთან. „პოლიტიკური ტექნოლოგიების ფორმირების მიზეზია ადამიანთა მოთხოვნილება პოლიტიკურ სივრცეში კონკრეტული

მიზნების რეალიზაცია მოხდეს უფრო რაციონალური, ეკონომიური და ეფექტური ხერხებით” (Пугачев, Соловьев 2005, გვ. 407). პოლიტიკურობიები არის საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურის ფორმირებისა და განვითარების გარკვეული მაჩვენებელი.

პოლიტიკური კულტურა – ეს არის მრავალასპექტიანი მოვლენა, რომელსაც აქვს ღრმა ისტორიული და ფსიქოსოციალური ფესვები (კვლევის მიზნებში არ შედის ცნება „პოლიტიკური კულტურის” წარმოშობის ისტორიის გაშუქება; აქ მოყვანილია ავტორიტეტული მკვლევარების შეხედულებები და პოზიციები, რომლებსაც აქვთ არსებითი მნიშვნელობა შემდგომი ანალიზისთვის). ამერიკელი სოციოლოგი ჟ. როზენბაუმი გვთავაზობს გამოიყოს პოლიტიკური კულტურის ბირთვის კომპონენტები, ანუ მისი ისეთი ელემენტები და ფენომენები, რომლებიც თამაშობენ დამფუძნებელ როლს „ერის პოლიტიკური წესრიგის” ფორმირებაში. ის განიხილავს ორიენტაციის სამ ძირითად ჯგუფს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ შეგვექმნას მოცემულ საზოგადოებაზე აუცილებელი წარმოდგენა: სახელისუფლებო სტრუქტურებთან დამოკიდებულების ორიენტაციაზე; ორიენტაცია სხვა პოლიტიკურ სისტემებთან მიმართებით; ორიენტაცია საკუთარ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან მიმართებით (1975, გვ. 6-7).

რუსი პოლიტოლოგი, პოლიტიკური კულტურის სფეროს სპეციალისტი გ. ი. ბატალოვი ვარაუდობს, რომ პოლიტიკური ურთიერთობები „წარმოადგენს არა მხოლოდ გამომქდაგნებას, არამედ კულტურის არსებობის საშუალებას. კულტურა არ არის თავებში, არ არის ტვინის ნერვულ უჯრედებში. უკანასკნელი არსი მხოლოდ კულტურის ფსიქოფიზიოლოგიური საფუძველია. კულტურა – არის კონკრეტული, ცოცხალი, მუდმივად მინელებადი და კვლავ წარმოქმნილი ურთიერთობა მოქმედ სუბიექტებს შორის. არ არის ასეთი ურთიერთობა – არ არის კულტურაც, ზუსტად ამიტომ ერი, რომელსაც აქვს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, მაგრამ აქვს სუსტი სამოქალაქო ცხოვრება, ბრტყელი პოლიტიკური ცხოვრება, აქვს, როგორც წესი, განუვითარებელი, პრიმიტიული პოლიტიკური კულტურა” (1990, გვ. 127).

შესაბამისად, პოლიტიკური კულტურა მეორეულია სოციალურ კულტურასთან მიმართებით, ანუ კულტურასთან, რომელიც დაკავშირებულია სასიცოცხლო დირებულებების სისტემასთან, ტრადიციებთან, საზოგადოებაში შემუშავებულ ნორმებთან, რომლებიც გადაეცემა თაობიდან თაობას. ის

წარმოიქმნება და არსებობს კომუნიკაციის პროცესში. კომუნიკაცია ყოველთვის ორმხრივი პროცესია, და იმისათვის, რომ ერთი ცნობიერება გამოეხმაუროს მეორის მოწოდებას, აუცილებელია კომუნიკაციის საშუალება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება აღსაქმელად ადრესატის გრძნობის ორგანოებით – უესტი, ხმა, სიმბოლო, სიტყვა.

სუბიექტივისტურ ეპისტემოლოგიაში ითვლება, რომ ადამიანი გარემოცულია არა ზოგიერთი ბუნებრივი მონაცემით, არამედ გასაგები მწყობრი გარემოთი. ამიტომ პოლიტიკური კულტურა – ეს არის პოლიტიკასთან ნორმატიული ურთიერთობა, რომელსაც ხალხი აღიქვამს არაკრიტიკულად, როგორც თავისთავად ცხადს; ეს არის აქტორებს თავსმოხვეული როლი და ორიენტაციები, ჩამოყალიბებული გარკვეულ საზოგადოებაში სუბიექტური წარმოდგენებით.

მ. ფუჭოს კონცეფციაში „ხელისუფლება – ცოდნაა” ცენტრალურია დისკურსის ცნება, რომელიც სტრუქტურირებულია განსაზღვრული წესების შესაბამისად. ისინი ზღუდავენ შესაძლო დისკურსული არტიკულაციის არჩევას. ეს გამოთქმათა უნებლივ ნარევი კი არ არის, რომელთაგან თითოეულზე შესაძლებელია შემდგომში ადვილად უარის თქმა, არამედ ეს არის დეტერმინირებული და შეზღუდული აზრობრივი სივრცე. ამრიგად, პოლიტიკური კულტურა როგორც კულტურული კოდების ერთობლიობა არ არის ორგანული მოცემულობა, არ არის დამოკიდებული იმაზე, რასაც ჩვენ ვამბობთ ან ვფიქრობთ მასზე. ის შესაძლებელია შეიცვალოს, ხოლო რაღაც მომენტში გაბატონებული მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაგება შემდგომში შეიძლება შეიცვალოს და უკაგდებული იქნას, სრულიად საწინააღმდეგოს დეკლარირებამდეც კი. ამასთან, პოლიტიკური კულტურა არ შეიძლება თვითნებურად შეიცვალოს, ინდივიდუალური სურვილისამებრ. იგი გამოდის როგორც შესაბამისი სიტყვებისა და ცნებების კოლექტიური მოხმარების შედეგი სხვადასხვა დისკურსის ერთობლიობაში. პოლიტიკური ქმედების მონაწილეები წარმოდგენილი არიან არა სუბიექტებად, არამედ აგენტებად.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, პოლიტიკური კულტურა განიმარტება როგორც ადმინისტრირება პროცესებისა, რომლებიც „ძირს უთხრის მოქალაქის სტატუსს”. ეს არის ძალაუფლება პასუხისმგებლობის გარეშე. შედეგად პოლიტიკის სამყარო ტრანსფორმირებული იქნება ფასეულობათა კრიტიკული განხილვის მექანიზმების ჩართვის ხარჯზე, რაც მიგვიყვანს კონსენსუალურ

კომუნიკაციამდე: საზოგადოების ყველა მოქალაქის კონვენციალურ შეთანხმებამდე გატარებული პოლიტიკის მიზნებისა და აზრის შესახებ. (J.Habermas 1994, p. 30).

ამ ორ პოლუსს შორის შუალედური არის თვალსაზრისი, შემუშავებული კონსტრუქციონალისტურ მიდგომაში ევროპაში: პოლიტიკას ანიჭებენ აზრს თვითონ მოაზროვნე და მგრძნობიარე ადამიანები. ადამიანს ვერ გამოაქვს აზრი არაფრისგან, მაგრამ აშენებს მას არსებული მასალით. ამიტომ უნდა განვასხვაოთ შეხედულებები, რომლებიც ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისია, იმ შეხედულებებისაგან, რომლებიც მისი საწინააღმდეგოა. ზუსტად პირველი შეადგენს კულტურას. მაგალითად, მაქს ვებერი ამტკიცებდა, რომ სოციოკულტურული ნორმები უნდა ასახავდეს რეალურ პოლიტიკურ სიტუაციას. ამასთანავე, პოლიტიკური ხელისუფლებაც, იმისთვის, რომ მას ემორჩილებოდნენ, უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებაში მიღებულ კულტურულ ნორმებს. ის პირობითად ყოფდა ლეგიტიმურ ხელისუფლებას რაციონალურ-კანონიერად, ტრადიციულად და ქარიზმატულად. განსხვავების საფუძველი, ვებერის მიხედვით, დარწმუნების ლოგიკაშია, რომელსაც ისინი, ვისაც მართავენ მზად არიან დაემორჩილონ. ნაწილი ხალხისა შეიძლება ადვილად დაარწმუნო ან უბიძო იმოქმედოს გონივრული დასკვნებით, მეორე ნაწილი – ზნეობრივი მოვალეობის შესრულების მოწოდებით, მესამენი – მათ მეტ-ნაკლებად ამაღლებულ ან მდაბალ გრძნობებზე თამაშით. რაციონალურ-კანონიერი ლეგიტიმურობა, ვებერის მიხედვით, დაფუძნებულია რწმენასა და კანონიერებაზე და მოქალაქეთა მზაობაზე დაემორჩილონ წესებს. ეს წესები ფორმალურად კორექტულია და შემოტანილია სახელისუფლებო ინსტანციების მხრიდან ზოგადად მიღებული პროცედურების დახმარებით. ტრადიციულ ლეგიტიმურობას ხელისუფალნი აღწევენ მასობრივ რელიგიურ შემეცნებაზე აპელირებით, კულტურულ სიმბოლოებსა და ხალხის ისტორიულ მეხსიერებაზე დაყრდნობით, ზნეობრივი ნორმების შესრულების მიწოდებით. ქარიზმატული ლეგიტიმურობა, თავის მხრივ, შეუძლებელია მოსახლეობის ემოციური ერთგულების გარეშე კონკრეტული ლიდერისადმი, რომელიც ხალხის გარკვეულ ჯგუფებში ასახიერებს რადაც უმაღლეს იდეას, მათ წარმოუდგება განსაკუთრებული სიწმინდის და გმირობის ნიმუშად (Beber 1990). პოლიტიკური კონტექსტი და მასთან დაკავშირებული წესები შეუძლებელი ხდება, თუ ხალხი უარს ამბობს ითამაშოს კონტექსტით მისთვის განკუთვნილი პოლიტიკური როლი. „მოცემულ

შემთხვევაში ფილოსოფიურ საფუძვლად გამოდის ლ. ვიტგენშტაინის კონცეფცია, რომელსაც ესმოდა ენა როგორც მოღვაწეობა რეგულირებული წესების მიხედვით. ამით იშლებოდა აზრობრივი ზღვარი ადამიანის ლინგვისტურ და არალინგვისტურ აქტივობას შორის. ვიტგენშტაინის მიხედვით, მნიშვნელობა არ შეიძლება გაგებული იყოს როგორც რადაც ობიექტი, რომელიც ავტომატურად შესაბამება ამა თუ იმ სიტყვას თუ სიმბოლოს. სიტყვა იძენს მნიშვნელობას მხოლოდ სპეციფიკურ კონტექსტში” (Кравченко 2004, 67). შესაბამისად, პოლიტიკურ დისკურსში ჩადებული გზავნილის ეფექტურობა დამოკიდებულია მის შესაბამისობაზე არა მხოლოდ მოლოდინებთან, არამედ საზოგადოებაში მიღებულ კულტურულ ნორმებთან, კონკრეტულ, ცოცხალ ურთიერთობასთან მოქმედ სუბიექტებს შორის, რომლებიც ჩართული არიან პოლიტიკური კულტურის ველში.

როგორც მიუთითებს მ. ვ. სტერჟნევა სტატიაში „პოლიტიკური კულტურა განსხვავებული ინტერპრეტაციებში: სპეციალური ცნების ანალიზი”, „თუმცა პოლიტიკური წესები დადგენილია ადამიანების მიერ, ადამიანების მიერვე შეიძლება შეიცვალოს, ადამიანი ჩვეულებრივ კი არ რეფლექსირებს მათზე, არამედ ემორჩილება ინსტინქტურად, ბრძან, ჩვევისა და აღზრდის გამო, რომელიც მას თავს ახვევს გარკვეულ პოლიტიკურ კულტურას, ე. ი. წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებას საგანთა ბუნებაზე პოლიტიკაში” (2002, გვ. 145-146). ეს „წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება საგანთა ბუნებაზე” შეეფარდება კოგნიტივიზმის ერთ-ერთ საკვანძო ცნებას „კოგნიტიურ ბაზას”. ვ. ვ. კრასნისის კვალდაკვალ, მას ჩვენ ვიგებთ, როგორც „გარკვეული სახით სტრუქტურირებულ ამა თუ იმ ლინგვისტური საზოგადოების აუცილებელ ცოდნათა ერთობლიობას, რომელსაც ფლობს მოცემულ ენაზე მოსაუბრე ყველა ადამიანი. კოგნიტიური ბაზა ფორმირდება კოგნიტიური სტრუქტურებით, რომლებიც თავის მხრივ ახდენენ ჩვენი კომპეტენციის ფორმირებას და ქმნიან მის საფუძველს. ინფორმაცია, კოდირებული და დაცული კოგნიტიური სტრუქტურის სახით, თავის თავში მოიცავს არა მარტო სამყაროზე ცნობებს, არამედ ენის ცოდნასა და ცოდნას ენის შესახებ” (1998, გვ. 47). კოგნიტიური ბაზა, ჩამოყალიბებული მოსაზრების თანახმად, აყალიბებს, უპირატესად, წარმოდგენების (არსებულის და შესაძლო) ინვარიანტებს ამა თუ იმ ფენომენებზე, რომლებიც დაცულია მასში რედუცირებული (მინიმიზირებული) სახით. მაგალითად, კულიკოვოს ბრძოლაზე საუბრისას რუსები ააქტიურებენ

მითოთებული მოვლენის დიფერენციალური ნიშან-თვისებების გარკვეულ ნაკრებს და მისთვის დამახასიათებელ ატრიბუტებს. სხვადასხვა ფაქტორის გამო ეს ნაკრები ორი ნებისმიერ ინდივიდის ცნობიერებაში შესაძლებელია არსებითად განსხვავებული იყოს, მაგრამ არსებობს კულიკოვოს ბრძოლაზე წარმოდგენის ეროვნული ინგარიანტი. „კულტურული საგნების” მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც დაცულია კოგნიტიურ ბაზაში, არის ზუსტად მათი საერთოეროვნული ხასიათი. ეს წარმოდგენები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც ინდივიდუალურ კოგნიტიურ სივრცეში არსებობს, მაგრამ თავის კომუნიკაციურ პრაქტიკაში ენობრივი ცნობიერების მატარებელი მიმართავს უპირველეს ყოვლისა პირველს და არა მეორეს. მაგალითად, ვიღაცა შეიძლება არ თვლიდეს ნაპოლეონს გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწედ. მაგრამ იგივე ადამიანი გაიგებს, რომ თუ დავარქმევთ ვინმე ჩვენს თანამედროვეს ბონაპარტს ან ნაპოლეონს, ამაში იგულისხმება მისი პოლიტიკური ნიჭიერება, სიმამაცე და ა. შ.

ლინგვოკოგნიტიურ კვლევებში კოგნიტიური ბაზა გაიგება როგორც ცოდნის აბსტრაქტული საცავი, რომელიც იმ ინფორმაციის გადამუშავების საფუძველია, რომელსაც იდებს ადამიანი ენობრივ ტექსტებთან ნებისმიერი შეხებისას როგორც აღქმისას, ასევე მეტყველების წარმოქმნის დროსაც. აქტიურად გამოეწება ტერმინისა „ინფორმაციის გადამუშავება” მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანის აზროვნებითი და ენობრივი მოღვაწეობა ემსგავსება ინფორმაციულ-გადამამუშავებელ სისტემას. აქ აუცილებელია ადინიშნოს ადამიანის მოღვაწეობის პრინციპული განსხვავება ოპერაციებში სიმბოლოებთან: მონაცემთა ენობრივი დამუშავების პროცესში ხდება არა მხოლოდ კოგნიცია, არამედ კომუნიკაციაც, რაზეც მიანიშნებენ ავტორიტეტული მკვლევარ-კოგნიტივისტები (იხ. მაგალითად: Методологические проблемы когнитивной лингвистики 2001). შესაბამისად, კოგნიტიური ბაზა – ეს არის ინფორმაცია, რომელიც აქტიურდება (ამოიღება და დამუშავდება) დისკურსული მოღვაწეობის პროცესში. კოგნიტიური ბაზა – პირობითი კონსტრუქტია, რომელიც შეიცავს მინიმალიზებულ, რედუცირებულ წარმოდგენას რეალობაზე, რომელიც გახდა ლინგვოკულტურული საზოგადოების „კულტურის საგანი” (Гудков. Прецедентные феномены в текстах политического дискурса [175]). დ. ბ. გუდკოვი კოგნიტიურ ბაზასთან აპელაციას იღუსტრირებს შემდეგი მაგალითებით: «Нашему обществу нужны не Обломовы, а деятельные и энергичные люди», «Поезд реформ набрал ход, и

*остановить его не сможет никакая Анна Каренина», «Девушка решила пойти по стопам Раскольникова и ограбила старушку».* Магадилотъёдидар бадмомдидинбажарылдыс, рөмтөлөмөлөзү - меболонд ზარмадацыда, алда კარენინა - меболонд ქალыда, როмжелдиң маджареъдеңс ჩაუვარыда, көлөн რаскюләндигүлөзү арның ახალგაზრыда, როмжелдиң სасტықада гауысғүлөрдә „დედაბერს”. Түмცә тиთოეузлди ам პერსონაჟының სახე გаცиленеъдиот ღრმა და რთულыда, магранам ფრაზებди мимадартулуда სწორედ миңимадиңеъбүл, სტერეოტიპүл წარмөлдგენაზე, როмжелдиң დაცულыда ადრესატთა კოგნიტიურ ბაზაში. კოგნიტიური ბაზидары ამოკრებиленди ინფორմацияда იმართება და ინტერპრეტირდება პიროვნებының ინტენცиони მიხედვით, კონკრეტული კომუნიკაციური სიტუაციондада გამიმდინარე და ა. შ. ზემოთ ციტირებული ავტორის შეხედულებыны მიხედვით, ყოველი ლინგვო-კულტურული საზოგადოება მიისწრაფის შეზღუდოს ინდივიდის თვითდეტერმინაცია მკაცრად მოცემული ჩარჩოებით, მისი მანევრირების თავისუფლება კულტურულ სიცრცეში მინიმუმადე დაიყვანოს. კოგნიტიური ბაზა ასრულებს პიროვნებыны თვითდეტერმინაციის შემზღუდავის და მისი სოციალური ქვევის რეგულატორის ფუნქციას.

Амропаад, პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა დამოკიდებულია ადრესატის კოგნიტიური ბაზის ხატებთან მაქსიმალურად ზუსტ აპელაციაზე, საგანთა ბუნებაზე წინასწარ კონსტრუირებულ შეხედულებაზე.

ლინგვისტიკაში მიღებული დეტულების თანახმად, ნებისმიერი ურთიერთობა ვარაუდობს დიალოგს, რომლის აუცილებელ შემადგენელს წარმოადგენს - მიმართვა ადრესატისადმი. თუმცა, პოლიტიკური დისკურსი - ეს არის „არა მеболонд პოლიტიკოსების ერთმანეთთან ურთიერთობა, არამედ ხალხთანაც, ეს, პირველ რიგში, არის აზრის გადაცემის ხერხი, მორზეს ანბანი, რომლის საშუალებითაც ხალხს გადაეცემა საჭირო სიგნალები” (გაზეთი «Взгляд», 8. 11. 2011). ამიტომ პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა დამოკიდებულია სპეციფიკური სამეცნიერებლო ხერხების მარჯვედ გამოყენებაზეც. ცნობილია, მაგალითად, რომ პოლიტიკოსის სიტყვა ინტერვიუში შეიცავს ორჯერ მეტ მნიშვნელოვან და ხანგრძლივ პაუზას, ვიდრე სხვა ადამიანის ინტერვიუ. (ამის შესახებ: D. Duez 1982, p. 11). „მედია-კავშირის” ვიცე-პრეზიდენტი ე. ზელინსკაია ვარაუდობს, რომ ენა, რომელზედაც ლაპარაკობს პოლიტიკური ელიტა, უნდა ატარებდეს თავის თავში „აზრებს”. მისი მოსაზრებით, რუსული ენა, ინგლისურთან შედარებით, - სხვა სახის ინსტრუმენტია. „მეფეს” უნდა

პქონდეს შინაგანი კაგშირი ხალხის კოლექტიურ არაცნობიერთან და უნდა ილაპარაკოს ამ არაცნობიერის ენაზე («Царь» должен обладать внутренней связью с коллективным бессознательным народа и говорить на языке этого бессознательного) [176].

პოლიტიკური დისკურსის ჩარჩოებში დიალოგის კიდევ ერთი თავისებურება არის ის, რომ იშვიათი შემთხვევების გარდა, (მაგალითად, მიტინგზე გამოსვლა), არის დისტანცური, ანუ თვით კომუნიკაციური აქტი და მის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე სიგნალი შეიძლება დროში საკმაოდ დაშორებული იყოს. ასეთ პირობებში დისკურსის ეფექტურობა დამოკიდებულია შინაარსის სტერეოტიპიზაციაზე და მასში სამეტყველო ქცევაზე, ანუ უკვე ცნობილი ნიმუშების მიხედვით მოქმედებაზე.

აღიარებულია, რომ სტანდარტიზაციის მეტად მოხერხებული ფორმაა რიტუალი, რომელიც სამეტყველო ქცევის მრავალფეროვნებას ათავსებს ტიპური სიტუაციების შეზღუდულ ჩარჩოებში. ამგვარ პირობებში კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანი ხდება სტანდარტულ ფორმაზე მიმთითებელი ვერბალური სიგნალები, რომელთა მიღებისასაც რეციპიენტის შემეცნებაში აქტუალიზდება სტერეოტიპული სურათი, დაკავშირებული სტერეოტიპულ შინაარსთან. რიტუალური გამონათქვამები ხდება ლინგვისტურად არაინფორმატიული. ნათქვამის მკაფიო ილუსტრაციად შეიძლება გამოდგეს სახელმწიფო დუმის დეპუტატების სამეტყველო ქცევა პრემიერ-მინისტრის დამტკიცებისას, რომელიც მოყვანილია დ. ბ. გუდოვის მიერ. ორატორები, რომლებიც ვალდებული იყვნენ დაერწმუნებინათ მსმენელები, სინამდვილეში სულაც არ ისახავდნენ ამ მიზანს, რადგანაც მიმდინარე რიტუალის შედეგი ყველა მონაწილისა და მსმენელისთვის წინასწარ, მის დაწყებამდე იყო ცნობილი. (ასეა ყოველთვის, როცა რიტუალი სრულდება) [177].

პოლიტიკური დისკურსი ასახავს განსხვავებულ ძალთა ბრძოლას ხელისუფლებისთვის და, როგორც უკვე აღინიშნებოდა, ორიენტირებულია, პირველ რიგში, არა ინფორმატიულობაზე, არამედ ადრესატისთვის „პოლიტიკურად სწორი” ქმედების ან/და შეფასების შთაგონებაზე. ამიტომ მასში ჭარბობს სუბესტურობა და არა რეფერენცია. მეტყველების დიალოგურობა, როგორც მისი აუცილებელი პირობა, პოლიტიკურ დისკურსში ამობრუნდება ფორმულის „ლიდერი—ბრძო”, შესაბამისად, მასში დომინირებს ერთი მოსაუბრე, ლიდერი, ბეჭდი. ლიდერის როლი შეიძლება ეკუთვნოდეს

მეტყველების არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ადრესანტს, არამედ კოლექტიურს, მაგალითად, სატელევიზიო არხს, გაზეთს ან ინტერნეტ პორტალს.

მსგავს სამეტყველო ურთიერთქმედებაში, სადაც ჭარბობს დარწმუნება და ემოციური ზემოქმედება ადრესატზე, ეფექტური ხდება აპელაცია არა *ratio*-სთან, არა ზოგიერთ ლოგიკურად უძველე მტკიცებულებებთან, არამედ ემოციებთან. მაგალითად შეიძლება გამოდგეს ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი საბჭოთა კავშირის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ მომენტში (დიდი სამამულო ომის დაწყებისას), რომელიც იწყებოდა სიტყვებით „მებო და დებო!“.

პოლიტიკის დისკურსულ ტექსტს ახასიათებს ექსპრესიულობა და ხატოვანება, რომელიც მედავნდება, კერძოდ აბსტრაქტული ცნებების და კონკრეტულ მენტალურ „სურათებში“ ლოგიკურად აწყობილ წარდგენაში, რომელიც მოწოდებულია გამოიწვიოს „ბელადის“ მიერ პროგნოზირებული ემოციები. დ. ბ. გუდკოვი ამასთან დაკავშირებით წერს: პოლიტიკური დისკურსი „კონფლიქტურია, აგონალურია, მასში მუდმივად მიმდინარეობს ბრძოლა ემოციებისთვის, შდრ. თანამებრძოლი და თანამოაზრე, პარტიზანი და მებრძოლი, თავისუფლებისათვის მებრძოლი და ტერორისტი და ა. შ. ნომინაციის მოცემული წყვილები... თვალსაჩინოდ აჩვენებენ, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება ერთი დენოტატი, მაგრამ კონტაციები აღმოჩნდება პოლარული, ხოლო მოყვანილი სახელები გამოირჩევა შესაბამის კონტექსტებში მკაფიოდ გამოყოფილი აქსიოლოგიურობით [178].

ისტორიის კრიტიკულ პერიოდებში ზოგიერთი დასახელებების ხმარებისას ხშირად ერთმნიშვნელოვნად შესაძლებელია ამოიცნო მოლაპარაკის პარტიული კუთვნილება. გარსია სანტოსი (Garcia Santos) დაწერილებით აღწერს ამ მოვლენას ესპანეთის რესპუბლიკის 1932 წლის პოლიტიკური დისკურსის მასალებით. კომუნისტები პეიორატიული მნიშვნელობით ხმარობდნენ სახელდებას anarco-burgues „ანარქო-ბურჟუაზიული“, anarcofascista „ანარქო-ფაშისტი“, socialfascista „სოციალ-ფაშისტი“; მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები – burgues „ბურჟუაზიული“, cochino burgues „ბურჟუაზიული ღორი“, fascista „ფაშისტი“, hombre feliz „ნეტარი“. ფაშისტები უწოდებდნენ კომუნისტებს parasitos „პარაზიტებს“, convidados „მოწვეულები“, semiosenoritos „ნახევრადბატონები“; მემარცხენე რესპუბლიკური ფრთა უწოდებდა ანტირესპუბლიკელებს cavernicolas „უდრანს“, cavernario „გამოქვაბულის ადამიანებს“, trogloditas „ტროგლოდიტები“, paleopoliticos „პალეოპოლიტიკოსებს“,

rupestres „კლდეებზე გაზრდილები”, cuaternarios „ცხენის ქურდები”, prehistoricos „ისტორიამდელები”, rhinoceros „მარტორქები”, ursus „დათვები”, macacus „მაკაკები”, mamuts „მამონტები”, retrogrades „რეტროგრადები”, reaccionarios „რვაქციონერები”, obscurantistas „ობსკურანტისტები”, neos „ნეო”, trabucaires „მუშკეტერები”, fanaticos „ფანატიკოსები”, cerriles „გალურები”, antipodas „ანტიპოდები”, raza Latina „ლათინური რასა”, chacales „ტურები”, bestias „ბესტიები”, alimanas „მავნე მხეცები”, sapos „გომბეშოები”, monas epilepticas „მაიმუნი ეპილეტიკები”; ხოლო ისინი პასუხობდნენ: tabernicolas „მედუქნები” enhufistas” „გაიძვერები”, social enhufistas „სოციალ-გაიძვერები”, petroleros „ომის გამჩადებლები”, pistoleros „თავის მომჭრელებს”, incendiarios „ცეცხლის წამკიდებლები”, sectarios „სექტანტები”, aventureros „ავანტურისტები”, caines „ბოროტმოქმედები (კაენები), ambiciosos „პატივმოყვარები”, ladrones „ქურდები”, asesinos „მკვლელები”, criminals „დამნაშავეები”, reptiles „რეპტილიები”, serpientes „გველები”, crustaceos „კიბორჩხალას მსგავსები” (1987, გვ. 121-122)

რუსული ენის მასალაზე დაყრდნობით მაგალითად შეიძლება გამოდგეს რუსეთის სახელმწიფო პუმანიტარული უნივერსიტეტის ლინგვისტიკის ინსტიტუტის დირექტორის მ. კრონჟაუზის შემდეგი დაკვირვება: თუ „პერესტროიკის” დასაწყისში სიტყვები „პატრიოტი” და „დემოკრატი” აღიქმებოდა პირდაპირი მნიშვნელობით, დღეს ეს უფრო იარლიყია, რომელიც აღნიშნავს ხალხთა გარკვეულ ჯგუფთან მიკუთვნებას. ორივე ეს სიტყვა რეგატელურია, მათი მოწინააღმდეგებების თქმით მაინც. ზუსტად ასევე, როგორც რეგატელური გახდა სიტყვა „ლიბერალი”. „პატრიოტი” აღიქმება როგორც ადამიანი, რომელიც მიეკუთვნება გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფს. როგორც წესი ეს ნაციონალისტია. „დემოკრატიც” საეჭვო სიტყვაა. იგი არა მარტო ის ადამიანია, რომელსაც აქვს დემოკრატიული შეხედულებები, არამედ ის ასოცირდება არაერთგვაროვანი რეპუტაციის მქონე ხალხის გარკვეულ ჯგუფთან. ამასთან აღნიშვნა „მემარცხენე”, „მემარჯვენე”, „კონსერვატორი”, „რადიკალი”, სრულიადაც არ შეესაბამება დასავლურ ტრადიციებს. მათი თარგმნა პირდაპირ შეუძლებელია. დასავლეთში ეს ტრადიცია დამკვიდრდა, ხოლო რუსეთში გაუგებარია, ვინ არის კონსერვატორი? ეს სიტყვები იხმარება ქაოტურად. ვის ეწოდება „მემარჯვენე”, ვის „მემარცხენე” – გაუგებარია. კომუნისტები, მაგალითად, ითვლებიან „მემარცხენეებად” ისევე, როგორც

დასავლურ სამყაროში? თუ კომუნისტები რუსეთში, პირიქით, „მემარჯვენები” არიან, რადგანაც ისინი კონსერვატორები არიან? და არიან კი ისინი კონსერვატორები? „ჩვენთან სამყარო ამობრუნდა. ყველაფერი აირია. გაუგებარია, კონსერვატორი რომელი იდეების მცველია, გარდაქმნამდელი თუ რევოლუციონამდელი? ჩვენ არ გვაქვს საყრდენი, „ბეჭგრაუნდი” ამ ტერმინების გამოყენებისათვის” (სიტყვა კარგავს აზრს. გაზეთი «Взгляд», 8. 11. 2011). მეცნიერის თვალსაზრისით რუსეთი ეძებს ახალ პოლიტიკურ ენას.

ფუნდამენტური ჯგუფური ფასეულობების საფუძველზე პოლიტიკურ დისკურსში თვალსაჩინოდ უნდა მოხდეს ამ „ნომინაციებისთვის ბრძოლის” პრევალირება კონტაციურობაზე, დენოტაციურობასა და აქსიოლოგიურობაზე. შეფასებები გამოირჩევა მკაფიოდ გამოხატული პოლარულობით, ეწყობა ბინარულ ოპოზიციებში, რომელიც გამორიცხავს რომელიმე გრადუალურობას: სიკეთე – ბოროტება, მტერი – მეგობარი, შავი – თეთრი და ა. შ., რასაც მივყავართ შუალედურ ოპოზიციამდე „ჩვენ – ისინი” და მაერთებელ ოპოზიციასთან „ჩვენები – სხვები”. ნებისმიერ ენას აქვს დექსიკურ საშუალებათა არსენალი, რათა პრინციპულად განსხვავებულად დაახასიათოს ერთი და იგივე საგანი, მაგალითად: შინამოხამაშურე და დამხმარე, ხამუშაოს მიმცემი და დამქირავებელი, დაზვერვა და ჯაშუშობა და მისთ. ამის გარდა, ყველა ენა ახდენს პერიფრასტიკული დასახელების მექანიზმის რეალიზებას, და ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ ლ. ს. ვიგორსკის მაგალითი, რომელიც ამბობდა, რომ ერთსა და იმავე ადამიანს შეიძლება უწოდო „გამარჯვებული იენესთან” და ასევე „დამარცხებული ვატერლოსთან”.

ამრიგად, სოციალური ქცევის ამა თუ იმ სისტემისთვის ბრძოლა აღმოჩნდება ხოლმე ენობრივი აღმნიშვნელებისათვის ბრძოლადაც, რამდენადაც სწორედ „ენა ანივთებს იდეოლოგიურ ბადეს, რომელსაც ესა თუ ის სოციალური ჯგუფი აურევს ინდივიდსა და სინამდვილეს შორის; იგი იძულებულს ხდის მას იაზროვნოს და იმოქმედოს გარკვეული კატეგორიებით, შეამჩნიოს და შეაფასოს სინამდვილის მხოლოდ ის ასპექტები, რომლებსაც ეს ბადე ავალებს აღნიშნულის სახით (Базылев 1994, გვ. 183–184).

შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა დაკავშირებულია ენობრივ მანიპულირებასთან. ს. ა. შაპოვალი სტატიაში „მანიპულირება ენობრივი” ლექსიკონიდან „ზოგადი ფსიქოლოგია” (2005) ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ადამიანის ქცევის ან ცნობიერების საიდუმლო (ფარული)

მართვა ხორციელდება ლოგიკური აზროვნების „გეერდის ავლით“ და შეუმჩნეველია ადრესატისთვის, რადგანაც „ჩართულია“ ენაში. ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილია გამონათქვამი: „რატომ უნდა მისცენ ხმა მეანაბრეებმა პარტია „სახალხო კავშირს?“. ის აგებულია იმგვარად, რომ იმპლიციტური წინაპირობა – მტკიცება „ხმა უნდა მისცენ“, ხდება აზრის უდავო ნაწილი.

ზეპირი ან დაწერილი სიტყვით ადამიანის ქცევის მართვის ხელოვნება, გარკვეული ტექსტების წარმოდგენა სათავეს ანტიკური რიტორიკული ტრადიციიდან იღებს, რომელიც ჩამოყალიბდა ფილოსოფოს პროტაგორის ზეგავლენით: არ არსებობს ჰეშმარიტება, მხოლოდ ადამიანია ყველაფრის საზომი. სოფისტებმა განავითარეს ორატორული ხელოვნება როგორც არგუმენტების, ლოგიკისა და რიტორიკული პაექრობა, რაც ოპონენტის „აუცილებელი“ დაბნევის საშუალებას იძლეოდა. აქედან იღებს სათავეს აგონალური (შეჯიბრებითი) რიტორიკა, რომელიც ერთობ საჭირო იყო ძველბერძნულ დემოკრატიულ საზოგადოებაში – ნებისმიერს შეუძლია გამოთქვას აზრი და დაუუფლოს რიტორიკული პაექრობის ხელოვნებას. თანამედროვე სამყაროში აგონალურ რიტორიკას უწოდებენ აგონალურ კომუნიკაციას და ის შეისწავლება ფსიქოლოგიური, ლოგიკური და ლინგვისტური საფუძვლების თავალსაზრისით. ფსიქოლოგიურ საფუძვლებს შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: ადამიანმა, რომელიც აგონალური რიტორიკის ზემოქმედებას განიცდის, არ უნდა იცოდეს ამის შესახებ; დარწმუნებისათვის აუცილებელია შეიქმნას აგონალური სივრცე – არჩევანის სიტუაცია; ადამიანს ის კი არ ესმის, რასაც ეუბნებიან, არამედ – რისი გაგონებაც სურს (ა. ა. უხტომსკის დომინანტის პრინციპი); ჯ. ტრაუტის (Jack Trout) პოზიციონირების პრინციპი: პოზიციონირება არის ბრძოლა ჭკუისათვის. ცნობიერებაში ყოველთვის არსებობს წარსული აგონალური ზემოქმედების კვალი, მათ შორის კი – დროის მონაკვეთები. ამოცანაა ამ ზემოქმედების კვალის წაშლა და დროის მონაკვეთების გაფართოება, ადამიანის ახალი არაცნობიერის შექმნა.

ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს რელატიურობის პრინციპი: აგონალური გამონათქვამი საპირისპიროა ფორმალურ-ლოგიკური გამონათქვამისა. თუ ფორმალურ-ლოგიკური გამონათქვამი ყოველთვის შეიძლება შემოწმდეს, ჰეშმარიტია ის თუ მცდარი, აგონალური გამონათქვამი უშვებს საპირისპირო მსჯელობის ერთდროულ ჰეშმარიტებასა და მცდარობას.

ლინგვისტურ საფუძველს წარმოადგენს მკვეთრი გამიჯვნა კომუნიკაციურ მოვლენასა და მოვლენის კომუნიკაციას შორის. მოვლენის კომუნიკაცია ყველაზე უფრო მარტივი ენობრივი გამონათქვამია, რომელიც რაღაც შემთხვევის შესახებ გვატყობინებს. კომუნიკაციური მოვლენა კი საპირისპირო მოვლენაა, რომელიც დამუშავებულია ტ. ვან დეიკის თეორიაში. ეს არის ვირტუალური მოვლენა, რომელიც იქმნება სპეციალური ენობრივი საშუალებებით: დაფარული პერფორმატივი, დენოტატისა და კონტატის აცდენა, სუგესტიის (შთაგონება) და რაციონალიზაციის (შთაგონების მოხსნა) აცდენა. ცნობილია, რომ ენაში არის სიტყვები, რომლებიც დენოტატის თვალსაზრისით სინონიმებია, ხოლო კონტატის მხრივ – ანტონიმები, მაგ., „მზვერავი – ჯაშუში“ («разведчик – шпион»).

აგონალური კომუნიკაციის დროს ზემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს ოპოზიცია: „ჩვენ – ჯგუფი“, რომელიც დადებითად ფასდება, და „ისინი – ჯგუფი“, რომელიც შეიძლება (უპირატესად) შეფასდეს უარყოფითად. აგონალური კომუნიკაცია აღიარებული თანამედროვე სამეტყველო ტექნოლოგიაა, სხვის ცნობიერებაზე ზემოქმედების ხელოვნებაა.

როგორც ამ ზოგადი აღწერიდან გამომდინარეობს, თანამედროვე პოლიტიკურობიებში მოთხოვნად აგონალურ რიტორიკას ბევრი საერთო აქვს მარკეტინგის ტექნოლოგიებთან, რაზეც უკვე ვისაუბრეთ ზემოთ. პოლიტიკური რეკლამა დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს მიერ პოლიტიკური რეალობის აღქმას. პოლიტიკური რეკლამის შექმნისა და გამოყენების მრავალასპექტიან პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სხვადასხვა ფსიქოტექნოლოგიებს ანუ, რაიმე ამოცანის გადაჭრისათვის მიმართული ფსიქოსემანტიკური ქმედებების შესრულების მეთოდების, ხერხების და საშუალებების ერთობლიობას. ისინი გვეხმარება დავინახოთ ლიდერისა და ამომრჩევლების ფსიქოლოგიური პორტრეტები, გამოვავლინოთ, რა მოტივი უბიძებს მათ, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას. ისინი ასევე ახდენენ ზემოქმედებას ჩვენს მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. მოქალაქეების ცნობიერებაში სახელმწიფოს ხატის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალებაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. უფრო მეტიც, დღეისათვის მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებები უურნალ-გაზეთები, რადიო, ტელევიზია, სოციალური ქსელები, პოლიტიკური კომუნიკაციის მძლავრ არხად, და, შესაბამისად, გარკვეულ წილად

მანიპულაციის საშუალებად გვევლინება. „საზოგადოებრივი აზრის შექმნის პროცესში გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებების ხერხების არსენალი საკმაოდ დიდია:ზოგიერთ ფაქტზე დუმილი და სხვა ფაქტების წინ წამოწევა, ცრუ ამბების პუბლიკაცია, აუდიტორიაში გარკვეული ემოციების აღმვრა ვიზუალური ხერხებით ან სიტყვიერი ხატებით, გარკვეული საზოგადოების ფასეულობათა სისტემაზე აპელაცია და სხვ. გარდა ამისა, ზემოქმედების ეფექტურ ხერხებს მიეკუთვნება ინტერესთა თანხვედრის გამოყენება, მოვლენათა გარეგნული მსგავსება შთაგონებასთან, ახალი სტერეოტიპების მიბმა ძველთან, სტერეოტიპების ჩანაცვლების ხერხი, ცალკეული ჯგუფების გრძნობების წინ წამოწევა, შეჯახებათა სტიმულირება და სხვ. [179]. ამგვარად, აგონალური რიტორიკა, როგორც თანამედროვე სამეტყველო ტექნოლოგია, აქტიურად გამოიყენება პოლიტიკურ დისკურსში.

პოლიტიკოსის მეტყველება გასაგები უნდა იყოს როგორც მასობრივი აუდიტორიისთვის, ხალხისთვის, ასევე უნდა პასუხობდეს ბიუროკრატიულ, ჩინოვნიკურ ნომენკლატურაში მიღებულ სტანდარტებს. წარმატებული პოლიტიკოსის სამეტყველო პორტრეტი იგება მრავალი ფაქტორით: დარწმუნების ლოგიკა, ემოციურობა, აფორისტულობა, ხატოვანება, მეტყველების მანერა და ა. შ. პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა დამოკიდებულია, ასევე, სტრატეგიულად სწორად შერჩეულ ლექსიკურ ერთეულებზე.

პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა შედგება მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორისგან, რომლებიც ერთობლიობაში გავლენას ახდენს შედეგის მიღწევაზე: ადრესატმა შესაძლო ქცევებიდან უნდა აირჩიოს ზუსტად ის, რომლისკენაც მას მიმართავს ადრესანტი. ამრიგად, ცნება „პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა“ უახლოვდება ცნებას „სამეტყველო ზემოქმედება“. მიმდინარეობის პირობების გარდა (რაზეც ზემოთ დაწვრილებით იყო საუბარი), პოლიტიკურ დისკურსში სამეტყველო ზემოქმედების თავისებურება არის ის, რომ მას ჰყავს კრებითი ადრესატი. ეს ფაქტი მნიშვნელოვნად ართულებს ზემოქმედების პროცესს, რომელიც დაფუძნებულია ასაკის, სოციალური სტატუსის, ემოციური მდგომარეობის, რიგიდულობის და კონფორმულობის, მოტივების სისტემების, ენობრივი ცნებების ფლობის ხარისხზე.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებისას, შეიძლება დაგასკვნათ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ამომრჩეველთან სასაუბროდ თანამედროვე პოლიტიკა

ეძებს მასობრივ ცნობიერებაზე გავლენის მოხდენის ახალ საშუალებებსა და სამეტყველო ზეგავლენის ახალ ხატებს.

### II.3. პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობის ენობრივი საშუალებები

წარმოადგენს რა, კომუნიკაციისა და აზრის გამოხატვის საშუალებას, ენა მოქმედებს როგორც ცოდნის, სამყაროს შეცნობის, გამოცდილების ცოდნად გარდაქმნის ინსტრუმენტი. ენა არა მარტო ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის საშუალებაა, არამედ ახალი ცნებების ჩამოყალიბების ინსტრუმენტიც არის, რომელიც უმეტესწილად განსაზღვრავს თავად ადამიანის აზროვნების მეთოდს. ამასთან, ენა წარმოადგენს ძალაუფლების იარაღსაც ძალაუფლებისთვის ბრძოლის ინტენცია შესაძლებელია ჩაითვალოს პოლიტიკური დისკურსის სპეციფიურ მახასიათებლად, რომელიც წარმოდგენილია მის ყველა უარმაზი. იგი აისახება პოლიტიკური დისკურსის აგონიალობაში, შეჯიბრებითობაში, იდეათა ბრძოლაში, სადაც გამარჯვება არის ძალაუფლება. „ძალაუფლება მოქმედებს როგორც პოლიტიკური დისკურსის საბაზისო ინტენცია, როგორც მისი ინტენციონალური საფუძველი, მისი მთავარი ფუნქციების განმსაზღვრელი: პოლიტიკის ჯგუფური აგენტების ინტეგრაცია და დიფერენციაცია, კონფლიქტის განვითარება და კონსენსუსის ჩამოყალიბება, ვერბალური პოლიტიკური ქმედებების განხორციელება და მათ შესახებ ინფორმირებულობა, პოლიტიკის სფეროს „ენობრივი რეალობის“ შექმნა და მისი ინტერპრეტაცია, პოლიტიკოსებისა და ელექტორატის ცნობიერებით მანიპულირება და მათი ქმედებების კონტროლი“ (შეიგალი). [180].

ენას, მისი უნივერსალური ხასიათიდან გამომდინარე, გააჩნია რიგი საშუალებები, რომელთა შერჩევა და კომბინაცია პოლიტიკოსს ეხმარება, გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების ამოცანები. პოლიტიკური ძალაუფლების რეალიზება ხორციელდება ენის საშუალებით, საზოგადოების პოლიტიკური წყობის მიუხედავად: „დიქტატურის პირობებში ენა წარმოადგენს საზოგადოების ტოტალური კონტროლის უფრო აუცილებელ საშუალებას, ვიდრე მაგალითად, სპეცსამსახურები. ძლიერი დემოკრატიული საზოგადოების შემთხვევაში ენის მოხერხებულად გამოყენება

აქტიურად აყალიბებს ხელისუფლებისთვის საჭირო საზოგადოებრივ აზრს...” (მასლოვა 2008, გვ. 45).

ძალაუფლება არის მართვის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ჯგუფური, კლასობრივი, კოლექტიური, პირადი, სახელმწიფო მიზნების მისაღწევად. ძალაუფლება, „ფიზიკური ძალადობისაგან განსხვავებით, არის ძალა, რომელიც ზემოქმედებს სხეულზე, სულსა და გონებაზე, განმსჭვალავს მათ, უმორჩილებს სხვას საკუთარი ნების კანონებს” (ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი 2010). „ძალაუფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს პოლიტიკური ძალაუფლება” (ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი. 1983), ამასთან, „პოლიტიკური ძალაუფლება წარმოადგენს ძალადობასა და იძულებას” (ფილოსოფია: ენციკლოპედიური ლექსიკონი 2004).

ძალაუფლების ყველაზე ცნობილი მოდელებიდან ლინგვისტური კვლევებისთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პერმენევტიკული, ანუ კომუნიკაციური მოდელი, რომელიც დაკავშირებულია ფენომენოლოგიასა და პერმენევტიკასთან. ახალ ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში მოცემული განმარტების მიხედვით, მისი მიმდევრები ფიქრობენ, რომ „ძალაუფლება ყალიბდება მოცემული სოციალური საზოგადოების წევრების მიერ გაზიარებული აზრების წყალობით. დარწმუნება წარმოადგენს ძალაუფლებრივი ურთიერთობების ცენტრალურ ინგრედიენტსა და რაციონალობის მოსაზრებები აუცილებლად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პერმენევტიკის ინტერესი მიმართულია უპირველეს ყოვლისა სიმბოლურ და ნორმატიულ კონსტრუქტებზე, რომლებიც აყალიბებენ მოცემული სოციალური აგენტების პრაქტიკულ რაციონალობას”. ძალაუფლების ონტოლოგიის ამგვარი ადქმა ბადებს რწმენას, რომ ადამიანები მათი ბუნებით წარმოადგენენ „ლინგვისტურ არსებებს და ენა უმეტესწილად განსაზღვრავს საზოგადოების ხასიათს და მათ შორის არსებული ძალაუფლების ფორმებს. მაგალითად, არენდტ ჰანა „ძალადობის შესახებ“ ნაშრომში გამოთქვამს აზრს, რომ ძალაუფლება ნიშნავს ადამიანის უნარს იმოქმედოს, მაგრამ იმოქმედოს ერთობლივად. მისი აზრით ძალაუფლება არასოდეს წარმოადგენს ინდივიდის საკუთრებას, არამედ იგი ეკუთვნის ჯგუფს და არსებობს მანამდე, სანამ ჯგუფი ინარჩუნებს ერთიანობას. ადამიანები წარმოადგენენ უნიკალურ კომუნიკაციურ არსებებს და ზუსტად

მათი აზრებისა და ურთიერთობების სხვებთან გაზიარების უნარის წყალობით ხდება მბრძანებლობისა და დამორჩილების უნარის „შენარჩუნება”(2001).<sup>10</sup>

ვ. ზ. დემიანკოვის მიხედვით, პოლიტიკური დისკურსი შესაძლებელია განვიხილოთ მინიმუმ სამი მიმართულებით: სუფთა ფილოლოგიური – „როგორც ნებისმიერი სხვა ტექსტი; თუმცა, მკვლევარი „გვერდითი მხედველობით“ აკვირდება ფონს – ინტერპრეტატორის სამყროში პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონცეფციებს; სოციოფსიქოლინგვისტური – მოსაუბრის ფარული თუ აშკარა, მაგრამ უდავოდ პოლიტიკური მიზნების მიღწევის ეფექტურობის შესაფასებლად; ინდივიდუალურ - პერმენევტიკული – გარკვეულ გარემოებებში ავტორის და/ან ინტერპრეტატორის დისკურსის პიროვნული აზრების გამოვლენისას” (დემიანკოვი 2002, გვ. 33). ადნიშნულის საილუსტრაციოდ გამოვიყენოთ ფრაგმენტი გერმანელი ფილოლოგის, ვიქტორ კლემპერერის წიგნიდან „LTJ მესამე რეიხის ენა. ფილოლოგის უბის წიგნაკი“. წიგნს საფუძვლად უდევს დღიურის ჩანაწერები, რომლებიც დოკუმენტურად აღწერს კლემპერერის დაკვირვებებს, თუ როგორ რეაგირებდა მესამე რეიხის დროს ცოცხალი გერმანული ენა გერმანელი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებზე. „ჰიტლერის რომელი პროპაგანდისტული საშუალება იყო ყველაზე მძლავრი? იყო თუ არა ეს ჰიტლერისა და ჰებელის ცალკეული გამოსვლები, მათი ლაქლაქი ამა თუ იმ საკითხზე, ებრაელებზე ნადირობა, ბოლშევიზმის ძაგება? ამის ხელადებით აღიარება არ შეიძლება, რადგან ბევრი რამ გაუგებარი რჩებოდა მასებისთვის ან ბადებდა მოწყენილობას გაუთავებელი გამეორებებით/.../ არა, უძლიერეს ზეგავლენას ახდენდნენ არა ცალკეული გამოსვლები და სტატიები, სააგიტაციო ფურცლები ან პლაკატები. ამგვარი ეფექტის მოხდენა არ შეეძლოთ აზროვნებასა ან გააზრებულ აღქმაზე გათვლილ საშუალებებს. ნაციზმი სისხლსა და ხორცში გაუჯდა მასებს ცალკეული სიტყვების, ფრაზების, წინადადებების აურაცხელი გამეორებით, რაც მექანიკურად და გაუცნობიერებლად ილექტოდა მასებში. ... სიტყვები შესაძლებელია შევადაროთ დარიშხსანის მიზერულ დოზებს: მათ შეუმჩნევლად გყლაპავთ, თითქოს ზემოქმედებას არ ახდენენ, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მოწამელა სახეზეა. თუ ადამიანი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყენებს სიტყვას „განატიურად“ იმის მაგიერ, რომ თქვას „გმირულად“ ან „მამაცურად“, საბოლოოდ იგი ირწმუნებს, რომ ფანატიკოსი არის უბრალოდ

<sup>10</sup> საზგანმა ჩვენია – თ. გ.

მამაცი გმირი და, რომ ფანატიზმის გარეშე გმირი ვერ გახდები. სიტყვები „ფანატიზმი” და „ფანატიური” არ გამოუგონიათ მესამე რეიხში, მან მხოლოდ შეცვალა მათი მნიშვნელობა და ერთ დღეში იმეორებდა უფრო ხშირად, ვიდრე სხვა ეპოქები წლების განმავლობაში. ... იგი ცვლის სიტყვების მნიშვნელობას, მათი გამოყენების სიხშირეს, საყოველთაოს ხდის იმას, რაც ადრე ეკუთვნოდა ცალკეულ პირებს ან მცირერიცხოვან ჯგუფებს, იგი ვიწრო პარტიული უზუსისოფის ახდენს იმის მონოპოლიზაციას, რაც უწინ იყო საყოველთაო საკუთრება, ყველაფერ ამას – სიტყვებს, სიტყვათა ჯგუფებს, ფრაზების კონსტრუქციებს ჟღენთავს საკუთარი შხამით, იყენებს თავისი სასტიკი სისტემის სამსახურში, რითაც ენას აქცევს გადმობირების უძლიერეს, უკიდურესად დია და უკიდურესად ფარულ საშუალებად” (კლემპერერი 1999, გვ. 24-26). საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში სიტყვები გამოიყენება, როგორც „აზროვნების მოდელები სამყაროს აღსაქმელად”, რომლებიც განკუთვნილია სინამდვილის სოციალურ-პოლიტიკური კონცეპტუალიზაციისთვის. ასე, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (Mannheim, 1973) და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (Leipzig, 1975) 1989 წლამდე გამოცემულ, „Duden“-ის სერიის გერმანულ ენციკლოპედიურ ლექსიკონებში მოცემული დაფინიციების საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროს ერთი და იგივე ტერმინებთან შედარებისას, გერმანელი მკაფიოვარი როლი ბაჰემი საუბრობს „პოლარიზებული ლექსიკის საშუალებით აზროვნების პოლარიზაციის შესახებ”. აქვე ლაპარაკია აღქმულის ინტერპრეტაციაზე, მაგრამ განსაკუთრებული სახის ინტერპრეტაციაზე: იგულისხმება აღქმის ინტერპრეტაცია, რაც ხელს უწყობს მასების აზროვნებაში სამყაროს კონკრეტული სურათის ჩამოყალიბებას (იხ.: ვოლოდინა. მასმედიის ენა – მასების აზროვნებაზე ზემოქმედების მთავარი საშუალება) [181].

მონოგრაფიაში – „ძალაუფლება, როგორც დისკურსის კონცეპტი და კატეგორია” ე. შეიგალს მოჰყავს დ. ბოლინჯერის მიერ ჩატარებული პოლიტიკური სიცრუის ენის ანალიზის ფრაგმენტი. იგი „აღნიშნავს ნომინაციის განსაკუთრებულ როლს გარკვეული მხარისთვის საჭირო სამყაროს სურათის შექმნაში, ახდენს რა ამის იღუსტრირებას პოლიტიკური ევფემიზმების მაგალითებით: „...დაბომბვები ხდება „დამცავი რეაქცია”, განსაკუთრებით ზუსტი დაბომბვები – „ქირურგიული დარტყმები”, დაბომბილი სახლი ავტომატურად ხდება „სამხედრო ობიექტი”, ხოლო პორტში ჩაძირული, სრულიად უმნიშვნელო

ჯონჯა – „საზღვაო ტრანსპორტი” [Bolinger 1980: 36] [182]. მანიპულირება პოლიტიკურ დისკურსში დაკავშირებულია აუცილებლობასთან, „უარყოფითად ან ნეიტრალურად წარმოადგინო ობიექტი, რომლის მიმართაც აუდიტორია განწყობილია დადებითად ან ნეიტრალურად ანუ, მოდალურობის დერმზე იგი მარჯვნივ გადააადგილო. ამაზევე მიუთითებს ვ. ა. მასლოვაც, აღნიშნავს რა, რომ ობიექტის უარყოფითი ხატის შესაქმნელად გამოიყენება მყარი, უარყოფითი შეფასებითი კომპონენტების, მათ შორის იარღიყების მქონე სიტყვები”. ამ სიტყვების დანიშნულებაა – „წარმოადგინონ ობიექტი, რომლის მიმართაც აუდიტორია შესაძლოა განწყობილი იყოს უარყოფითად ან ნეიტრალურად, როგორც დადებითი ან ნეიტრალური, ანუ გადაადგილდეს ობიექტი მოდალურობის დერმზე მარცხნივ. შესაბამისად, ამ მიზნით გამოიყენება ნეიტრალური ან დადებითი კონტაციის მქონე სიტყვები” (მასლოვა 2008, გვ. 47). მოვიყვანოთ პოლიტიკურ დისკურსთან დაკავშირებული, უარყოფითი შეფასებითი კომპონენტის მქონე მდგრადი ხატის ჩამოყალიბების მაგალითი: *враг народа*; მოდალურობის დერმზე ობიექტის გადაადგილების მაგალითი: *ჩეხნეთში გახორციელებული ბოლოდროინდელი საბრძოლო მოქმედებები რუსულ პოლიტიკურ დისკურსში მოიხსენიებოდა არა როგორც ომი, არამედ როგორც კოнтртеррористическая операция.* ენობრივი მანიპულირების ილუსტრირებისთვის შევადაროთ საგაზეოთ სტატიების სათაურები, რომლებიც აღწერენ პოლიტიკურ დისკურსთან დაკავშირებულ ერთიდაიმავე ინფორმაციულ საბაბს: “*Africans shoot dead by the police*” (პოლიციის მიერ დახოცილი აფრიკელები), “*Africans shoot dead*” (დახვრეტილი აფრიკელები), “*Africans died*” (დაიღუპნენ აფრიკელები).

ამგვარად, პოლიტიკური დისკურსი ეხება არა მხოლოდ ძალაუფლების ენის პრობლემას, არამედ ენის ძალაუფლებას. ძალაუფლების ენა არის ის, თუ როგორ და რა ენობრივი საშუალებებით ესაუბრება ხელისუფლება ხალხს. ენის ძალაუფლება კი – თუ როგორ ზემოქმედებს მასობრივ ცნობიერებაზე ენობრივი საშუალებები, ცნობიერების ენობრივი მანიპულირების ჩათვლით. ავიდოთ მაგალითი თანამედროვე რუსული პოლიტიკური დისკურსიდან, სადაც მანიპულირება ხორციელდება სიხონიმური რიგის სიტყვების – „ხალხი მოსახლეობა“ თამაშით: «*Станем ли мы, наконец, народом, или же по-прежнему будем оставаться населением и электоратом?*» (В. Костиков, АиФ, №5, 2008). ამ მომიჯნავე ცნებებს შორის საზღვარი თითქმის შეუმჩნეველია, დისკურსის ავტორი აპელირებს არა რეფერენციით, არამედ ამზადებს ნიადაგს შემდგომი

დარწმუნებისათვის. შესაბამისად, იგი აღწევს მიზანს, რომელთან დაკავშირებითაც განისაზღვრება პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა: დაარწმუნო, შექმნა დარწმუნების საფუძველი და უბიძო მოქმედებისკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვას - „ხალხი“ მკვლევარები მიაკუთვნებენ პოლიტიკური დისკურსის ძირითად კონცეპტებს. მაგალითად, ბ.ნ. ელცინის პირველი ინაუგურაციის (1991 წ.) მიმართვაში, რომელიც შედგებოდა 754 სიტყვისგან, იგი გვხვდება რვაჯერ, 918 სიტყვისგან შემდგარი მეორე ინაუგურაციის (1996 წ.) მიმართვაში „ხალხი“ გვხვდება ხუთჯერ. ვ. ვ. პუტინის პირველი ინაუგურაციის (2000 წ.) მიმართვაში (689 სიტყვა) „ხალხი“ გვხვდება ხუთჯერ, ხოლო მეორე ინაუგურაციის (2004 წ) 585 სიტყვისაგან შემდგარ გამოსვლაში სიტყვა „ხალხი“ გვხვდება სამჯერ.

დისკურს-ანალიზისთვის საინტერესოა პრეზიდენტების მიერ მოცემული კონცეპტის გამოყენების განმასხვავებელი ნიშნების შედარება, „უძველესი ტექსტების, ასევე ბერძნულიდან თარგმანის მიხედვით სიტყვის «народъ» (ხალხი) უძველესი მნიშვნელობა იყო „ბრძო, აურაცხელი რაოდენობა, თავყრილობა“, ამასთან აღნიშნული აურაცხელი რაოდენობა ყოველთვის ორგანიზებულია რაიმე ნიშნის მიხედვით და უპირველეს ყოვლისა, როგორც სამხედრო გაერთიანებები” (კოლესოვი 2000, გვ. 143).

თუ მივმართავთ ლექსემის სალექსიკონო განმარტებებს, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქის ლექსიკონებში, შესაძლებელია შევნიშნოთ მისი აზრობრივი სტრუქტურის ტრანსფორმაცია. ვ. დალის ლექსიკონში გვხვდება შემდეგი განმარტება: «что народилось || Людъ, народившийся на известном пространстве; люди вообще; язык, племя; жители страны, говорящие одним языком; обыватели государства, страны, состоящей подъ однимъ управлениемъ; чернь, простолюдье, низшие податные сословия; множество людей, толпа». დ.ნ. უშაკოვის (1935-1940 წწ.) რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში გვხვდება: «1. Население, объединенное принадлежностью к одному государству; жители страны. 2. То же, что нация, национальность. 3. только ед. В эксплуататорском государстве – основная масса населения (преимущ. крестьяне) в противоположность правящему, господствующему классу. 4. только ед. Люди ([разг.](#)). ♦ **Простой народ** (дореволюц.) –то же, что народ в З». რუსული ენის მცირე აკადემიური ლექსიკონი (1957-1984) განსაზღვრავს ლექსემას შემდეგნაირად: «1.

Население, жители той или иной страны, государства; **2.** Нация, национальность, народность; **3. только ед. ч.** Основная трудовая масса населения страны (в эксплуататорских государствах – угнетаемая господствующими классами); **4. только ед. ч.** Люди. простой народ {и}черный{ (или подлый)} народ в классовом, эксплуататорском обществе: люди, принадлежащие к неимущим слоям населения (крестьяне, рабочие, ремесленники и т. п.)». ს.ს. კუზნეცოვის რედაქციით გამოცემულ, რესული ების დიდ განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილია შემდეგნაირად: «**1.** Население той или иной страны. **2.** Нация, национальность, народность. **3. только ед.** Основная трудовая масса населения страны. **4. только ед.; род.: -а (-у).** Люди». დეფინიციების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავაკვირდეთ ლექსიკური სტრუქტურის ცვლილებებს, რომლებიც ასახავს აზრობრივი ველის ჩანაცვლებას, XIX საუკუნეში აქტუალური სემის «нарождение» და «множество» აქცენტუაციით, თანამედროვე აზრობრივ დომინანტაზე – «люди, населяющие какую-либо страну».

ლექსიკონების დეფინიციებისა და სტატიებში მოყვანილი საილუსტრაციო მასალის ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოთა პერიოდში ლექსემა «народ» მეტად იდეოლოგიზირებული იყო: *советский народ, простой народ, трудовой народ* და ა.შ. ექსტრალინგვისტური მასალა ამტკიცებს, რომ ლექსემა აქტიურად გამოიყენებოდა ლოზუნგებში, მაგალითად: «Народ и партия едины». მაგრამ უკვე ბ. სკლიარეგსკის (2000) რედაქციით გამოცემულ ლექსიკონში: «Толковый словарь русского языка конца XX века: Языковые изменения», ფიქსირდება სიტყვის «народ» გადასვლა პასივში (2000, გვ. 413). კერძოდ, აღნიშნული ფაქტი აისახება პრეზიდენტების – ბ. ელცინისა და ვ. პუტინის საინაუგურაციო გამოსვლებში სიტყვის – „ხალხი“ გამოყენების რაოდენობრივ ანალიზში. აღნიშნული ფაქტის ახსნა შესაძლებელია სხვადასხვა მკვლევარებთან: „რესევთის სახელმწიფო წევრის ცვლილებამ განსაზღვრა ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ერთიანობის ნომინაციის აუცილებლობა, რადგან იდენტიფიცირების მატრიცების კატეგორიულ სისტემაში გამოთავისუფლდა მთავარი ადგილი - გაქრა ძირითადი, კრებითი კატეგორია „საბჭოთა ადამიანი“ (Солдатова 1996, გვ. 305). ბ. ვ. გავრილოვა წერს: «Мы наблюдаем последовательную смену номинации: советский народ (советский политический дискурс) – народы России (Б. Н. Ельцин, 1991) – многонациональный российский народ = россияне

(Б. Н. Ельцин, 1996) – народ России (В. В. Путин, 2000) – единая нация (В. В. Путин, 2004). Таким образом, в начале ХХI в. ведущим фактором объединения становится организованность народа (различных народов) в государство» [183]. თუმცა, „ის განმაზოგადებელი კატეგორია „რუსი”, რომელმაც შეცვალა „საბჭოთა ადამიანი” და რომლის მიზანიცაა ბევრი ადამიანის სოციალური იდენტურობის დეტერმინაცია ახალი სუპერეთნოსის ფარგლებში, ჯერ-ჯერობით ვერ ასრულებს მის ფუნქციას, იმუოფება ჩამოყალიბების სტადიაზი, რადგან არ გააჩნია სოციალური იდენტიფიკაციის უწინდელი ფორმების აზრობრივი დატვირთვა და ამიტომ ხელს ვერ უწყობს ცვალებად სოციალურ რეალობაში უფრო ადექვატურ ადაპტაციას” (Вепрева 2002, გვ. 198).

შევადაროთ ინგლისურ “people” მნიშვნელობებს “4. plural: the mass of a community as distinguished from a special class <disputes between the *people* and the nobles> – often used by Communists to distinguish Communists from other people; 5. plural peoples: a body of persons that are united by a common culture, tradition, or sense of kinship, that typically have common language, institutions, and beliefs, and that often constitute a politically organized group” ([Merriam-Webster](#)) [184]; “(**the people**) the citizens of a country, especially when considered in relation to those who govern them: *his reforms no longer have the support of the people*; (**the people**) the members of a society without special rank or position: *he is very much a man of the people*; the members of a particular nation, community, or ethnic group: *the native peoples of Canada*”, “Middle English: from Anglo-Norman French *poeple*, from Latin *populus* 'populace' ([Oxford](#)) [185]. ლექსების “people” (ხალხი) ინგლისურ ენაში არ გაუვლია ცნების იდეოლოგიზაციის გზა და ამიტომ არ ატარებს მის სემანტიკურ ველში ისეთ აზრობრივ დატვირთვას, როგორც მისი რუსული ექვივალენტი, რაც იმსახურებს ყურადღებას კონტრასტულობის ანალიზის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ლექსიკა არის ენის ყველაზე დინამიური იარუსი, რომელიც ენის სხვა იარუსებთან შედარებით უფრო სწრაფად და თვალსაზრისით რეაგირებს საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე. ამასთან დაკავშირებით მაგალითის სახით მოვიყვანოთ დ. ნ. შმელევის აზრი: „ლექსიკის უშუალო მიმართულობა არაენობრივი რეალობისკენ წარმოადგენს მის არსებით განსაკუთრებულობას ენის ყველა სხვა სფეროებთან შედარებით და საეჭვოა ლექსიკის ყოვლისმომცველი კვლევის გახორციელება ამ განსაკუთრებულობის გათვალისწინების გარეშე” (1973, გვ. 15). შესაბამისად, შიდაენობრივ ფაქტორებთან ერთად, ენის ცვლილების

მიზეზებს წარმოადგენს არაენობრივი სინამდვილის ფაქტორები. პოლიტიკის ენისთვის – ეს არის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცვლილებების დინამიკა.

როგორც წარმოდგენილი ანალიზიდან ვიხილეთ, ენის შეგნებულად გამოყენებისას იგი წარმოადგენს მისი მატარებლების (თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში – ელექტორატის) სამყაროს სურათზე ზემოქმედების იარაღს აუცილებელი პერლოკუციური ეფექტის მისაღწევად.

პოლიტიკური დისკურსის მახასიათებლების კვლევაში მითითებულია, რომ ეს ინსტიტუციონალური დისკურსი მიმართულია ჩამოაყალიბოს ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიზნები, დირექულებები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრატეგია როგორც ამომრჩევლებთან, ისე თავის პოლიტიკურ ოპონენტებთან დაკავშირებით. ტ. ვ. იუდინას აზრით, პოლიტიკურ დისკურსს გააჩნია აშკარად გამოხატული „ფუნქციონალურობა და ორიენტირებულია მოსალოდნელი შინაარსობრივ-ცნებითი სტრუქტურების პრაგმატულად დასაბუთებულ წარმოდგენაზე“ (2004, გვ. 173).

ლინგვისტური ანალიზიდან გამომდინარე, საბაზისო ინტენციის მიღწევა, როგორც ზოგადი სტრატეგიული ამოცანა და აუცილებელი პერლოკუციური შედეგის მიღწევა, როგორც კერძო, დაკავშირებულია არა მარტო სამეტყველო აქტებისა და კომუნიკაციის თეორიასთან, არამედ მნიშვნელობის პოლილექსისთანაც. თანამედროვე კვლევებში მნიშვნელობის აღწერის მეთოდიკა მიმართავს მნიშვნელობის სტრუქტურიზაციას გადმოცემული ინფორმაციის ტიპების მიხედვით, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას „ხლეჩს“ დიფუზურ მაკროკომპონენტებად. ესენია: დენოტაციური – შეიცავს საგნობრივ-ცნებით (ობიექტურ) ინფორმაციას; კონოტაციური (სუბიექტური) – გადმოსცემს მოსაუბრის დამოკიდებულებას არაენობრივი სინამდვილის საგანთან; ფუნქციონალურ-სტილისტური – განსაზღვრავს ლექსიკური სისტემის შესაბამის რეგისტრში სიტყვის ადგილს; გრამატიკული – (ვ. ნ. თელიას განმარტებით) ასახავს ენობრივ კომპეტენციას ზედაპირულ (ფორმალურ) და სიღრმისეულ (პოლისემიისა და ომონიმიის სემანტიკურად გადამწყვეტ) დონეზე (თელია 1991, გვ. 40-41). ენობრივ ნიშანზე დამაგრებული მნიშვნელობა წარმოადგენს სამყაროს კოგნიციისა და სამყაროს რეალიის ენობრივი კატეგორიზაციის შედეგს; იგი ურთდროულად ასახავს ობიექტურსა და სუბიექტურს სინამდვილის შეცნობაში. პკლევის მიზნებისთვის, მნიშვნელობა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს როგორც მენტალური კონსტრუქტი, რომელიც ინახება

და/ან ყალიბდება ენობრივი პიროვნების ცნობიერებაში. იგი შესაძლებელია იყოს ენობრივი (სტაბილური) და მეტყველებითი (დინამიური). დავაზუსტოთ: „მეტყველებითი” მნიშვნელობა მაქსიმალურად უკავშირდება კონტექსტს, რეფერენტს, ფუნქციონალობასა და მეტყველებითი ურთიერთობის სიტუაციას მაშინ, როდესაც „ენობრივი” მნიშვნელობა ეფუძნება სიგნიფიკანტობას, როგორც ერთგვარ ტიპიურ, კონცეპტუალიზებულ ნიმუშთან კავშირს, რომელიც მოცემული ნომინაციის ფარგლებში დაფიქსირებულია სამყაროს ენობრივ სურათში. ბუნებრივია, ამგვარი დაყოფა პირობითია და შესაძლოა ადგილი პქონდეს მხოლოდ პრობლემის გართულებისას.

პოლიტიკურ დისკურსში, მნიშვნელობის პრობლემა განუყოფელია შესაბამისი კონცეპტუალურ-პოლიტიკური სისტემების კონტექსტისგან და მეტყველებითი ურთიერთობის სიტუაციისგან, რადგან კონტექსტი და სიტუაცია ქმნიან ორიენტირებს სემანტიკის აქტუალიზაციისთვის, ასოციაციური აზროვნების აქტუალიზაციისთვის, ინტერტექსტუალური ინფორმაციის ჩართვისა და გამოთქმების ინტერპრეტაციისთვის. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ დისკურსში მნიშვნელობას გააჩნია ტოპოლოგიური, ქრონოლოგიური და ადრესატული მიკუთვნებულობა. ტოპოლოგიური მიკუთვნებულობა – ეს არის დისკურსის მიმდინარეობის ადგილი, ქრონოლოგიური მიკუთვნებულობა – დრო, ხოლო ადრესატული მიკუთვნებულობა – ადრესატის სამყაროს კონცეპტუალური და ენობრივი სურათი.

ენობრივი პიროვნების მეტყველებითი გამოცდილება მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენს ცნობიერებაზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით მეტყველება ერთნაირი არ არის: ზემოქმედების ეფექტი მეტწილად დამოკიდებულია იმ ენობრივ საშუალებებზე, რომლითაც ოპერირებს ადრესანტი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არა მხოლოდ საგანს, არამედ მეტყველების სტრუქტურას, მის თვისებებსა და თავისებურებებს შეუძლიათ ადამიანთა აზრებისა და გრძნობების გაღვიძება, გამძაფრებული ყურადღების შენარჩუნება და ნათქვამის ან დაწერილის მიმართ ინტერესის გაღვივება. შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობის პრობლემა დაკავშირებულია ლინგვისტიკაში კარგად შემუშავებულ, ენის გამომხატველობითი საშუალებების პრობლემასთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა არ შეიძლება მივაკუთვნოთ ენის გამომსახველ – ხატოვან საშუალებებს (მეტყველების ტრაქები და ფიგურები). ენა წარმოადგენს სხვადასხვა იარუსების საშუალებების არსენალს პოლიტიკური

დისკურსის ეფექტურობის მისაღწევად, მაგალითად, ზმნის აქტიური ან პასიური ფორმის არჩევა, ნომინალიზაცია (ზმნის არსებით სახელში ტრანსფორმაცია), სინტაქსური გარდაქმნები, სიტყვათა წარმოქმნა და ნეოლოგიზაცია, ზეპირ დისკურსში – სუპერსეგმენტური ერთეულები (ემფაზა, ტონი). ჩვენი ანალიზის საგანს წარმოადგენს მეტაფორა და პერიფრაზული ერთეულები როგორც ლექსიკური საშუალებები, რომლებიც „უზრუნველყოფს „მოსალოდნელი შინაარსობრივ-ცნებითი სტრუქტურების დასაბუთებულ წარმოდგენას“ პრეზიდენტის დისკურსში აშკარად გამოხატული ფუნქციონალურობის ფონზე და ემსახურება მაქსიმალური ეფექტის მიღწევას მისი საბაზისო ინტენციის – ძალაუფლებისთვის და ელექტორატის გონებისათვის ბრძოლის რეალიზაციისას.

### თავი მესამე

### მეტაფორისა და პერიფრაზული ერთეულების ფუნქციონირების კონტრასტული ანალიზი თანამედროვე რუსულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში

#### III.1. თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის მეტაფორიკა (საპრეზიდენტო დისკურსის მასალაზე)

შემდგომი კვლევისათვის აუცილებელია განვაზოგადოთ ის საკითხები, რომელიც ანალიზის ამოსავალი განწყობები გახდა. პირველი: პოლიტიკური დისკურსი არის უანრების კლასი, რომელიც მოდუსით არ არის შემოსაზღვრული, მაგრამ შემოიფარგლება პოლიტიკის სოციალური სფეროთი და ორიენტირებულია ერთი პოლიტიკური ჯგუფის ელექტორატისა და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ მიზნების, დირექტულებებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრატეგიების ფორმულირებით. მეორე: პოლიტიკური დისკურსის საბაზისო ინტენციად ჩვენ გამოვყოფთ ძალაუფლებისათვის ბრძოლის ინტენციას, რომელიც მას ისეთ სპეციფიკურ ნიშან-თვისებას ანიჭებს, როგორიცაა აგონალობა ანუ შეჯიბრებითობა. მესამე: გაბატონებული პოლიტიკური და იდეოლოგიური კონცეფციებისგან დამოუკიდებლად, ნებისმიერი ძალაუფლება ენის მეშვეობით რეალიზდება, რაც

შეჯერდება დიქტომიად „ენის ძალაუფლება – ძალაუფლების ენა”, სადაც დიქტომიური დაყოფის ორივე კლასი განუყოფელია ენობრივი მანიპულირების პრობლემისგან.

ფაქტობრივი მასალის კონტრასტული ანალიზისათვის შერჩეულ იქნა XX დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისის რუსულ და ამერიკულ ინგლისურ ენაში (American English) საპრეზიდენტო დისკურსი, მისი ანალიზისათვის გამოყოფილი ყველა ჟანრის ჩათვლით: საინაუგურაციო სიტყვა, პრეზიდენტის მიმართვა, ანგარიში, ინტერვიუ, პრესკონფერენცია და სხვა. როგორც პოლიტიკური დისკურსის ჟანრული ნაირსახეობა ის ერთიანდება სისტემაში პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურის წარმომქმნელი პარამეტრების საფუძველზე, („დისკურსის წარმოება და მოხმარება”, „ავტორობა”, „კომუნიკაციური უზრუნველყოფა”, „დისკურსული ფუნქციები”, „ინფორმაციულობა”, „ადრესატულობა”, „ინტერტექსტუალური ურთიერთქმედება”), რომლებიც გამოყვანილი იქნა სადისერტაციო კვლევაში (იხ.: ნაშრომის 2.1).

საპრეზიდენტო მეტყველების ძირითად ფუნქციად მიღვაჩნია შეტყობინებისა და ზემოქმედების ფუნქცია. ის მიეკუთვნება მეტყველების შერეულ (ზეპირ და წერით) ტიპს და წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრით. შესაბამისად, ჩვენ გვხდეთავს „დისკურსის მოდუსის” პარამეტრიც: ინფორმაციის გადაცემის არხი, დისკურსის ზეპირი და წერითი ნაირსახეობა. დისკურსი მრავალმხრივი ცნებაა, რომელიც თავის თავში ერთმანეთთან ახამებს ტექსტს როგორც მეტყველების იზოლორებულ ვერბალიზებულ შედეგს და სიტუაციურ და კულტურის კონტექსტს, რომელშიც ის ფუნქციონირებს. ფართე გაგებით, დისკურსი ნაწარმოებია. ამიტომ, მისი ანალიზი შეიძლება ჩაითვალოს იმ ამოცანის რელევანტურად, რომელიც ჩამოაყალიბა ფილოსოფოსმა, მწერალმა და აზრების სახელგანთქმულმა ინტერპრეტატორმა უმბერტო ეკომ: „იმ რიტორიკული და იდეოლოგიური უნივერსუმის, იმ კომუნიკაციური სიტუაციის რეკონსტრუირება, რომელშიც დაიბადა ნაწარმოები”(Отсутствующая структура. 1998). აქვე მიზანშეწონილად გვესახება ა. ა. ლეონტიევის ციტირება, რომელიც ამტკიცებს, რომ „ყოველი ერის მსოფლებელისა და მსოფლადქმის საფუძველია საგნობრივი მნიშვნელობების, სოციალური სტერეოტიპების, კოგნიტიური სქემების საკუთარი სისტემა “(Леонтьев 1993, გვ. 20). ასევე მოვიშველით ი. ტ. ვეპრევას აზრი, რომელიც თვლის, რომ „მენტალობა მდგრადია, ის ... მომდინარეობს ფსიქიკის

არაცნობიერი სიღრმეებიდან. იპყრობს რა არაცნობიერს, მენტალობა გამოხატავს სამყაროს მდგრად ხატებს, რომელიც დამახასიათებელია მოცემული კულტურული ტრადიციისათვის, მოცემული საზოგადოებისათვის” (Вепрева 2002, გვ.207). საპრეზიდენტო დისკურსის გაგება გულისხმობის ფონის ცოდნას, ავტორისა და აუდიტორის მოლოდინს, დაფარულ მოტივებს, სიუჟეტურ სქემებს და კონკრეტულ ეპოქაში არსებულ გამორჩეულ ლოგიკურ გადასვლებს.

როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციისა და აშშ პოლიტიკური ლიდერი, პირველი „პირი“ არის პრეზიდენტი. ორივე სახელმწიფოს მეთაურთა ფუნქციები, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთმანეთს ემთხვევა. ორივე ქვეყანაში პრეზიდენტი სახელმწიფოს მართავს ნორმებისა და კანონების დაცვით, ფლობს კონსტიტუციით გამყარებულ დიდ უფლებამოსილებას, უფლებებსა და მოვალეობებს.

აშშ-ში პრეზიდენტის თანამდებობა სახელმწიფოს 1787 წ. კონსტიტუციით არის შემოღებული. პირველი პრეზიდენტი 1789წ. იქნა არჩეული. ქვეყნის არსებობის განმავლობაში, ჯორჯ გაშინგტონიდან მოყოლებული მოქმედი პრეზიდენტის ბარაკ ობამას ჩათვლით აშშ-ს მართავდა ორმოცდაოთხი პრეზიდენტი. შეერთებულ შტატებში საჯაროდ გამართული საპრეზიდენტო დებატები ისტორიულად ჩამოყალიბებული აუცილებლობაა, რომელიც კანდიდატებს საკუთარი იმიჯის ტირაჟირების, ხოლო ელექტორატის მათი წინასაარჩევნო პროგრამების შეფასებისა და შედარების საშუალებას აძლევს. წიგნში “The Challenge of Democracy”, რომელიც ეძღვნება პოლიტიკური კულტურის კვლევას, ავტორები მიუთითებენ, რომ ამერიკელი ამომრჩევლის არჩევანზე ძირითადად გავლენას ახდენს, თუ რომელ პარტიას წარმოადგენს კანდიდატი, მისი პიროვნული თვისებები და წინასაარჩევნო პროგრამის თავისებურებები (Berry, Goldman, Janda 1992, p. 326). პოლიტოლოგები ამტკიცებენ, რომ ამერიკული ელექტორატი დიდ ყურადღებას უთმობს პრეზიდენტის პროფესიონალურ თვისებებს, რომლებიც მის იმიჯს შეადგენენ: აღმსარებლობასა და რელიგიურობას, საკუთარი თავის წარმოჩენას, მეტყველების კულტურას, დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლის უნარს, ოპონენტებთან პოლემიკის წარმართვას.

სსრკ-ს პირველი და ერთადერთი პრეზიდენტი გახლდათ 1990წ. არჩეული გ. ს. გორბაჩოვი, ხოლო რუსეთი ფედერაციის პირველი პრეზიდენტი მხოლოდ 1991წ. აირჩიეს. ამიტომ, 1989წ. სახალხო დეპუტატების ყრილობაზე სკპ ცდ თავმჯდომარე გ. ს. გორბაჩოვს მოუწია ერთ-ერთი გამომსვლელისათვის,

რომელმაც მას მიმართა „ბატონო პრეზიდენტი”, შეესწორებინა და აეხსნა, რომ „პრეზიდენტი” სხვა თანამდებობაა. ითვლება, რომ საჯაროდ გამართული საპრეზიდენტო დებატები რუსეთის ფედერაციაში უპირატესად ფორმალურ ხასიათს ატარებს. რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არასაკმარისად ახორციელებენ ქვეყნის მოსახლეობის ობიექტურად ინფორმირებას კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამების შესახებ. ასე, მაგალითად, პოლონელი უურნალისტი ვაცლავ რაძივინოვიჩი (Wacław Radziwiłowicz) სტატიაში «Ирина и «рупоры Путина» წერს: «Сам Владимир Путин не удостаивает своим присутствием публичные дебаты с оппонентами. Он выше этого. Он ни разу не отважился на словесную конфронтацию с кем-нибудь, кто бы имел в разговоре с ним равные права» (“Gazeta Wyborcza”, პოლონეთი. 26.02.2012). ამაზე მეტყველებს მწერალ ბ. კუნინის სიტყვებიც ვლ. კუნინის მოსალოდნელ შეხვედრაზე ოპონენტებთან: «— Я очень сомневаюсь, что эта встреча вообще возможна на данном этапе. Я думаю, что Владимир Путин сказал это просто так, в качестве фигуры речи. Зачем ему устраивать публичную встречу с людьми, которые будут говорить ему всякие неприятные вещи?» (Время свободы. 19.01.2012).

როგორც მკვლევარები ადასტურებენ, ქვეყნის ამომრჩეველს ჯერ კიდევ ახასიათებს ირაციონალური მიღვომა არჩევანის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციისადმი, «россияне в большей мере, нежели американцы, подвержены влиянию авторитета и харизмы политического субъекта и имеют стереотипное представление о главе государства как о человеке, наделенном особой силой» (Стрельников 2005) [186].

ლექსიკონის «Политология» მონაცემების მიხედვით, პრეზიდენტი „არის სახელმწიფოს არჩევითი მეთაური, რომელიც მოწოდებულია, გაატაროს პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის სტაბილიზაციასა და მოწესრიგებაზე, ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. მმართველობის ფორმის მიხედვით, განისაზღვრება მისი მდგომარეობა და როლი საზოგადოებასა და სახელმწიფოში. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში მას ირჩევს პარლამენტი პირდაპირი ან არაპირდაპირი არჩევნების გზით, მაგრამ არჩევის შემდეგ ენიჭება მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები და საკანონმდებლო ორგანოს არ შეუძლია მისი გადაყენება გარდა კონსტიტუციაში მითითებული შემთხვევებისა. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი წარმოადგენს პოლიტიკის

ფუძემდებელ სუბიექტს” (2010). ეს არის ცნების უნივერსალური განსაზღვრება, რომელიც მოქმედებს მთელს თანამედროვე ცივილიზაციურ არეალში, მაგრამ ამ უნივერსალურ ცნებაში არსებობს აზრის კულტურულად მარკირებული ელემენტები, რომლებიც გლინდება ნაშრომში გაანალიზებული ორი ლინგვოსაზოგადოების შეპირისპირებისას.

სიტყვა „პრეზიდენტი“ ორივე ენაში ინგლისური ინგლისური მომდინარეობს და მომდინარეობს დათინური სიტყვიდან *praesidens* – წინ მჯდომი. როგორც ლექსიკონი Merriam-Webster მოწმობს, *PRESIDENT* 1: an official chosen to preside over a meeting or assembly 2: an appointed governor of a subordinate political unit”; “Middle English, from Anglo-French, from Latin *praesident-*, *praesidens*, from present participle of *praesidēre*. First Known Use: 14th century”. იქნება მოყვანილია ენციკლოპედიური ინფორმაცია: “(Concise Encyclopedia)In government, the officer who serves as head of state and sometimes also as chief executive. In countries where the president is chief of state but not of government, the role is largely ceremonial, with few or no political powers. Presidents may be elected directly or indirectly, for a limited or unlimited number of terms. In the U.S., the president's chief duty is to ensure that the laws are faithfully executed, which he does through various executive agencies and with the aid of his cabinet. He also serves as commander in chief of the armed forces, nominates judges to the Supreme Court, and makes treaties with foreign governments (contingent on Senate approval). The office of president is used in governments in South and Central America, Africa, and elsewhere. In western Europe executive power is generally vested in a prime minister and his cabinet, and the president, where the office exists, has few responsibilities (though France is a significant exception)”. ის ანალოგიურად არის წარმოდგენილი ლექსიკონში “Cambridge Dictionary of American English 2<sup>nd</sup> Edition” [187].

შემდგომი ანალიზისათვის აუცილებელია, მხედველობაში მივიღოთ, რომ რუსულ ენაში სიტყვას «президент» ჰქონდა გამოყენების შეზღუდული სფერო (ის ნასესხებია XIX ს-ში; შედარებისათვის – ინგლისურ ენაში გამოიყენება XIV ს-დან). რუსულ ცნობიერებაში «президент» დიდხანს რჩებოდა ძველი თავდაპირველი სიტყვის «председатель» სინონიმად. ლექსიკის თვალსაზრისით, ნასესხები სიტყვა სრულ შესაბამისობაშია რუსულ ექვივალენტთან

<sup>11</sup> ინგლისური მომდინარეობის მიეკუთვნება მორფოლოგიური სტრუქტურით სხვაენოვანი სიტყვები, რომლებიც წარმოებულია დათინური და ბერძნული ენების ელემენტებიდან და მხოფლიოს ბევრ ენაში არსებობენ.

«председатель» – оს, ვინც უველას წინ ზოს, დათ. praesidens (praesidentis) – წინ მჯდომი; სათავეში მდგომი, თავმჯდომარე. ბროკებაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: «Президент (лат.) – председатель; в русском языке употребляется обычно последний термин для обозначения руководителя прений в собрании, суде, обществе (в некоторых обществах, однако – напр. вольном экономическом и географическом – председатель и у нас именуется президентом); во многих иностранных государствах в тех же случаях общепринят термин: П., особенно для обозначения руководителя прениями в парламенте и избираемого главы государства (П. республики)» (1890-1907). რუსული ენის XIX -ის და XX ს-ის პირველი სამი მეოთხედის განმარტებითი ლექსიკონი აფიქსირებს: «ПРЕЗИДЕНТ, -ша, лат. председатель, -ша, старший член совещательного места, управления. Президентские кресла. Президентство ср. должность, звание его, председательство. Презус м. председатель военного суда» (ვლ. დალის განმარტებითი ლექსიკონი); «ПРЕЗИДЕНТ, президент, муж. (от лат. praesidens – сидящий впереди, во главе). 1. Глава государства в буржуазной республике. Французский президент. Президент Соединенных Штатов Америки» (უმაკოვის განმარტებითი ლექსიკონი 1935-1940). როგორც ვხედავთ, სიტყვა «президент» აქტუალური იყო უცხოური პოლიტიკური და საზოგადოებრივი რეალიებისათვის (მაგ.: «президент США», «президент Франции»). მაგრამ ს. ა. კუნციოვის რუსული ენის დიდ განმარტებით ლექსიკონში (1998) უკვე ჩნდება მისი აქტუალური მნიშვნელობა, რომლის ილუსტრაციაც არის თანამედროვე რუსული რეალობის მაგალითიც: «2. Выбранный на определённый срок глава государства с республиканской формой правления. Президент Франции. Президент России. Указ президента». მთ უმეტეს, ლევ-ის სახით მოცემულია: «1. Председатель, избранный для руководства обществом, объединением, научным учреждением». ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელ ეფრემოვას თანამედროვე რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემულია შემდეგი დისტრიბუცია: «1. Избираемый на определенный срок глава государства. 2. Избираемый руководитель некоторых обществ, учреждений. 3. Высшее должностное лицо компании, корпорации.» (2000).

შედარებით ძველი ნახესები სიტყვა რუსული ენისათვის უკვე ახალი მნიშვნელობით გააქტიურდა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს სსრკ-ს დაშლასა და რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით. პრეზიდენტის ინსტიტუტი დღემდე შედარებით ახალ მოვლენად

რჩება რუსეთის ფედერაციისათვის, ქვეყნისათვის, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მართავდნენ მონარქები, მოგვიანებით კი – გენერალური მდივნები. მიუხედავად იმისა, რომ რვ პრეზიდენტს არ შეუძლია ისარგებლოს აბსოლუტური ძალაუფლებით<sup>12</sup>, ეს ფაქტი კვლავ განაგრძობს ზემოქმედებას ეროვნულ ცნობიერებაში პრეზიდენტის ხატის შემეცნებასა და ინტერპრეტაციაზე, რაც მნიშვნელოვანია მოცემული კვლევის პრობლემატიკის კონტექსტში. ჩვენ ამოვდივართ მტკიცებულებიდან, რომ ერის მენტალიტეტი ჩანს „ქცევის გარკვეულ სტანდარტულობაში, მსგავს სიტუაციებში ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ქმედებებში, ასევე ურთიერთობაში, ხალხის კომუნიკაციურ ქცევაში” (Прохоров, Стернин 2006, გვ. 92).

თანამედროვე ლინგვისტიკაში აქსიომად იქცა, რომ სიტყვა არა მხოლოდ სახელს არქევს რეალიას, არამედ მას „აშენებს“ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ სამყაროს გარკვეულ სურათში. ეს აზრი თვალსაჩინოდ არის გადმოცემული ა. პ. ჩუდინოვის კვლევის «Метафорическая мозаика в современной политической коммуникации» (2003) მასალაში. კერძოდ, მეცნიერმა გამოავლინა, რომ რუსულ ცნობიერებაში არსებობს კონცეპტუალური მონარქიული მეტაფორა «ПРЕЗИДЕНТ РОССИИ – ЦАРЬ». ავტორის აზრით, ეს ხსნის რუსულ ნაციონალურ ტრადიციას, წარმოიდგინოს „სახელმწიფოს მეთაური როგორც აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მონარქი, «помазанника Божия», ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურა – როგორც ერთგვარი ფეოდალური იერარქია, სადაც არსებობს არა მხოლოდ მეფე, არამედ ტახტის მემკვიდრეც, სხვადასხვა რანგის ფეოდალები (თავადები, ბოიარები და სხვ.), საიმპერატორო კარი, ამალა. სახელმწიფო ძალაუფლების ატრიბუტებს კი კვლავინდებურად წარმოადგენს ტახტი, სკიპტრა, და გვირგვინი“. შემთხვევითი არ არის ცნობილი რეჟისორის სერგეი გოვორუხინის სიტყვები: «Но вообще к монархии мы привыкли. И Ленин, и Сталин, и Хрущев, и Брежнев, и Ельцин, и Путин – все монархи». ა. პ. ჩუდინოვი შენიშვნავს: «Возможно, у нашего народа до сих пор существует потребность в ниспосланном свыше сильном правителе, который должен быть эталоном совести и высшей справедливости, действовать уверенно и решительно, не обращая внимания на сомнения и формальности» (იქვე).

<sup>12</sup>პრეზიდენტის ძალაუფლება შეზღუდულია რვ კონსტიტუციით და კონტროლდება უმაღლესი საქანონმდებლო ორგანოს (სახელმწიფო დუმა და ფედერაციის საბჭო) და სასამართლო ორგანოების მიერ.

მოვიყვანთ მაგალითს ჩვენი კარტოტეკიდან, რომელიც უჩვენებს დასახელებული მონარქიული მეტაფორის აქტუალობას რუსულ ენობრივ ცხობიერებაში: «*Дмитрий Медведев разрушил существующую точку зрения о том, что в России возможен только один царь*<sup>13</sup> и невозможно выстроить отношения двух равноправных партнеров, которые присутствуют во власти... Он построил систему, когда на месте был сильный президент и на месте был сильный, политический премьер-министр.», – говорит депутат-единоросс Андрей Исаев [188]. საჩვენებელია ასევე სტატიის სახელწოდება – «**Президент, который не стал царем**<sup>14</sup>».

ა. პ. ჩუდინოვი გამოყოფს შემდგა ფრეიმებს კონცეპტუალურ მეტაფორაში «ПРЕЗИДЕНТ РОССИИ – ЦАРЬ»:

1. ფრეიმი «Носитель верховной власти» – რუსეთის პრეზიდენტი მეტაფორულად შეიძლება წარმოდგეს როგორც თვითმჰყრობელი, კონსტიტუციით შეუზღუდავი მონარქი, ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი, რომელსაც ძალაუფლების წმიდათაწმიდა უფლება აქვს, მათ შორის ამ ძალაუფლების მექანიზმები გადაცემის უფლება.

საილუსტრაციოდ გამოვიყენოთ პირადი კარტოტეკის მასალა: «Старик Путина благословил и даже сделал преемником<sup>15</sup> (Массовка для Путина. Комсомольская правда, 22.01.2004).; «На Руси все Владимиры были мудрыми – от Владимира Красное Солнышко и Владимира Мономаха до Владимира Ильича. А Вы мудры на генетическом уровне, потому что вы Владимир Владимирович» (М. Бобаков, руководитель новосибирских профсоюзов о В. В. Путине. «Мудрость на генетическом уровне». «Коммерсантъ» 17.02.2012).

ეს ფრეიმი ამახვილებს იდეას უმაღლესი ძალაუფლების მატრებელი ავტორიტეტის, მისი სიკეთის, სამართლიანობის, ძლიერების, ყოვლისშემძლეობის შესახებ. „ქვეშევრდომებს” ერთდროულად ეშინიათ მისი და თან აღმერთებენ, მას ვერ მოექცევი როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, გავიხსენოთ რუსული კოლოკაცია «Царь – батюшка». უსაზღვრო ძალაუფლების იდეა, მოწიწება, „უმაღლესი მმართველისგან” დისტანცირება, პატისცემა, თაყვანისცემა, ა. პ. ჩუდინოვის აზრით, აახლოებს პრეზიდენტს არა მხოლოდ მონარქის ხატოან, არამედ წმინდანთან, „უმაღლესი ხელისუფლების საიდუმლოებათა

<sup>13</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. პ.

<sup>14</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. პ.

<sup>15</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. პ.

მაგრავებელთან, რომლის პიროვნებაც კანონიზებული ხდება და ვისი სახელის ამაოდ წარმოთქმასაც ერიდებიან”.

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ პირადი კარტოტეკის მასალა: პრეზიდენტი ბ. ნ. ელცინის იერუსალიმსა და ბეთლემში მოგზაურობის შესახებ სტატიას 2005 წ. 26 დეკემბრის გაზეთში «Новая газета» ერქვა «*Святой президент<sup>16</sup> на Святой земле*». კორესპონდენტის კითხვაზე: «Как вы себя чувствуете на Святой Земле?», ელცინმა უპასუხა: «— На Святой Земле *чувствую себя, как святым!*<sup>17</sup>» (იქვე).

2. ფრეიმი «Монархическая форма правления» აქცენტს უკეთებს არა მხოლოდ მმართველობის ხერხებსა და ატრიბუტებს (მონარქის ზეობა, სამეფო საჩუქრები, მეფობის ნაყოფი ხალხისათვის), არამედ ძალაუფლების გადაცემის ხერხებსაც (მემკვიდრეები): «Владимиру Путину не удастся забыть, из чьих рук он получил корону (Р. Юшков); «...Долгожданный наследник царя Бориса (В. Жириновский)»; «Многие газеты писали тогда о Немцове как о «дофинах» или наследнике (Р. Медведев). ხოლო ბორის ელცინის ნებაყოფილობითი წასვლა სახელმწიფოს მმართველობიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში წარმოდგენილი იყო როგორც ტახტზე უარის თქმა. ამ ლოგიკით, ახალი პრეზიდენტის მოღვაწეობის დასაწყისი კი – როგორც „ტახტზე ასვლა”: «Главное внимание было приковано к мероприятиям, связанным с восшествием В. В. Путина на русский трон (М. Соколов)». ინაუგურაცია (ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილებაში შესვლის სადღესასწაულო ცერემონია) – კორონაცია (მეფედ კურთხვა): «Шествие, кортеж, клятва, короткий молебен, сътный ужин – инаугурация Владимира Путина начнется 7 мая в 12:00 в Кремле. В третий и, возможно, не в последний раз этот человек пройдет довольно пышный и довольно долгий ритуал инаугурации (*читай – коронации<sup>18</sup>*) в президенты.» (Евгений Бабушкин. Мой район. 5.05.2012.). ვვარაუდობთ, რომ ცნობიერებაში ამ კავშირის მდგრადობა გავლენას ახდენს ლოკუსზეც – რუსეთის პრეზიდენტების ინაუგურაცია ტარდება იქ, სადაც ადრე მეფედ კურთხვა ხდებოდა (Москва первопрестольная).

3. ფრეიმი «Система монархической власти» ავლენს ძალაუფლების რუსული სისტემის მკვეთრად გამოხატულ თავისებურებებს. რუსულ ტრადიციაში

<sup>16</sup> საზღაბმა ჩვენია, თ. მ.

<sup>17</sup> საზღაბმა ჩვენია, თ. მ.

<sup>18</sup> საზღაბმა ჩვენია, თ. მ.

უმაღლესი ხელისუფლების მქონე პირი ასოცირდება ქვეყნის სრულუფლებიან მფლობელად: „პოლიტიკურ პრაქტიკაში ეს იშვიათი კონსერუები შეხაძლებელი აღმოჩნდა იმის წყალობით, რომ საზოგადოებამ გაიაზრა თავისი უსუსურება კრემლის პატრონისა და მისი გარემოცვის წინაშე (რეჟისორი პ. შახნაზაროვი), სადაც კრემლი არის „რუსეთის პრეზიდენტის აპარატის განთავსების ადგილი“ (დმიტრიევის რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 2003).

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი კარტოტეკიდან: «*A теперь еще он хочет заниматься политикой – и лучшие всего сразу стать хозяином Кремля<sup>19</sup>*» (М. Шепп, статья «Лев вступает в борьбу», ეძღვნება მ. პროხოროვს, ვლ. პუტინის მოწინააღმდეგებეს რუსეთის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში).

ა. პ. ჩედინოვი თვლის, რომ ამ ფრეიმის მეტაფორები, პირველ რიგში, მიუთითებს პრეზიდენტის „ოჯახის“ ხატების აქტიურობაზე. საილუსტრაციოდ მიგმართავთ პირად კარტოტეკას: «*Словосочетание «семья президента»<sup>20</sup> благодаря специфике ельцинской эпохи приобрело в российском общественном сознании сакрально-мифический смысл. О ней писали в кавычках и с большой буквы, к ней относили ведущих российских политиков и олигархов, ее боялись. О людях, входивших в близкий круг Бориса Ельцина, ходили легенды как о всесильных и непотопляемых»* («Независимая газета» 2000. 05.07). ამასთან ერთად: «*Политологи не устают повторять, что новый президент России в такой «Семье» (в ельцинском смысле слова) просто не нуждается<sup>21</sup>*». პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვა მეტაფორულად შეიძლება ნიშნავდეს როგორც ბოიარებს, არისტოკრატიას, სასახლის კარს, კარის ამალას, სასახლის კოლექტივს, მსახურებს და უბრალოდ უმებს. «Основное отличие такой системы власти состоит в том, что демократически назначенный министр несет ответственность перед народом и парламентом как выразителем интересов избирателей /.../: Назначенный губернатор всегда будет стараться угодить не жителям региона, а придворной свите, от которой зависит, останется он на своем посту или нет (Е. Савостьянов)» (ციტ.: Чудинов 2003).

ამგვარად, შეიძლება გამოვთქმათ მოსაზრება, რომ თანამედროვე რუსულ ენაში საპრეზიდენტო დისკურსი ეყრდნობა კონცეპტუალურ კავშირს «президент – царь», რაც პრეზიდენტის ინსტიტუტის ისტორიული ფორმირების გამო

<sup>19</sup> საზღაბმა ჩვენია, თ. მ.

<sup>20</sup> საზღაბმა ჩვენია, თ. მ.

<sup>21</sup> საზღაბმა ჩვენია, თ. მ.

შეუძლებელია აშშ საპრეზიდენტო დისკურსში. და ეს ექსტრალინგვისტური ფაქტორი, ნასაზრდოები ელექტორატის მენტალური თავისებურებით, გავლენას ახდენს სოციალურ-პოლიტიკური შეფასებების საკმაოდ ფართე სპექტრზე. ჩვენ ამოვდივართ ლინგვოკულტუროლოგის მოცემულობიდან: ყოველდღიური რეალობის განსაზღვრაში მსოფლალქმის ნაციონალურ მენტალიტეტს და „ეთნიკური განპირობებულობას“ ახასიათებს ხატების ერთგვარი სტანდარტულობა და მსჯელობის, მოვლენათა და ფაქტების შეფასების ერთგვაროვნება და აწესრიგებს ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობას.

ასე მაგალითად, ამერიკელი ელექტორატი მიდრეკილია, შეაფასოს კანდიდატის მხოლოდ ის თვისებები, რომელიც შეიძლება რეალურად დასჭირდეს პრეზიდენტის პოსტზე, მაგალითად: “*Never a soldier himself, but suddenly their commander-in-chief, President Barack Obama wanted to learn the job from the ground up.*” (*POLITICO*, 2010) [189]. ამერიკულ მენტალობისათვის ახლობელია ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის რუსულისაგან სრულიად განსხვავებული ხატი, რაც მკაფიოდ ვლინდება მეტაფორებში, რომლებიც ახდენენ ნაციონალურ ცნობიერებაში პრეზიდენტის ხატის ექსპლიკაციას.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი იმავდროულად არმიისა და ფლოტის მთავარსარდალიც არის. ამ გარემოებამ იმოქმედა **commander-in-chief** (მთავარსარდალი) მდგრადი მეტაფორული ხატის ჩამოყალიბებაზე. შეგვიძლია თვალი მივადევნოთ: “*Democratic presidential nominee John F. Kerry emerged from his national convention with a small lead over President Bush in the race for the White House and improved his standing against the president on the economy and who is better qualified to serve as commander in chief*”<sup>22</sup>, according to a new Washington Post-ABC News poll” (R. Morin, *Washington Post*, 03.08.2004); “*Indeed, its critical in tough times that the president appear in charge and that he be presidential as persuader-, reassurer- and consoler-in-chief*<sup>23</sup> both abroad and at home” (Obama's first year: A good start if only a start, *Los Angeles Times*, January 19, 2010). ბოლო მაგალითში პრეზიდენტის უზუალური მეტაფორული ხატი **commander-in-chief** ძლიერდება ოკაზიონალიზებით **persuader-, reassuerer-** და **consoler-in-chief**, რაც გაცემილი სახის მეტაფორა-კლიშეს მკვეთრსა და დასამახსოვრებელს ხდის. მაგრამ ის

<sup>22</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>23</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

გამჭვირვალე რჩება ნაციონალური ცნობიერებისათვის, ხოლო კონტექსტში გამაძლიერებელი ნიშნების შეტანა არ ართულებს მის დეკოდირებას.

ერის ცნობიერებაში აშშ პრეზიდენტი წარმოდგენილია ასევე მდგრადი მეტაფორებით ***prizefighter*** (პროფესიონალი მოკრივე), მაგალითად: “*The United States America in the Halls in the book of Presidents. ... Which US president was a prizefighter<sup>24</sup>*”; ***the leading man*** (მთავარი პირი): “...being inaugurated 9 days before Washington himself (on April 21, 1789), but he served in that office ( 1789 - 1797 ) with a sense of grievance and of suspicion of many of ***the leading men<sup>25</sup>***; ***hero*** (გმირი): “This victory made Andrew Jackson a ***hero<sup>26</sup>*** and helped to solidify the United States position in the United States [190].

ამერიკელებისათვის პრეზიდენტი მონარქი, წმინდანი ან ქვეყნის ერთპიროვნული მფლობელი კი არ არის, არამედ ხალხის მიერ „დაქირავებული“ მმართველია, ბრძოლაში – მეთაური, პოლიტიკურ სპექტაკლში – მთავარი როლის შემსრულებელი. აქედან მომდინარეობს დიდი რაოდენობით ისეთი თეატრალური მეტაფორები, როგორიცაა ***first, key, peripheral, prominent role*** (პრეზიდენტის შესახებ), მაგალითად: “*Bill Clinton to play prominent role<sup>27</sup> at Democratic Convention*” (სტატიის სათაური, Kevin Bohn, CNN Senior Producer) და ***arena, behind-the-stage, behind the scenes, curtains, stage*** (პრეზიდენტის მოღვაწეობის სფეროს შესახებ); ან მასალის სახელი “***Obama Behind the Scenes***” საიტზე US News and Word Report (US Weekly. The Latest Political News and Analysis). პრეზიდენტის ხატის აღქმაში აქტიურია სპორტული მეტაფორები, მაგალითად: “*On 1 April 2009, President Barack Obama of the United States and President Hu Jintao of China met on the sidelines of the G20 Financial Summit in London<sup>28</sup>, the United Kingdom*” (ინფორმაცია საიტზე **THE WHITE HOUSE**. Office of the Press Secretary), სადაც “***sidelines***” არის “the white or colored lines which mark the outer boundaries of a sports field, running parallel to each other and perpendicular to the goal lines. The sidelines are also where the coaching staff and players out of play operate during a game. The area outside the sidelines is said to be out of bounds. The term is predominantly in use in American football, Canadian football and basketball”. სპორტული მეტაფორები ახდენენ არა მხოლოდ ერისათვის

<sup>24</sup> ხაზგასმა ჩვენია, ო. გ.

<sup>25</sup> ხაზგასმა ჩვენია, ო. გ.

<sup>26</sup> ხაზგასმა ჩვენია, ო. გ.

<sup>27</sup> ხაზგასმა ჩვენია, ო. გ.

<sup>28</sup> ხაზგასმა ჩვენია, ო. გ.

ტრადიციული ნორმატიული შეფასების ექსპლიკაციას, არამედ კავშირს ძალა-  
უფლების მოპოვებისათვის ბრძოლასა და შეჯიბრს შორის, მაგალითად: “Bush  
said this week that the attacks on Kerry seemed like *fair game*”<sup>29</sup> (J. VandeHei, Washington  
Post, 02.09.2004).

ამერიკის პრეზიდენტის ამაღლა კი არ ჰყავს, არამედ გუნდი – **team**: “The  
**Bush team's**<sup>30</sup> hopes for capturing Gore states are buoyed by evidence that it is attracting more  
Democrats than Kerry is Republicans” (M. Allen, Washington Post, 17.09.2004)ან: “**Obama**  
**team**<sup>31</sup> remains unshaken” (POLITICO, 2010) [191]. აღვნიშნავთ, რომ ეს ხატი, ჩვეული  
„ადმინისტრაციის“ ნაცვლად, მკვიდრდება თანამედროვე რუსეთის  
საპრეზიდენტო დისკურსშიც, მაგალითად: «Создана работоспособная деловая  
высокопрофессиональная **команда**<sup>32</sup>» (Стенограмма встречи Президента России  
Владимира Путина с членами Правительства. 27.12.2012) [192]. ნაციონალური  
მენეჯმენტისათვის ახალი ხატი კონტექსტში შეიძლება წარმოდგენილი იყოს  
ჩვეული ცნების პარალელურად, მაგალითად: «**Команда** президента. Президент  
утвердил состав **администрации**<sup>33</sup>» (Российская газета №5788. 23.05.2012). ამასთან  
ერთად, ამერიკულ დისკურსში ფართოდ გამოყენებული უზუალური მეტაფორა  
“president's team” რუსული ცნობიერებისათვის ჯერ კიდევ გააზრების საგანია.  
მაგალითად: «Я не очень понимаю пристрастный интерес со стороны всех моих  
западных собеседников, послов, министров и бизнесменов к вопросу о «**команде**  
президента». Мои наблюдения за российской внутренней политикой подсказывают мне,  
что Дмитрий Медведев – член команды Владимира Путина<sup>34</sup>. Причем, самый лучший и  
удобный для Путина» (К. Ремчуков. Команда президента. Независимая газета. 2009.06.  
2002).

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება, ბიზნესში წარმატების  
მსგავსად, ბევრად არის დამოკიდებული იღბალზე. მაგრამ არა იმ იღბალზე,  
რომელსაც რუსულად ეწოდება *везенье, повезло*, მნიშვნელობით «благоприятное  
стечение обстоятельств» ან ავის მნიშვნელობით «надежда на случайную удачу».  
თუმცა ნათქვამი არ ნიშნავს, რომ თანამედროვე რუსეთში საპრეზიდენტო

<sup>29</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>30</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>31</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ

<sup>32</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>33</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>34</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს თანამედროვე პოლიტიკუროლოგიების მიღწევების გამოყენების გარეშე. აქ საუბარია ნაციონალური ცნობიერების მდგრად სტერეოტიპებზე. იდბალი პოლიტიკაში ამერიკულად არის სტრატეგიისა და ტაქტიკის, მთელი გუნდის კარგად მოფიქრებული და კარგად ორგანიზებული შრომის შედეგი: საკმარისი ფულადი რესურსის მოზიდვა, ქვეყანაში წინასაარჩევნო გასვლების სწორად შემუშავებული მარშრუტი და სხვა. მოვიყვანოთ დაფიქსირებული ხატის ენობრივი მანიფესტაციის მაგალითი: “***Obama stops the clock on Fox***”. სტატია ამ სათაურით ეძღვნება ბარაკ ობამას პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ სიუჟეტს: “*Barack Obama finally appeared on “Fox News Sunday,” stopping the “Obama Watch” clock at 772 days and change. And, believe it or not, it was a friendly exchange, touching on familiar themes*” (*POLITICO*, 2010) [193]. ამერიკელი პრეზიდენტის გამარჯვება არის მებრძოლის გამარჯვება და იდბალი, როგორც, მაგალითისათვის თვალსაჩინოა ბ. ობამას წინასაარჩევნო შტაბის წარმომადგენლის გამოსვლის ფრაგმენტიდან: “*He obviously hasn’t formally made that announcement or decision, but look, this is a man who is deeply committed to this country and believes that the future is going to be better, and wants to fight<sup>35</sup> for that and work for that and motivate people on both sides to pursue the things that will make that happen*” (*David Axelrod on the 2012 Campaign, Newsweek, December 20, 2010*).

თუ ვისარგებლებთ უმბერტო ეკოს უკავ ციტირებული აზრით, ზემოთ განხილული ფაქტები პკლევაში გამოიყენება „იმ რიტორიკული და იდეოლოგიური უნივერსუმის“ რეკონსტრუქციისათვის, რომელშიც იბადება და ინტერპრეტირდება საპრეზიდენტო დისკურსი. როგორც მოყვანილი მიმოხილვიდან გამომდინარეობს, ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების დასახული თელეოლოგიური განწყობების მომსახურებისას საპრეზიდენტო დისკურსი განისაზღვრება არა მხოლოდ ნაციონალური ენით, არამედ ნაციონალური ტრადიციებით, ნაციონალური კულტურით, ნაციონალური თვითშეგნებით, ნაციონალური პოლიტიკური სისტემით.

ამასთან ერთად, საპრეზიდენტო დისკურსი რესერტსა და აშშ-ში, ასახავს რა განსხვავებულ ნაციონალურ კულტურებს, გამოირჩევა მთელი რიგი დამახასიათებელი თავისებურებებით. ეს საშუალებას გვაძლევს თვალი მიგადებნოთ იდენტურ საკომუნიკაციო სიტუაციაში მყოფ ერთი და იმავე საკომუნიკაციო მიზნების მქონე პოლიტიკოსთა სამეტყველო ქცევის საერთო

<sup>35</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

კომპონენტებს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის თანამედროვე საპრეზიდენტო დისკურსის ზემოქმედების ვექტორი, რომელიც სულ უფრო მეტად იხრება მანიპულაციურობისაკენ. „პოლიტიკური ხელისუფლება გარკვეულწილად ხორციელდება ენის მეშვეობით, რომელიც პოლიტიკოსს ეხმარება შევიდეს რეციპიენტის პიროვნულ სფეროში როგორც მარტივი ხერხების (ნაცვალსახელის „ჩვენ“ „მეს“ ნაცვლად) ხშირი გამოყენებით, ენის შერჩევით (ბილინგვიზმის პირობებში), ისე მანიპულაციის უფრო რთული ხერხების (სიტყვებით თამაში და სხვ.) საშუალებით”(Маслова 2008, გვ. 44). მაგალითად, ვლ. პუტინის დისკურსში მოცემულია განწყობა, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად იქნას ინტერპრეტირებული: ქვეყნის პრეზიდენტმა ყველაფერი იცის და მას აქვს უფლება გადაწყვიტოს, თუ რისი ცოდნის უფლება აქვთ ჩვეულებრივ მოქალაქეებს, „უბრალო მოკვდავებს“. ეს განწყობა გადმოიცემა მეტყველების ფიგურის საშუალებით (შინაარსის გამოყოფის კონსტრუქციული სქემები ანუ გამოყოფის ფიგურები) და ვერბალიზდება მარტივი ენობრივი საშუალებებით (უარყოფითი ნაწილაკები და კითხვითი სიტყვები), რესული ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ტექსტით, რაც ადრესანტს უქმნის ფრაზის „იდუმალების“ საჭირო ეფექტს: «Я вот разговаривал с одним директором, не буду говорить с каким. Он всю жизнь в отрасли проработал, не скажу в какой...» (АиФ, 14.04.01). აზრის შთაგონება, რომ პრეზიდენტის ტაქტიკა აბსოლუტურად გამჭვირვალეა, ნათელია და არ შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს, ხორციელდება ბ. ობამას დისკურსში მოცემულ ფრაზაში მოდალურ-შეფასებითი მნიშვნელობის მქონე ფაქულტატური ზმნისზედით **“obviously”** (აშკარად, შესამჩნევად, ნათლად, გასაგებად, რა თქმა უნდა), რომელიც წინ უსწრებს გამლილ ენობრივ მეტაფორას და აძლიერებს ცნობიერებაზე მის ზემოქმედებას: “Obviously, we’ve poured billions of dollars<sup>36</sup> into airport security” ( Transcript of second McCain Obama debate. 7/10/2007).

ლ. 6. მასლოვას კვალდაკვალ, მანიპულაცია გვესმის როგორც „მოსახლეობისათვის შეხედულებების, თვალსაზრისის, მოქმედების ხერხების თავსმოხვევის პროცესი, რომლებიც ადრესანტმა შეიძლება აშკარა სიცრუედ, მაგრამ თავისთვის სასარგებლოდ ჩათვალოს; ეს დაკავშირებულია სპეციალური ხერხების გამოყენებასთან, რომლებიც მიმართულია რეციპიენტების კრიტიკული

<sup>36</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

აზროვნების დაქვეითებისაკენ” (Маслова 2008, გვ. 45). ენობრივი მანიპულირება არის ისეთი ენობრივი ხერხების შერჩევა და გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მეტყველების ადრესატის ცნობიერებასა და აზროვნებით პროცესებზე ზემოქმედება. პოლიტიკურ დისკურსში განხორციელებული ენობრივი მანიპულირება აყალიბებს აუცილებელ საზოგადოებრივ აზრს, ზემოქმედებს საზოგადოების ანუ ელექტორატის სამყაროს დირებულებით და – უფრო მეტიც – კონცეპტუალურ სურათზე. ვ. ზ. დემიანკოვის თვალსაზრისით, პოლიტიკოსის მეტყველება (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ოპერირებს სიმბოლოებით, ხოლო ამ მეტყველების წარმატება წინასწარ განსაზღვრულია იმით, თუ რამდენად ეხმიანება ეს სიმბოლოები მასობრივ ცნობიერებას: პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს ამ ცნობიერებაში საჭირო სიმს შეეხოს; პოლიტიკოსის გამონათქვამები უნდა ეწყობოდეს მისი ადრესატების, პოლიტიკური დისკურსის „მომხმარებლების” შეხედულებებისა და შეფასებების „სამყაროს” (ანუ შინაგანი სამყაროს ყველა სიმრავლეს) (Демьянков 2002, გვ. 40). ნათქვამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკური დისკურსის (და საპრეზიდენტო დისკურსის როგორც მისი ნაირსახეობის) ანალიზის კონტექსტში ცნებები „ეფუქტურობა” და „ენობრივი მანიპულირება” ერთმანეთს უახლოვდება.

მეტაფორის როგორც საპრეზიდენტო დისკურსის ენობრივი საშუალების ეფუქტურობის ანალიზისას ჩვენ ამოვდივართ მოსაზრებიდან, რომ მეტაფორა როგორც მეორეული (ალტერნატიული) ნომინაციის საშუალება წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედების ეფუქტურ ინსტრუმენტს, ძალაუფლებისათვის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლის პირობებში. საპრეზიდენტო დისკურსში მეტაფორის გამოყენება იძლევა არა მხოლოდ იმის საშუალებას, რომ ტექსტი გახდეს უფრო მკეთრი, ცოცხალი და გამომსახველი და ამით მიაპყროს ადრესატის ყურადღება აქცენტირებულ აზრზე. მეტაფორა შედის ხერხ-ვერბალიზატორთა რიგში, რომლებიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს პირველ პირს საჭირო გზით გავლენა მოახდინოს საზოგადოების პოლიტიკური შეხედულებებისა და მრწამსის სისტემის ფორმირებაზე და, როგორც შედგეთ, გარდაქმნას სამყაროს პოლიტიკური სურათი.

ტერმინი „მეტაფორა” (ბერძნულიდან *metaphora* – გადატანა) ფართე გაგებით ნიშნავს სიტყვების არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების ნებისმიერ ფორმას (Лингвистический энциклопедический словарь 1990, გვ. 296).

მეტაფორა არის მრავალასპექტიანი მოვლენა, რომელიც წარმოადგენს ჰუმანიტარული ცოდნის მრავალი დარგის შესწავლის საგანს და ლინგვისტური დაკვირების ერთ-ერთ ყველაზე ტრადიციულ და სიღრმისეულად გამოკვლეულ ობიექტს. როგორც ტროპების გარკვეული სახე, მეტაფორა შეისწავლება პოეტიკაში, რიტორიკაში, სტილისტიკაში; როგორც სიტყვების ახალი მნიშვნელობების წყარო – ლექსიკოლოგიაში; როგორც სამეტყველო გამოყენების განსაკუთრებული სახეობა – პრაგმატიკაში; როგორც ინტერპრეტაციისა და მეტყველების აღქმის ასოციაციური მექანიზმი და ობიექტი – ფსიქოლინგვისტიკაში; როგორც აზროვნებისა და სინამდვილის შეცნობის ხერხი – ლოგიკაში, ფოლოსოფიაში (გნოსეოლოგიაში) და კოგნიტიურ ფსიქოლოგიაში (იქვე, გვ. 296). მეტაფორიზაცია ეფუძნება „ერთი სახეობის არსის გაგებას და განცდას სხვა სახეობის არსის ტერმინებით”.

უკანასკნელ დროს ენასა და მეტყველებაში მეტაფორიზაციის პროცესის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეტაფორის როგორც სინამდვილის გააზრებისა და წარმოდგენის საშუალების პოტენციალს. თანამედროვე ლინგვისტიკაში მეტაფორა გაიგება როგორც ძირითადი მენტალური ოპერაცია, სამყაროს შეცნობისა და კატეგორიზაციის საშუალება. ადამიანი მეტაფორების საშუალებით არა მხოლოდ გამოხატავს თავის აზრებს, არამედ კიდევ აზროვნებს მეტაფორებით, მათი საშუალებით ქმნის იმ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობს. კერძოდ, აღიარებულია, რომ აზროვნებითი ქმედების პროცესში ანალოგია ასრულებს არანაკლებ როლს, ვიდრე რაციონალური აზროვნების ფორმალიზებული პროცედურები. მეტაფორა აკავშირებს ორ განსხვავებულ ობიექტს, ემყარება რა ტრანსფერს, შუამავალს, რომელიც ანალოგიის საფუძვლად გამოიყენება. მეტაფორის კლასიკურ თეორიაში ითვლება, რომ ყურადღების მეტაფორული გადანაცვლება ხორციელდება ორი საგნის დამაკავშირებელი საერთო ნიშან-თვისების საფუძველზე. მეტაფორის თანამედროვე თეორიაში კი მიღებულია საუბარი არა მეტაფორის საგნებზე ან ობიექტებზე, არამედ „კონცეპტუალურ სფეროებზე” ანუ „მენტალურ სივრცეებზე”, კონცეპტუალურ მეტაფორებზე. ასეთი მიღვიმის შემთხვევაში, მეტაფორას ერთ კონცეპტში შეაქვს სხვა კონცეპტის კომპონენტები, თან ერთმანეთს უპირისპირებს არა ორ საგანს, არამედ ცნებათა ორ სისტემას, რომელთაგან ერთ-ერთი არის სფერო-წყარო. „თანამედროვე კოგნიტიური ლინგვისტიკა მეტაფორას მიიჩნევს არა ტროპად, რომელიც მოწოდებულია

გაალამაზოს მეტყველები და ხატი უფრო გასაგები გახადოს, არამედ აზროვნების ფორმად. კომუნიკაციურ ქმედებაში მეტაფორა ადრესატის ინტელექტზე, გრძნობებსა და ნებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი იარაღია. შესაბამისად, მეცნიერისათვის მეტაფორული სახეების ანალიზი არის მენტალური პროცესების შესწავლისა და ინდივიდუალური, ჯგუფური (პარტიული, კლასობრივი და სხვ.) და ნაციონალური თვითშემეცნების წვდომის საშუალება” (Чудинов 2001, გვ. 10).

კვლევაში, ჟ. ა. ვარძელაშვილის კვალდაკვალ (2013), მეტაფორა განიხილება როგორც კონცეპტუალური ცნებითი სისტემის ერთეული, როგორც ავტორის ინტენციის აქცენტუაციის ენობრივი ერთეული, რომელიც კონკრეტულ დისკურსულ კონტექსტში მოტივირებს მის ისტორიულ-კულტურულ რელევანტურობას და „ზემოქმედებს ადრესატის ინტელექტზე, გრძნობებსა და ნებაზე”.

ჯერ კიდევ შარლ ბალის დროიდან, ლინგვისტიკაში მიღებულია განვასხვავოთ მეტაფორის ორი ტიპი –ენობრივი და მხატვრული (1961, გვ. 333). უდავოა, რომ ენობრივი მეტაფორული ნომინაცია სტიქიურია, ჩადებულია თვით ენის ბუნებაში. ენობრივ მეტაფორას ასევე უწოდებენ უზუალურს, არასახოვანს, ზოგადგამოყენებითს, წაშლილს, მკვდარს და ა. შ. ის წარმოადგენს ლექსიკის მზა ელემენტს: ასეთ მეტაფორას არ სჭირდება ხელახლა შექმნა, ის მეტყველებაში შეიძლება ისე წარმოიშვას, რომ მთქმელმა ვერც გააცნობიეროს თავდაპირველი სიტყვების ფიგურალური მნიშვნელობა. „ენობრივი მეტაფორა სისტემური ხასიათის არის, ობიექტურია, ასახავს კოლექტიურ საგნობრივ-ლოგიკურ კავშირებს, ასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას, „ანონიმურია”, შეიძლება მისი კვლავწარმოება, დეკოდირება სტანდარტული ენობრივი პიროვნების დონეზე. მხატვრული მეტაფორა უსისტემოა, სუბიექტურია, ასახავს სამყაროზე ინდივიდუალურ შეხედულებას, ასრულებს ესთეტიკურ ფუნქციას, ინარჩუნებს „ავტორობას”, გააჩნია მაქსიმალური სინტაგმატური განპირობებულობა, უნიკალურია, წარმოებითია” (Вардзелашвили 2001, გვ. 31). მოვიყვანოთ ენობრივი მეტაფორების მაგალითები, რომელზეც აქტიური მოთხოვნაა გასაანალიზებელ სფეროში: *борьба за власть, ветер перемен, гонка вооружений, политический капитал, friendly way, red line, to pull strings, narrow-minded* და მისთ. საპრეზიდენტო დისკურსში ენობრივი მეტაფორის რეალიზაციის

მაგალითები: “*So our hearts are broken*<sup>37</sup> today – for the parents and grandparents, sisters and brothers of these little children, and for the families of the adults who were lost.” (B. Obama; <http://www.presidentialrhetoric.com/> მასალების მიხედვით). ეს უნივერსალური უზუალური მეტაფორა ჩვენ მივაკუთვნეთ „ემოციებზე ზემოქმედი მეტაფორების” პირობით ჯგუფს. ამავე მიზნით ბ. ობამას დისკურსში გამოიყენება ამერიკული ცნობიერებისათვის უზუალური მეტაფორული კავშირი “USA↔beacon of freedom” (თავისუფლების შუქურა): “*America, that shone as a beacon of freedom and opportunity to so many who had come before*” (Barack Obama's Inspiring 2004 Democratic Convention Speech). მეტაფორას აცოცხლებს გამოყოფის რიტორიკული ფიგურა, დამაზუსტებელი სიტყვით “shone” (past and past participle of shine) და მეტაფორული კავშირის **beacon of freedom** მუდმივ კომპონენტზე ახალი კომპონენტის **opportunity** დართვით. როგორც გვესახება, ეს მეტაფორა ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ მეტყველების ადრესატების ემოციურ სფეროზე, არამედ წარმოადგენს საშუალებას, რომელიც გავლენას ახდენს სამყაროს სურათის „აუცილებელი“ ვერსიის ჩამოყალიბებაზე.

მოვიყვანოთ საპრეზიდენტო დისკურსში მხატვრული მეტაფორის მაგალითი, რომელიც ადრესატებს უგზავნის იმპულსს – **პრეზიდენტი აბეთლუტურად დაწმუნებულია, რა შედეგს მოიტანს მისი მოქმედება:** «...будут реализованы дополнительные меры по борьбе с так называемой **большой коррупцией**, а также с **бытовой коррупцией**» (Дм. Медведев. Прощальная речь на Госсовете. 24. 04. 2012)<sup>38</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკოგრაფიული წყაროები გამოყენებულ კოლოკაციებს არ აფიქსირებენ, მათი ხატოვანება სრულიად გამჭვირვალეა და დეკოდირება სირთულეს არ იწვევს. ამ შემთხვევაში ჩვენ ამოვდივართ იმ სამწუხარო რეალობიდან, რომ რუსული ენობრივი ცნობიერებისათვის **большая коррупция** და **бытовая коррупция**, ვ. ვ. ვინოგრადოვის სიტყვებით, რომ ვთქვათ, არის „**მოვლენათა დახასიათების კოლექტიურად გაცნობიერებული ხერხები**“. ნათქვამის დასამოწმებლად მივმართოთ შოუმებ მ. გალკინთან ტელეარხის «Дождь» ინტერვიუს ფრაგმენტი: «У нас коррупция настолько велика в стране по объективным историческим причинам, что для того, чтобы борьба с коррупцией была системной, такие скандалы масштаба министра должны происходить каждую неделю, а

<sup>37</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>38</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

поменьше – каждый день, тогда это будет системная борьба /.../ система так устроена, речь не идет о том, что это какие-то отдельные личности виноваты. Я бы вообще начал с каждого из нас. Даём мы сантехнику взятку, чтобы он хорошо нам кран починил. Почему мы обижаемся, что кто-то выше даёт для чего-то другого» (30.11.2012) [194].

დისკურსული გამოყენების ოკაზიონალობაზე მიუთითებს ანტონიმური წყვილის მეორე წევრი – **бытовая коррупция**. არგუმენტისათვის მივმართოთ ექსტრლინგვისტურ ინფორმაციას: მეტაფორული ხატი **большая коррупция** დიდი კორუფცია არის თეოდორ ლოუის მიერ შემოტანილი ტერმინი. მის ტერმინოლოგიაში **большая** და **малая коррупция** (მცირე კორუფცია) ანტონიმებია: დიდი კორუფცია ძირს უთხრის კონსტიტუციურ საფუძვლებს, რაც სახიფათოა ამ სიტყვის ფართე გაგებით. ის სცილდება კორუფციის ცალკეულ შედეგებს, „საფრთხეს უქმნის თავად სახელმწიფოს არსებობის საფუძლებს”. მცირე კორუფცია უმეტესად ეხება ცხოვრებისეულ ზეობრივ ნორმებს და ასახავს ცალკეული ადამიანების მანკიერებას (International Encyclopedia of Public Politic and Administration 2000).

საპრეზიდენტო დისკურსის ავტორის შეგნებული ესთეტიკური ძიების შედეგის ნიმუშად განვიხილავთ ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორას: «Российское общество испытывает явный дефицит духовных скреп<sup>39</sup>» (Вл. Путин. *Послание Федеральному собранию.* 12.12.2012). მეტაფორას **духовные скрепы** მივაკუთვნებთ პირობით ჯგუფს „მეტაფორები, რომლებიც ქმნიან „აუცილებელ“ სოციალურ განწყობებს“. ეს მკვეთრი მეტაფორა, როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, გახდა ყველაზე შესამჩნევი სიტყვა იმ ცხრა ათასი სიტყვიდან, რომელიც ფედერალური ყრილობისადმი მიმართვაში წარმოითქვა. რამდენად წარმატებული გამოდგა ეს მეტაფორული ხატი? რუსულ პრესაში ფრაზის **духовных скреп** შესახებ გაჩაღებული პოლემიკიდან მეტად საინტერესოდ გვეხვენება ჟურნალისტის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა ჯანდიდატის პ. ტურქვას აზრი: «В последнее время это уже стало, похоже, своеобразным приемом: из каких-то лингвистических сундуков вытаскивается слово, которое почти никогда не услышишь в повседневной речи, а в литературе попадается тоже нечасто. Слово это, помещенное в гущу других, более привычных, вдруг сверкает среди них, как единственный золотой зуб у расплывшегося в улыбке человека. Теперь мы третий день

<sup>39</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. გ.

обсуждаем «скрепу». Точнее, «скрепы» – во множественном числе. Те, которые духовные и которых у нас, как оказалось после послания президента Федеральному собранию, дефицит. Многим само это слово – «скрепа» – кажется смешным и странным, каким-то неуклюжим увальнем по сравнению с другими словами. Кажется даже, что его специально придумали для этой речи – и вот теперь оно мозолит глаза, как нелепая брошка. Но при этом становится понятно, что в этой броши всё и дело./.../ Впрочем, есть еще одно слово, на которое стоит обратить внимание в этом сочетании – слово «дефицит». Казенщина в сочетании с высоким и духовным, «арифметикой по сини небесной». Это словосочетание как бы само является собой пример странной скрепы – соединения несоединимого. И, конечно, отсылает к простой канцелярской скрепке и к небесной канцелярии. Образ сращения бюрократа и духовного лица, чиновничества и духовенства, духовная скрепа + канцелярская скрепка – все это стоит за сочетанием из трех слов, центральной в котором выступает та самая вынутая из языковых закромов «скрепа» (Московские новости. 14.12.2012). ეს გახდავთ მიმართვის ერთ-ერთი ადრესატის აზრი. მაგრამ, ცხადია, რომ საპრეზიდენტო დისკურსში ამ ხატმა თავისი დანიშნულება შეასრულა – მიიპყრო და შეინარჩუნა ყურადღება აღნიშნულ პრობლემაზე.

როგორც ვვარაუდობთ, მოყვანილი მაგალითები ადასტურებენ, რომ: „მეტაფორა იპყრობს და ინარჩუნებს ყურადღებას; ტექსტს ტვირთავს გამომსახველი ხატებით, რომლებიც დიდხანს რჩება მეხსიერებაში; ზემოქმედებს ასოციაციურ აზროვნებაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მეტაფორა ასტიმულირებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს“ (Баранов АД. 1990, გვ. 17).

საპრეზიდენტო დისკურსში მოქმედი მეტაფორების ანალიზი (189 ფრაგმენტი რუსი და 222 ფრაგმენტი ამერიკელ პრეზიდენტთა დისკურსიდან) საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ თანამედროვე საპრეზიდენტო დისკურსის მეტაფორიკა ძირითადად წარმოდგენილია ენობრივი მეტაფორით, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს ინსტიტუციური დისკურსის მოცემული ნაირსახეობის თელეოლოგიური განწყობებიდან და, პირველ რიგში მასობრივ ადრესატზე მიმართულებიდან. თუმცა, ენობრივი მეტაფორის გამომსახველობა, წაშლილი ხატების გაცოცხლება საკმაოდ ხშირად ხდება სხვადასხვა სტილისტიკური სახითა და ტროპით. მაგალითად: «...чтобы ни у кого не было непонимания по поводу того, о чём я недавно говорил в Послании, а именно о том, что мы резервный фонд можем чуть пораньше распечатать и сто миллиардов можем оттуда

*изъять на инфраструктурные проекты. Это не какая-то «хотелка», это не пуск под откос бюджетного правила<sup>40</sup>.» (Встреча Президента России В. В. Путина с членами Правительства 27.12.2012) [195]. ჩვენს კარტოტექაში შეგროვილი თანამედროვე რუსული საპრეზიდენტო დისკურსის მაგალითების ანალიზი ადასტურებს სასაუბრო ლექსიკის ერთეულების აქტიურ გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩნია გამომცემლობის «Водолей» რედაქტორის მწერალ ვალერი ვოტონის დაკვირვება: «Думаю, что всякая власть стремится говорить с народом на его языке. Это неплохо для власти, не всегда плохо для народа и в конечном итоге всегда плохо для литературного языка. Там, где народная речь пронизана воровским сленгом, этот язык неизбежно зазвучит с властных трибун. А поскольку слово, каждое слово способно нанести рану, оно и наносит – и конкретным людям, и всему телу книжного языка. Создается новое языковое поле – но оно создается не на пустом месте. Оно вытаптывается в литературном языке. Ретранслировала власть слово «хотелки» – и оно проникло в газеты, книги и умы. На радость электорату»[1] [196].*

ამ მაგალითში საკუთარი ქმედებების არგუმენტაციისა და აუცილებელი განწყობის „შემთავაზებული მოქმედებები ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა შექმნილ პირობებში“ შთაგონებისათვის პრეზიდენტი იუქებს ენობრივ მეტაფორას «пустить под откос», რომელიც გადმოსცემს აზრებს: «вызвать полный провал чего-л.», «выпустить из рук, т.е., потерять контроль над чем-л.», ამასთან ერთად მის მოდიფიკაციას ახდებს – ზმბური კონსტრუქციის ნაცვლად კონტექსტში გამოყენებულია არსებითი სახელი *пуск*. არსებითი სახელი *пуск*. გადმოსცემს ზმით «пустить» გამოხატული მოქმედების დასახელებას 3, 4, 5, 6 და 7 მნიშვნელობებით: **3.** Позволить кому–чему–н. войти куда–н., впустить, пропустить. **4.** Привести в действие, в движение, заставить действовать, функционировать. **5.** Заставить или дать кому–чему–н. итти, бежать каким–н. образом или куда–н. **6.** В сочетании с существительными употр. в знач.: подвергнуть действию или состоянию, обозначаемому существительным. **7.** Бросить, заставляя двигаться, катиться, лететь в каком–н. направлении.» (უშაკოვის განმარტებითი ლექსიკონი). ენობრივი მეტაფორის დისკურსული აქტივაცია უარყოფით მოდელშია წარმოდგენილი. გაუგებრობის («непонимания») თავიდან ასაცილებლად პრეზიდენტი აპლირებს გეტაფორაზე, რომელიც მოცავს მისთვის საჭირო აზრებს: над огромными

<sup>40</sup> ხაზახმა ჩვენია, თ. მ.

бюджетными деньгами *не будет* потерян контроль («Частьмаზარ საბიუჯეტო თანხებზე კონტროლს არ დაკარგავებ), они *не «улетят»* в неизвестном направлении (ფული არ გაფრინდება გაურკვეველი მიმართულებით), эти действия *не будут* провалом (ეს ქმედებები არ იქნება წარუმატებელი). გაუგებრობის («непонимания») тающий ациллебის საჭირო ეფექტი მიიღწევა კონტექსტში ტერминოლოგიური **«бюджетного правила»** და სასაუბრო **«хомелка»** შეხამებით, რომლის აქცენტუაციაც პრეზიდენტის გამოსვლის წერილობით გარიანტში გადმოიცემა ბრჭყალებით.

მოვიყვანოთ ანალოგიური ტიპის მეტაფორის მაგალითი ბ. ობამას საინაუგურაციო სიტყვიდან: *“Yet, every so often the oath is taken amidst gathering clouds and raging storms<sup>41</sup>”* – პრეზიდენტ ობამას ფიცის დადებისას ქარიშხალი მძვინვარებს და ცა იღრუბლება, რამაც ერს უნდა აღუძრას მომენტის შესატყვისი ემოციები და უნდა გააცნობიეროს ასეთ მშვიოვარე და ხიფათით სავსე სამყაროში პრეზიდენტზე დაკისრებული განსაკუთრებული მისია. ამგვარად, მეტაფორული ხატი არამარტო ემოციებზე ზემოქმედებს, არამედ ქმნის აუცილებელ განწყობებს და გავლენას ახდენს მოქალაქეების სამყაროს სურათზე.

თანამედროვე პოლიტიკური დისკურსი მდიდარია მეტაფორებით, იქნება ეს უზუალური, ინდივიდუალური-საავტორო თუ ნასესხები, რაც პასუხობს პოლიტიკური სივრცის განვითარების დინამიკას. ჩნობილია, რომ მეტაფორა მხოლოდ კონტექსტშია შესაძლებელი. ენობრივი მეტაფორის კონტექსტი-დეკოდერი გამოირჩევა საკმაოდ უხეში კონსტრუქციული გაფორმებით მაშინ, როდესაც მხატვრული მეტაფორის წაკითხვისათვის აუცილებელი კონტექსტუალური საზღვრები მკრთალია, გადარეცხილი და შეუძლიათ ვარირება თავის ფარგლებში, რაც მას ახასიათებს როგორც თავისუფალს (არუტიუნოვა 1990; თელია 1980, 1981). ვვარაუდობთ, რომ პოლიტიკური მეტაფორის კონტექსტი არის პოლიტიკური დისკურსი, რომლის საზღვრებსაც ადგენს ადგილი და კომუნიკაციური სიტუაცია. საპრეზიდენტო დისკურსი წარმოდგენილია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი მოდუსით. მეტაფორის აქცენტუაცია ზეპიმეტყველებაში ხორციელდება ინტონაციით, პაუზით, ტემპის შენელებით, რაც გაწაფულ ორატორს საშუალებას აძლევს, აუდიტორიის ყურადღება მიაპყროს აუცილებელ სემანტიკურ მოდიფიკაციებზე. ეს ამოცანა

<sup>41</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

რთულდება წერით მეტყველებაში. ამიტომ წერილობით მათი გადმოცემისას „პრეზიდენტების” მეტაფორები ყურადღებას იქცევს გრაფიკული სიგნალების (კურსივი, დამარცვლა, შრიფტი, ბრჭყალები) ან მარკერების, როგორიცაა «президент подчеркнул, отметил, сказал» და მისთ. საკმარისად ხშირი გამოყენებით.

ა. ნ. ბარანოვის აზრით, „პოლიტიკაში მეტაფორული აზროვნება ნიშანია კრიზისული აზროვნებისა რთულ, პრობლემურ სიტუაციაში, რომლის გადაჭრაც მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს ადამიანის კოგნიტიური სისტემისაგან ახალი ცოდნის ათვისებისა და გადამუშავებისათვის, რათა ააგოს მოქმედების მრავალი ვარიანტი და გააკეთოს სწორი არჩევანი” (АДД 1990, გვ. 17).

პოლიტიკოსთა მეტყველების დატვირთვამ მეტაფორული ხატებით და ამ მოვლენის მიმართ მკვლევართა ინტერესმა ხელი შეუწყო ლინგვისტიკის ახალი სფეროს – პოლიტიკური მეტაფოროლოგიის – ჩამოყალიბებას (ამის შესახებ იხ.: გ. გ. ბუდავი და ა. პ. ჩუდინოვი). ითვლება, რომ პოლიტიკურ მეტყველებაში უცვლელად არსებობს არქეტიკული მეტაფორები, რომლებიც პოლიტიკური გზავნილების ადრესატის დარწმუნების საშუალებას იძლევა ბუნების ციკლის, სინათლისა და სიბნელის, სიცხისა და სიცივის, ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის, ზღვაოსნობისა და ნავიგაციის ხატების გამოყენების საფუძველზე.

საილუსტრაციოდ ვიხილოთ ანალიზი კონცეპტუალური მეტაფორისა «путь»/”way” რეჟეტის (მ. ს. გორბაჩიოვი, ბ. ნ. ელცინი და ვ. ვ. პუტინი) და აშშ (რ. რეიგანი, ჯ. ბუში-უფროსი, ბ. კლინტონი და ჯ. ბუში-უმცროსი) პრეზიდენტების სიტყვებში, რომელიც ჩაატარა ი. პ. რიაბკოვამ (2011, გვ. 26-35).

ორივე ლინგვიკულტურისათვის უნივერსალური გამოდგა კონცეპტუალური მეტაფორული მოდელი «достижение цели – это путь» („მიზნის მიღწევა არის გზა”), რომელიც ობიექტივირდება სხვადასხვა გრამატიკული კონსტრუქციის დახმარებით: რეჟეტ ენაზე საპრეზიდენტო სიტყვებში დომინირებს კონსტრუქცია *путь* + არსებითი ხახელი ნათებათბით ბრუნვაში, ხოლო ინგლისურ ენაზე წარმოთქმულ ამერიკელ პრეზიდენტთა სიტყვებში – *way* + ინფინიტივი. რიგი კოგნიტიური ნიშნებისა სიტყვისათვის „გზა“ ობიექტივირებულია ორივე ენაზე წარმოთქმულ სიტყვებში, მაგ.: . *длинный* (долгий, огромный) *путь* – *long way*, *единственный путь* – *the only way*, *мирный путь* – *peaceful way*, *этот путь* – *this way*. განსხვავებები გამოვლინდა კოგნიტიურ დონეზე:

| რუსი პრეზიდენტების სიტყვებში   | ამერიკელი პრეზიდენტების სიტყვებში  |
|--|--|
| <p><u>გზა</u>    <u>არის</u>    <u>დასაწყისისა და</u><br/> <u>დასასრულის მქონე პროცესი (встать</u><br/> <u>на путь – идти по пути – пройти путь)</u><br/> <u>გზის ძიება, გზის განუხერებობა</u><br/> <u>(путь реформ, развития, построения</u><br/> <u>демократического общества, искать</u><br/> <u>путь, поиск путей, какой путь выбрать и</u><br/> <u>т. д.)</u></p> | <p><u>მრავალფეროვანი შეხამება</u><br/> <u>ზედსართავ სახელებთან (friendly way,</u><br/> <u>bipartisan way, limited way, the moral way)</u><br/> <u>გზის პოვნა ან გზის შევვლა (to find a</u><br/> <u>way, to change ways, look for ways)</u></p> |

ზმნური შეთანხმება, რომელიც გზას (путь/way) პროცესის სახით წარმოადგენს, ნაკლებად მნიშვნელოვანია ამერიკული საპრეზიდენტო მეტყველებისათვის რუსულისაგან განსხვავებით. ამავე დროს, ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში უფრო მრავალფეროვანია ზედსართავებთან შეხამება, ხშირია კოლოკაციები, რომელთა შესატყვისიც რუსულ საპრეზიდენტო მეტყველებაში არ მოიძებნება, მაგალითად: **friendly way, bipartisan way, limited way**. ამერიკული საპრეზიდენტო მეტყველებისათვის რუსულისაგან განსხვავებით არააქტუალურია დაბრკოლების მოტივი და გზის არჩევანი. მისთვის ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანია გზის ძიების მოტივი. ამერიკელ პრეზიდენტთა სიტყვებში გზის შეცვლა ზოგჯერ შეიძლება (**to change ways**), რუსეთის პრეზიდენტების სიტყვებში გზა, როგორც წესი, უცვლელია (**не свернуть с пути**). ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ჩვენი მონაცემებით, რუსულ პოლიტიკურ დისკურსში თვითონ პრეზიდენტიც შეიძლება ასოცირდებოდეს მეტაფორასთან **путь**: «Путин отныне – путь, сам по себе Путин, законченный и полноценный» (Л. Кафтан, Комсомольская правда, 01.03.2004).

არქეტიპული მეტაფორები ძალას იქრებენ უნივერსალური, დროის მიღმა არსებული არქეტიპებიდან და ემსახურებიან ადამიანებს შორის ურთიერთგაგებას და ქმნიან უნიკალურ პლაცარმს პოლიტიკური გავლენისათვის. ასე მაგალითად, წყლის არქეტიპული უნივერსალური ხატი გამოყენებულია ბარაკ ობამას მემუარებში “Dreams From My Father” (1995), ხადაცის პრეზიდენტის ცხოვრებას ადარებს სტიქიას, რომელიც შეიძლება სრულიად გმვიდი და მორაკრაკე ან მდელვარე და სახიფათო იყოს. მივადევნოთ თვალი:

*“as a long brown barge rolled through the gray waters toward<sup>42</sup> the sea”.* ხოლო, როდესაც პატარა ბიჭი იკითხავს: “*You know why sometimes the river runs that way and then sometimes it goes this way?*”, მომავალი პრეზიდენტი პასუხობს: *and I said it probably had to do with the tides.*” ჩვენს ანალიზში მოყვანილი მეტაფორა განიხილება იმ მეტაფორების რიცხვში, რომლებიც ზემოქმედებენ ემოციებზე და აღძრავენ საზოგადოებაში „აუცილებელ” ემოციურ განწყობას.

ასევე უნივერსალურად მივიჩნევთ საპრეზიდენტო დისკურსში კონცეპტუალური არქეტიპული ოპოზიციის «*Свои*» vs. «*Чужие*» („ჩვენები” და „სხვები”) რეალიზაციას. ჩვენები («свои») ისინი არიან, ვინც „სწორ” განწყობებს იზიარებს, ყველა დანარჩენი – „სხვები” («чужие») არიან. თანამედროვე პოლიტიკოსთა მენტალობაზე მსჯელობისას პ. ტურკოვა წერს: „ისინი ცხოვრობენ ოპოზიციაში „ჩვენიანი – უცხო”, სადაც უცხო, სხვა ყოველთვის ცუდია, ჩვენიანი კი – ყოველთვის კარგი” (Московские новости. 19.12.2012).

„მოწინააღმდეგე მხარეების არსებობის” ფაქტორის გავლენით დისკურსის ავტორი იძულებულია, აირჩიოს სამეტყველო განზრახვების ოპტიმალური რეალიზაციის ისეთი პლანი, რომლის გამოყენების შედეგადაც შესაძლებელი იქნება თანამოსაუბრის მნიშვნელობის სტატუსი მაქსიმალურად შეამციროს, ანუ დაამციროს პოლიტიკური მეტოქის პოზიცია და მაქსიმალურად გაზარდოს თავისი სტატუსის მნიშვნელობა, ანუ თავი აიმაღლოს. თვალი მივადევნოთ წინასაარჩევნო კამპანიაში თავისი მოწინააღმდეგე ჰ. კერის შესახებ ჯორჯ ბუში-უმცროსის გამონათქვამის მაგალითზე: “*He does not have much of an appetite for the mechanics of strategy*” (Washington Post, 13.10.2004). გაშლილი მეტაფორით ბუში ქმნის ოპონენტის («чужой»), ხატს, რომელსაც არ ძალუს სტრატეგიულად აზროვნება, რადგან “*He does not have much of an appetite*”. პოლიტიკური ოპონენტი „გალში არ დარჩა” და ელექტორატს შთააგონა განწყობა, რომ ჰ. ბუში-უმცროსი მშიშარა და უგუნურია: “*Maybe if George Bush had seen combat up close his hired-gun mouthpiece wouldn't be so flip<sup>43</sup>*” (Washington Post, 21.08.2004). „ჩვენები” («свои») ყოველთვის მართლები, დიდბუნებოვნები, გახსნილები არიან კონსტრუქციული დიალოგისათვის, როგორც, მაგალითად, პ. ობამას საინაუგურაციო სიტყვის ამ ფრაგმენტში: “... we will extend a hand if you are willing to

<sup>42</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. გ.

<sup>43</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. გ.

*unclench your fist*<sup>44</sup> – მზად ვართ ხელი გამოგიწოდოთ, თუ მზად ხართ, მუშტი გახსნათ. ეს უზუალური აგონალური მეტაფორა მოწოდებულია არამარტო შეინარჩუნოს ყურადღება, არამედ მიმართოს ის მთავარი აზრისკენ – პრეზიდენტი და მისი გუნდი გახსნილია საერთო მიზნისათვის, ანუ ის ემსახურება „აუცილებელი“ სოციალური განწყობების ფორმირების ამოცანას.

ვლ. პუტინმა კი, მაგალითად, ოპოზიციონერების შეფასებისას პირდაპირ ეთერში განაცხადა: «*Их от кормушки оттащили*<sup>45</sup>, они поиздержались, хочетесь вернуться и пополнить свои карманы. Но, я думаю, что если мы позволим им это сделать, они отдельными миллиардами уже не ограничатся, они всю Россию распродадут». ამ ფრაგმენტით მოქალაქეებს შთაგონებენ აზრს: ოპოზიციონერები არ ფიქრობენ ქვეყანაზე, მათ სამშობლოს ბედი კი არა, საკუთარი ჯიბე ადარდებოთ. ბაგა (კორმუშა) საქონლის საკვების ჭურჭელია. რუსულ ენობრივ ცნობიერებაში ეს ხატი მტკიცედ დამკვიდრდა შემოსავლიანი ადგილის მნიშვნელობით. ოპოზიციონერებისათვის ხელისუფლებაში ყოფნა შემოსავლიან ადგილზე ყოფნას ნიშნავს. კონტექსტში საუბარი იყო ბორის ნემცოვზე, ვლადიმირ რიუკოვზე და ვლადიმირ მილოვზე, რომლებმაც პრეზიდენტის ამ გამონათქვამის შემდეგ სარჩელი შეიტანეს ცილისწამების მიზეზით (საქმის ადგვრაზე მათ უარი ეთქვათ).

მეტაფორისა და მისი გამოყოფის მრავალფეროვანი ხერხები ტაქსტში უზრუნველყოფენ მის აზრობრივ და ემოციურ მთლიანობას, მაგალითად: “*There is not a Black America and a White America<sup>46</sup> and Latino America and Asian America; there's the United States of America.*” (*CNN Larry King Live. Interview with Barack Obama. October 19, 2006*). ეს პირობითად „ავტობიოგრაფიული“ მეტაფორა აპელირებს მილიონობით ამერიკელზე, რომელთა მეხსიერებაშიც ჩაწერილია რასობრივი დისკრიმინაციის ტკივილი და სიმწარე. ამიტომ, თავად პრეზიდენტი წარმოადგენს შთაგონებული ხატის ხორცშესხმას და თვალსაჩინოს ხდის მას.

მეტაფორა საერთო გამოცდილებიდან იღებს ინფორმაციის გადაცემის ოპტიმალურ საშუალებას: “*But my grandfather had larger dreams for his son. Through hard work and perseverance my father got a scholarship to study in a magical place, America<sup>47</sup>, that shone as a beacon of freedom and opportunity to so many who had come before.*” (*Barack*

<sup>44</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>45</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ

<sup>46</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>47</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

*Obama's Inspiring 2004 Democratic Convention Speech ); "In communities across the Midwest, it would have been another Great Depression<sup>48</sup>".*

თუ პოლიტიკურ მინიშნებებს საკმარისად საერთო საფუძველი აქვს აუდიტორიის თვალში, მაშინ პოლიტიკოსთა მოწოდება შეიძლება დამაჯერებელი გახდეს თითოეული ინდივიდის პოზიციის ჩამოყალიბების პროცესში, მაგალითად: «Из уголовного законодательства будут убраны всеrudimentы советского правового мышления, все зацепки<sup>49</sup>, которые позволяют делать из хозяйственного спора уголовное дело на одного из участников» (Вл. Путин. Речь на Форуме Россия-2012). ამ მორბიალური მეტაფორის პრაგმატული ფუნქციაა ადრესატების სამყაროს სურათზე ზეგავლენა: პრეზიდენტი აღიარებს საზოგადოებაში არსებულ „ქრონიკულ დაავადებას”, რომელიც საბჭოთა დროიდან მოდის. მაგრამ ის თვლის, რომ განკურნება შესაძლებელია. ამ აზრს ხაზს უსვამს ზმის «убирать – убрать» სახეობრივი ფორმა. კიდევ ერთი მაგალითი მეტაფორისა, რომელმაც უნდა იმოქმედოს სტერეოტიპებზე და, შესაბამისად, მოქალაქეთა სამყაროს სურათზე, აღებულია სახელმწიფო საბჭოზე წარმოთქმული პრეზიდენტი და. მედვედევის გამოსათხოვარი სიტყვიდან, რომელშიც ის საზოგადოებას არწმუნებს: «**Демократия более не является бранным словом, ее престиж восстановлен<sup>50</sup>, а перспективы в нашей стране гарантированы**» (24.04.2012).

მეტაფორის პრაგმატული პოტენციალი ძლიერდება სხვა მეტაფორებთან მისი კონვერგენციით, გამეორებებით, ანტიოეზით, ეპითეტებით, ემოციური ლექსიკით, სიტყვების თამაშით, ფაქტებითა და ციფრებით მანიპულირებით, ისტორიულ აგტორიტეტების დამოწმება და მისთ., მაგალითად: «**Народное единство для нас не только красивая метафора<sup>51</sup>. Это неоспоримая ценность, основа существования и развития нашего многонационального государства.**» (Дм. Медведев. Приветственная речь 6 ноября 2010). ჩვენს კლასიფიკაციაში მოცემული მეტაფორა შევიდა მეტაფორების ჯგუფში, რომლებიც გავლენას ახდენენ დირებულებებზე, სტერეოტიპებზე, ქცევის მოდელებზე და შეფასებაზე, ანუ აყალიბებენ სამყაროს სურათის „აუცილებელ“ გერსიას.

<sup>48</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>49</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>50</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>51</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

მეტაფორის ფსიქოლოგიური ფენომენი მდგომარეობს ემოციური და ინტელექტუალური სფეროების გააქტიურების უნარში. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი ჯორჯ ბუში-უმცროსის მეორე საინაუგურაციო სიტყვიდან (2005): “*By our efforts, we have lit a fire,*” წარმოთქვა ჯ. ბუშმა, “*a fire in the minds of men. It warms those who feel its power, it burns those who fight its progress, and one day this untamed fire of freedom will reach the darkest corner of the world*<sup>52</sup>.” ინტერტექსუალურად ამ ფრაზის მეტაფორული ხატები მომდინარეობს ფ. პ. დოსტოევსკის რომანიდან «*Бесы*» (“The Possessed”). როგორც პოლიტოლოგები აღნიშნავენ, ჯ. ბუში უფრო კონსერვატული პოლიტიკოსის მოდვაწეობაში ახალ – რევოლუციურ ეტაპზე: “Bush is routinely characterized as a conservative and castigated by political opponents as a reactionary. But in his second inaugural he revealed himself to be a revolutionary.” (Michael Barone. Revolutionary president. US News and Word Report. 1/23/05). სამყაროს სურათის აუცილებელი ვერსიის შექმნა ხორციელდება განწყობის შთაგონებით: პრეზიდენტი ახალი იდეებით იწყებს მოვალეობის შესრულებას, აღსავსეა ძალებით და ფლობს სიტუაციას მსოფლიოში, რომელიც შეიცვალა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ და პრეზიდენტი მზად არის ახალი გამოწვევებისათვის. ვნახოთ სამყაროს სურათის მეტაფორული ხატის მოდელირების მაგალითი ვლ. პუტინის დისკურსში: «*Глобальное противостояние отодвигало на периферию международных отношений и повестки дня крайне острые экономические и социальные вопросы. И как всякая война – «война холодная» оставила нам и «неразорвавшиеся снаряды»*<sup>53</sup>, образно выражаясь. Имею в виду идеологические стереотипы, двойные стандарты, иные шаблоны блокового мышления» (ვლ. პუტინის სიტყვა მიუნიკებში. 2007). პრეზიდენტის სიტყვის გზავნილის დეკოდირება ასე შეიძლება: რუსეთი სსრკ არ არის, ეს სხვა ქვეყანაა, რომელიც მზად არის უველა სფეროში თანამშრომლობისათვის. ამიტომ, უველა «*неразорвавшиеся снаряды» холодной войны* (და არსებული ანტირკსული სტერეოტიპები) წარსულში უნდა დარჩეს. ეს მეტაფორა ჩვენ მივაკუთვნეთ მეტაფორების პირობით ჯგუფს, რომელიც გავლენას ახდენს ფასულობებზე, სტერეოტიპებზე და შევასებების მოდელებზე, ანუ ზემოქმედებენ სამყაროს სურათის „აუცილებელი“ ვერსიის შექმნაზე.

<sup>52</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>53</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

პოლიტიკური დისკურსის მკვლევარების აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკოსის მიერ გარკვეული ცნებითი სფეროს არჩევა სიტუაციის საქუთარი ხედვის აღსაწერად. ერთი და იგივე სიტუაცია შეიძლება წარმოადგინონ როგორც სამხედრო კონფლიქტი, რომელშიც მტერი უნდა განადგურდეს, რადაც უნდა დაჯდეს; ან როგორც სატრანსპორტო საშუალების დაზიანება, რომელიც შეიძლება მგზავრების ერთსულოვანი შრომის შედეგად გამოსწორდეს. პოლიტიკოსების მეტაფორები იძლევა სიტუაციის გააზრების ხერხს და მსმენელს უბიძგებს ამ სიტუაციის გაგებისა და შეფასების გარკვეული სცენარის არჩევისაკენ. თ. რორერმა (T. Rohrer 1995) [197] უჩვენა, რომ 1991წ ერაყის კრიზისის დროს ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში გამოიყენებოდა კრიზისის გააზრებისა და მისი მოგვარების გზების სხვადასხვა მოდელები. თუ კ. ბუში-უფროსი აპელირებდა მეორე მსოფლიო ომის მოვლენებზე, მისი მოწინააღმდეგები (დემოკრატი-სენატორები) ამჯობინებდნენ ვიეტნამის ომის გახსენებას.

მეტაფორის ადრესატი მანიფესტირებულ ნიშანს, შეფასებით და კონტაციურ კომპონენტს აღიქვამს გაშუალებითებულად მასში გამოწვეული გარკვეული ასოციაციების გზით. ამიტომ საპრეზიდენტო დისკურსში მეტაფორა აფიქსირებს სინამდვილის ობიექტის ღირებულებით მნიშვნელოვნებას, რომლისკენაც აუცილებელია დისკურსის ადრესატის ყურადღების მიმართვა.

მაგალითად მოგვავს მეტაფორა ვლ. პუტინის საპრეზიდენტო დისკურსიდან, რომელმაც ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თავის თავს უწოდა «*раб на галерах*», (მონა გალერაზე), აშკარაა იმის მისანიშნებლად, რომ პრეზიდენტია ფიზიკურად არის მძიმე: «*Что же касается моего личного восприятия, мне не стыдно перед гражданами, которые голосовали за меня. Все эти восемь лет я пахал, как раб на галерах*<sup>54</sup>, с полной отдачей сил» (2008წ 14 თებერვლის პრესკონფერენცია კრემლში) ფრაზის აზრია: პრეზიდენტი დაკავებულია მძიმე, დამქანცველი სამუშაოთი. ეფექტი მიიღწევა ერთ ფრაზაში არსებითი სახელების «*раб*» და «*галера*» (ნიჩბიანი საომარი ხომალდი, რომელსაც ასევე უწოდებდნენ კათორგა)და ზმის «*пахать*» (არს. სახ-დან *pахота*), რომელიც პირდაპირი მნიშვნელობაა «Взрыхлять, переворачивая пласт земли, сохой, плугом и другими специальными орудиями для посева», ხოლო სასაუბრო ენაში გამოიყენება

<sup>54</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

მნიშვნელობით «Интенсивно, много работать» (Большой толковый словарь русского языка. С. А. Кузнецов. 1998). „სპეციალიზებულ ლექსიკონებში ზმნას «пахать» აქვს ფუნქციონირების გარკვეული სფერო და ახალგაზრდების წრეში უბრალოდ აღნიშნავს „მუშაობას, მრომას”, ხოლო დამნაშავეთა წრეში – „კარგად, კეთილსინდისიერად მრომას [198]. საყურადღებოა, რომ ამ ფრაზაში შეიმჩნევა თანამედროვე რუსული დისკურსის ტენდენცია – ელიტის ენაში ე. წ. « феня» შედწევა: „რეალურ ცხოვრებაში არც აუცილებელია და არც ყოველთვის გამოიყენება საზოგადოების ეგრეთწოდებულ მაღალ ფენაში მხოლოდ ლიტერატურული სტანდარტით, ხოლო დაბალ ფენებში – სოციალური ან ადგილობრივი დიალექტით, ანუ შეზღუდული კოდით სარგებლობა” (იქმ). ვლ. პუტინის ფრაზა თავისი არსით ოქსიუმორონია: ხნავებ მიწაზე გალურები კი წყალში გადაადგილდება, შესაბამისად, ნიჩებს წყალში უხვამებ. ამ ფრაზას ფართოდ განიხილავდნენ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ბლოგერები პირველ რიგში იმიტომ, რომ მასობრივ ცნობიერებაში პრეზიდენტის შრომა სულაც არ ასოცირდება მძიმე, დამქანცველ შრომასთან. დამახასიათებელია, რომ ეს ასოციაცია უნივერსალურია და არ არის სპეციფიკური რუსული მენტალობისათვის. უფრო მგრიც, გაირკვა, რომ მოცემულ ასოციაციას მეცნიერული დასაბუთება აქვს. საქმიანი ინტერნეტ-გამოცემის Slon.ru უკრნალისტები დაინტერესდნენ, თუ რას ამბობს მეცნიერება პრეზიდენტის შრომის სიმძიმის შესახებ, და გაარკვიეს: ილინოისის უნივერსიტეტში ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ ამერიკელი პრეზიდენტები საშუალო ამერიკელებზე დიდ ხანს ცოცხლობენ. ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა The New York Times-ში: “Despite a common assumption that life in the Oval Office prematurely ages its occupants and speculation that it may even shorten life spans, a new statistical analysis has found that most presidents have actually lived longer than other American men their age. And all living presidents have either already surpassed the average expected life span or are likely to do so.../ Among American presidents, some have been exceptionally long-lived. Four survived into their nineties. Gerald R. Ford was 93.5 when he died; Reagan 93.3; John Adams 90.7; and Herbert Hoover, 90.2. [199] უკრნალისტები Slon-დან წერებ: «Возможно, «работа на галерах» изнашивает, но зато у них есть доступ к самым передовым видам медицинской помощи».

გამოცდილი და პოლიტიკურ ასპარეზზე აღიარებული სტატუსის მქონე პოლიტიკოსი ახდენს სამეტყველო შთაგონების პროგნოზირებას სხვის

ცნობიერების მოსამზადებელი დამუშავებით, რათა საგნის მიმართ ახალი დამოკიდებულება ჰარმონიულად შეერწყას დამკვიდრებულ გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ წარმოდგენებს. ვვარაუდობთ, რომ ვლ. პუტინის აქ მოყვანილი ფრაზით საზოგადოებრივ ცნობიერებაში გამოწვეული რეზონანსი მოტივირებულია დამკვიდრებულ წარმოდგენებთან დისონანსით. გაგების პროცესში რეციპიენტი ადგენს გამონათქვამში ჩადებულ გარკვეულ აზრობრივ კავშირებს, რომლებიც მთლიანობაში შეადგენენ გამონათქვამის არსეს. გააზრების შედეგად რეციპიენტმა შეიძლება გაიგოს ან ვერ გაიგოს გამონათქვამის არსი (ამ უკანასკნელს მოსდევს კომუნიკაციური მარცხი, ანუ პარტნიორებს შორის პრაგმატული გაუგებრობა კომუნიკაციური ურთიერთქმედების ტიპობრივი მიზნის რეალიზაციის პროცესში). ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, პრეზიდენტ პუტინის ფრაზა ვერ ჩაითვლება კომუნიკაციურ მარცხად, რომელსაც განზოგადებულად განსაზღვრავენ როგორც შეფერხებას ურთიერთობაში, რომლის დროსაც გარკვეული სამეტყველო ნაწარმოებები თავიანთ დანიშნულებას ვერ ასრულებენ. პრეზიდენტის ფრაზა «*пахал, как раб на галерах*», უეჭველია, არის „შეფერხება ურთიერთობაში”, მაგრამ ხატი დაამახსოვრდათ, მასზე მსჯელობდნენ, მას იმეორებდნენ და ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ მან თავისი დანიშნულება შეასრულა.

ნათქვამის ლოგიკის მიხედვით, მივმართოთ ჯ. ლაკოფის (G. Lakoff) “Metaphor and war: The metaphor system used to justify War in the Gulf” (1991), რომელშიც ავტორი წერს იმის შესახებ, რომ მეტაფორული მოდელი შეიძლება იყოს ეფექტური საშუალება სოციალური ცნობიერების სამართვად. განიხილავს რა ერაყსა და კუვნიებს შორის საბრძოლო მოქმედებებში აშშ-ს ჩარევის გამართლების მეტაფორულ საშუალებებს, ჯ. ლაკოფი აღნიშნავს ისეთი ხერხების დემაგოგიურ ხასიათს, როგორიცაა პერსონიფიკაცია (სადამ ჰუსკინის ქმედების ერაყის ქმედებად აღნიშვნა, ქუვეითის შეიხის დახმარება როგორც ქუვეითის ხსნა), მეტაფორული სქემის «коварный злодей – невинная жертва – благородный спаситель» („ვერაგი მტარვალი – უდანაშაულო მსხვერპლი – კეთილშობილი მხსნელი“) გამოყენება. მაგრამ ქუვეითის მონარქი, ჯ. ლაკოფის მტკიცებით, ნაკლებად წააგავს უდანაშაულო მსხვერპლს, ხოლო აშშ მთავრობას მხოლოდ კეთილშობილი მიზნები არ ამოძრავებს, ერაყის პრეზიდენტი კი სულაც არ არის ერთმნიშვნელოვანი პიროვნება. ამ მაგალითის მიხედვით შესაძლებელია, თვალი მივადევნოთ საზოგადოების ცნობიერებაზე მეტაფორული

ხატების ზემოქმედების ძალას. მიუხედავად იმისა რომ, «Саддам – это Гитлер» („სადამი პიტლერია“) მეტაფორაზე დამყარებულმა კ. ბუში-უფროსის პროპაგანდისტულმა იღეთმა ომის დროს და მისი დასრულებისთანავე არნახული პოპულარობა მოუზანა პრეზიდენტს (დაახლოებით 90%), როგორც ანალიტიკოსები თვლიან, სწორედ ამ მეტაფორულმა ხატმა მოამზადა ბუშის დამარცხების ნიადაგი 1992წ არჩევნებში. ავტორები წიგნისა „AGE OF PROPAGANDA The Everyday Use and Abuse of Persuasion“ (2001) Anthony R. Pratkanis და Elliot Aronson წერებ: «...Когда американский народ очнулся от эйфории после того, как война пришла к быстрому и (с точки зрения американских потерь в живой силе) относительно бескровному концу, очень многие американцы начали задаваться вопросом: почему, достигнув полного военного превосходства, мы разрешили Саддаму оставаться у власти... Можно ли представить себе, чтобы президент Соединенных Штатов, в 1945 году одержавший сокрушительную победу над Адольфом Гитлером, позволил Гитлеру продолжать управлять немецким народом? Можно ли вообразить Союзнические силы, останавливающиеся где-то на территории Германии и затем поворачивающие обратно? Совершенно невозможно. Если бы Гитлер выжил, его, разумеется, судили бы, вынесли ему приговор и казнили как военного преступника». „მაშ, რატომ მისვა ჯორჯ ბუშმა სადამ ჰუსეინს ერაყში თავისუფალი მოქმედების ნება, კითხულობებ ავტორები, «Это смущало и вызывало замешательство. По данным опроса, проведенного журналом Newsweek 1 мая 1991 года, 55% опрошенных не считали войну в Персидском заливе победой, потому что Саддам все еще был у власти. Популярность президента Буша начала блекнуть. По иронии судьбы, применение Бушем метафоры «Саддам – это Гитлер» было настолько успешным, что способствовало его собственному закату как слабого лидера, не сумевшего закончить начатую работу, образ, – побудивший других членов партии подвергнуть сомнению его лидерство на первичных президентских выборах и подготовивший атмосферу для окончательного поражения Буша на выборах 1992 года. Так обычно и случается с использованием метафор и аналогий для предубеждения; они нередко начинают жить собственной жизнью, улавливая создателя в паутину его собственного творения» [200].

კ. ლაკოფისა და ბ. უონსონის თეორიის თანახმად, „ჩვენი კოცეპტუალური სისტემა გარკვეულწილად მეტაფორულია“, და სწორედ მეტაფორა ახდენს ადამიანის აღქმის, აზროვნების და მოქმედების სტრუქტურირებას. ავთარებს რა ა. ნ. ბარანოვის იდეებს, ი. ბ. კობოზევა

თვლის, რომ პოლიტიკურ დისკურსში ძირითადია მეტაფორის ეპრისტიკული და არგუმენტაციული ფუნქციები, რაც რელევანტურია საპრეზიდენტო დისკურსისთვისაც, რომელიც შედის ამ სუბკატეგორიულ ინსტიტუციურ კლასში. აღნიშნავენ, რომ მეტაფორა ასრულებს „სადაცო პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებული განსაკუთრებით სახიფათო პოლიტიკური გამონათქვამების შერბილების ინტერაქციულ ფუნქციას, ამცირებს მთქმელის პასუხისმგებლობას ადრესატის მხრიდან მისი სიტყვების შესაძლო ბუკვალურ ინტერპრეტაციაზე”, რაც მას აახლოვებს პერიფრაზულ ერთეულებთან (მეორეული ნომინაციის ნაირსახეობის ფუნქციონირება საპრეზიდენტო დისკურსში ცალკე პარაგრაფში განიხილება).

მეტაფორა «создает у партнеров по коммуникации общую платформу, опираясь на которую, субъект речи может более успешно вносить в сознание адресата неообщепринятые мнения» (Кобозева 2001, გვ. 134 -135). ვიხილოთ გამდილი მეტაფორა პრეზიდენტ ჯ. ბუშის დისკურსიდან: “*Through much of the last century, America's faith in freedom and democracy was a rock in a raging sea. Now it is a seed upon the wind, taking root in many nations*<sup>55</sup>”. ის აღწერს ურყევ ამერიკულ ლირებულებებს – თავისუფლებისა და დემოკრატიის რწმენას. მისი ინტერპრეტირება შეიძლება როგორც შთაგონება ერისა და მსოფლიოსათვის: ეს ლირებულებები აუცილებელია დაინერგოს სხვა ქვეყნებში (*in many nations*). მეტაფორის აქ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია შეიძლება გამყარდეს პოლიტოლოგის სიტყვებით: “There is no concession in this to the complaints of his critics, no defensiveness about the course of events, no reference to the counsels of sophisticated nuance. He set out a breathtakingly ambitious goal: to bring democracy to the entire world”. უფრო მეტიც, აშშ ისტორიაში “Bush is not the first president to liken liberty to fire.” (Michael Barone. Revolutionary president. US News and Word Report. 1/23/05).

იმავე თანრიგში შეიძლება ინტერპრეტირდეს ვა. პუტინის ერთ-ერთი „ხმამაღალი“ განცხადებიდან იდიომად ქცეული მეტაფორა **«мочить в сортире»**. სიტყვა-სიტყვით ფრაზა ასე ქდერდა: «*Российские самолеты наносят и будут наносить удары в Чечне исключительно по базам террористов. Мы будем преследовать террористов всюду. Если в туалете поймаем, то и в сортире их замочим*<sup>56</sup>» (Пресс-конференция в Астане. 24.09.1999). როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, აქ შეინიშნება

<sup>55</sup> ხაზგახმა ჩვენია, თ. მ.

<sup>56</sup> ხაზგახმა ჩვენია, თ. მ.

თანამედროვე რუსული პოლიტიკური დისკურსის ტენდენცია – სტილისტიკური დაკნინება ( ორი ელგმენტი არგოს ლექსიკიდან: *мочить* – *убиватъ*; *сортir* – *отхожее место, туалет, уборная*). ადრესატს შთაგონებებ, რომ პრეზიდენტს საკმარისი ძალა აქვს ბანდიტებთან ანგარიშის გასასწორებლად, მან იცის როგორ მოექცეს მათ და როგორ იმოქმედოს. მეტაფორა ჩეჩენი ტერორისტების შესახებ გამონათქვამიდან მოთხოვნადი აღმოჩნდა, ის „გადავიდა“ ენაში და აქტიურად გამოიყენება მასმედიასა და ინტერნეტში მნიშვნელობით «внезапно застигать и беспощадно расправляться с кем-либо где бы то ни было». შესაბამისად, „გზაგნილის“ ავტორის იდეამ მიზანს მიაღწია: მის აზრს იმეორებენ. თანამედროვე რუსულ საპრეზიდენტო დისკურსში სტილისტურად დაკნინებული ლექსიკის „შეჭრის“ მაგალითია ფრაგმენტი დდ. მედვედევის მიმართვიდან ფედერალურ ყრილობას, რომელშიც საუბარია სამართალდამცავი ორგანოებისა და ჩინოვნიკების მხრიდან ბიზნესზე ზეწოლის შესახებ: «Бюрократия периодически **кошмарит**<sup>57</sup> бизнес» (05.11.2008). კრიმინალურ ლექსიკაში ზმანი **кошмарить** ნიშნავს „დაშინებას“. ამ კონტექსტში საავტორო მეტაფორის ფუნქციაა ადრესატებს შთაგონოს და დაამახსოვროს: პრეზიდენტმა იცის, რომ ქვეყანაში ბიუროკრატიული სტრუქტურები ისევე ექცევიან ბიზნესმენებს, როგორც კრიმინალური სტრუქტურები.

სირთულითა და აბსტრაქციის მაღალი ხარისხით გამორჩეული პოლიტიკური სფეროს მეტაფორული მოდელირებისას ადამიანი ხშირად იყენებს აბსტრაქტული ადრესატისათვის კარგად ნაცნობ უფრო უბრალო და კონკრეტულ ხატებს. ამ ფაქტორის მნიშვნელობა დაკავშირებულია საპრეზიდენტო დისკურსის პრაგმატულ განწყობასთან – ადრესატების მაქსიმალურ რაოდენობას მიაწვდინოს აუცილებელი იდეა, გახადოს ის მკაფიო, დასამახსოვრებელი, მაგრამ პირველ რიგში, გასაგები აბსტრაქტული საშუალო სტატისტიკური ამომრჩევლისათვის. მაგალითად: «Я всегда говорил, что не отступлю от Конституции ни на шаг.<sup>58</sup>» (Б. Н. Ельцин 31. 12 1999. Новогоднее обращение). დემოკრატიული იდეალებისა და მმართველობის კონსტიტუციური პრინციპებისადმი პრეზიდენტის ერთგულების შთაგონება ხდება მარტივი და გასაგები მეტაფორით, რომელიც მომდინარეობს ცნობიერების უნივერსალური არქეტიპებიდან. შევადაროთ იმავე რიგის მეტაფორულ ხატს ამერიკული

<sup>57</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>58</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

საპრეზიდენტო დისკურსიდან: “But they sense, deep in their bones, that with just a slight change in priorities, we can make sure that every child in America has a decent shot at life, and that the doors of opportunity remain open to all<sup>59</sup>. ”(Barack Obama's Inspiring 2004 Democratic Convention Speech).

დია კარის ხატი აღწევს ცნების **opportunity** კონცეპტუალიზებულ ზონაში, რომლის მნიშვნელობებია “1: a favorable juncture of circumstances <the halt provided an opportunity for rest and refreshment> 2: a good chance for advancement or progress” (Merriam-Webster), და მარტივი და ადვილად მისახვედრი ხატის საშუალებით მასებთან მიაქვს ამერიკული ერისათვის არქეტიკული იდეა ყოველი ადამიანისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა. ხოლო ზმნამ **remain** კონტექსტში ხაზი უნდა გაუსვას, რომ ეს დირებულებები ურყავია.

განვიხილოთ ამ ჯგუფის მეტაფორების კიდევ რამდენიმე მაგალითი: «Когда речь зашла о стартовавшей избирательной кампании, премьер заявил, что готов к максимально **открытым и прозрачным выборам**<sup>60</sup>.» (Вл. Путин. Встреча Президента России с представителями СМИ в Ново-Огарево. 18 января 2012); «Не может быть так, что Правительство работает само по себе, а **обещания, данные стране, сами по себе**<sup>61</sup>.» (Вл. Путин Встреча Президента России с членами Правительства. 27.12.2012) [201]; «Я бы хотел, чтобы правительство в Москве, региональные власти и федеральные органы власти в территориях РФ, как **швейцарские часы, молотили**<sup>62</sup>, не переставая, вплоть до выборов и сразу после выборов, в период между мартом и маев 2008 года» (Встреча В. В. Путина с участниками Международного дискуссионного клуба Валдай. Сочи, сентябрь 2007).

ჰევჩერდეთ ბოლო მაგალითზე, რომელშიც მეტაფორის ტრანსფერია სემები: «точность», «надежность», რომლებიც კონცეპტუალიზებული სფეროდან «часы – это механизм» გადადიან სფეროში «человек» და ქმნიან ზონას «человек как механизм» (ე. წ. „მექანიკური მეტაფორა). მასობრივ ცნობიერებაში არსებობს დამაკიდრებული ხატი – შეეიცარული საათები მუშაობს ზუსტად და საიმედოდ. და სწორედ ასეთ მუშაობას ელის პრეზიდენტი თავისი ხელჭეითებისაგან. მაგრამ პუტინთან საათი კი არ მუშაობს, არამედ ვქვევს

<sup>59</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. გ.

<sup>60</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. გ.

<sup>61</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. გ.

<sup>62</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. გ.

(**молотили**). მივმართოთ ზენური ლექსემის დეფინიციურ ანალიზს: «1. (св. смолотить и обмолотить). (что чем). Выколачивать, выбивать зёरна из колосьев, метёлок и др. 2. по чему и во что чем. Разг. Ударять, колотить. 3. (что, по кому-, чему). Подвергать сильному обстрелу, вести сосредоточенный и длительный обстрел 4. (что). Разг.-сниж. Говорить без умолку, болтать. *M. языком без остановки. M. всякую чушь.*» (*Большой толковый словарь русского языка С. А. Кузнецова*). რას უნდა აკეთებდეს «правительство в Москве, региональные власти и федеральные органы власти в территориях РФ» – «выколачивать, выбивать», «вести сосредоточенный и длительный обстрел» თუ «говорить без умолку»? მივმართოთ ვლ. დალის განმარტებით ლექსიკონს: «молотнуть, молачивать что, бить зря, колотить плашмя, с плеча, с маxу; выбивать зерно из колоса.» იქნებ, ზუსტად, მკაფიოდ უნდა იმუშაონ ისე, რომ შეუსვენებლივ «выбивать зерно из колоса» ანუ იღებდნენ შედეგს. რას შთააგონებს პრეზიდენტი? ვვარაუდობთ, რომ ვლ. პუტინის პოლიტიკური დისკურსის „საფირმო“ სტილი (თავდაჯერებულობა, კონკრეტულობა, ხატოვანება და სამუტყველო აგრესია, კონფრონტაციული სტრატეგიების გამოყენება) ამომრჩეველთა და მოქალაქეებისათვის გაგზავნილი იმპულსის რეკონსტრუქციის საშუალებას გვაძლევს: ასეთ პრეზიდენტან ერთად ქვეყანაში ყველაფერი კონტროლდება. შესაბამისად, მოცემული მეტაფორა მიეკუთვნება მეტაფორათა ჯგუფს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ღირებულებებზე, სტერეოტიპებზე, ქცევისა და შეფასების მოდელებზე ანუ ზემოქმედებენ სამყაროს სურათის „აუცილებელი“ ვერსიის შექმნაზე.

იმავე იმპულსს და კვლავ „მექანიკური მეტაფორის“ მეშვეობით საკუთარ ხალხს უგზავნის ობამა. ბუშის პრეზიდენტობის პერიოდიდან დარჩენილ პრობლემებზე საუბრისას მან წარმოთქვა: “...we have a chance to bring the country together to tackle problems that George Bush made far worse<sup>63</sup> and that festered long before George Bush took office» (Yepsen: Obama's Superb Speech Could Catapult His Bid, ABC News, November 12, 2007). აქ ყვრადღებას იქცევს ზნა **to tackle**, რომლის მნიშვნელობაცა არის „ენერგიულად ხელის მოკიდება; ბრძოლა, შებმა“. კონცეპტუალურად ის დაკავშირებულია არსებით სახელთან **tackle**, რომლის ცნებით ველზი შედის აზრი „ხელსაწყო, მოწყობილობა”: “a set of the equipment used in a particular activity” (Merriam-Webster). ამ მეტაფორის დეკოდირება შეიძლება

<sup>63</sup> ხაზასმა ჩვენია, თ. მ.

მნიშვნელობით „ერთად გულმოდგინედ ბრძოლა პრობლემებთან, რომელიც პრეზიდენტ ბუშისგან დარჩა”, მაგრამ მასში ასევე არის აზრი – შეკეთდეს მექანიზმი (ქვეყანა და მისი მდგომარეობა) ის, რაც ბუშმა დააზიანა. ინტერპრეტაციისას ჩვენ ამოვედით იმ ფაქტიდან, ზოგჯერ ადრესატმა შეიძლება ვერც შეამჩნიოს ტექსტში მეტაფორის არსებობა, რაც მის ემოციურ-ნებელობით სფეროზე ზემოქმედებას უფრო ეფექტურს ხდის (Празян 2009, გვ. 132-137). ამასთან ერთად, ხაზგასმულია, რომ პოლიტიკურ ტექსტებში მეტაფორის ესთეტიკური ფუნქცია არის გვერდითი მოვლენა (იხ.: კიბოზევა 2001, გვ. 136). მაგალითად: “*The journey isn't easy. There are impediments, and there are places (crossroads) where a policies or a political decision has to be made about which direction to go in and whether to keep traveling together*<sup>64</sup>.” (B. Obama. *The New York Times*. 19/12/2012).

გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს პრეზიდენტმა ობამამ წარმოთქვა: “Right now, the most important task for us is to stabilize the patient<sup>65</sup>. The economy is badly damaged? It is very sick. So we have to take whatever steps are required to make sure that it is stabilized.” (Obama, Lou Dobbs interview, CNN, January 5, 2009). ს ეგრეთ წოდებული „მორბიალური მეტაფორაა”. მოვიყვანოთ მორბიალური მეტაფორის კიდევ რამდენიმე მაგალითი ბ. ობამას დისკურსში: “**Toxic assets that are clogging the financial system. The heart of this financial crisis**<sup>66</sup>;” ... crisis as a cancer, but also as a blockage that is clogging the arteries for credit flow [202]; ...but I also want to say again a healthy economy<sup>67</sup> with low taxes would not raising anyone's taxes...” (The First McCain-Obama Presidential Debate). მოყვანილ კონტექსტებში მორბიალური მეტაფორის ფუნქციაა, შთააგონოს აუდიტორიას: დიახ, ეკონომიკა ავადაა (**patient, is very sick**), ხოლო კრიზისი ისეთივე ვერაგია, როგორც **cancer** (კიბო – პრაქტიკულად უკურნებელი სენი), მაგრამ პრეზიდენტმა იცის ეს და მოარჩენს ამ დაავადებას. აღნიშნავთ, რომ ჩვენი დაკვირვებით, ბ. ობამას დისკურსში მსოფლიო და აშშ ეკონომიკა საკმაოდ ხშირად პერსონიფიცირდება ცოცხალი ორგანიზმების ტერმინებით. ის ემსგავსება არა მხოლოდ დაავადებას ან პაციენტს, რომელსაც პრეზიდენტი განკურნავს, რადგან რეცეპტი იცის. შერჩეულ კონტექსტებში ეკონომიკა იგივდება ცოცხალ არსებასთან, რომელსაც შეუძლია გაზრდა, დაცემა, ფეხზე წამოდგომა, მაგალითად: “And over time, that, I

<sup>64</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>65</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>66</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>67</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

*think, is going to be a better recipe for economic growth<sup>68</sup>*” (*McCain-Obama debate transcript, Sept. 26, 2008. Los Angeles Times*). კიდევ ერთი მაგალითი: “I have to say that ever since I took office, throughout the campaign, and over the last couple of months, my preference would have been to solve all these problems in the context of a larger agreement, a bigger deal, a grand bargain – whatever you want to call it – that solves our deficit problems in a balanced and responsible way, that doesn't just deal with the taxes but deals with the spending in a balanced way so that we can put all this behind us and just focusing on growing our economy” (*Remarks by the President on Fiscal Cliff Negotiations. December 31, 2012*).

ფრაგმენტი მოყვანილია გაფართოებულ კონტექსტუალურ ჩარჩოში აკუმულაციის ოიტორიკული ხერხის მოქმედების სადემონსტრაციოდ, რომელიც მდგომარეობს სიტყვა-ხატების თავმოყრაში მოქმედების, ნიშან-თვისებების გადასაცემად, რის შედეგადაც იქმნება ავტორისათვის აუცილებელი ერთიანი წარმოდგენა მოდელირებულ მეტაფორულ ხატზე.

როდესაც იწყება საუბარი მსოფლიო ეკონომიკაზე, „ავადმყოფობის განვითარების” და, შესაბამისად, მოდელირებული სამყაროს სურათის საპირისპირო ვერსიას აგებს თავის სიტყვაში ვლ. პუტინი. უცილებელი ეფექტის მისაღწევად ის იყენებს არა მორბიალურ, არამედ ორიენტაციულ მეტაფორას: «Долговые неурядицы еврозоны и её **сползание в рецессию** – лишь верхушка айсберга из нерешиенных структурных проблем всей мировой экономики» (*Выступление на совещании послов и постоянных представителей России. 9.07.2012*). ბინარმაში **сползание в рецессию** ვვრთნობაში სიტუაციის პეიორატიული შეფასების შთაგონებისათვის გამოყენებულია არსებითი სახელი, რომელიც არის ზმნით «сползать» გამოხატული მოქმედების სახელი ანუ ორიენტირებულია აზრის „მოძრაობა ქვევით” («движение вниз») გამოსახატად. მითითებულ ზმნას რუსულ ენაში აქვს ლექსიკონებით დაფიქსირებული გადატანითი (მეტაფორული) მნიშვნელობა: «З. перен. Уклонившись от своего пути (политического, нравственного и т.п.), оказаться на пути неправильном, предосудительном (неол. неод.)». (უშაკოვის განმარტებითი ლექსიკონი). არსებით სახელში **сползание** ლექსიკონები არ აფიქსირებენ მითითებულ მნიშვნელობას, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ის არსებობს კონტაციურ ველში. მოცემულ მაგალითს განვიხილავთ როგორც ილუსტრაციას 6. თ. პრაზიანის ზემოთ ციტირებული აზრისა იმის შესახებ, რომ

<sup>68</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. 3.

ადრესატმა შეიძლება ვერ შეამჩნიოს ტექსტში მეტაფორის არსებობა, რაც მის ზემოქმედებას ემოციურ-ნებელობით სფეროზე უფრო ეფექტურს ხდის. შესაბამისად, *сползание в рецессию* მხოლოდ მეტყველების ფიგურა კი არ არის, არამედ ენობრივი საშუალებაც, რომელიც ემსახურება აუცილებელი კომუნიკაციური მიზნის მიღწევის ეფექტურობას. შემდეგ, კონტაქტში მოდის უზუალური ორიენტაციული მეტაფორა *верхушка айсберга*. რაც ჩანს (*верхушка*), მხოლოდ მცირე ნაწილია „მომავალი საფრთხის”, მთავარი პრობლემები, მოდელირებული ვერსიის თანახმად, პრობლემების ზღვის სიღრმეშია. აქაც, ბ. ობამას დისკურსის ზემოთ განხილული ფრაგმენტის მსგავსად, გამოყენებულია აკუმულაციის რიტორიკული ხერხი ანუ ხატების თავმოყრა. პრაგმატულად, მეტაფორა ქმნის სამყაროს სურათის „აუცილებელ” ვერსიას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც პრეზიდენტმა, ბუნებრივია, იცის როგორ გადაჭრას პრობლემა, ხოლო მასებში გაგზავნილი იმპულსის ეფექტურობა იზრდება დისკურსში „მექანიკური მეტაფორის” *турбулентность мировой экономики* ჩართვით: «Построение единого рынка от Атлантики до Тихого океана объёмом в триллионы евро – и сама жизнь, я хочу это подчеркнуть, особенно **в условиях турбулентности мировой экономики, требует движений**<sup>69</sup> именно по этому пути» (Выступление на совещании послов и постоянных представителей России. 9.07.2012).

მეტაფორის ზემოქმედება აუცილებელი პოლიტიკური შეხედულებების ფორმირებაზე, რომლებმაც გავლენა უნდა იქონიოს საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური სამყაროს სურათის გარდაქმნაზე, შეიძლება ვინილოთ შემდეგ მაგალითებში: ”... the United States and Turkey can send a powerful message<sup>70</sup> to the world through their friendship”(B. Obama. Ankara, Turkey .April,6,2009); ”...and that will help break the cycle and get our economy moving. ... My bottom line is to make sure that we are saving or creating 4 million jobs, we are making sure that the financial system is working again<sup>71</sup>...”(B. Obama. Press Conference by the President. February 10, 2009).

ამგვარად, კონტრასტული ანალიზის დროს საპრეზიდენტო დისკურსში უნივერსალურად შეიძლება ჩაითვალოს ის მეტაფორები, რომლებიც ადრესატებს უგზავნის იმპულსს – პრეზიდენტმა იცის, რა და როგორ უნდა გაკეთდეს ქვეყანაში და როგორ უნდა გადაიჭრას საერთაშორისო პრობლემები.

<sup>69</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>70</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

<sup>71</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

უნივერსალურად შეიძლება ჩაითვალოს რუსული და ამერიკული საპრეზიდენტო დისკურსში ანალიზის შედეგად გამოვლენილი ენობრივი მეტაფორის რაოდენობრივი სიჭარბე ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორასთან შედარებით. დადგინდა, რომ რუსულ და ამერიკულ საპრეზიდენტო დისკურსში მეტაფორა ასახავს ორივე ლინგვოპულტურისათვის უნივერსალურ საბაზისო მეტაფორულ ხატებს, პირველ რიგში, ეს ეხება ადამიანის ცნობიერებისათვის არქეტიპული ოპოზიციის „ჩვენები – სხვები“ ვერბალიზაციას: ხშირია მოდელზე „ავადმყოფობა“ აგებული მეტაფორები, რომლებშიც საზოგადოება ან ეპონომიკა ემსგავსება მძიმე ავადმყოფ ადამიანს; მოდელზე „სახელმწიფო/ქვეყანა შენობაა“ აგებული მეტაფორები; მოდელზე „მექანიზმი“ აგებული მეტაფორები. უნივერსალურ უზუალურ მეტაფორებში შეიძლება იყოს კულტურულად მარკირებული კონტაციები (*spor* → *война; argument* → *competition; Россия – мать/держава; USA* → *beacon of freedom/light*), ასევე ეროვნული ცნობიერებით და არსებული ღირებულებების სისტემებით მოტივირებული მეტაფორები (მაგალითად, *президент* → *царь, president* → *commander in chief*).

გვარაუდობთ, რომ აქ წარმოდგენილი გაანალიზებული მასალა თვალსაჩინო ილუსტრაციაა, რომ ნაციონალურ ცნობიერებაში არსებული ღირებულებების სისტემები და სახელმწიფო ძალაუფლებაზე წარმოდგენები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მეტაფორული მოდელების არჩევისას, რომელთაც პოლიტიკური ლიდერები იყენებენ დისკურსული ამოცანების გადასაჭრელად. ასევე გვარაუდობთ, რომ საპრეზიდენტო დისკურსში მეტაფორის ფუნქციონირება ასახავს არა მხოლოდ ადამიანის ცნობიერების ფუნდამენტურ თვისებას, არამედ სპეციალური ანალიზისას დემონსტრირებს კავშირს გამოყვანილ პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურაზარმომქმნელ პარამეტრებთან. მაგალითად, მეტაფორებში „*By our efforts, we have lit a fire, a fire in the minds of men. It warms those who feel its power, it burns those who fight its progress, and one day this untamed fire of freedom will reach the darkest corner of the world*“ და «*Средний класс – это люди, которые могут выбирать политику. У них, как правило, уровень образования такой, что позволяет осознанно относиться к кандидатам, а не «голосовать сердцем»; მაგალითად მეტაფორებში ასევე ექსპლიციტურია კავშირი პარამეტრთან „ინტერტექსტუალური ურთიერთქმედება“, რომელიც ვლინდება დისკურსის უნარში იქონიოს მრავალგანზომილებიანი კავშირი სხვა დისკურსებთან-ტექსტებთან. ხოლო, მაგალითისათვის, მეტაფორებში «*мочить в сортире*», „*Black America and White**

*America*” გამოიყვანება კავშირი პარამეტრთან „ავტორობა”. ისინი ყველა დაკავშირებულია პარამეტრებთან: „დისკურსის წარმოება და მოხმარება”, „კომუნიკაციური უზრუნველყოფა”, „ადრესატულობა”, „ინფორმაციულობა” (გათვლილია ადრესატის აღქმაზე) და „დისკურსული ფუნქციები”.

აღნიშნავთ, რომ პოლიტიკური მეტაფორის წყაროების ანალიზის შესახებ კვლევებში წარმოდგენილია ყველაზე მეტად აქტიური ცნებითი სფეროების კლასიფიკაციები. ასე, მაგალითად, ა. პ. ჩუდინოვის კლასიფიკაციაში შესულია სფეროები: «Человек», «Социум», «Природа» და «Вещи», რომლებიც თავის მხრივ იყოფიან სუბსფეროებად, მაგალითად: სუბსფეროები «физиологическая метафора», «метафора родства», «морбидальная метафора», «механическая метафора» სფეროსათვის «Человек» (2001). ენობრივ ერთეულებზე მუშაობისას ჩვენ გამოვიყენეთ მეცნიერის მიერ შემოთავაზებული ტერმინოლოგია, მაგრამ მეტაფორული მასალის კლასიფიცირება არ მოგვიხდენია აღნიშნული სფეროების მიხედვით, რადგან ეს არ შეესაბამება ჩვენი კვლევის ამოცანებს – გაანალიზდეს მეტაფორის როგორც საპრეზიდენტო დისკურსის ეფექტურობის ხერხის ფუნქციონირება. ენობრივი მასალის სისტემატიზაციისას ჩვენი ორიენტირი იყო მეტაფორის პარამეტრები „საპრეზიდენტო დისკურსის საბაზისო ინტენცია”, „ზემოქმედების სფერო” და მეტაფორის „პრაგმატული ეფექტი”.

შერჩეული მასალის ანალიზმა გამოავლინა ენობრივი მეტაფორის რაოდენობრივი სიჭარბე ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორასთან შედარებით. ის ასევე საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ მეტაფორა როგორც პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობის საშუალება უპირატესად ფუნქციონირებს შემდეგ პირობითად გამოყოფილ ზემოქმედების სფეროებში:

- მეტაფორები, რომლებიც ქმნიან სამყაროს სურათის „აუცილებელ” ვერსიას (გავლენას ახდენენ ღირებულებებზე, სტერეოტიპებზე, ქცევისა და შეფასების მოდელებზე): «Народное единство – неоспоримая ценность»; «... готов к максимально открытым и прозрачным выборам»; За специалистами, работающими здесь, закрепилось казенное определение «бюджетники». Это, однако, те люди, которые имеют высокое образование, квалификацию, по содержанию своего труда, по культурным потребностям, по социальной активности они часть так называемого креативного класса»; «Здесь я думаю, что Правительство абсолютно на правильном пути. Потому что создана очень хорошая атмосфера и созданы дополнительные способы общения с обществом..., создано так называемое Открытое

*правительство»; “...the oath is taken amidst gathering clouds and raging storms”; “We have seen hard choices made – from Naypyidaw to Cairo to Abidjan – to put more power in the hands of citizens”; “Our nation will continue to be a beacon of light for men and women, boys and girls, in every corner of the globe”; “Whether you pounded the pavement or picked up the phone – whether you held an Obama sign or a Romney sign, you made your voice heard, and you made a difference”; “The journey isn’t easy. There are impediments, and there are places (crossroads) where a policies or a political decision has to be made about which direction to go in and whether to keep traveling together”* და სხვ.

- მეტაფორები, რომლებიც აყალიბებენ „აუცილებელ“ სოციალურ განვითარებას: «Не может быть так, что Правительство работает само по себе, а обещания, данные стране, сами по себе»; «Мы не допустим появления в России замкнутых этнических анклавов со своей неформальной юрисдикцией, живущих вне единого правового и культурного поля страны, с вызовом игнорирующих общепринятые нормы, законы и правила»; «Раз и навсегда отказаться от презумпции виновности бизнеса, от обвинительного уклона в правоохранительной и судебной практике»; «Создана работоспособная деловая высокопрофессиональная команда». «За прошедшее десятилетие нам удалось создать необходимый фундамент для будущего нашей страны»; “*the doors of opportunity remain open to all*”; *we have a chance to bring the country together to tackle problems that George Bush made far worse*; “*It is time to leave the call of violence and the politics of division behind. On so many issues, we face a choice between the promise of the future, or the prisons of the past*” და სხვ.;
- მეტაფორები, რომლებიც ზემოქმედებენ ემოციებზე და საზოგადოებაში იწვევენ „აუცილებელ“ ემოციურ განვითარებას: «не отступлю от Конституции ни на шаг»; «Российское общество испытывает явный дефицит духовных скреп»; «...это будет бременем для миллионов людей со средними доходами. <...> Поэтому действовать в этой сфере нужно крайне аккуратно»; “*Black America and a White America*”; “*magical place, America*”; “*Toxic assets that are clogging the financial system. The heart of this financial crisis, crisis as a cancer, but also as a blockage that is clogging the arteries for credit flow*”; *Thank you for believing all the way, through every hill, through every valley*”; “*We, the people, declare today that the most evident of truths – that all of us are created equal – is the star that guides us still...*” იმპ. და სხვ.

ჩვენ მიერ გამოყოფილი ბოლო სფერო წარმოდგენილია მეტაფორებით, რომელმიც ჭარბობს ემოციურობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დისკურსში

რეალიზებული ნებისმიერი მეტაფორა მეტ-ნაკლებად შეიცავს ემოციურ კომპონენტს. ამიტომ ამ სფეროს განვიხილავთ როგორც შერეულ სფეროს (*Blended sphere*). საიდუსტრაციოდ მოგვყავს ბ. ობამას დისკურსის ფრაგმენტი, რომელშიც ქვეყნის მოქალაქეებისადმი მიმართვისას პრეზიდენტი ლაპარაკობს ეკონომიკური კრიზისის სირთულეებზე და აყალიბებს „აუცილებელ“ სოციალურ განწყობებს ნაციონალურ ღირებულებებსა და სტერეოტიპებზე დაყრდნობით: “It's done a lot of damage to so many people. And even before **that storm hit with its full fury**, middle-class families **were weathering tough economic times**<sup>72</sup>, throughout this past decade, working harder and harder just to keep up” (Remarks by the President at Event with Massachusetts Attorney General Martha Coakley. January, 17 2010). ემოციური განწყობა იქმნება შემომყვანი განწყობით, რომელიც წინ უსწრებს მოყვანილ ფრაგმენტს (მაკროკონტექსტი): “Because I don't need to tell you we're in tough times right now. We're still dealing with an economic crisis unlike any that we've seen since the Great Depression”, სადაც **Because I don't need to tell you** მოხმობილია პასუხისმგებლობის ხარისხის შესარბილებლად – ასეთი რამ ხდება ისტორიაში; შემდეგ მოდის აპელაცია ეროვნულ მეხსიერებაზე – **the Great Depression**. გაშლილი მეტაფორა **that storm hit with its full fury** აღრესატებს არამარტო ტოვებს აუცილებელ ემოციურ განწყობილებაზე, არამედ აყალიბებს კიდევ საჭირო სოციალურ განწყობებს (კრიზისი გაიგივებულია სტიქიურ უბედურებასთან, სტიქიასთან კი, ადამიანი უძლერია).

როგორც გაანალიზებული მასალიდან გამომდინარეობს, პოლიტიკურ საქმიანობაში მეტაფორა წარმოადგენს ენობრივი მანიპულირების რიტორიკული სტრატეგიების განუყოფელ ელემენტს. საპრეზიდენტო დისკურსში მეტაფორას გააჩნია უნივერსალური თვისება: უპირატესად, ის არის მზა აზრის არა შელამაზების ხერხი, არამედ აზროვნებისა და საპრეზიდენტო დისკურსის ადრესანტების ცოდნის სტრუქტურების ვერბალიზაციის საშუალება. საპრეზიდენტო დისკურსში მეტაფორის ფუნქციონირება მოტივირებულია მისი კომუნიკაციური მიზნებით, რომელთაგან მთავარია ძალაუფლების მოპოვება და შენარჩუნება ელექტორატის ემოციებსა და მსოფლადქმაზე ზემოქმედების გზით. ეს ამყარებს კვლევის პიპოთეზას, რომელშიც მეტაფორა განიხილება როგორც პოლიტიკური (საპრეზიდენტო) დისკურსის ეფექტურობის გაზრდის ენობრივი

---

<sup>72</sup> ხაზგასმა ჩვენია, თ. მ.

საშუალება. შეპირისპირებულ ლინგვოკულტურებში მეტაფორა მომდინარეობს როგორც უნივერსალური არქეტიპული ხატებიდან, ასევე ნაციონალური ტრადიციებით, ნაციონალური კულტურით, ნაციონალური თვითშეგნებით, ნაციონალური პოლიტიკური სისტემით წარმოქმნილი ხატებიდან და გამოხატულებას პოვებენ ნაციონალური ენის სპეციფიკაში. ვვარაუდოთ, რომ საპრეზიდენტო დისკურსის მეტაფორიკის პრობლემის კვლევა ნაყოფიერი იქნება პოლიტიკოსის სამეტყველო ქმედების დახასიათების პრიზმაშიც.

### III. 2. პერიფრაზული ერთეულების ფუნქციონირების ანალიზი თანამედროვე რუსულ და ამერიკულ საპრეზიდენტო დისკურსში

კვლევაში დასახული ამოცანების თანამიმდევრული გადაწყვეტის მიზნით მივმართოთ პერიფრაზული ერთეულების, როგორც საპრეზიდენტო დისკურსის აფექტურობის საშუალებების ფუნქციონირების ანალიზს. მათი სემანტიკისა და გრამატიკული გაფორმების თავისებურებები დამოკიდებულია იმ არაენობრივი სინამდვილის სფეროზე, რომლის ნომინირებასაც ისინი ახდენენ, ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნით იქმნება პერიფრაზული ფიგურა, რაც თავის მხრივ წინასწარ განისაზღვრება მეტყველების ფუნქციონალური სტილითაც. ანალიზისას გავითვალისწინეთ საპრეზიდენტო დისკურსის ჟანრული სტრუქტურის პერიოგენურობა, რაც დაკავშირებულია რიგ ფაქტორებთან, რომელთა ფონზეც ხდება ადრესანტის ინტენციების რეალიზება (პოლიტიკური მოვლენების მრავალფეროვნება და მათი ფორმალურობის ხარისხი, სავარაუდო აუდიტორიის მარკირებულობა ან კონკრეტული ადრესატის სტატუსი და ა.შ.), ასევე, გათვალისწინებული იქნა სტილისტური რეგისტრების ვარირებისა და ლექსიკური საშუალებების შერჩევის ფაქტორი იმ კომუნიკაციური მიზნების რეალიზაციისთვის, რომლებიც უკავშირდება დისკურსის მოდუსს (წერილობითი ან ზეპირი სიტყვა, რადიო ან სატელევიზიო მიმართვა, ინტერვიუ, საინაუგურაციო გამოსვლა, პრეს-კონფერენცია და ა.შ.) და ენობრივი პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებს. ამგვარად, დისერტაციაში განვრცობილი პიპოთეზის თანახმად, ასევე საუბარია გაანალიზებული ენობრივი მოვლენების პოლიტიკური დისკურსის (იგულისხმება საპრეზიდენტო დისკურსი,

როგორც მისი ნაირსახეობა) სტრუქტურაწარმომქმნელ პარამეტრებთან კავშირზეც.

მოცემულ რაკურსში ენობრივი მოვლენის ანალიზი აგრეთვე გულისხმობს პოლიტიკურად კორექტული ლექსიკის გამოყენების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებას, რაც ს.გ. ტერ-მინასოვას მტკიცებით გაჩნდა XX საუკუნის ბოლოს, როდესაც ინგლისური ენის რასიზმით აღშფოთებულმა აფრიკელებმა მოითხოვეს მისი „დერასიალიზაცია“ (ტერ-მინასოვა 2000, გვ. 215). მოვლენის – „პოლიტიკურად კორექტული ლექსიკის“ არსი მდგომარეობს იმ ლექსიკის ხმარებიდან ამოდებაში, რომელიც შესაძლებელია შეურაცმხუფლებდ ჩაითვალოს. ინგლისურს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის ენას იყენებენ სხვადასხვა რასისა და ეროვნების ადამიანები და სწორად ამით აიხსნება ამგვარი ტენდენციის წამოქმნა ინგლისურ ენაში. ამასთან, ამერიკის შეერთებული შტატები რჩება თავისუფლებასა და თანასწორობაზე ოცნების ქვეყნად. ასე ჩამოყალიბდა პოლიტიკური კორექტულობის მოვლენის წარმოშობისა და მისი ანალიზის მიზნით შესაბამისი ტერმინის ფორმირების ლინგვისტური და სოციალური წინაპირობები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ტერმინში ზოგიერთი ლინგვისტის, მათ შორის ს. გ. ტერ-მინასოვას, (იხ.: მითოთებული ნაშრომი) განსჯის საგანია განსაზღვრება –„პოლიტიკური“. მკვლევარების აზრით პოლიტიკის ხესნება არანაირად უკავშირდება ადამიანზე ჭეშმარიტ ზრუნას და სწორედ ეს არის მოცემული ტენდენციის საფუძველიც. თუმცა, ტერმინი მყარად დამკვიდრდა, ხოლო თვითონ პოლიტიკური კორექტულობის იდეოლოგია სულ უფრო და უფრო ვრცელდება და აისახება პოლიტიკური დისკურსის ყველა ჟანრულ ნაირსახობაში. ამიტომ, აღნიშნული ტენდენცია, რომელიც, მაგალითად, ვლინდება აზრის გამოთქმისა და ფაქტის კონსტატაციის ან მისი შეფასების კატეგორიულობის შესუსტებაში, ნაშრომში ასევე წარმოადგენს პერიფრაზული ერთეულების, როგორც საპრეზიდენტო დისკურსის ეფექტურობის ამაღლების ენობრივი საშუალებების პრაგმატული როლის კვლევის ორიენტირს.

სანამ ემპირიული მასალის ანალიზს შევუდგებით, დაგასაბუთოთ პერიფრაზული ერთეულების, როგორც მეორეული (ალტერნატიული) ნომინაციის ერთეულები ჩვენეული გაგება, რომელთა შორისაც ზღვარი, თეორიული ლიტერატურისა და შერჩეული ენობრივი მასალის ანალიზიდან გამომდინარე, გარკვეულწილად პირობითია და არა ყოველთვის განსაზღვრული.

ტერმინით „პერიფრაზა“ ან მისი ვარიანტით „პერიფრაზი“, რომელსაც საფუძვლად უდევს ბერძნული სიტყვა *periphrasis* (περί «გარშემო, მახლობლად», ფრასიς «აზრის გამოთქმა»)<sup>73</sup>, მოიხსენიებენ სინტაქსურ-სემანტიკურ ფიგურას «оборот речи, вид тропа, суть которого состоит в употреблении вместо слова или имени описательного сочетания, например: *царь зверей – лев; гениальный автор «Войны и мира» – Лев Толстой*. Термин объединяет разные по языковой природе явления: описательные характеристики и оценки (*голый – в костюме Адама*), глагольные пары (*советовать – давать совет*), поэтические строки объемом в целое предложение (*Уж гаснет пламень мой, схожу я в хладную могилу* – умираю (Пушкин))» (Словарь перифраз русского языка 1999, გვ. 4). პერიფრაზებში რეალიებისა და მოქმედებების დასახელებები იცვლება მათ იმ თვისებებზე მითითებებით, რომლებიც მნიშვნელოვანია მოსაუბრის ან მწერლის აზრით. ამგვარად, ეს ურთულესი ლინგვისტური ფენომენი შესაძლოა განმვარტოთ, როგორც ობიექტის ირიბი ხსენება მისი აღწერის და არა დასახელების საშუალებით.

როგორც მეტაფორის, ისე პერიფრაზის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კონტექსტი, სადაც მეორეული ნომინაციის ამგვარი საშუალებების გამოყოფა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ანალიზის ჩატარებით. განასხვავებენ ლოგიკურ პერიფრაზებს, მაგ. *автор «Мёртвых душ»* (გოგოლი) და ხატოვან პერიფრაზებს, მაგალითად, *«солнце русской поэзии»* (პუშკინი), *страна свободы и равных возможностей* (ამერიკა). პერიფრაზა წარმოადგენს როულ ნიშანს, რომელშიც ისევე, როგორც მეტაფორაში შესაძლებელია გამოიყოს სემანტიკური გარდაქმნის ორი კომპონენტი: პირობითი კომპონენტი „ა“ – მისი პარამეტრი და კომპონენტი „ბ“ – მისი არგუმენტი. მეტაფორა და პერიფრაზა ერთმანეთისგან განსხვავდება გამოყოფილი კომპონენტების სემანტიკური ფუნქციებით: „ორი არათანასწორი კომპონენტის (კომპონენტი, რომელიც განიცდის მეტაფორიზებას და კომპონენტი, რომლის საშუალებითაც ხდება მეტაფორიზება) არსებობა წარმოადგენს მეტაფორული ბინარმის სპეციფიკურ თვისებას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ტროპებს შორის მისი გარკვევით გამიჯვნა ბინარული პერიფრაზისგან – აღწერითი გამოხატვისგან, რომელიც ცვლის რაიმე საგნის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ სიტყვას (მაგალითად, ვეчный город –რომის მაგიერ; лазурный свод –ცის მაგიერ)” (Басилая 1971, გვ. 43).

<sup>73</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მოვლენას ზოგჯერ მოიხსენიებენ დათინური ტერმინით *circumlocution*.

პერიფრაზის დიფერენცირებული ცნებითი კომპონენტები, რომლებიც გამოყოფილია სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურის ანალიზის შედეგად, არის:

- სინამდვილის ობიექტებისა ან მოვლენების ნომინაციის გახორციელების შესაძლებლობა;
- სინამდვილის ობიექტის ან მოვლენის ხელმეორედ წესება;
- ნომინაციის აღწერილობითობა (არა ერთსიტყვიანობა, საგნის გამოყოფა აქცენტირებული თვისების ან თვისებების საფუძველზე);
- ნომინაციური გამონათქვამის სემანტიკური განუყოფელობა;
- ექსპრესიულობა (ნომინაციის ემოციურ-შეფასებითი ხასიათი).

კონსტრუქციულად პერიფრაზა განსხვავდება სხვადასხვაგვარი გაფორმებით – იგი, როგორც მინიმუმი შედგება ორი ერთეულისგან და ამასთან ამ კონსტრუქციის განმასხვავებელი თვისებაა სტრუქტურული ერთიანობა. ამგვარი ტიპის მეორეული ნომინაციის რეალიზაციის პროცესში დენოტატი (პირველადი სახე) იცვლება ახლით, პერიფრაზულით. ა. ბ. ნოვიკოვი ვარაუდობს, რომ „идеальная períфраза заменяет лишь один денотат, но встречаются ПЕ обозначающие несколько денотатов (Новиков 1999, гл. 6). მკვლევარის აზრით, აქ შესაძლოა იყოს ორი ძირითადი შემთხვევა: ოუ პერიფრაზული ერთეული აღნიშვნის პროცესში გამოდინარეობს არა ერთი, არამედ გვარ-სახეობრივი კავშირით ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე დენოტატიდან, მაშინ ამგვარი „ПЕ“ შეიძლება ჩაითვალოს პოლისემიურად ან ომონიმურად. უნდა აღინიშნოს, რომ პერიფრაზის დენოტატი ზოგჯერ გამოიხატება, როგორც ერთი, ასევე ორი და მეტი სიტყვით. მაგრამ კონტექსტში კონკრეტული რეალიზაციისას პერიფრაზა შეესაბამება ერთ დენოტატს, რაც განაპირობებს პერიფრაზული კონსტრუქციის მთლიანობას. ოუმცა, რუსული და ამერიკული საპრეზიდენტო დისკურსის კონტექსტებიდან აღებული ჩვენი ემპირიული მასალა ავლენს პერიფრაზული ერთეულის თვისებას – შეეთავსოს არა მხოლოდ დენოტატს, არამედ ააგოს ლოგიკურ-აზრობრივი და ასოციაციურ-ხატოვანი მწკრივები სიგნიფიკატობა: «Господин Ширак – один из признанных лидеров мировой политики... Он мне книжку подарил, я ему тоже, про Кремль. Франция не должна забывать, где находится Кремль. Есть такое место в мире» (Вл. Путин. Интервью Ларри Кингу на Си-эн-эн. 8.09.2000); “... *just as it guided our forebears through Seneca Falls, and Selma, and*

*Stonewall; just as it guided all those men and women, sung and unsung, who left footprints along this great Mall, to hear a preacher say that we cannot walk alone; to hear a King proclaim that our individual freedom is inextricably bound to the freedom of every soul on Earth... ” (Barack Obama. January 21, 2013).*

ამგვარი ვერბალიზებული ხატის წარმატებით დეკოდირებისათვის, ადრესატი მეორეული სახელის ზუსტი დენოტაციური მიმართულების დადგენასთან ერთად უნდა ფლობდეს ექსტრალინგვისტური ცოდნის გარკვეულ დონეს, სამყაროს ფასეული სურათის კომპონენტების ჩათვლით, რომლებითაც აკელირებს პრეზიდენტი დისკურსის მიზნების შესაბამისად.

| <p><i>“...and our willingness <u>to shoulder each other</u>, America <u>will continue on its precious journey</u>towards that distant horizon, and a better day.”</i></p> <p><i>(B. Obama Commencement Address at Knox College. 4 June 2005)</i></p>                 | <p>გამონათქვამის ინტენსიურობის ამაღლება (რეფერენციის მოცულობის გაზრდა); ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება</p>  |
| <p><i>“Americans have <u>always held firm.</u>”( Remarks by The President George Bush On The War On Terror, 28 June 2005)</i></p>  | <p>გამონათქვამის ინტენსიურობის ამაღლება (რეფერენციის მოცულობის გაზრდა); ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>  |
| <p><i>“...that have made our country the <u>envy of the world</u>, and he will never sacrifice our basic liberties, nor use faith as a wedge to divide us.”</i></p> <p><i>(B. Obama. 27 July 2004, Fleet Center, Boston)</i></p>                                     | <p>გამონათქვამის ინტენსიურობის ამაღლება (რეფერენციის მოცულობის გაზრდა); ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>  |
| <p><i>“We honor them not only because they are <u>guardians of our liberty</u>, but because they embody <u>the spirit of service</u>; a willingness <u>to find meaning in something greater than themselves.</u>”</i> (Obama Inaugural Address, 20 January 2009)</p> | <p>გამონათქვამის ინტენსიურობის ამაღლება (რეფერენციის მოცულობის გაზრდა); ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |

|  |  |
|--|--|
| <p><i>It's a dangerous illusion refuted with a simple question: <u>Would the United States and other free nations be more safe or less safe with Zarqawi and bin Laden in control of Iraq, its people and its resources?</u>" (G.Bush: Islamic radicalism doomed to fail Thursday, 6 October 2005)</i></p> | <p>გამონათქვამის ინტენსიურობის ამაღლება (რეფერენციის მოცულობის გაზრდა); პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |
| <p><i>'I want you to cut through...'" (B. Obama. Address at the American Red Cross on Hurricane. EconPress. 3-24-09)</i></p>   | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; გამონათქვამის ინტენსიურობის გაზრდა; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება.</p>  |
| <p><i>"...an unfolding American promise that everyone belongs, that everyone deserves a chance, that no insignificant person was ever born." (George W. Bush Inaugural Address Washington, DC, 20 January 2001)</i></p>  | <p>გამონათქვამის ინტენსიურობის ამაღლება (რეფერენციის მოცულობის გაზრდა); ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>  |
| <p><i>"Because they were marching for freedom" (B. Obama Commencement Address at Knox College. 4 June 2005)</i></p>  | <p>გამონათქვამის ინტენსიურობის ამაღლება (რეფერენციის მოცულობის გაზრდა); ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |
| <p><i>"...a gift of that Almighty to every man, woman and child on the face of the Earth is freedom." (Remarks by The President George Bush On</i></p>   | <p>გამონათქვამის ინტენსიურობის ამაღლება (რეფერენციის მოცულობის გაზრდა); ადრესატზე</p>  |

|  |  |
|--|--|
| <i>National Security, Homeland Security and The Freedom Agenda, 17 December 2008)</i>  | ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება   |
| ‘ ‘We will <u>never tire...never falter...and never fail,</u> ’’<br><br>(President (George W. Bush's Farewell Speech, 15 January 2009) | გამონათქვამის ინტენსიურობის ამაღლება (რევერენციის მოცულობის გაზრდა); ადრესატზე ემოციური ზემოქმედება;<br>პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება. |
| “...nation of justice and opportunity.”(George W. Bush Inaugural Address Washington, DC, 20 January 2001)                              | გამონათქვამის ინტენსიურობის ამაღლება (რევერენციის მოცულობის გაზრდა); ადრესატზე ემოციური ზემოქმედება;<br>პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება. |

| ევფემიზმები  | დისკურსიული ფუნქციები  |
|--|--|
| “The U.S.A has a unique opportunity to help developing countries. America has a long history of using its wealth to help <u>countries in need.</u> ”(B. Obama. Address at the American Red Cross on Hurricane. EconPress. 3-24-09) | ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; გამონათქვამების ინტენსიურობის შესუსტება (გრადაცია, რევერენციის მოცულობის შემცირება); მოვლენების პირდაპირი შეფასებისგან თავის არიდება; |

|   |   |
|---|---|
|   | <p>ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>  |
| <p><i>“I want you to cut through <u>red tape.</u>” (B. Obama. Address at the American Red Cross on Hurricane. EconPress. 3-24-09)</i></p>                         | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; გამონათქვამის ინტენსიურობის შესუსტება (გრადაცია, რომელიც ამცირებს პირდაპირი ნომინატორის – “bureaucracy” რეფერენციის მოცულობას); მოვლენების პირდაპირი შეფასებისგან თავის არიდება; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |
| <p><i>“God has called them all home.”</i><br/> <i>(B. Obama. Statement on the Sandy Hook Elementary School Shootings in Newtown, Connecticut. 14.12.2012)</i></p> | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; (გრადაცია, რომელიც ამცირებს პირდაპირი ნომინატორის ”to die“ რეფერენციის მოცულობას); ადრესატზე ემოციური ზემოქმედება</p>   |

*“Natural phenomena in Iraq turned out to be more difficult than we supposed.” (George W. Bush. Transition in Iraq: Primetime Address from the Oval Office. Washington, DC. December 18, 2005)*

ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; მოსაუბრებისა და ასუხისმგებლობის მოხსნა; გამონათქვამების ინტენსიურობის შესუსტება (გრადაცია, რეფერენციის მოცულობის შემცირება); მოვლენების პირდაპირი შეფასებისგან თავის არიდება; ადრესატების ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.

“

*“So let me be clear. America wants to resolve this issue through diplomacy, and we believe that there is still time and space to do so. But that time is not unlimited.”*

*(B. Obama. Address at the American Red Cross on Hurricane. EconPress. 3-24-09)*

პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; გამონათქვამების ინტენსიურობის შესუსტება (გრადაცია, რეფერენციის მოცულობის შემცირება); მოვლენების პირდაპირი შეფასებისგან თავის არიდება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.

|   |  |
|---|--|
| <p><i>“A time of economic challenge, the world has come together to broaden prosperity.” (B. Obama. Address at the American Red Cross on Hurricane. EconPress. 3-24-09)</i></p>   | <p>პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; გამონათქვამების ინტენსიურობის შესუსტება (გრადაცია, რეფერენციის მოცულობის შემცირება); მოვლენების პირდაპირი შეფასებისგან თავის არიდება; ადრესატები ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |
| <p><i>“The bitter truth is that <u>trafficking also</u> goes on right here... The teenage girl – beaten, forced to walk the streets. This should not be happening in the United States of America.” (B. Obama. Fox Nation, 2011, March ,23)</i></p>                       | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია (ანაცვლებს პირდაპირ ნომინატორს – “slavery” -მონობა); პრეზიდენტის პოზიტიურად წარმოჩენა; ადრესატები ემოციური ზემოქმედება.</p>   |
| <p><i>‘I think what we are doing is enforcing a resolution that has a very clear set of goals, which is protecting the Libyan people, averting a <u>humanitarian crisis</u>, and setting up a no-fly zone.’</i></p> <p><i>(B. Obama. Fox Nation, 2011, March ,23)</i></p> | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; მოსაუბრესთან პასუხისმგებლობის მოხსნა; გამონათქვამის ინტენსიურობის შესუსტება; მოვლენების პირდაპირი შეფასებისგან თავის არიდება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>       |

|  |  |
|--|--|
| <p><i>‘’Obviously that involves <u>kinetic military action</u>, particularly on the front end.’’(B. Obama. Fox Nation, 2011, March ,23)</i></p>  | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; მოსაუბრებისთან პასუხისმგებლობის მოხსნა; გამონათქვამის ინტენსიურობის შესუსტება (გრადაცია, რომელიც ამცირებს რეფერენციის მოცულობას, პირდაპირი ნომინატორის – “war” ჩანაცვლებით); მოვლენების პირდაპირი შეფასებისგან თავის არიდება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |
| <p><i>“That is why NATO continues to be indispensable. That is why we must strengthen UN and regional <u>peacekeeping</u>, and not leave the task to a few countries. That is why we honor those who return home from peacekeeping and training abroad to Oslo and Rome; to Ottawa and Sydney; to Dhaka and Kigali - we honor them <u>not as makers of war</u>, but as <u>wagers of peace</u>”.(B. Obama's Nobel Peace Prize speech)</i></p> | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; მოსაუბრებისთან პასუხისმგებლობის მოხსნა; გამონათქვამის ინტენსიურობის შესუსტება; მოვლენების პირდაპირი შეფასებისგან თავისარიდება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>  |

|  |   |
|--|---|
| <p><i>“...new investments in health care that will cut costs for families and businesses; and number five, new savings in our federal budget that will bring down the debt for future generations.” (B. Obama. 14 April 2009, Georgetown University)</i></p>   | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; გამონათქვამის ინტენსიურობის შესუსტება (გრადაცია, რომელიც ამცირებს რეფერენციის მოცულობას პირდაპირი ნომინატორის – “spending” ჩანაცვლებით); მოვლენების პირდაპირი შეფასებისგან თავის არიდება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |
| <p><i>“So when they are told to bus their children to a school across town, when they hear that an African American is getting an advantage in landing a good job or a spot in a good college because of an injustice that they themselves never committed, when they're told that their fears about crime in urban neighborhoods are somehow prejudice, resentment builds over time.” (B. Obama. Delivered 18 March 2008, Philadelphia, PA)</i></p> | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; გამონათქვამის ინტენსიურობის შესუსტება; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>   |
| <p><i>“That man needs us to pass an energy policy that works with automakers to raise fuel standards, and makes corporations pay for their pollution, and oil companies invest their record profits in a clean energy future, an energy policy that will create millions of new jobs that pay well and can't be outsourced.” (B. Obama. Democratic Nomination Victory</i></p>  | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; გამონათქვამის ინტენსიურობის შესუსტება (გრადაცია, რომელიც ამცირებს რეფერენციისა და ფსიქოლოგიური დაბაბულობის მოცულობას); ადრესატზე ემოციური ზემოქმედება.</p>  |

|   |   |
|---|---|
| <p><i>Speech delivered 3 June 2008, Saint Paul,<br/>Minnesota)</i></p>  |   |
| <p><i>“...so instead of offering tax breaks to companies <u>shipping jobs overseas</u>, he offers them to companies creating <u>jobs here at home.</u>”</i><br/><i>(B. Obama. 27 July 2004, Fleet Center, Boston)</i></p> | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; გამონათქვამის ინტენსიურობის შესუსტება; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |
| <p><i>“Our troops will shift from leading operations to <u>partnering</u> with Iraqi forces and eventually to <u>overwatching</u> those forces...”</i> (Speech President Bush on Iraq, 13 september, 2007)</p>            | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>  |
| <p><i>“I want to speak tonight about <u>our effort in Afganistan.</u>”</i><br/><i>(B. Obama’s speech at the United States Military Academy in West Point, New York. 02.12.2009)</i></p>                                   | <p>ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; გამონათქვამის ინტენსიურობის შესუსტება; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |

|  |  |
|--|--|
|  | ფორმირება.   |
| <i>We are willing to look out for one another and help people who are vulnerable and help people who <u>are down on their luck.</u>” (President Obama’s remarks to the House Democratic Caucus.21.03.2010)</i>   | ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; გამონათქვამის ინტენსიურობის შესუსტება; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება. |
| <i>“Children from <u>low-income families</u> score 27 points below the average reading level, while students from <u>wealthy- families</u> score fifteen points above the average.”<br/>(B. Obama’s speech “Literacy and Education in a 21-st century Economy”. June 25th, 2005)</i> | ურთიერთობის პროცესის ეტიკეტიზაცია; პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.  |

| დისფემიზმები   | დისკურსიული ფუნქციები   |
|--|---|
| <p><i>“America has never been united <u>by blood or birth or soil. We are bound by ideals...</u>”</i></p> <p><i>(George W. Bush Inaugural Address Washington, DC, 20 January 2001)</i></p>   | <p>პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; ფაქტების განზრახ დამახინჯება;</p> <p>სტილისტურად ნეიტრალური ვერბალიზატორის განზრახ ჩანაცვლება; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება;</p> <p>სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |
| <p><i>“There is only one course of action against them: to defeat them abroad <u>before they attack us at home.</u>”</i></p> <p><i>(Remarks by The President George Bush On National Security, Homeland Security and The Freedom Agenda, 17 December 2008)</i></p> | <p>პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; ფაქტების განზრახ დამახინჯება;</p> <p>სტილისტურად ნეიტრალური ვერბალიზატორის განზრახ ჩანაცვლება; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება;</p> <p>სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p> |
| <p><i>“For those of us who remain, <u>let us find the strength to carry on, and make our country worthy of their memory.</u>”</i></p> <p><i>(B. Obama. Statement on the Sandy Hook Elementary School Shootings in Newtown, Connecticut. 14.12.2012)</i></p>        | <p>პრეზიდენტისა და მისი პარტიის პოზიტიური წარმოდგენა; ფაქტების განზრახ დამახინჯება;</p> <p>სტილისტურად ნეიტრალური ვერბალიზატორის განზრახ ჩანაცვლება; ადრესატზე ემოციური ზემოქმედება; სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>        |

|  |  |
|--|--|
| <p><i>“...to keep America safe at home, ...we needed to take the fight to the enemy abroad...”</i></p> <p>(G.Bush. Strategy of National Security)</p>  | <p>პრეზიდენტისა და მისი პარტიის<br/>პოზიტიური წარმოდგენა; ფაქტების<br/>განხრას დამახინჯება;<br/>სტილისტურად ნეიტრალური<br/>ვერბალიზაციის უფრო უხეშით<br/>განხრას ჩანაცვლება;<br/>ადრესატზე ემოციური ზემოქმედება;<br/>სამყაროს სურათისა და შესაბამისი<br/>განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის<br/>ფორმირება.</p> |
| <p><i>აბერადივები</i></p>  | <p>დისკურსული ფუნქციები</p>  |
| <p><i>“My hope for all of you is that as you leave here today, you decide to keep these principles alive in your own life and in the life of this country. You will be tested.” (B. Obama Commencement Address at Knox College. 4 June 2005)</i></p> | <p>მოვლენების პირდაპირი<br/>შეფასებისგან თავის არიდება;<br/>მოსაუბრესთან პასუხისმგებლობის<br/>მოხსნა; სამყაროს სურათისა და<br/>შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>  |
| <p><i>“We know that no matter how good our intentions, we will all stumble sometimes, in some way.” (B. Obama. Statement on the Sandy Hook Elementary School Shootings in Newtown, Connecticut. 14. 12.2012.)</i></p>                                | <p>მოვლენების პირდაპირი<br/>შეფასებისგან თავის არიდება;<br/>ადრესატზე ემოციური ზემოქმედება;<br/>მოსაუბრესთან პასუხისმგებლობის<br/>მოხსნა; სამყაროს სურათისა და<br/>შესაბამისი განწყობის „აუცილებელი“ ვერსიის ფორმირება.</p>  |

მეორეული ნომინაციის სხვა საშუალებებთან ერთად პერიფრაზული ერთეულები ახდენენ კოდირებული ინფორმაციის გადატანას და წარმოადგენენ ადრესატისა და ადრესანტის კოგნიტიური და ინტენციონალურად სტრუქტურირებული მოქმედებების საფუძველს. საპრეზიდენტო დისკურში პერიფრაზული ერთეულების გამოყენება უნივერსალური სტილისტიკური მეთოდია, რომელსაც ავტორი იყენებს, რათა უზუალური ან, უფრო იშვიათად ოკაზიონალური ქარაგმული აღწერილობითი საქცევით დაასახელოს/შეაფასოს ცნება ან რეალია ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს ტელეოლოგიურ განწყობებს და საბაზისო ინტენციას: აუდიტორიის დარწმუნებას დეკლარირებული პოლიტიკური შეხედულებების სისწორეში. ორივე ენაში საპრეზიდენტო დისკურსში რეალიზებული პერიფრაზული ერთეულები შესაძლებლობას ქმნის შერბილდეს განსაკუთრებულად სახიფათო პოლიტიკური გამონათქვამები, რომელიც ეხება სადაც პოლიტიკურ პრობლემებს, შემცირდეს პრეზიდენტის პასუხისმგებლობა ადრესატის მხრიდან მისი სიტყვების შესაძლო ბუკვალური ინტერპრეტაციის გამო. როგორც გაანალიზებული მასალიდან გამომდინარეობს, თანამედროვე რუსულ და ამერიკულ საპრეზიდენტო დისკურსში პერიფრაზული ერთეულები ასევე არიან სამყაროს მუდმივად ცვალებადი პოლიტიკური სურათის პროცესებისა და ფაქტების გააზრების კოგნიტიური პროცესის ვერბალიზატორებიც, რაც ხორციელდება ენის ნომინაციურ-შეფასებითი ფუნქციის მეშვეობით. ნაშრომში გამოვლენილი პერიფრაზული ერთეულების ფუნქციონირების ასპექტები დაკავშირებულია კვლევაში დადგენილ ენაში პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურაწარმომქმნელ პარამეტრებთან.

პერიფრაზული ერთეულები განლაგებულია კონკრეტული ენის კანონების მიხედვით, მაგრამ სემანტიკური ტრანსფორმაცია მეორეული სახელდების აქტში განუყოფელია ისტორიისა და კულტურისაგან იმდენად, რამდენადაც აპელირებს ადრესანტისა და აუდიტორიის საერთო ცოდნის ფონდზე. რუსული და ამერიკული კულტურის ჩამოყალიბების თვითმყოფადობა, ჩვენი აზრით, ხსნის გამოვლენილ განსხვავებას, კერძოდ, ევფემიზმების გამოყენებაში (ამერიკულ საპრეზიდენტო დისკურსში) და დისფემიზმების გამოყენებაში (რუსულ საპრეზიდენტო დისკურსში). ჩვენი აზრით, განსხვავება დაკავშირებულია არა მხოლოდ თანამედროვე რუსული დისკურსის ტენდენციასთან – ელიტის ენაში უბრალო და უხეში ლექსიკის შეღწევა, როგორც «способ встать на позицию самой аудитории, снизить свой образ, стать понятным для аудитории» (Зарафьян : Радио

«Свобода», 19 апреля 2004 года), архивные архивы Земельного фонда, Роговецкий районный суд по гражданскому делу № 10-14 от 19.04.2004 г., дело о взыскании с АО «Газпром» и АО «Газпромнефть» задолженности по договору газоснабжения № 100/2003 от 10.03.2003 г. в Архангельской области.

ზემოთმოყვანილი ყველა მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ  
ძალა-უფლების მოპოვებისათვის და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლა  
თანამედროვე საპრეზიდენტო დისკურსში განუყოფელია მასობრივ  
ცნობიერებაზე პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედებისაგან. მაგრამ, ამავე დროს, ის  
უნდა შემოიფარგლებოდეს პოლიტკორექტულობის ჩარჩოთი. საპრეზიდენტო  
დისკურსის საბაზისო ინტენციები რეალიზდება ენობრივი საშუალებების  
არსენალით მათ შორის ენის ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის დიდი  
შესაძლებლობებით. საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირება მოიცავს  
ცნებების შეცვლას, ინფორმაციის დამახინჯებას, საოქმელის ბოლომდე  
ართქმას, მოვლენის ნომინირების და შეფასების დროს აუცილებელი  
რაკურსების აქცენტუაციას, რაც სამყაროს სურათისა და შესაბამისი განწყობის  
„აუცილებელი“ ვერსიის ფორმირების საშუალებას იძლევა როგორც ქვეყნის  
შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე. როგორც გაანალიზებული მასალა  
მოწმობს, პერიფრაზული ერთეულები მიეკუთვნება აღნიშნული მიზნების  
მისაღწევად აქტიურად გამოყენებულ ენობრივ ერთეულთა რიგს. ამის  
საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ პერიფრაზული ერთეულები  
წარმოადგენს საპრეზიდენტო დისკურსის ეფექტურობის ამაღლების ენობრივ  
საშუალებას.

## დასკვნა

დისკურსი თანამედროვე პუმანიტარულ მეცნიერებათა დისკუსიათაშორისი ტერმინია. ფილოსოფია, ფიქტოლოგია, სოციოლოგია, ანთროპოლოგია სემიოტიკა, ლიტერატურათმცოდნება, ისტორიოგრაფია, კომუნიკატივისტიკა, ლინგვისტიკა ცოდნის სფეროს შესაბამისად პირდაპირ ან არაპირდაპირ შეისწავლის ბუნებრივი ენის ფუნქციონირებას. ეს გარემოება ხელს უწყობს ენის ფენომენის არსის შესახებ წარმოდგენის გაფართოებას, მაგრამ, ამასთანავე, ართულებს პუმანიტარულ მეცნიერებებში ტერმინის „დისკურსი“ გამოყენებისა და შინაარსის ზოგად სურათს.

ლინგვისტიკური ანალიზის საგნად დისკურსი შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, თუმცა ის ორგანულად აღიქმება ენის როგორც ნიშანია სისტემისა და მეტყველების როგორც ინდივიდუალური და ფიქტივიზიკური მოვლენის შეფარდების შესახებ თეორიულ ენათმეცნიერებაში უკვე დაგროვილი ცოდნის ლოგიკურ განვითარებად. პრობლემისადმი მეცნიერულმა ინტერესმა განაპირობა ცალკე მიმართულების ჩამოყალიბება, რომელშიც დისკურსის ანალიზი როგორც მრავალგანზომილებიანი მოვლენა ეფუძნება ენის, მეტყველებისა და მისი შედეგის (ტექსტის) გააზრების მიმართ ლინგვისტიკაში ფორმირებულ მიდგომებს. ამიტომ სადისერტაციო კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს ენისა და მეტყველების ანალიზის საკითხებისადმი მიძღვნილი ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომების გააზრება (ფ. დე სოსიური, ლ. ვ. ვიგორსკი, რ. ო. იაკობსონი, დ. უზნაძე, ა. სეშე, ჯ. ოსტინი, ლ. ელმსლევი, ნ. ი. ჟინკინი, ა. ი. სმირნიცკი, ლ. ვ. შჩერბა, მ. პაიდეგერი, ე. კასირერი, პ. რიკიორი, ა. ვიტგენშტაინი, მ. მამარდაშვილი, ა. რ. ლურია, ა. ა. ლეონტიევი, რ. ნათაძე, კ. ბიულერი და სხვები). ნაშრომში დაწვრილებით არის გაშუქებული პრობლემის მეცნიერეული განვითარების თეორიული საკითხები (მიღებული განზოგადებები ილუსტრირებულია ცხრილებითა და სქემებით) და თანამედროვე გაგება ენისა და მეტყველების ერთიანობის შესახებ, რომელიც ხორციელდება სამეტყველო ქმედებაში ინდივიდის ენობრივი და სამეტყველო აქტივობით, რის გამოც კვლევის ცენტრში ექცევა ენობრივი პიროვნება.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში აღიარებულად ითვლება, რომ მეტყველების დინამიური მხარე შეესაბამება მოქმედებას მთელი თავისი ფიზიკური, ფიქტიკური და სოციალური სისაგვით; მეტყველების სტატიკური

მხარე კი შეესაბამება სამეტყველო ქმედებიდან გამოყოფილ და რაიმე ხერხით დაფიქსირებულ ტექსტს. ამით აიხსნება ლინგვისტიკაში ტერმინების „დისკურსი“ და „ტექსტი“ ერთმანეთის ანალოგად საკმაოდ ხშირი გამოყენება. თეორიულ ენათმეცნიერებაში ენა და მეტყველება შეისწავლება სამეტყველო მოქმედებაში ენობრივი სისტემის ორალიზაციის ფუნქციების კანონზომიერებების გამოვლენის მხრივაც. მოსაუბრის/მწერლის ინტენცია საფუძვლად უდევს ზეპირი და წერითი მეტყველების (მოდუსი) პროცესს და ინფორმაციული მნიშვნელობის მქონე იმ შინაარსს, რომლის მიხედვითაც კომუნიკაცია პირველ ყოვლისა, გულისხმობს ინფორმაციის გადაცემასა და მიღებას. ეს დებულება ვითარდება დისკურსის პრაგმატიკის კვლევებში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა განისაზღვრა კომუნიკაციის საკითხების შესახებ ლინგვისტიკური თეორიების ქუთხითაც, რამაც საშუალება მოგვცა, გაგვემიჯნა კომუნიკაციის როგორც სოციალური მოვლენისა და ლინგვისტური კვლევის საგანი. ფართო ლიტერატურული მასალის ანალიზის შედეგად, დადგინდა კომუნიკაციის მონაწილეთა პიროვნებათშორისი ურთიერთობის ტიპოლოგია: ინტერპერსონალური, პიროვნებათშორისი, ჯგუფური, მასობრივი, საჯარო, კულტურათშორისი, პოლიტიკური და სხვ. აღწერილია პარამეტრები, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის კომუნიკაციურ საქციელს (კომუნიკაციური სტრატეგია, კომუნიკაციური ტაქტიკა და კომუნიკაციური განზრახვა) და მათ მიკუთვნებას პოლიტიკური კომუნიკაციის სფეროსათვის, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკური ინფორმაციის შემუშავების, გადაცემისა და გაცვლის პროცესებს. ხაზგასმულია, რომ პოლიტიკური კომუნიკაცია არ შეიძლება იყოს ანონიმური, ის ყოველთვის ორიენტირებულია ხალხის კონკრეტულ ჯგუფებზე, ორგანიზაციებზე, ხოლო იდეალში – კონკრეტულ ინდივიდზე.

გამოყვანილ იქნა კომუნიკაციის ძირითადი ფუნქციები, რომლებიც რეალიზებულია აბსტრაქტული ენობრივი პიროვნების მიერ პოლიტიკური კომუნიკაციის სფეროში: იდეურ-პოლიტიკური ლირებულებების, პოლიტიკის შესახებ ცოდნის გავრცელება, პოლიტიკური ინფორმირება; პოლიტიკური ურთიერთობების ინტეგრაცია და რეგულირება; საზოგადოებრივი (პოლიტიკური) აზრის ჩამოყალიბება; პოლიტიკური კულტურის გავრცელება, მისი განვითარება ინდივიდუალური; პოლიტიკურ-კულტურული გაცვლა; საზოგადოების მომზადება პოლიტიკაში მონაწილეობისათვის.

რ. ო. იაკობსონისეული კომუნიკაციის ფუნქციონალური მოდელის და პოლიტიკური კომუნიკაციის სპეციფიკის გააზრების შედეგად აგებული იქნა პოლიტიკური კომუნიკაციის პიპოთებური მოდელი, სადაც მოლაპარაკე არის პოლიტიკოსი, მსმენელი კი საზოგადოებაა, სავარაუდო ელექტორატი; კონტექსტი – ნებისმიერი პოლიტიკური დისკურსი (არაფორმალური კონტაქტების ჩათვლით); არხი – უპირატესად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ინტერნეტი, კოდი – ეროვნული ენა, ელექტორატის ენა, უცხოური ენა.

|  |  |
|--|--|
| <b>კონტექსტი<br/>შეტყობინება</b><br><br><b>მოლაპარაკე → მსმენელი</b><br><br><b>არხი</b><br><b>კოდი</b> | <b>პოლიტიკური დისკურსი</b><br><br><b>პოლიტიკოსი → ელექტორატი</b><br><br><b>მასობრივი ინფორმაციის<br/>საშუალებები, ინტერნეტი</b><br><br><b>ეროვნული ენა, ელექტორატის ენა,<br/>უცხოური ენა</b> |
|--|--|

როგორც სქემიდან ჩანს, ამ კონსტრუქტებს შორის შესაძლებელი კორელაცია: ინტეგრატიული ფუნქცია კორელირებს ფაქტობრივთან (კომუნიკატიური სისტემის გამოყენება კონტაქტის შენარჩუნების მიზნით), ინსპირაციული ფუნქცია – კონატიურთან (ყურადღება მიპყრობილია ადრესატზე). ასევე შეიძლება შესაბამისობების აღმოჩენა დეკლარაციულსა და პოეტურ ფუნქციებს შორის, რამდენადაც ორივე მათგანი გულისხმობს ფოკუსირებას თავად შეტყობინებაზე. პოლიტიკური კომუნიკაცია მიმართულია ძალაუფლებისა მოპოვებისა და შენარჩუნების ან გადანაწილებისათვის ბრძოლისაკენ. ამასთანავე, ეს საბაზისო ფუნქცია ყოველთვის აშკარად გამოხატული არ არის. ამიტომ ის ხშირად რეალიზდება სხვა ფუნქციების, მაგალითად, ინტეგრატიული, ინსპირაციული, დეკლარაციული და სხვ. მეშვეობით. თითოეული მათგანი რეალიზდება საკუთარი სტრატეგიებისა საშუალებების მეშვეობით (Campbell K.K., Jamieson K.H., 1986). ნაშრომში მოყვანილი ასეთი დეტალური ანალიზი აუცილებელი იყო კვლევის ობიექტის შემდგომი გააზრებისათვის.

პოლიტიკური კომუნიკაციის ღირებულებითი ხარისხი იზომება არა მხოლოდ მოცემული კულტურის ფასეულობათა პრიორიტეტულობით, მორალური ნორმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, არამედ კოგნიტიურით, პოლიტიკოსის ენობრივი პიროვნების ვერბალურ-სემანტიკური და პრაგმატული სტრატეგიებით, რომლებიც განისაზღვრება პოლიტიკური შეტყობინების ტიპის, ადრესატის, კომუნიკაციური სიტუაციისა და ინტენციების შესაბამისად.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში წარმოდგენილი მეცნიერული შეხედულებების სისტემატიზაცია პრინციპულად მნიშვნელოვანი გახლდათ შერჩეული რაკურსში პოლიტიკური დისკურსის გასაანალიზებლად და შეესაბამება შესავალში ჩამოყალიბებული კვლევის ცალკეული ამოცანების შესრულების თანამიმდევრობას. ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვიქმნის, დავასკვნათ, რომ დისკურსი ლინგვისტიკის ახალი ობიექტი კი არ არის, არამედ ეს არის ახალი შეხედულება ანთროპოლოგიულ კვლევით პარადიგმაში ადამიანის მეტყველშემოქმედებასა და ტექსტობრივი ქმედების შესახებ. შემეცნებითი განწყობები თანამედროვე ენათმეცნიერებაში განპირობებულია იმით, რომ ენობრივი მოვლენების აღეკვატური გაგება და აღწერა შეუძლებელია გამოყენების გარეშე, მათი დისკურსული ასპექტების გაუთვალისწინებლად.

ტერმინი „დისკურსი“ მკვიდრდება როგორც გვარეობითი კატეგორია, რომელიც აერთიანებს ენის გამოყენების ყველა სახეს – მეტყველებას, ტექსტს, დიალოგს, ხოლო დისკურსის ლინგვისტიკის საგანს წარმოადგენს ყველაფერ გამოთქმულისა და წარმოთქმულის მთლიანობა (Макаров 2003, Ревзина 2005). ამასთან ერთად, ეს ტერმინი, თანამედროვე ლინგვისტიკური გაგებით, ერთ-ერთი ყველაზე რთულად განსასაზღვრია და გამოირჩევა მრავალგვარი ინტერპრეტაციით, რომლებიც, როგორც ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარეობს, შეეფარდება ერთმანეთს არა ოპოზიციის ან ალტერნატიულობის პრინციპით, არამედ აქცენტუაციის ან დისკურსის გარკვეულ ასპექტებსა და თვისებებზე კვლევის ფოკუსის პრინციპით. დისკურსის ანალიზი სულ უფრო მეტად ხასიათდება სხვადასხვა განმარტებიდან ნასესხები მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური ელემენტების სინთეზით, რაც იმას მოწმობს, რომ დისკურსის გაგების კონცეფციები ემყარება დისციპლინათაშორისი კვლევების მონაცემებს. ასე, მაგალითად, დისკურსულ ნორმაციებს იკვლევენ კოგნიტივიზმისა და კომუნიკატივისტიკის კვეთაზე, დისკურსის ინსტიტუციური ტიპების დასადგენად ოპერირებენ ლიტერატურათმცოდნების ტერმინით „ჟანრი“, ხოლო ადამიანის ფაქტორის ანალიზისათვის აქტიურად გამოიყენება მეცნიერული აბსტრაქცია „ენობრივი პიროვნება“, რომელშიც დისკურსის ანალიზში გაიგება იმ ცოდნისა და უნარის მთლიანობა, რომელსაც ადამიანი ფლობს დისკურსში მონაწილეობისათვის,

დისკურსის ჟანრული დახასიათებისას ენობრივი ასპექტი შეისწავლება ფუნქციონალური ლინგვისტიკის მეთოდიკის საფუძველზე.

ენა არის დისკურსის მატერიალური სუბსტანცია, კომუნიკაციური უზრუნველყოფის ასპექტში ენა არის კოდი (რუსული დისკურსი, ქართული დისკურსი), ხოლო არხები (დისკურსის მოდუსები) არის მისი ზეპირი და წერილობითი ფორმები: ზეპირი დისკურსი, წერითი დისკურსი, ასევე, უახლეს კვლევებში გამოიყოფა ინტერნეტ-დისკურსი. სწორედ ენა წარმოადგენს დისკურსის შენახვის, მის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ცივილიზაციის ისტორიაში მისი შენარჩუნების მთავარ საშუალებას.

ნაშრომში დისკურსის განმარტებისას ჩვენ ვეყრდნობით ტ. ვან დეიკის განსაზღვრებას: „დისკურსი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, არის ენობრივი ფორმის, მნიშვნელობის და ქმედების რთული ერთობა, რომელიც შეიძლებოდა დახასიათებულიყო უკეთესად კომუნიკაციური მოვლენის ან კომუნიკაციური აქტის ცნებების დახმარებით. დისკურსი /.../ არ შემოიფარგლება ტექსტის ან თვითონ დიალოგის ჩარჩოებით. საუბრის ანალიზი განსაკუთრებით აშკარად ამტკიცებს ამას: მოლაპარაკე და მსმენელი, მათი პირადული და სოციალური დახასიათებები, სოციალური სიტუაციის სხვა ასპექტები, ეჭვარება მიეკუთვნება მოცემულ მოვლენას“ (Дейк 1989, გვ. 121–122). ჩვენ აგრეთვე გამოვდივართ თვალსაზრისიდან, რომ დისკურსი – ეს არის ქმედება და მისი შედეგი (Бенвенист 1974, Арутюнова 1990, Боротько 1989 და სხვ.), ეს არის ინფორმაციული ნაკადის მოძრაობა კომუნიკაციის მონაწილეებს შორის, რომელიც წარმოადგენს ენობრივი პრაქტიკისა და ექსტრალინგვისტური ფაქტორების რთულ ერთობას (Уханова 1998). იგი მოიცავს პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც კლასიფიცირდება და წარმიგვიდგება რეალობა მეტყველებაში საზოგადოების და ენის განვითარების კონკრეტული ეტაპის შესაბამისად.

ტერმინის „დისკურსი“ გაგებისადმი და მისი ანალიზისადმი ძირითადი მიდგომების მიმოხილვის შედეგად, შევძელით გამოგვეურ მთავარი ნაწილები, რომლებშიც ტარდება დისკურს-ანალიზი, შეგვედგინა დისკურსის ტიპოლოგია და მის კომუნიკატიურ დ პრაგმატულ ფაქტორთა კლასიფიკაცია.

ზოგად შტრიხებში ლინგვისტიკაში დისკურსული ანალიზი შედგება შემდეგი ძირითადი განყოფილებისაგან:

- დისკურსის ნაირსახეობების ტიპოლოგია (ტაქსონომია, კლასიფიკაცია);

- დისკურსის კომპონენტური სტრუქტურა;
- დისკურსული და ენობრივი მოვლენების კავშირი;
- დისკურსის ლინგვისტიკის ცნებითი აპარატის დაზუსტება მისი სტრუქტურაწარმომქმნელი პარამეტრების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

დისკურსის ნებისმიერი ინსტიტუციური ნაირსახეობა არის ელემენტების კომპლექსი, რომელიც ქმნის ერთიან მთლიანობას. ნებისმიერ ინსტიტუციურ დისკურსში შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი კომპონენტები: а) წარმოდგენა მოცემული ინსტიტუტის სოციალურ მისიაზე; ბ) განსაკუთრებული ენა, პროფესიულის ჩათვლით, რომლის გამოყენება მიღებულია კონკრეტულ ინსტიტუციურ კომუნიკაციაში ჩართვისას; გ) კომუნიკაციის ტიპურ-მოვლენითი სტატუსურ-როლებრივი ნორმატიული მოდელი, რომლის რეალიზაციას აიძულებს კონკრეტული ინსტიტუციური დისკურსი; დ) საბაზო დირექტულებათა სისტემა, ტრანსლირებული და შთაგონებული ინსტიტუციური კომუნიკაციების საშუალებით; ე) ინსტიტუციური დისკურსის ძირითადი სტრატეგიები; ვ) ინსტიტუციური დისკურსის ჟანრები; ზ) პრეცედენტული ტექსტები; თ) ტიპური დისკურსული ფორმულები (ფრაზეთლოგიზმები, ანეკდოტები, ჟესტები, დრეს-კოდი და ა. შ.).

დისკურსის ინსტიტუციური მრავალსახეობა, მისი პრაგმატიული და სიტუაციური შემადგენლისა და სოციალურ-კულტუროლოგიური პარამეტრების მახასიათებლების სპეციალის სპეციფიკა წარმოადგენს დისკურსის ჟანრობრივი ტიპოლოგიის – მეცნიერული, პოლიტიკური, რელიგიური, ყოფითი და მისთ. – საფუძველს. პირობითი მდგრადობის მქონე დისკურსის ჟანრი, ენობრივი მახასიათებლების ჩათვლით, მიიჩნევა „მოდუსის მიმართ ორთოგონალურად“ (Байбер 1989; Кибрек 2009). დადგენილია, რომ ლინგვისტიკაში ჩამოყალიბდა პოლიტიკური დისკურსის მიმართ ფართე და ვიწრო მიდგომების ტრადიცია. ფართე გაგებით, პოლიტიკურ დისკურსად აღიარებულია ურთიერთობის ისეთი ფორმები, რომლებშიც პოლიტიკის სფეროს მიეკუთვნება თუნდაც ერთი რომელიმე შემადგენელი: სუბიექტი, ადრესატი ან შეტყობინების შინაარსი. მეორე, ვიწრო გაგებით, პოლიტიკური დისკურსი არის დისკურსის ნაირსახეობა, რომლის მიზანს წარმოადგენს პოლიტიკური ძალა-უფლების მოპოვება, შენარჩუნება და განხორციელება. ნაშრომში ჩვენ ვიზიარებთ მეორე მიდგომას და ვეყრდნობით შემდეგ განსაზღვრებას, რომელშიც სინთეზირებულია ობიექტის

შესახებ ჩვენს მიერ გაანალიზებული თეორიული შეხედულებები: პოლიტიკური დისკურსი არის ყველა გამოყენებული სამეტყველო აქტი და ენის აქტუალური გამოყენება, საჯარო პოლიტიკის წესების მთლიანობა და ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის წარმოქმნასა და აღქმაზე (Баранов, Казакевич, 1991; Маслова 2008; Шейгал 2000; Politically speaking). პოლიტიკური დისკურსის განზოგადებული მიზანია პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და განხორციელება, რაც ხსნის მის აგონალურ ხასიათს, რომლის გათვალისწინებითაც აიგება თანამედროვე პოლიტტექნოლოგიები (ადამიანმა, რომელზეც ზემოქმედებს აგონალური ხერხები, არ უნდა იცოდეს ამის შესახებ; დარწმუნებისათვის აუცილებელია შეიქმნას აგონალური სივრცე – არჩევანის სიტუაცია; ადამიანს ესმის არა ის, რასაც ეუბნებიან, არამედ ის, რისი გაგებაც სურს და მისთ).

პოლიტიკური დისკურსი მრავალმხრივი და მრავალუანრობრივი მოვლენაა, რომელსაც ახასიათებს ინტენციის ხასიათის ფართო დიაპაზონი; პოლიტიკურ დისკურსში განასხვავებენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო დისკურსებს, ოპოზიციის დისკურსს, მმართველი პარტიის დისკურსს. ჩვენ შემოგთავაზებთ პოლიტიკური დისკურსის ჟანრების შემდეგ ტიპოლოგიას (მოდუსის მიუხედავად):

- რიტუალური ჟანრები, მაგალითად: პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვა, საიუბილეო სიტყვა, ტრადიციული რადიო/სატელევიზიო შეტყობინება, მოხსენება, ოფიციალური საღეპუტატო მოთხოვნა;
- მიზანმიმართული საორიენტაციო ჟანრები, მაგალითად: ინფორმაციული-დანიშნულებითი ხასიათის ტექსტები: პარტიის პროგრამა, მანიფესტი, კონსტიტუცია, საანგარიშო მოხსენება, ბრძანებულება, ინტერვიუ, პრესკონფერენცია და სხვ;
- აგონალური ჟანრები, მაგალითად: წინასაარჩევნო და საპარლამენტო დებატები, ტელედებატები, ლოზუნგი, სლოგანი, დევიზი, სარეკლამო სიტყვა.

ყველა ეს ჟანრი არაერთგვაროვანია „გადმოცემის ტიპის”, „პასაჟების ტიპის”, „ფორმალურობის” გამოყვანილი მაჩვენებლების მიხედვით: თხრობითი (ნარატიული); აღწერითი (დესკრიპციული); განმარტებითი (ექსპოზიტორული); ინსტუქტიული; დარწმუნებითი (არგუმენტაციული). მაჩვენებელი

„ფორმალურობა” ემყარება დისკურსის ადრესანტსა და ადრესატს შორის სოციალური დამოკიდებულების ხასიათს.

შეცნიერული შეხედულებების სისტემატიზაციას, რომელიც ნაშრომის ამ ნაწილშია წარმოდგენილი, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ნაშრომში არჩეულ რაკურსში პოლიტიკური დისკურსის ანალიზისათვის და პიპოთეზის ჩამოსაყალიბებლად: პოლიტიკური დისკურსი მრავალუანრობრივი მოვლენაა, რომლის საბაზისო ინტენციაა ბრძოლა ძალაუფლებისა და მისი შენარჩუნებისათვის; საპრეზიდენტო დისკურსი წარმოადგენს ცალკე ნაირსახეობას და გამოირჩევა სახელმწიფოს მეთაურის სამეტყველო ქმედების სტატუსურ-როლური ბუნებით, რაც გამოიხატება ადრესანტსა და ადრესატს შორის სოციალური დამოკიდებულებით და გავლენას ახდენს ენობრივი საშუალებების შერჩევაზე; მეტაფორული და პერიფრაზული ერთეულები ფუნქციონირებს თანამედროვე პოლიტიკურ (საპრეზიდენტო) დისკურსში როგორც ეფექტურობის ენობრივი საშუალებები.

კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურაწარმომქმნელი პარამეტრების დადგენა. ამ ამოცანის განხორციელებისას ჩვენ ვეყრდნობით დისკურსის თეორიის ავტორიტეტულ მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომების ანალიზს, გამოთქმული დებულებების შემდგომ ინტერპრეტაციას, რათა დადგინდეს ცნებების კავშირის სქემა და დაედოს ის კვლევის შერჩეულ ობიექტს. დისერტაციაში კეთდება დასკვნა, რომ პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურაწარმომქმნელ პარამეტრებად შეიძლება ჩაითვალოს:

1) პარამეტრი „დისკურსის წარმოება და მოხმარება”, რომელიც, მოდუსის მიუხედავად, დაკავშირებულია ინდივიდის კოგნიტიურ მოდვაწეობასთან, რომელიც ხორციელდება ენაში და ემყარება პრეზუმპციას: „დისკურსში ადამიანი მონაწილეობს როგორც ენობრივი პიროვნება”, კომუნიკაციაში ურთავს ცოდნას შესაძლო როლების, პირველადი და მეორეული სამეტყველო უანრების ფლობის და მათი შესაბამისი სამეტყველო ტაქტიკებისა და სამეტყველო სტრატეგიების შესახებ (Ревзина 2005). პოლიტიკური დისკურსისთვის ეს პარამეტრი შეიძლება გახდეს საკვანძო, თუკი ამოვალთ მტკიცებულებიდან: „პოლიტიკაში ჩვენ ვგულისხმობთ ხელოვნებას მოვაწეობით და განვახორციელოთ ხალხზე ხელმძღვანელობა” (Социология. Энциклопедия 2003). პოლიტიკური დისკურსი იქმნება ენობრივი პიროვნების ისეთი ტიპის მიერ,

რომელსაც აქვს ნებისყოფა, ამბიცია, ძალა: ა) მუდმივი „საბრძოლო მდგომარეობის” ფონზე მოახდინოს ზემოქმედება მასობრივ ცნობიერებაზე, კორექტირება გაუკეთოს საზოგადოებაში არსებულ სამყაროს პოლიტიკურ სურათს; ბ) შეინარჩუნოს თავისი ადგილი პოლიტიკურ იერარქიაში და შემდომი წინსვლის სწრაფვა; გ) ფლობს სწრაფ რეაქციას და „კომუნიკაციურ ენერგეტიკას”, ტოტალიტარულობის ჩათვლით; დ) ატარებს გულდასმით შეწონილ პოლიტიკურ იმიჯს.

2) პარამეტრი „კომუნიკაციური უზრუნველყოფა” დაფუძნებულია კომუნიკაციის არხის განხორციელებაზე (მომდინარეობს კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების თეორიიდან) და საფუძველია დისკურსის ერთ-ერთი ტიპისა: ზეპირი, წერილობითი, ინტერნეტ-დისკურსი. ენა-კოდი პოლიტიკურ დისკურსში განსხვავდება: ა) პოლიტიკური ლექსიკის ტერმინოლოგიზაციით, ხოლო ჩვეულებრივი, არა წმინდა „პოლიტიკური” ენობრივი ნიშნები არ იხმარება ყოველთვის ისე, როგორც ჩვეულებრივ ენაში (მაგალითად იხ.: Демьянов 2002); ბ) ინტონაციური სპეციფიკით, ფრაზების კონსტრუქციით, წერილობითი გაფორმებით (კურსივი, დაყოფა, შრიფტი, ბრჭყალები). პარამეტრიც შეიცავს კომპონენტს „კომუნიკაციური უზრუნველყოფა”: ა) მოდერატორი, რომელიც ფაქტობრივად ახდენს პოლიტიკოსის საჯარო გამოსვლების რედაქტირებასა და ინტერპრეტირებას (რადიოსა და ტელეგიზის შემთხვევაში აქვე შედის მონტაჟი) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მათი პრეზენტაციისათვის; ბ) კოგნიტიური და ენობრივი ქმედების სინთეზი; გ) მატერიალური საშუალებები, რომლებზეც ის ინახება როგორც ობიექტი, მაგალითად, პოლიტიკოსების ოფიციალური საიტები.

3) პარამეტრი „დისკურსული ფუნქციები” – დისკურსის კომუნიკაციური (ინტენციების რეალიზაცია) და კოგნიტიური (ცოდნა და მისი ინტერპრეტაცია, ცნობიერების ხატების რეპრეზენტაცია) შემადგენლების ქმედების შედეგი. პოლიტიკური დისკურსი ექსპლიციტურად არის პრაგმატული, მაგრამ მისი იდეოლოგიური შემადგენლი იმპლიციტურად პრაგმატულია. როგორც დისკურსის ნაირსახეობა, პოლიტიკური დისკურსი ხასიათდება მისი შინაარსის ორი პლანით: ზედაპირულითა და კონტექსტუალურით, რომელიც ვარაუდობს გააზრების და ინტერპრეტაციის პროცედურებს. პოლიტიკური დისკურსი ჩართულია საერთო დისკურსულ სივრცეში და ინახავს კულტურულ-ისტორიული კომუნიკაციის გამოცდილებას, მათ შორის თაობათა დიალოგს.

4) პარამეტრი „ინტერტექსტუალური ურთიერთქმედება“ გამოყოფილია ცალკეული დისკურსის უნარის მიხედვით, იქთნიოს მრავალგანზომილებიანი კავშირი სხვა დისკურსებთან-ტექსტებთან პრეზუმაციის საფუძველზე. დისკურსი, ინარჩუნებს რა საკუთარ რეფერენციას (ახდენს რომელიდაც ობიექტურად არსებული ან წარმოსახვითი რეალობის რეპრეზენტაციას), იძენს პოლირეფერენტულობის თვისებას: სინამდვილესთან და სხვა დისკურსთან/დისკურსებთან. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი ჯორჯ ბუშ-უმცროსის მეორე საინაუგურაციო სიტყვიდან (2005): “*By our efforts, we have lit a fire,*”. “***a fire in the minds of men. It warms those who feel its power, it burns those who fight its progress, and one day this untamed fire of freedom will reach the darkest corner of the world.***” ინტერტექსტუალურად, ამ ფრაზის მეტაფორული ხატები მომდინარეობს ფ. მ. დოსტოევსკის რომანიდან «Бесы» (“The Possessed”). კიდევ ერთი მაგალითი აღებულია ვლ. ჰუგინის სტატიდან «Россия сосредотачивается»: «*Средний класс – это люди, которые могут выбирать политику. У них, как правило, уровень образования такой, что позволяет осознанно относиться к кандидатам, а не «голосовать сердцем».*» მოცემული ფრაგმენტი მიუთითებს ექსპლიციტურ ინტერტექსტუალურ კავშირზე ვლ. მაიაკოვსკის პოემასთან «Владимир Ильич Ленин».

5) პარამეტრი „ავტორობა“ აუცილებელია ავტორის მიზანდასახულობის დასადგენად, რომელიც უბიძგებს მას მოახდინოს ტექსტის პროდუცირება, რაც შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგ ინტენციებში: 1) ფატიკური (კონტაქტის დამამყარებელი) ინტენცია – საზოგადოებასთან, ელექტორატთან, კონკრეტულ აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების აუცილებლობა; 2) ვოლიუნტაციური, ან ზემოქმედების ინტენცია (ესთეტიკური ზემოქმედების ჩათვლით). კონტაქტის დამყარების კვალდაკვალ პოლიტიკურ დისკურსში რეალიზდება მისი უმნიშვნელოვანესი ზემოქმედების ფუნქცია. პოლიტიკურ დისკურსში ეს ინტენცია ორიენტირებულია შექმნას „ყალბი სამყარო“ (ვ. ჰაინემენის და დ. ფივეგერის ტერმინოლოგიით), რაც ნათლად ჩანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოწოდებებსა და ანგარიშებში; 3) რეპრეზენტაციული ინტენცია, რომელიც, ატარებს აუდიტორიისადმი მიმართულ შეტყობინებას; 4) რეპროდუქციის ინტენცია გათვლილია კვლავწარმოებაზე, პოლიტიკურ დისკურსში ორიენტირებულია განწყობების ჩამოყალიბებასა და აუცილებელი იდეების ტირაუირებაზე.

6) პარამეტრი „ადრესატულობა” იხსნება შეტყობინების მიმართულებაში ადრესატისკენ, რომელიც ერთვება კომუნიკაციურ კავშირში. პოლიტიკური დისკურსი, პირველ რიგში, პარმონიული უნდა იყოს პოტენციური ადრესატებისა სამყაროთა სიმრავლესთან და ამასთანავე სამეტყველო მოვლენის კონკრეტული სიტუაციის რელევანტური უნდა იყოს. პოლიტიკური დისკურსი გათვლილია ადრესატისთვის „პოლიტიკურად სწორი” ქმედებების და/ან შეფასებების შთაგონებაზე. ამიტომ ასეთი დისკურსი უპირატესად ორიენტირებულია არა რეფერენციაზე, არამედ ადრესატის დარწმუნებაზე. დარწმუნების წარმატება დაკავშირებულია შესაბამის სტრატეგიებთან, ასევე მოიცავს დისკურსის რეფერენტულ ობიექტთან დამოკიდებულებაზეც და შეტყობინებისათვის შერჩეულ სიტყვებს.

7) პარამეტრი „ინფორმაციულობა” ასახავს დისკურსის თვისებას ჰქონდეს თემა (დისკურსის ტოპიკი) და გადმოსცეს ცნობები, გათვლილი ადრესატის აღქმაზე. ინფორმაციულობა დაკავშირებულია ადრესატისათვის სიახლის ხარისხთან ან მოულოდნელობასთან. ეს პარამეტრი დაკავშირებულია ავტორის განზრახვასთან და ადრესატის აღქმასთან, რამაც საშუალება მოგვცა გვევარაუდა: а) აგტორობის, ადრესატულობის და ინფორმაციულობის კატეგორია მჭიდროდ არის დაკავშირებული; ბ) ინფორმაციულობის კატეგორია შესაძლებელია განიხილებოდეს არა მხოლოდ ინფორმაციის შეტყობინების სიმკვეთრით და სიახლის განსაზღვრით, არამედ შერჩეული ენობრივი ერთეულების თვალსაზრისით, რომელთა ანალიზი იქნება დაძაბული და არადაძაბული დისკურსის მაჩვენებელი.

ყოველივე ზემოთ თქმული გახდა განზოგადების საფუძველი, რომელიც ამტკიცებს გამოთქმულ მოსაზრებას: პოლიტიკური დისკურსი დისკურსის ინსტიტუციური ნაირსახეობაა, დინამიკური, რთული მთლიანობაა, რომელსაც ახასიათებს სტრუქტურაწარმომქმნელი პარამეტრების კონსტიტუციური ნიშან-თვისებების სისტემა, გააჩნია მკვეთრად გამოხატული ფუნქციურობა და ორიენტირებულია მიაღწიოს თელეოლოგიურ განწყობებს: პოლიტიკური ძალა-უფლების მიღწევას, შენარჩუნებას, განხორციელებას. პოლიტიკური დისკურსის დანიშნულებაა არა უბრალოდ აღწეროს (ანუ არა რეფერენცია), არამედ დაარწმუნოს ადრესატი მასში განზრახვების გაღვიძებით, შექმნას დარწმუნების საფუძველი და უბიძგოს ქმედებისაკენ (Демьянков 1995). ამიტომ ნაშრომში

პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა განსაზღვრულია ამ მიზნთან შეფარდებით.

პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა შედგება მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორისგან, რომლებიც ერთობლიობაში გავლენას ახდენენ შედეგის მიღწევაზე: აბსტრაქტულმა კრებითმა ადრესატმა შესაძლო ვარიანტებიდან უნდა აირჩიოს ზუსტად ის, რომლისკენაც მას მიმართავს ადრესანტი. ამრიგად, ცნება „პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა“ უახლოვდება ცნებას „სამეტყველო ზემოქმედება“.

კვლევაში კეთდება დასკვნა პოლიტიკური დისკურსის კავშირის შესახებ ცნებებთან „კოგნიტიური ბაზა“, „პოლიტიკური კულტურა“. კოგნიტიური ბაზა პირობითი კონსტრუქტია, ცოდნის აბსტრაქტული საცავი: ამა თუ იმ ლინგვისტური საზოგადოების აუცილებელი ცოდნათა ერთობლიობა, საგანთა ბუნებაზე წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება, ინფორმაცია, რომელიც აქტიურდება (ამოიღება და დამუშავდება) დისკურსული მოღვაწეობის პროცესში.

კოგნიტიური მოდელების ვერციელდება დისკურსულ პრაქტიკაში. ამრიგად, პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა დამოკიდებულია ადრესატის კოგნიტიური ბაზის ხატებთან მაქსიმალურად ზუსტ აპელაციაზე. კოგნიტიურ ბაზაზე ზემოქმედება ხორციელდება პოლიტიკურობის გულდასმით დამუშავებული ხერხებით: საზოგადოების ლირებულებების სისტემაზე აპელირება, ახალი სტერეოტიპების მიბმა ძველზე, სტერეოტიპების შეცვლა და სხვ. პოლიტიკურ დისკურსში ჩადებული გზავნილის ეფექტურობა დამოკიდებულია მის შესაბამისობაზე არა მხოლოდ მოლოდინებთან, არამედ საზოგადოებაში მიღებულ კულტურულ ნორმებთან, კონკრეტულ, ცოცხალ ურთიერთობასთან მოქმედ სუბიექტებს შორის, რომლებიც ჩართული არიან პოლიტიკური კულტურის ველში.

პოლიტიკური დისკურსის ანალიზი ეხება არა მხოლოდ ძალაუფლების ენის პრობლემას, არამედ ენის ძალაუფლებასაც. ძალაუფლების ენა არის ის, თუ როგორ და რა საშუალებებით საუბრობს ხელისუფლება ხალხთან. ენის ძალაუფლება არის, თუ როგორ ზემოქმედებს მასობრივ ცნობიერებაზე ენობრივი საშუალებები, ცნობიერების ენობრივი მანიპულირების ჩათვლით. მაგ., რუსულ პოლიტიკურ დისკურსში მანიპულირება ხდება სინონიმური რიგის «народ – население» სიტყვების „თამაშით“: «Станем ли мы, наконец, народом, или же по-прежнему будем оставаться населением и электоратом?» (В. Костиков, АиФ, №5, 2008).

